K 18 976
4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

K 18 976 / 4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული

VII

. მეცნიერება .

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული

VII

მეცნიერება
თბილისი
1989

9(ᲡᲥᲐ)11

63.2 (2Г)
Ს 323

საქართველოს ისტორიული გეოგრაფია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრებულში შესულია გამოკვლევები, რომლებიც ასახავენ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს ანტიკური ხანიდან დაწყებული XX საუკუნის დამდეგამდე. მათში განხილულია ფრონის ხეობების, ფერსათის ქვეყნის, XIX ს. სამეგრელოს სამთავროს ისტორიული გეოგრაფიის მომენტები. საგანგებო სტატიები ეძღვნება ქ. პეტრას ახლებურ ლოკალიზაციას და XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების გეოგრაფიულ ასპექტებს.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტ. დ. მუსხელიშვილი

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტ. ალ. ბენდიანაშვილი
ისტ. მეცნ. კანდ. ან. ბოგვერაძე

К 18.976

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

სპიბ-2000
შეკეთებულია

Ს $\frac{0503020906}{М\ 607\ (06)-89}$ 154—88

ISBN 5—520—00154—5

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1989

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯ. გვასალია

ფრონის ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

ფრონეები ეწოდება შიდა ქართლის ოთხ მდინარეს: დვანის წყალს, ფცის წყალს, ალის წყალს და სურამის წყალს. ოთხივე მდინარე გამოდის სურამის ქედის აღმოსავლეთის კალთებიდან და ერთვის მტკვარს. ამ ოთხ მდინარეს ხალხი უწოდებს დვანის ფრონეს, ფცის ფრონეს, ალის ფრონეს და სურამის ფრონეს. საინტერესოა, რომ ფრონეები ამ მდინარეთა ზედა წელს ეწოდება, ხოლო ქვედა წელებს დვანის წყალი, ფცის წყალი, ალის წყალი და სურამის წყალი.

ვახუშტი ბაგრატიონი ამ მდინარეების აღწერისას აღნიშნავს: „და ლიახვის მდინარეს აქვთ ტაშის-კარამდე, რომელნიცა მდინარე ჭევნი აღვსწერეთ, უწოდებენ თჳნიერ შოლისა, ფრონეთა“[1].

როგორც ჩანს, ფრონე ზოგადი სახელია. მითუმეტეს, რომ ამ სახელწოდებით ორი მდინარე — ზედა და ქვედა ფრონე — გვხვდება ლიხს იქითაც, ზემო იმერეთში. ზედა ფრონე ერთვის ძირულას შენაკად დუმალას, ხოლო ქვედა ფრონე ყვირილას. კიდევ ერთი მდინარე ფრონეს სახელწოდებით არის სამცხეში. აწყურის ციხის მახლობლად, სოფ. აგარასთან მტკვარს ერთვის აბანოს ხევი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ფრონეს უწოდებს.

მოსახლეობის დაკვირვებით ფრონე თხელ წყალს ეწოდება. ხომ არაა კავშირი ფრონესა და ფონს (ფონა, ფონე) შორის, რომლებიც ფონეტიკურად ახლოს დგანან ერთმანეთთან?

შიდა ქართლის ანუ, გვიანდელი გეოგრაფიული ნომენკლატურით, ზემო ქართლის დასავლეთი ნაწილი, რომელიც აღმოსავლეთიდან ლიახვის მარჯვენა სანაპიროთია შემოფარგლული, ხოლო სამხრეთიდან დოღლაურისა და ტირიფონის ვაკეთა ჩრდილო კიდეებით, წარმოადგენს ძირითადად კოლხეთის ოლქში მოქცეული ძირულის კრისტალური მასივის განაპირა აღმოსავლურ ნაწილს. თანამედროვე გეოგრაფიული ნომენკლატურით მას ფრონისპირეთის ქვერაიონი ეწოდება[2].

ფრონის ხეობათა ისტორიული მნიშვნელობა განაპირობა მათმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და სტრატეგიულმა მნიშვნელობამ; ისინი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს — იმერეთ-ამერეთს — აკავშირებდნენ სამიმოსვლო გზებით, რომლებიც შიდა ქართლიდან სურამის ქედით გადადიოდნენ იმერეთში. ლიხის მთა ანუ სურამის ქედი თავისი შედარებით დაბალი სიმაღლისა (1000—2000 მ) და მოხერხებული გადასასვლელ-უღელტეხილთა გამო არ ქმნიდა მნიშვნელოვან დაბრკოლებას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის ურთიერთობისათვის.

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941, გვ. 81.
[2] ლ. მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, II, თბ., 1970, გვ. 215.

ლიხის მთაზე რამდენიმე უღელტეხილი-გადასასვლელი იყო. ეს, ესენი: პერანგას, ზემოჯვარ-კორტოხის, დედაბერასი, რიკოთის, სურამის, ციხისძირის.

ყველა ეს გადასასვლელი ადვილად გადასალახავი მაღლობები. ასე რომ, თუ სხვა პირობები არა, ამით რაიმე უპირატესობას ურთიერთის წინაშე ვერ დაიჩემებდნენ.

ვახუშტი ბაგრატიონმა იცის, რომ „გარდავალს აქიდამ (წონადან — ჯ. გ.) და კუდაროდამ გზა ქცხილვანის ჯეობასა ზედა, დვანის ჯეობასა ზედა, ქართლში"[3].

რაჭა-ცხინვალის გზა გაიარა ვახტანგ VI ემიგრაციამ 1724 წელს.

იგივე გზა გაიარა 1772 წლის 5—6 ივლისს ი. გიულდენშტედტმა[4].

იმერეთს ქართლთან აკავშირებდა „გზა დასავლეთისა", რომელიც წყაროებში არაერთგზის იხსენიება.

XIII ს-ის 60-იან წლებში მეფე დავით ლაშას ძე მონღოლებს აუჯანყდა. ჰულაგუ ყაენი ფიქრობდა სასტიკად დაესაჯა აჯანყებულის ვაჟი, გიორგი უფლისწული, ყაენის მეუღლე ტონღუზ ხათუნი შემდეგით უსაბუთებს ლმობიერებას განრისხებულ ყაენს: „ძმა შენი დიდისა ყაენისაგან ბათოს შვილი მრავალსა მოციქულსა უგზავნის და დიდთა ნიჭთა აძლევს, რათა მისცეს გზა დარიალანისა და დასავლეთისა, რამეთუ ორივე ჯელთა შინა მისთა არს"[5].

IX ს-ის 50-იან წლებში არაბთა დამსჯელი ლაშქარი ბუღა თურქის მეთაურობით ქართლში დათარეშობდა. „და თევდოსი, მეფე აფხაზთა გამოვიდა წინაალმდგომად მისა, და დადგა კუერცხობს, ხოლო ბუღა, ვითარცა ცნა, წარავლინა ზირაქ, სპასალარი თვსი, და ბაგრატ ძე აშოტ კურაპალატისა: შეიბნეს და გააქცივნეს აფხაზნი, და მოსწყდა სიმრავლე ურიცხვ და თევდოსი მეფე წარვიდა მეოტი გზასა დასავლისასა"[6].

შიდა ქართლიდან ყველაზე ჩრდილოეთით ცხინვალ-წონას გზა შედიოდა ყვირილას ხეობაში.

ამ გზის გარდა, ვახუშტისავე აღნიშნული აქვს: „მუხაურის ბოლოს ეყრების ფცის წყალს ხტანას ხევი... ხტანის ზეით არს ეკლესია მთასა შინა წოდებული გომართა, აწ ცარიელი. მუნიდამ წარვალს გზა ლოხოისის მთასა ზედა და პერანგისა მთასა ზედა. გარდავალს იმერეთის ჭალასა შინა"[7].

დვანის გზა პერანგაზე აღნიშნულია ხუთვერსიან რუკაზეც: ბრეთი — დვანი — ავნევი — ერკნეთი — წორბისი — ყორნისი — პერანგა — დარკა — ჭალა — ჩიხი.

ასეთი მარშრუტის ძველადაც არსებობას უნდა მიუთითებდეს ვახუშტის მიერვე აღნიშნული: „წორბის ზეით ამ (ე. ი. დვანის) წყალზედა მთასა შინა არს ციხე საქართლისა, მაგარი"[8].

---

3 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 160.

4 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, თბ., 1962, გ. გელაშვილის გამოცემა, გვ. 101—103.

5 ქართლის ცხოვრება. II. თბ., 1959, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 245.

6 ქართლის ცხოვრება, I. თბ., 1955, გვ. 256; ს. ყაუხჩიშვილს ძირითად ტექსტში აქვს „გზა დვალეთისა". ჩვენი აზრით, უფრო მართებული იქნება ამ ადგილის წაკითხვა „გზა დასავლისა", როგორც არის მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ვარიანტებში.

7 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 80.

8 იქვე, გვ. 79.

ეს მაგარი ციხე „მთასა შინა“ სხვას არაფერს დარაჯობდა აქ, თუ არა გზას.

ამას უნდა ადასტურებდეს პაპუნა ორბელიანის შემდეგი ცნობა: 1742 წელს ზემო ქართლი გამდგარი იყო გივი ამილახორის მეთაურობით. ქართლის ხანი გორს იდგა. „შეჯდა ჩანი, მივიდა საქართველოს ციხესა (ციხის) აქეთ სულ მოაოხრეს, დაატყვევეს ურიცხვი და ჩამოვიდნენ გორს“[9].

ყორნისსა და საქართლის ციხეს შორისაა საბაჟოც, რომელიც ნასოფლარია და საიდანაც გზა გადადის რაჭა-ლეჩხუმისაკენ. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, აქ უნდა ყოფილიყო საბაჟო, სადაც შემოჰქონდათ და გაჰქონდათ სავაჭრო საქონელი ქართლ-იმერეთში.

ვახუშტის მიერ ნაგულისხმევი მარშრუტი ფცის წყლით მიდის. ის შემდეგია: ატოცი, აქედან გზა შიდა ქართლში მრავალ შტოდ მიდის: ოქონა — თიღვა — ძაღინა — საყარაულო — ოქორა — ხტანა — გომართა — ლოხოისის მთა — პერანგის მთა — ჭალა — ჩიხა — საჩხერე.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს გზა XI—XII სს.-შიაც არსებობდა, მაგრამ XII ს-ში მთავარი გზა ამ მარშრუტზე სამხრეთით უნდა ყოფილიყო[10].

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როდესაც მოგვითხრობს თურქების მიერ ქართლის აოხრებაზე, აღნიშნავს: „და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა და სადგომი სამეფო წაღულის-თავი“[11].

ამ ცნობას ადასტურებს წაღვლში ბოლო დრომდე არსებული იმ დროის ციხე-გალავნის ნაშთი, რომელსაც მოსახლეობა „გალავნებს“ უწოდებს. აქვეა ძველი ნასოფლარიც.

ვახუშტის აღწერით, „ხოლო ვერტყვილას და ამაშუკეთს შუა არს მცირე მთა მისრული კოლბეურის მთამდე, და ესე არს საზღვარი ქართლ-იმერეთისა აწინდელი“[12].

ალის ფრონეს გზა ითვლებოდა უფრო მოხერხებულად და გამაგრებული იყო ალის მაგარი ციხით, რომელიც დარაჯობდა ქართლ-იმერეთს და გზას უღობავდა აქ გადმოსულ მტერს. ციხე მდებარეობს სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილზე. სამხრეთით მას ჩამოუდის ალის ფრონე, ხეობა აქ ვიწროა და ძნელი გასასვლელი. ალი ციხე-ქალაქად ითვლებოდა, მას ვახუშტი უწოდებს მცირე ქალაქს[13].

ალზე, როგორც პუნქტზე, საიდანაც ერთი მხრივ თბილისს, ხოლო მეორე მხრივ ქუთაისს მიდიოდა გზა, მოწმობს 1401—1415 წლის ცნობა. ქუცნა ამირეჯიბი ულუმბისადმი შეწირულ წიგნში ალელთ სამოურავო გადასახადების მოხსენიებისას ამბობს, რომ მათ მართებთ „ულაყი აქით თბილისამდი და იქით ქუთაისამდი“[14].

კოლბეურის გზით გადადიან ლიხთიმერეთში შაჰ-აბასისაგან ლტოლვილი თეიმურაზი და ლუარსაბი. ამის შესახებ XVII ს-ის სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიჟეცი შემდეგს მოგვითხრობს: „იქიდან (კახეთიდან— ჯ. გ.)

---

9 პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. თბ., 1981, ე. ცაგარეიშვილის გამოცემა, გვ. 57.

10 ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბ., 1966, გვ. 33.

11 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 324.

12 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 82.

13 იქვე, გვ. 80.

14 თ. ყორდანია. ქრონიკები, II, თბ., 1897, გვ. 210.

ლტოლვილი თეიმურაზი და ლუარსაბი ჩავიდნენ თბილისში, იქიდან ეი გორში, მაგრამ ვერც იქ შესძლეს გაჩერება და კოლბას გზით გაიარეს კავკასიის მთა, რომელიც იგივე იალბუზის მთაა, და წავიდნენ ბაბრაფეს ქვეყანაში"[15].

ალიდან ლიხთიმერეთს გზა ორი გადასასვლელით მიდიოდა: ჯვარ-კორტოხისა და დედაბერასი (ანუ ულუმბის). პირველი მიმართულებით გზა კოლბეურს გაივლიდა. კოლბეურიდან ის, ერთი მხრივ, საჩხერეზე, ხოლო მეორე მხრივ სვერზე მიდიოდა. ხსენებული გზის უკანასკნელ მიმართულებაზე უნდა მიუთითებდეს XI საუკუნის ერთი ცნობა. 1068 წელს თურქეთის, კახთა და სომეხთა მეფეებისა და ტფილელი ამირას ჯარები შემოესივნენ ქართლს. „გარდავიდა მარბიელი მისი არგვეთს, მიუწიეს და არბიეს ვიდრე სუერის ციხემდე"[16].

ულუმბიდან გზა შემდეგი მიმართულებისა იყო: ულუმბა — დედაბერა — ღოდორა — ლიჩი — ნადაბური. იგი ძირულის ხეობით (ხეფინის ხევით) მიდიოდა შორაპნისკენ. შეიძლება ამ გზის მაჩვენებელი იყოს ულუმბის მონასტრის დანგრევა თემურლენგის მიერ. თემურლენგი ლიხთიმერეთის გადასაბუგავად დაიძრა და გზად ულუმბას მონასტერი ისე დაანგრია „რომელ საძირკვუელიცა არა დაშთომილიყო"[17].

შემდგომ, ორი გადასასვლელისაკენ გზები სურამზე გაივლიან. ერთი მათგანი რიკოთის გადასასვლელით ძირულის ხეობაში შედის. მეორე გზა სურამიდან ფონზე გავლით (სურამის გადასასვლელი) წიფას ჩადის და ჩხერიმელას პირით შორაპნისკენ მიემართება. ამ მდინარის პირით ამერის ლიხთიმერეთთან შემაერთებელი გზის შესახებ ვახუშტი მოწმობს: „მლაშეს ზეით ჩხირიმელაზედვე არს სამხრეთით ჩხერის ციხე მაგარი და მტრისაგან აუღებელი. ჩხერის ზეით არს გზა ქართლს მიმავალი"[18].

ჩხერი — სურამის გზის დაწვრილებითი აღწერილობა მოეპოვება ი. გიულდენშტედტს. მისი მარშრუტია: ჩხერი, ჩხერიმელას ხეობა, ვახანის ციხე, ს. ქვაბი, ს. წიფა, სურამი. ი. გიულდენშტედტმა სურამიდან ცხინვალამდე გაიარა დირბი, ქვემო ხეითი, ზემო ხეითი, ზემო ნიქოზი[19].

ლიხის მთაზე სამხრეთით გადადიოდა ქვიშხეთ — ციხისძირის გზა. ვახუშტი აღნიშნავს: „ქვიშხეთ ზეით, შოლაზედ არს ციხისძირის ციხე"[20].

ხუთვერსიან რუკაზე ქვიშხეთის მახლობლად არის წარწერა — ციხისძირი. დღეს ამ სახელწოდებით სოფელი არ არსებობს. სამაგიეროდ იმ მიდამოებში არის სოფელი და ციხე ბულბულისციხე. ბულბულისციხიდან იმერეთში გადადის საურმე გზა, რომელიც გაივლის შემდეგ ადგილებს: ზვარე — ჩრდილი — დეისი — მოლითი. ბულბულისციხე მდებარეობს ქვიშხეთ — მოლითის გზაზე.

XII საუკუნიდან შემორჩენილია ორი ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ შიდა ქართლიდან იმერეთში ციხისძირიდანაც გადადიოდნენ[21].

---

15 არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1974, კ. კუციას გამოცემა, გვ. 26.

16 ქართლის ცხოვრება, I. თბ., 1955, გვ. 309.

17 ქრონიკები. II. გვ. 208.

18 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 155; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

19 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. I. გვ. 175.

20 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 81.

21 ქართლის ცხოვრება, II. თბ., 1959, გვ. 246, 292.

სოფ. ცოცხნარადან ლიხის მთაზე გადადის ლოკალური მნიშვნელობის გზა, რომელსაც შემდეგი მიმართულება აქვს: ცოცხნარა — ციგწყარო — ოძისი — ვაკისა (ლიხს იქით) — ღოდორა — კორბოული — საჩხერე.

ფრონეების ეკონომიკური გეოგრაფიის შესახებ ცნობებს ვახუშტი ბაგრატიონთან ვხვდებით. იგი აღნიშნავს: „არამედ ჯეობა დვანისა არს ვენახოვანი, ხილიანი, მარცვლითა ყოვლითა ნაყოფიერი“[22].

შემდეგ: „ამ ფრონეთა შინა შემოვალს წყალ-დიდობას მრავალნი კაპოეტნი, იქმნების ჟამად ორაგულნიცა და წყალ-ცოტაობას არს მათ შინა წვრილნი თევზნი მრავალნი, და მთის კერძოდ კალმახნი ფრიადი და გემოიანნი. არამედ გორს ზეითნი ადგილნი ესენი არიან მოსავლიანი, თუნიერ ბრინჯბამბისა, ვენახით, ხილით და ყოვლითა მარცვლითა. აკეთებდნენ მცირედს აბრეშუმსაცა. პირუტყვნი მრავალნი, აქლემს გარდა ყოველნი, არამედ არა ეგდენად, ვითარცა აღვსწერეთ სომხით-საბარათიანოსა, ზამთრისათჳს, რამეთუ არს სამ თვე თოვლი, და ზაფხულს ვერ სთიბენ თივას. საჴნავთ გამო მიწათა და მთათა შინა მცირეთა, არა საკმაოთა. ჰავითა მშვენი და ამო. სასმელი და საჭმელი აქაური უმეტეს გემოიანი სხვათა ადგილთაგან, კაცნი არიან ჰაეროვანნი, ამაყნი, მჴნენი, შემმართებელნი, მხიარულნი, უხვნი, სტუმართმოყვარენი, ქალნი ეგრეთვე, ვითარცა სხვანი დავსწერენით. სახლობენ მთავარნი და აზნაურნი მრავალნი“[23].

1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარს დაუცავს ცნობები ფრონეების მოსახლეობის კომლობრივი შემადგენლობის შესახებ. 84 სოფელში 1839 კომლია. თუ თითო კომლში ხუთ სულს ვიანგარიშებთ, მაშინ გამოვა 9095 სული. თუ დავთრის დაკლებულ ფურცლებსაც მივიღებთ ანგარიშში, მაშინ რუისის სამწყსო 2000 კომლამდე ავა და სულთა რიცხვი 10000 აღემატება[24].

რუისის სამწყსოს დავთრის წიგნი იმითაცაა საინტერესო, რომ მასში ჩამოთვლილია ყველა სოფელში მოსახლე გვარები. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართულია. 1804 წლის კამერალური აღწერის მიხედვით ოსური მოსახლეობა ჩნდება ყორნისში, ძარწემსა და კუსირეთში. თამარაშენში ქართველების გვერდით ებრაელები ცხოვრობდნენ. რაც შეეხება ფრონის ხეობათა თანამედროვე მოსახლეობას, ძველი გვარებიდან სოფლებში თითო-ოროლაღაა შემორჩენილი. დიდია ხვედრითი წილი იმერეთიდან გადმოსახლებული მოსახლეობისა, ხეობათა ზედა და ნაწილობრივ, შუა ნაწილებში ჩამოსახლებულია ოსური მოსახლეობა.

1804 წლის გორის მაზრის კამერალური აღწერა იძლევა მასალებს ფრონეთა ეკონომიკური გეოგრაფიისათვის. მის მიხედვით ხეობების ქვედა და შუა ნაწილებში მისდევენ მემინდვრეობასა და მეხილეობა-მევენახეობას, ხოლო სათავეების სოფლებში მემინდვრეობას. განვითარებულია მეცხოველეობაც[25].

რაც შეეხება თანამედროვე ეკონომიკურ ვითარებას, ხეობებში მემინდვრეობა, როგორც მეურნეობის დარგი, აღარ არსებობს, იგი გამოდევნა ინტენსიურმა მებაღეობა-მევენახეობამ.

---

22 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 79.

23 იქვე. გვ. 81—82.

24 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები. წ. I. ტფ., 1907, გვ. 126—207.

25 სსცა, ფ. 254, აღწ. I, საქმე № 76.

ფრონის ხეობათა ბუნებრივ-კლიმატური პირობები ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა აქ უძველესი დროიდან ადამიანის საცხოვრებლად. წაღვლის, ტკოცასა და ყორნისის მიდამოებში ნაპოვნია ქვის იარაღები, რომლებიც ბალეოლითის ხანას განეკუთვნება.

შიდა ქართლის 1955 წლის დაზვერვითმა ექსპედიციამ იონჩა, დვანსა და ავლევში მიაკვლია ადრებრინჯაოს ხანის სამოსახლო გორას. მრავლად იქნა მიკვლეული გვიანბრინჯაოს ხანის გორები: ფცის წყალზე — ავლევი, იონჩა, კნოლევი, მუღრისი, ხუნდის უბანი, ვახტანა; დვანის წყალზე — რუსთავი, ყორნისები, გორმანევი, არკნეთი, მალდა, ნული, ავნევი, წუნარი, ქვასათალი, დვანი, დირბი[26].

ადრებრინჯაოს ხანის სამაროვანი მიკვლეულია ძაღინაში[27], ხოლო შუაბრინჯაოს სამაროვანი — ნულში[28].

უკანასკნელ წლებში წაღვლის ხევში ადგილ „მიქელაანთ ვერხვებში" ითხრება შუაბრინჯაოს ხანისა და შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანისაკენ გარდამავალი სიმაროვანი. წაღვლშივე ითხრება ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი „საციხურის გორა"[29].

სოფ. დვანში, 1940 წელს, ადგილ „სოლოფერდაზე" აღმოჩნდა სამაროვანი, რომელიც გაითხარა 1944 წელს. სამაროვანი მნიშვნელოვანია თავისი ინვენტარით და თარიღდება VII—VI სს-ით[30]. გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები აღმოჩნდა სურამში, სატივეში, ხაშურში, ვაყაში, ალში, ქვიშხეთში (მასალები დაცულია ნაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

დვანში სოლოფერდაზე და ტახტის სერზე დღესაც ჩნდება ბრინჯაოს ნივთები.

სოფ. არკნეთში, ადგილ „ვასაწყაროში" აღმოჩნდა ორმოსამარხები, რომლებშიაც ნაპოვნია თიხის ჭურჭელი, პასტისა და მინის მძივები, ბრინჯაოს სამკაულები, ვერცხლის ბეჭდები, რკინის სამაჯურები. ერთ-ერთ ორმოსამარხში ნაპოვნია ხუთი ვერცხლის პართული მონეტა ძვ. წ. I ს-ისა. არკნეთის ორმოსამარხები მიეკუთვნება ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა პირველ საუკუნეებს[31].

ავნევში აღმოჩენილია სტილიზებული ბრინჯაოს ბალთა, რომელზედაც გამოსახულია ნადირობის სცენა და მიეკუთვნება ახ. წ. I—II სს. ბალთა ინახება ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში[32]. ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალა მომდინარეობს ქვიშხეთიდან, სურამიდან, ალიდან, ვაყადან, ტკოცადან (დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

---

26 დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი. შიდა ქართლის 1955 წ. დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები. — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრ., I. თბ., 1960, გვ. 186—196.

27 ო. ჯაფარიძე. ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში. თბ., 1955, გვ. 96—98.

28 Б. Куфтин. Арх. маршрутная экспедиция 1945 г. в Ю-О и Имеретию. 1949, с. 48—51.

29 А. Г. Рамишвили. Археологические работы в с. Цагвли. — Полевые археологические исследования в 1979 году. Тбилиси, 1982, с. 34—37.

30 ს. მაკალათია. დვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები. თბ., 1948, გვ. 42.

31 ო. ჯაფარიძე. არქ. გათხრები სოფ. არკნეთში. — თსუ შრომები, ტ. 63, თბ., 1956, გვ. 183—205.

32 ს. მაკალათია, ფრონის ხეობა. 1963, გვ. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უკანასკნელი წლების არქეოლოგიური გათხრებით „დედოფლის მინდორზე" გამოვლინდა გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი, რომელიც ძვ. წ. I ს-ით თარიღდება[33].

დედოფლის მინდორი სოფ. დვანთან სულ ახლოს მდებარეობს. გვიან-

---

33 Ю. М. Гагошидзе. Раскопки храма I в. до н. э. в Дедоплис Миндори. — Краткие сообщения, № 151, М., 1977, с. 102—107.

ბრინჯაოს ხანაში ფრონეთა ცენტრი ჩანს დვანში, ხოლო ანტიკურ ხანაში დვანის სიახლოვეს — დედოფლის მინდორზე. დვანის დაწინაურებაზე წინაფეოდალურ და ადრეფეოდალურ ხანაში უნდა მიუთითებდეს VII ს. სომხური გეოგრაფია, რომელიც ფრონისპირა მხარეს „დვანის ველად" (դաշտին Դուաք) იხსენიებს.. გეოგრაფიაში ვკითხულობთ: „მდ. მტკვრის ჩრდილოეთით თარ-ის ოლქის პირდაპირ არის არგვეთის მთები და იმ მხარეს — დვანის ველი"[34].

დვანის ფრონეს ვახუშტი უწოდებს დვანის წყალს. მისი სათავე იწყება წორბნისიდან ფრონის სახელწოდებით. მას ავნევთან შეერთვის ავნევის წყალი, დვანში — მდინარე მტილიანა, დვანის ქვევით — საკვირიკის ხევი და დვანიდან ფრონეს თავისი შენაკადებით ეწოდება დვანის წყალი. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით დვანის წყალზე შემდეგი სოფლებია: საღოლაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დირბი, დვანი, ტოლიბური, ავნევი, არკნეთი, წუნარი, ერკნეთი, თორმანეული, ბეყმარი, ღვედრეთი, ნული, მავდა, წორბისი, ურია, ყორნისი, რუსთავი[35].

სოფ. არადეთი მდებარეობს დვანის ფრონეს მარჯვენა მხარეს. იგი იხსენიება XI საუკუნეში, როდესაც ბაგრატ IV ებრძოდა სულთანს, ფადლონს, თბილისის დაუფლებისათვის. ფადლონის მოკავშირედ იყო კახეთის მეფე აღსართანი, რომელმაც ფადლონი შეიხიზნა და შემდეგ ბაგრატს გადასცა. ამისათვის მეფეს აღსართანისათვის მიუცია არადეთი[36].

1483 წელს არადეთის მახლობლად მოხდა ბრძოლა კონსტანტინე II (1479—1505 წწ.) და ყვარყვარე ათაბაგს შორის[37].

არადეთი ამილახვრის სამფლობელოში შედიოდა. მხოლოდ XVII ს-ის დასაწყისში თეიმურაზ I მოღალატე ანდუყაფარ ამილახვრისათვის არადეთი ჩამოურთმევია[38]. 1794 წელს ერეკლე II-ს მისი და სოლომონ II-ის ერთგული სამსახურისათვის არადეთი უბოძებია თავად წერეთლისათვის[39].

1804 წლის კამერალური აღწერის მასალების მიხედვით არადეთში ყმები ჰყავთ წერეთელსა და ციციშვილს.

არადეთის ძეგლთაგან აღსანიშნავია თლილი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია „სარკის წმ. გიორგის ხატი".

შიგ არადეთში ფრონის ნაპირას აშენებულია არადეთის ციხე-გალავანი. იგი ნაგებია რიყის ქვით. ციხეს შემორჩენილი აქვს სამი კოშკი. კოშკები მრგვალია. ნაპირის კოშკებს შემორჩენილი აქვს ქონგურები, სათოფურები, სარკმლები, ჩარდახები. ნაგებობის მიხედვით ციხე-გალავანი XVIII ს-ის პირველ ნახევარში უნდა იყოს აგებული.

ციხის ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე არის ერთნავიანი მცირე ეკლესია, რომელიც სამშენებლო წარწერის მიხედვით აშენებულია 1666 წელს დადიანის ასულის, როსტომ მეფის მეუღლის მარიამ დედოფლის მიერ.

---

34 სომხური გეოგრაფია. სუკრის გამოცემა, ვენეცია, 1881, გვ. 28.
35 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 203.
36 ქართლის ცხოვრება. I. გვ. 311—312.
37 ქართლის ცხოვრება. II. გვ. 347.
38 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, № 2122.
39 იქვე, Qd, № 6919.

ბ რ ე თ ი. ბრეთის მებატონე ყოფილა ავალიშვილი, რომელსაც ეკუთვნოდა ბორჯომის ხეობა და მას დაკისრებული ჰქონია მეფისაგან დვანის ფრონეს მეთვალყურეობა. ვინაიდან ბორჯომის ხეობა მოუსავლიანი ყოფილა, ავალიშვილისათვის სარჩოდ ბრეთი მიუცია დირბამდე[40].

ვახუშტი ბრეთის შესახებ წერს: „დვანის წყლის აღმოსავლეთით არს ბრეთის მონასტერი უგუმბათო, რომელ ქმნა პიროს, იგი მამათაგანმა და დაფლულ არს იგიცა მუნვე, არს აწ ხუცის ამარ“[41].

ბრეთში დაცულია წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას. მისი ცენტრალური ნაწილი ამაღლებულია. ეკლესიის დასავლეთის მხარეზე დაშენებულია სამრეკლო. ბრეთის ეკლესიას აკუთვნებენ VI—VII სს. საკურთხევლის კარის წინ გრძელი ქვაა, რომლის ქვეშაც ასაფლავია პიროსი.

1804 წლისათვის ბრეთში ყმა-მამულები ეკუთვნოდათ ავალიშვილს, წერეთელს და დედოფალ დარიას.

დ ი რ ბ ი. მოზრდილი სოფელია. აქ საყურადღებოა ზედა ჯვრის ეკლესია და ღვთისმშობლის ეკლესია. ეს უკანასკნელი ეკუთვნოდა ქრისტეს საფლავის მონასტერს იერუსალიმში.

ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „არს დირბს მონასტერი, სადაც ზის არქიმანდრიტი ჯვრის მონასტრისა, არამედ მეფენი ქართლისანი დასმენ ქართველთა, ყოველს საქართველოსა შინა არს მამული მისი, და ჰფლობს ესე, და მოსავალს გზავნის ვერცხლად იერუსალემს“[42].

1804 წლისათვის დირბში 63 კომლი ცხოვრობდა. ყმა-მამულები ეკუთვნოდა მროველს და მაჩაბელს.

დირბის ეკლესიის ზემოთ დირბის ციხეა. ციხეს მაღალი კედელი აქვს, იგი ნაწილობრივ დაშლილია. ციხე რიყის ქვითაა ნაგები დუღაბზე. წაგრძელებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. კოშკი ოთხსართულიანია, რომელსაც აქვს ორმაგი სათოფურები, ბუხრები, თახჩები, სარკმელები. კოშკს მიშენებული აქვს მაღალი გალავანი, რომლის კედლებში გამოჭრილია სათოფურები და სათვალთვალოები. ციხე მიეკუთვნება XVII ს. 1736 წელს დირბის ციხეში გამაგრებულა ლეკების ჯარი, მაგრამ მალე გაქცეულან[43].

დ ვ ა ნ ი. სოფელი ცნობილია ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლებით. მოსახლეობა წინათ ყოფილა მაღლობზე, მაგრამ უწყლობის გამო გადმოსახლებულა დაბლობზე, მდ. ფრონის ნაპირას.

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ გორაკზე არის პატარა ეკლესია, რომელსაც კოშკის ფორმა აქვს. მას „კვართობასა“ და „კოხისჯვრობას“ უწოდებენ. ეკლესიაში 1697 წელს გარდაცვლილი პაატა ყარალაშვილის საფლავის ქვაა.

1804 წლისათვის დვანში ყოფილა 8 კომლი ოჯახი, რომელნიც ეკუთვნოდნენ ფავლენიშვილებს.

ა ვ ნ ე ვ ი. სოფლის სიძველეთაგან აღსანიშნავია ჯვრის ფორმის, დაბალგუმბათიანი ეკლესია. ეკლესია მიუხედავად მისი არქაული ფორმისა არ უნდა

---

40 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. ბორჯომის ხეობა. თბ., 1957, გვ. 12, 31.

41 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 79.

42 იქვე.

43 ქართლის ცხოვრება, II. ს.-ბ, 1854, გვ. 341.

იყოს ძალიან ძველი. ამაზე მიუთითებს დაბალი ოსტატობით ფასადებზე შესრულებული რელიეფები.

სოფელში რამდენიმე ნიშია: წმ. გიორგი-გორაობა, შიოს ნიში, ივანე მახარობლის ნიში და კერპის საყდარი. ეკლესია-ციხე ... პირედ გორაა — ყვარის საყდარი, რომლის ნასახლარებში აღმოჩნდა ქვევრები და წითელი ფერის კერამიკა.

1804 წლისათვის ავნევში ცხოვრობდა 34 კომლი გლეხი, რომლებიც ეკუთვნოდნენ ფავლენიშვილს, შამშე ერისთავს, მაჩაბელს და ამილახორს.

ავნევში, შუა სოფელში ციხე-გალავანია, რომელსაც უკანასკნელად ფლობდა აბაშიძე. ციხე-გალავანი რიყის ქვით არის ნაგები. გალავანს ოთხივე კუთხეში აქვს სამსართულიანი მრგვალი კოშკი, სათოფურებითა და ქონგურებით.

ნ ულ ი. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „აქ ამ წყალს (წუნარის ხევს — ჯ. გ) მოერთვის დასავლეთიდან ნულის-ჯევი. არს ნულის ციხე"[44].

ნულის ციხე-დარბაზი მდებარეობს გრძელ ბორცვზე. იგი ეკუთვნოდა დავითიშვილებს. ერთ-ერთ საბუთში (1658—1676 წწ.) საუბარია, რომ ელიზბარ და კონსტანტინე დავითისშვილებმა ნულის სასახლე და მიმდებარე კოშკი და საყდარი საძმოდ დაიტოვეს. კონსტანტინეს ერგო ნულის ზვარიც[45].

1596 წლის ორი დოკუმენტიდან ჩანს, რომ ნული დავით დავითიშვილის სამკვიდროა, რომელსაც ეცილებოდა ხერხეულიძე. სიმონ მეფემ ნული დავითიშვილს უბოძა[46], ადრე იგი შიოშ ხერხულიძისათვის ჰქონდა ნაწყალობევი[47].

როგორც ირკვევა, ნულში პირველად ოთხკუთხა ციხე აუგიათ. მასთან ერთად უნდა იყოს აგებული იქვე ახლოს მდგარი პატარა ეკლესიაც. შემდეგ გარს ახალი გალავანი შემოუყოლებიათ. მომდევნო პერიოდში ეს სიმაგრე ციხე-დარბაზად აქციეს; შუაში აუშენებიათ სასახლე. დაახლოებით იმავე პერიოდში ციხე-დარბაზი შესამჩნევად ფართოვდება. აღმოსავლეთით მიშენებული იქნა კიდევ ერთი გალავანი, რომლის შიგნით სხვადასხვა ხასიათის არაერთი შენობა დგას. ჩანს, ნულის ციხეში ცხოვრება მთელი გვიანი საუკუნეების განმავლობაში არ შეწყვეტილა[48].

1804 წლისათვის ნულში ცხოვრობს 18 კომლი გლეხი, რომლებიც ეკუთვნიან ბაგრატიონ დავითიშვილებს[49].

წ უ ნ ა რ ი. მდ. ფრონიდან დაშორებულია 3 კილომეტრით. ვახუშტი აღნიშნავს: „ამ ჯევ (ჭოლიბურს — ჯ. გ.) ზეით ერთვის ამ წყალს ჯევი წუნარისა, წუნარს არს ეკლესია გუმბათიანი, აწ უქმი"[50]. აქედან ჩანს, რომ XVIII ს-ის დასაწყისში აქ მოსახლეობა აღარ ყოფილა.

წუნარის ეკლესია ლამაზად არის ნაგები, აქვს მაღალი და სიმეტრიული გუმბათი. გარედან ტაძარი მოპირკეთებულია რუხი ჩოფურა ქვაფიქალით, შიგნიდან შეთეთრებულია. დასავლეთის კარის თავზე ამოკვეთილია ჯვარი, რომლის ქვეშ მოთავსებულია 12-სხივიანი როზეტი. გუმბათს აქვს ათი სარკ-

---

44 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 79.
45 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, № 2289.
46 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, № 597.
47 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, № 598.
48 ვ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, სამშობლოს გუშაგები, თბ., 1965, გვ. 111—115.
49 სსცა, ფ. 254, აღწ. 1, საქმე № 76.
50 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრონის ხეობები IV-Xსს.

ხაქაბა 2


ბ. ჭერანგა
საქართველის მონასტერი
საქართველის ციხე
ბ. ლოხონი
ბ ა ტ ო ნ ი ს ქ ვ ე ი
ბ ა ტ ო ნ ი ს ქ ვ ე ი
ბ ა ტ ო ნ ი ს ქ ვ ე

ლის ტაძარს, თიღვის ტაძრის ანალოგიით, ათარიღებენ XII ს-ით[51]. სოფელ-წუნარს დღეს ჰქვია ხეთაგუროვი.

ერკნეთი (არკნეთი). ერკნეთში დარბაზული ეკლესიაა [illegible] ბელი. ამ სოფელში იერუსალიმის ჯვრის მონასტერს მამულ[illegible]

ერკნეთის შესახებ ვახუშტი აღნიშნავს: „წუნარის-ჯევს ზეით არს ეკლესია ერკნეთს; დგანან მთაწმინდის მონაზონნი ბერძენნი“[52].

ყორნისი. ფრონის ხეობის სათავეში ერთ-ერთ ძლიერ გამაგრებულ ადგილს წარმოადგენდა სოფელი ყორნისი. იგი განლაგებულია ღია ადგილას; მთები მას ადგებიან ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან. თვით ყორნისში დღეს შემორჩენილია რვა კოშკი. აქ მცხოვრები ფეოდალი, ჩანს, იძულებული იყო აეგო ციხე-სიმაგრე და მიდამო გაემაგრებინა თავდასაცავი კოშკებით. ვახუშტი ბაგრატიონი ყორნისის შესახებ წერს: „ამ ჯევს (ნულისჯევს — ჯ. გ.) ზეით მოერთვის აღმოსავლეთიდან ყორნისის-ჯევი, გამოსდის ძარის მთას. ყორნისს აქვს ქვაბნი კლდისანი და კოშკოვანი, გარნა შემუსრეს ლეკთა“[53].

ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე გვამცნობს, რომ 1688 წელს ქართლის მეფე გიორგი XI, როცა გაიგო მეფედ ერეკლე I არჩევა, გაემართა ზემო ქართლში და დადგა ყორნისს[54].

ომან ხერხეულიძის ცნობით, 1759 წელს დაღესტნიდან გამოვიდნენ კოხტა და ჩონჩოლ-მუსა რვაათასიანი ჯარით. ისინი გაემართნენ ზემო ქართლში ლიახვისა და ფრონის ხეობებით. ქართლისა და კახეთის მეფეებს არ აღმოაჩნდათ საკმაო ლაშქარი, რომ გამკლავებოდნენ მეფეს. მათ დასახმარებლად მოვიდა იმერეთის მეფე. მეფეები შეხვდნენ ერთმანეთს ყორნისში. აქედანვე დაიწყეს საერთო შეტევა[55].

ყორნისის კოშკებს შორის გამოირჩევა შვიდსართულიანი კოშკი, რომელიც დაკავშირებულია ფეოდალის სასახლესთან. სასახლისაგან ძალიან ცოტა რამ შემორჩა, ხოლო კოშკისაგან ნახევარი.

კოშკის პირველი სართული ყრუა. მეორე სართულის ჩრდილოეთის კედლის შუაში შესასვლელი იყო. ამ შესასვლელს მიშენებული ჰქონდა კიბე, რომელიც აკავშირებდა სასახლეს კოშკთან. დასავლეთ კედელში მოწყობილი იყო ბუხარი. ჩანს, ბუხრები იყო ყველა სართულზე. სათოფურები მოწყობილი იყო მესამე სართულიდან დაწყებული ყველა სართულზე. გარედან კოშკი წარმოადგენს პირამიდულ მასას. კოშკს ჩრდილოეთის მხრიდან მიშენებული ჰქონდა ოთხკუთხა სასახლე, რომელიც გაყოფილი იყო სამ ნაწილად. გადახურვა თაღოვანია, კედლები ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მოთავსებული იყო მცირე დარბაზული ეკლესია. ყორნისის კოშკები თარიღდება XVII ს-ით[56]. ყორნისშივე, სოფლის, ბოლოს მაღალ გორაკზე, არის კარასეთის წმ. გიორგის ეკლესია. იგი ნაგებია კლდის დიდი ლოდებით, დარბაზულია. ეკლესია შემოზღუდულია ქვითკირის გალავნით. კარასეთი ამ მხარეში ყველაზე ძლიერ ხატად ითვლე-

---

51 ს. მაკალათია. ფრონის ხეობა. გვ. 34.
52 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 79.
53 იქვე.
54 ქართლის ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამ., 1913, გვ. 5.
55 იქვე. გვ. 261.
56 П. Закараия. Древние крепости Грузии. Тбилиси, 1969, с. 177—181.

ბოდა. 1804 წლისათვის ყორნისში ცხოვრობდა 14 კომლი ოსური ოჯახი, რომლებიც ეკუთვნოდნენ ხერხეულიძეებს[57].

წ ო რ ბ ი ს ი, „ყორნის ზეით, წორბისს, ერთვის ამ წყალს ხტანის ხევი“ — წერს ვახუშტი[58].

ეროვნული ბიბლიოთეკა

წორბისში ღირსშესანიშნავია ქედზე მდგარი კოშკი, რომელიც ფრონის ხეობას მარჯვენა მხრიდან დარაჯობდა. წორბისის კოშკს ორი შესასვლელი აქვს. ერთი პირველ სართულზე, მეორე — მეორე სართულზე. პირველ სართულს არა აქვს სათოფურები. მცირე სარკმელი აქვს აღმოსავლეთ კედელში. ზედა ოთხი სართულის თითო კედელში ორ-ორი ვიწრო სათოფურია. კოშკს აქვს ბევრი პატარა ნიში. მეორე სართულზე გამართულია ერთადერთი ბუხარი. კოშკი აშენებულია ფლეთილი ქვით. წორბისის კოშკი ყორნისის კოშკების ანალოგიით XVII ს-ით თარიღდება[59].

ყორნისიდან სამ კილომეტრზე მდებარეობს კომპლექსი, რომელსაც საბაჟო ეწოდება. იგი მდებარეობს მაღლობზე და უკავია დაახლოებით ერთი ჰექტარი ფართობი, შემოზღუდული ყოფილა ქვითკირის გალავნით. დარჩენილია მისი ნაწილი. საბაჟო ძველი ნასოფლარია, აქედან გზა გადადის რაჭა-ლეჩხუმისაკენ. ეს გზა გადადიოდა ყორნისში, აქედან ცხინვალში, შემდეგ გორსა და თბილისში. რაჭიდან ახლაც ამ გზით გადმოდიან ფრონის ხეობაში. საბაჟოში დარჩენილია ერთი ქვითკირის კოშკი, ნაგები მოვარდისფერო, კარგად ნათალი კლდის ქვით. კოშკი ოთხკუთხაა, თავმორღვეულია, სათოფურები არა აქვს, ოთხსართულიანია. კარი აქვს მეორე და მესამე სართულზე, სართულებზე გამართულია ბუხარი და თახჩები. საბაჟოს კოშკი უნდა მიეკუთვნოს არაუგვიანს XV—XVI სს[60]. კოშკის გვერდით დგას მცირე ერთნავიანი ეკლესია. წორბისიდან ჩრდილოეთით, 8 კმ-ზე, ფრონეს მარცხენა ნაპირზე დიდი სამონასტრო კომპლექსის ნანგრევებია, მათში აღმოჩნდა ტუფის გათლილი ქვა, რომელზეც ძველი ქართული მრგვლოვანი ასოებით ამობურცულად შესრულებულია ორი წარწერა. დაქარაგმებულ სიტყვათა ასოების აღდგენით მთავარ წარწერას ი. მეგრელიძე ასე კითხულობს: „სახელითა ღმრთთისაითა ესე კონქი შექმნა ივანე ერისთავმან სალოცველად მათდა ქრონიკონსა რს საბაის მამასახლისობასა“[61].

რ ასოს მიხედვით მკვლევარმა წარწერის თარიღი განსაზღვრა 880 წლით.

არქეოლოგმა ო. ტყეშელაშვილმა, რომელიც სპეციალურად სწავლობს სამონასტრო კომპლექსს, ქრონიკონის ასოებში რ-ს ნაცვლად ამოიკითხა რპ, რამაც მისცა თარიღი — 960 წელი[62]. ჩვენც ამ თარიღს ვუჭერთ მხარს.

ინტერესს იწვევს წარწერაში მოხსენიებული ივანე ერისთავის იდენტიფიკაციის საკითხი. ორივე მკვლევარი მოხსენებულ ივანეს უკავშირებს ერისთავ ტბელთა საგვარეულოს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ ი. მეგრე-

---

57 სსცა, ფ. 254, აღწ. 1, საქმე № 76.

58 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 76.

59 ბ. ზ ა ქ ა რ ა ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 181—182.

60 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. ფრონის ხეობა. გვ. 36.

61 ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე. „ყორნის ზეით წორბისს“... — გაზ. „კომუნისტი“, 1981 წ., 14 ივნისი.

62 О. В. Ткешелашвили. Предварительный отчет о работе Цорбисской экспедиции. — Полевые археологические исследования в 1981 году, Тбилиси, 1984, с. 71.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრონის ხეობები XI-XIV სს

სქემა 3



ლიძე მას აიგივებს ერედვის 906 წლით დათარიღებული წარწერის „ივანე ეპისკოპოსთან“, ო. ტყეშელაშვილს იგი მიაჩნია დოდოთის ცხრაკარის წარწერაში მოხსენიებულ „ივანედ“, რომელიც იყო პეტრიკ ერისთავის შვილი და ქავთარ ტბელის მამა.

ჩვენ არ ვემხრობით არც ერთ იდენტიფიკაციას, რომელიც ქრონოლოგიურად შორსაა ორივე ივანესაგან, რომელთაგან ერთი იხსენიება 906 წლის

ძეგლში, ხოლო მეორე XI ს-ის წარწერაში. ვფიქრობთ, რომ ივანე ერისთავი უნდა იყოს საქართლის ერისთავი. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართლის ციხე. მდებარეობს სოფ. ყორნისიდან ჩრდილო-დასავლეთით 8 კმ-ზე, დვანის ფრონის სათავეში. მას ჩამოუდის საქართლის წყალი, რომელიც შეერთვის ფრონეს. ეს ციხე ქართლ-იმერეთის საზღვარზეა.

საქართლის ციხე გამაგრებული ჰქონია გივი ამილახვარს, როდესაც მან მოუწყო აჯანყება ნადირშაჰს[63].

ციხე ძნელი მისადგომია. ჩრდილო-დასავლეთით მას აკრავს ღრმა ხევი, მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან შეიძლება ციხის გალავანში შესვლა. ციხე ნაგებია კლდის ფლეთილი წვრილი ქვით დუღაბზე. იგი შედგება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებული გალავნისაგან. კარი აღმოსავლეთ კედელშია მიწის დონიდან 2,5 მ სიმაღლეზე. გალავნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დგას მრგვალი კოშკი, იგი ოთხსართულიანია. სართულშუა გადახურვა არაა შემორჩენილი. კოშკს აქვს სათოფურები, კარი აქვს მეორე სართულზე აღმოსავლეთ მხარეს. ციხის ეზოს სიგრძე O—W მიმართულებით 40 მეტრია, ხოლო S—W მიმართულებით 20 მ. გალავნის დასავლეთ კედელსაც აქვს სათოფურები. ციხის გალავანი გამაგრებულია ხუთი ბურჯით. ციხის კედელსა და კოშკის დასავლეთის კუთხეში მიშენებულია წყალსაცავი, რომლის სიღრმე 1,70 მ-ია.

საქართლის ციხე ქართლ-იმერეთის სასაზღვრო ციხეა. მასზე გადიოდა იმერეთიდან ქართლზე მომავალი გზა. საქართლის ციხის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი შემდეგს აღნიშნავს: „წორბის ზეით, ამ წყალზედ, მთასა შინა, არს ციხე საქართლისა, მაგარი"[64].

საინტერესოა საქართლის ციხის თარიღის საკითხი. ს. მაკალათიას იგი ნაგებობის ტექნიკისა და გეგმის მიხედვით XI—XII სს-დ მიაჩნია[65].

თანამედროვე საქართლის ციხის არქიტექტურული დეტალები არ იძლევიან საშუალებას ციხის ასეთი ადრეული ხანით დათარიღებისათვის. თუმცა ძეგლზე შეიმჩნევა რამდენიმე საამშენებლო პერიოდი და არაა გამორიცხული, რომ თანამედროვე ძეგლის ადგილას განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ან უფრო ადრეც ფუნქციონირებდა ციხე. ამ აზრისაკენ გვეწევა ლაშა გიორგის შეწირულობის წიგნი ქვათახევისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „აწცა მოვიდა ჩუენთან სულა ქართლის ერისთავი, ძე ერისთავთ-ერისთავისა ქართლის ერისთავისა რატი სურამელის, გუეჰაჯა და მოგუაჯსენა, რაითამცა შევიწყალეთ და ქართლის სოფელი სუელნეთი, რომელი პაპისა ჩუენისაგან პაპასა და მამასა მისსა ჰქონებოდა... მერმე ჰქონდა საქართლის ერისთვისაგანამც გ... მონასტერსა მისსა ქვათაჯევს შევსწირეთ.

დაგუაჯერა ღმერთმან, ვისმინეთ ჰაჯაი და მოჯსენებაი ერისთავთ-ერისთავის სულა ქართლის ერისთავისაი და სუელნეთი გამოგუიღია საქართლის ერისთავისაგან და შეგუიწირავს... ქვათაჯევისადმი"[66].

---

63 ქართლის ცხოვრება, II, ს.-პ. 1854, გვ. 363. სასვენი ნიშნის გადასმის გამო, პ. ორბელიანის თხზულების ახალ გამოცემაში, საქართლის ციხე შეცდომით მოთავსებულია ქსნის ხეობაში: „ამილახორს ჰქონდა გამაგრებული... საქართლის ციხე ქსანზე, კიდევ წიქორი" (პ. ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, თბ., 1981, ე. ცაგარეიშვილის გამ., გვ. 72).

64 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 79.

65 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. ფრონის ხეობა, გვ. 37.

66 ქართული სამართლის ძეგლები. II. თბ., 1965, გვ. 35.

V 18-976

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ... ბ.

უეჭველია, ლაშა გიორგის სიგელის „საქართლის ერისთავი“ ვახუშტისეულ „საქართლის ცხოვრებაში“ იჯდა და მისი „შესავალი“ ქვეყნის ერისთავი იყო, ქართლის ერისთავის ხელქვეით „ცოტაი ერისთავი“. ამ სიგელით ირკვევა ასევე დიდი ერისთავის, ქართლის ერისთავის მმართველობის ქვეშ ყოფილი საქართლის ერისთავის არსებობაც[67].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართლის საერისთავოს შექმნა ხომ არაა კავშირში დასავლურქართული სახელმწიფოს — „აფხაზთა სამეფოს“ — შიდა ქართლში ექსპანსიასთან? ტერმინები — „საქართველოს საერისთავო“ და „საქართლის ცხოვ“ — ლიხთიმერეთის მხრიდან გაიაზრება.

მეტად ნიშანდობლივია, რომ ორივე საერისთავოს რეზიდენცია — სურამიცა და საქართლის ცხოვც — ერთმანეთის ახლოს, ფრონისპირეთშია, ლიხის ქედის მახლობლად, ლიხთიმერეთისკენ გადასასვლელ გზებზე.

საერთოდ, ჩანს ქართლის სასპასპეტოს ანუ საერისთავოს ცენტრის აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გადანაცვლების ტენდენცია. ანტიკურ ხანაში სპასპეტის სამყოფელი მცხეთის მახლობლადაა. VI ს-ში ევაგრე სპასპეტის რეზიდენცია ცხე-დიდშია („ცხოვრება შიოსა და ევაგრესი“), IX ს-ში — ქსან-მეჯუდის მიდამოებში (ბიეთის წარწერა), X სს-ში — უფლისცხეში, ხოლო XII—XIII სს. — სურამში. ეს გარემოება უნდა იყოს კავშირში საქართველოს გაერთიანების ტენდენციასთან, შიდა ქართლის ლიხთიმერეთთან შერწყმასთან. ჩანს, ქართლის ერისთავის ფუნქცია თუ ტენდენცია სულ უფრო და უფრო „დასავლურ“ ხასიათს იღებს.

ფ ც ი ს ფ რ ო ნ ე. მის შესახებ ვახუშტი წერს: „დვანის წყლის დასავლეთით არს ფცის წყალი და დის ლოხოისა-პერანგა მთათაგან, მოდის სამჯრით და მიერთვის მტკვარს ჩრდილოდამ. კიდესა მტკვრისასა არს ქვენა-ტკოცა“[68].

ფცის წყალის სოფლები, ვახუშტის მიხედვით, შემდეგია: ქვენატკოცა, მოხისი, ბერძენაული, ფცა, ტკოცა, ავლევი, ღოღეთი, ქვათეთრისი, მძივლეთი, სხლითი, მუღრისი, ფრინევი, ცერონისი, აბისი, წალვლი, საციხური, ბრეძა, აბანო, წყდულეთი, ჰვირნისი, ბალთა, ქალეთი, ბათქინეთი, მეტეხი, ავლევი, წინეთი, ატოცი, ურმისჯელი, მწიფლისი, ღარისთავი, შინდარა, სურნისი, თიღვა, ძალინა, მუხაური, ოქორა, ხტანა, თერეგვანი, ახალშენი, არამგამა, ხუნდისუბანი, მთვარეული, ტყისუბანი, ოქონა, კნოლე[69].

ამათგან ნასოფლარია: წირეთი, ურმისჯელი, მწიფლისი, არამგამი, მთვარეული. ზოგ სოფელს სახელი აქვს დამახინჯებული: სურნისი — სუნისი, ხტანა — ვახტანა, კნოლე — კნოლევი, ჰვირნისი — ჰვრინისი, მძივლეთი — ძვილეთი, ტყისუბანი — ახლა ეწოდება ზნაური, წირეთი — ნაბაქევი.

მ ო ხ ი ს ი. სოფლის სახელწოდებას ხალხი უკავშირებს მუხას. ვახუშტი მოხისის შესახებ აღნიშნავს: „სომანეთსა და ქვენა ტკოცს შუა არს მოხისი, დაბა დიდი, ცეცხლიჯვრის მთის ძირს; და ამისი მინდორი მტკვრამდე უწყლო, არამედ მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა“[70].

1510 წელს იმერეთის მეფემ ბაგრატმა მოხისში დაამარცხა ქართლ-კახეთისა და საათაბაგოს გაერთიანებული ლაშქარი[71]. 1523 წელს მამია გური-

---

67 იხ. ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI—XIII სს. თბ., 1983, გვ. 194.

68 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 79.

69 იქვე, გვ. 203.

70 იქვე, გვ. 80.

71 ქართლის ცხოვრება. II, გვ. 487.

ელი გადმოსულა მოხისში ლევან კახთა ბატონის დასახმარებლად, რომელსაც ებრძოდა ქართლის მეფე დავით VIII. ბრძოლა დამთავრდა გურიელის გამარჯვებით[72].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხისელებს ბატონი არ ჰყოლიათ. მოხისი შეტანილია მცხეთის-ეროვნული არქოს მამულების სიაში. სვეტიცხოვლის 1392 წლის მამულთა სიაში მოხსენებულია მოხისიც[73].

მოხისში შემორჩენილია დარბაზული ეკლესია და ოთხკუთხა კოშკი, რომლის პირველი სართული გამოყენებული ყოფილა ეკლესიად. მეორე სართულიდან ქვის კიბე ადის მესამე სართულზე, მას ჰქონია სათოფურები, რომლის ნაწილი ამოშენებულია. კოშკს და ეკლესიას უვლის გალავანი.

ფ ცა. სოფელი მდებარეობს ფცის ფრონის მარცხენა ნაპირზე. სოფლის მებატონე ყოფილა დათა ბაგრატიონი.

სოფ. ფცაში დიდი კოშკია, რომლის გვერდით დგას ერთნავიანი პატარა ეკლესია. კოშკი მრგვალია და ოთხსართულიანი. შესასვლელი აქვს აღმოსავლეთ მხარეს, პირველ სართულზე. კოშკი XVII—XVIII სს. ნაგებობაა.

1804 წლისათვის ფცაში ცხოვრობდა 28 კომლი გლეხი, რომლებიც ეკუთვნოდნენ ბაგრატიონ დავითიშვილს, შამშე რამაზაშვილს, შამშე ერისთავს, მაჩაბელს, ხერხეულიძეს, აბაშიძეს, იულონ ბატონიშვილს[74].

ა ბ ი ს ი. აბისში დგას მცირე ზომის ციხე-დარბაზი. იმის სამხრეთის კედელზე მოთავსებული იყო მარმარილოს ქვაზე მხედრული წარწერა, რომელიც ლექსად ყოფილა დაწერილი. წარწერიდან ვიგებთ, რომ კომპლექსი აუგია ვინმე ზაალ მახვილაძეს, რომელსაც გადაურეკია ოსები და მათ მიერ გაპარტახებული სოფლები მოუშენებია. წარწერიდან ისიც ირკვევა, რომ ამ ნაგებობის წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზი სოფლელთათვის თავშესაფრის აგებაც უნდა ყოფილიყო[75].

ზაალის მემკვიდრეებს ეს არ შეუსრულებიათ. შემორჩენილია ერეკლე მეფის ერთი ბრძანება სოფ. აბისის მფლობელ გლახა მახვილაძის მიმართ, რომელსაც მტრის შემოსევის დროს საკუთარ ციხე-დარბაზში არ შეუშვია სოფლელები. დაზარალებულებს მეფესთან უჩივლიათ. მახვილაძის ასეთი მოქმედებით განრისხებული ერეკლე ბრძანებს: „ჩვენი ბრძანება არის, მახვილაძევ გლახავ, მერე ეს აბისელები ვინცავინ დღეს მანდ სახლობენ, როდესაც მაგ შენს ციხეში დასახიზნავად მოვიდნენ და არ შეუშვი, ფიცითა გწერთ, რომ მაგ ციხეს ძირიდამ გადმოგიბრუნებთ, ასე იცოდე, თუ რომ არ შეუშვი"[76].

ა ტ ო ც ი. სოფელი მდებარეობს ფცის ფრონის მარჯვენა ნაპირზე. მოსახლეობენ იმერეთიდან გადმოსული ქართველები. ატოცი ძველად დიდი სოფელი ყოფილა (1715 წლისათვის 53 კომლი), მაგრამ ლეკიანობისაგან ამოწყვეტილა. აქაური აზნაურები ყოფილან სამარღანაშვილი და დიდებულიძე.

---

72 ქართლის ცხოვრება, IV. გვ. 302, 396.

73 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები. II. გვ. 195.

74 სცცა, ფ. 254, აღწ. 1, საქმე № 76, 1797 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ შანშე ამილახვარს ამირეჯიბისაგან უყიდია ფცა, რომელიც სამოცი წლის ხარაბა ყოფილიყო და იქ ციხე აუშენებია (საქართველოს სიძველენი, III, გვ. 173—180).

75 ბ. ზ ა ქ ა რ ა ი ა. საამილახვროსა და ზემო ქართლის სადროშოს XVI—XVIII სს. ციხე-სიმაგრეები. — საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XX, № 1. თბ., 1958, გვ. 123.

76 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd, № 1729.

ატოცის ჩრდილოეთით 2 კმ-ზე აღმოჩენილა ქვევრები. ნასოფლარს რქმევია ურბისხელი. ადგილი მეწყერიანი ყოფილა და სოფელი ამოწყვეტილა.

სოფ. ატოცის ციხის ტერიტორიას მთავარანგელოზი ჰქვია. მის ჩრდილოეთით წმ. გიორგის ეკლესიაა (სომხების), სკოლის სამხრეთით — ეკლესიაა წმ. გიორგის (ქართველების).

მთავარანგელოზის ეკლესია ნაგებია ქვიშაქვის დიდი ბლოკებით. ეკლესიის დასავლეთი ნაწილი სრულიად დანგრეულია. აღმოსავლეთ ნაწილშია ნახევარწრიული ფორმის აფსიდა. აფსიდის კედელში მაღალი სარკმელია გაჭრილი. კონქში ჩატანებულია ოთხი სარეზონატორო ქვევრი. სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე თითო პილასტრია. მთავარანგელოზის ეკლესია შესაძლოა ადრეფეოდალური ხანით (X ს. ?) დათარიღდეს.

ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე მიშენებულია ოთხკუთხა ყრუ ნაგებობა, ალბათ, კოშკი. ეკლესიის დასავლეთით ციხის კედლის ნაშთია, რომელშიც ორმაგი სათოფურია. ციხე-გალავანს ოთხივე მხარეს ჰქონია სამსართულიანი კოშკი.

ატოცის წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობა დაუსრულებიათ 1905 წელს. მასში ყოფილა „სასწაულთმოქმედი" ატოცის წმ. გიორგის ხატი, რომელიც ითვლებოდა ფრონის ხეობის ყველაზე ძლიერ ხატად. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „ბრეძის ჩრდილოთ არს ეკლესია ატოცს, წმინდის გიორგისა, სასწაულიანი"[77].

ატოცის წმ. გიორგის ეკლესია მოხსენებულია 1658 წლისა და 1692 წლის ორ დოკუმენტში[78]. 1804 წლისათვის ატოცში 34 კომლი გლეხი ყოფილა, რომლებიც ჰკუთვნებია ფავლენიშვილს, აბაშიძეს, ავალიშვილსა და დედოფალ დარიას[79].

ბ რ ე ძ ა. მის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ამას ზეით (ლებეურის მთის — ჯ. გ.), ავლევს, მოერთვის ამ წყალს დასავლიდამ ბრეძის წყალი. არს ბრეძას მცირე ციხე"[80].

1715 წლის რუისის დავთრის მიხედვით ბრეძაში სახლობდა 56 კომლი. აქაური მებატონე ყოფილა მუსხელიშვილი. დარჩენილა მათი ნაკოშკარის საფუძველი. სოფელშია ერთნავიანი, დიდი ლოდებით ნაგები მცირე ეკლესია — წმ. მარინე. მისი საკურთხევლის კედლებსა და სარკმლებზე მოჩანს წმინდანების გამოსახულებათა ნაშთები.

ო ქ ო ნ ა. ფცის წყალის მარცხენა მხარეზე მდებარეობს. იყოფა ორ უბნად — ძველ და ახალ ოქონად. ძველი ოქონა ნასოფლარია, სადაც იყო ძველი მონასტერი, რომლის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „არს ოქონას მონასტერი დიდი, გუმბათიანი, არამედ უცხო არს, რამეთუ ძვრისაგან წახრით მდგომარეობს ჩრდილოთკენ და არა დაირღვევის, ადგილსა მშვენიერს, წყაროიანსა"[81].

დღეს ოქონას ნანგრევებიც კი აღარაა შემორჩენილი. ჩანს, ნანგრევები

---

77 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 80.
78 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, № 2024 და ფ. Hd, № 96656—ბ.
79 სცცა, ფ. 254, აღწ. 1, საქმე № 76.
80 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 79.
81 იქვე. გვ. 80.

გამოუყენებიათ ახლად აშენებული ეკლესიის ასაგებად. ოქონის ძველი ეკლესია უკვე 1850-იან წლებში ყოფილა დანგრეული, მხოლოდ მის კედლებს ჰქონია შემორჩენილი მხატვრობა. სამხრეთის კედლებზე ყოფილა პირების პორტრეტები ასომთავრული წარწერით[82]. ოქონის მონასტერს თვნებდნენ შუაფეოდალურ ხანას (XI—XII სს.)[83].

რუისის სამწყსოს დავთრის მიხედვით (1715 წ.) ოქონასა და ტყისუბანში ცხოვრობდა 44 კომლი, ხოლო 1804 წლისათვის 28 კომლი გლეხი, რომლებიც ფალავანდიშვილებს ეკუთვნოდა.

წ ა ღ ვ ლ ი. წაღვლი ისტორიული სოფელია. მის შესახებ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს: „და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა და სადგომი სამეფო წაღულისთავი“[84].

წაღვლში ყოფილა შუაფეოდალური ხანის ციხე-გალავანი, რომლისგან დღეს თითქმის აღარაფერია შემორჩენილი. მოსახლეობა იმ ადგილს „გალავნებს“ უწოდებს. არქეოლოგიური გათხრით თუ იქნება შესაძლებელი გალავნის საძირკვლის წარმოჩენა.

სოფ. წაღვლში შემორჩენილია „სამების წმ. გიორგის ეკლესია“, ნაგები დიდი ზომის ქვიშაქვებითა და ნატეხი ქვით. ნაგებობა წარმოადგენს ორნავიან ეკლესიას. დღეს აღდგენილია მხოლოდ სამხრეთი ეკლესია, ჩრდილოეთის საძირკველიღაა შემორჩენილი. აფსიდა წარმოადგენს გაშლილ ნახევარ წრეს. აღმოსავლეთ კედელში სარკმელია, სამხრეთ კედელში ორი სარკმელი. კარი ჰქონია სამხრეთ და დასავლეთ მხარეს. დასავლეთი კარი დანგრეულია. ჩრდილოეთ მხარეს იყო სვეტი, რომელიც ყოფდა ორ ნავს. სვეტის ორივე მხარეს გადადის თაღები. დღეს სვეტის ღიადები ამოშენებულია. ეკლესია უნდა იყოს XVI—XVII სს-ისა, გვიანი გადაკეთებებით.

წაღვლის მებატონე იყო ამირეჯიბი. 1691 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ „წაღული“ ნიკოლოზ კათალიკოსმა მცხეთის სამწყსოს შემატა[85].

თ ი ღ ვ ა. სოფელი ზნაურიდან დაშორებულია 1,1/2 კმ-ზე. იგი განთქმულია გუმბათიანი ტაძრით, რომელიც მონოგრაფიულად არის შესწავლილი[86].

ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს ასომთავრული წარწერაა. მასში მოხსენებულია მონასტრის ამშენებელი თამარ, დავით აღმაშენებლის ასული, რომელიც გათხოვილი იყო შირვანის შაჰზე, შემდეგ დაქვრივებულა, სამშობლოში დაბრუნებულა, მონაზვნად აღკვეცილა და თიღვის მონასტერი აუგია.

ვახუშტი თიღვის შესახებ აღნიშნავს: „დასავლეთ მეტეხისა და ფცისწყლისა არს თიღვის ჯვარის მონასტერი, რომელი აღაშენა ასულმან აღმაშენებლისამან თამარ, გუმბათიანი, დიდშვენიერი, კეთილად ნაშენი“[87].

თიღვის ტაძარი აშენებულია 1152 წელს[88]. 1648 წელს ს. თიღვა როსტომ მეფემ უბოძა ზაალ წერეთელს, რომლის ნათესავის სამკვიდროც ის იყო[89].

---

82 M. Brosset. Voyage, III. B. 108.

83 Д. Бакрадзе. Кавказ в древнейших памятниках христианства. 1875, с. 118; Уварова. Окона. — Мат. по арх. Кавказа, вып. IV, 1897, с. 172.

84 ქართლის ცხოვრება, I. გვ. 324.

85 ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები, IV. თბ., 1913, გვ. 64.

86 ლ. რჩეულიშვილი, თიღვა. თბ., 1960.

87 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 80.

88 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები, I. გვ. 255.

89. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. № 1138.

1804 წელს თიღვაში 25 კომლი გლეხია, რომლებიც ეკუთვნიან ამირეჯიბს და მაჩაბელს[90].

ძ ა ღ ი ნ ა. მას უკავია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი, სადაც ნაც ოქორის ხეობით გზა გადადის იმერეთში, ფრონის ხეობაში ... გარათი — გორსა და თბილისში. ამგვარად ძაღინა მეთვალყურეობდა და იცავდა ფრონის ხეობაში შესასვლელ გზებს; ამის გამო მთავრის რეზიდენციაც აქ იყო, რომელიც გამაგრებული ყოფილა ციხე-გალავნით[91].

1804 წლის აღწერით, 40 კომლი ქართველი გლეხი, რომლებიც ეკუთვნიან თავად ფალავანდიშვილებს, 1 კომლი დედოფალ დარიასია, ერთი — საკათალიკოსო. თანამედროვე ძაღინაში ოსური მოსახლეობაა.

ძაღინაში ორი კომპლექსია: ციხე და სასახლე. ამასვე აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი: ძაღინას არს ციხე და სასახლე"[92].

ძაღინას ციხე შესწავლილია პ. ზაქარაიას მიერ და დათარიღებულია XVI ს-ის მეორე ნახევრით და XVII ს-ის I ნახევრით[93]. ხოლო ძაღინას სასახლე გამოკვლეული აქვს ლ. რჩეულიშვილს, რომელიც მას XVII ს-ით ათარიღებს[94]. ძაღინას ორ კოშკს შორის მოთავსებულია დარბაზული ეკლესია, რომელიც თარიღდება XV—XVI სს-ით. XVII ს-ის II ნახევარში ძაღინა თავის სამყოფელად გადუქცევია თავად ფალავანდიშვილს. როგორც იოანე ბატონიშვილის „კალმასობიდან" ჩანს, ფალავანდიშვილები ძაღინის სასახლეში ცხოვრობდნენ XVIII ს-ის მიწურულსაც[95].

მ უ ხ ა უ რ ი. ძაღინას მახლობლად მდებარეობს მუხაური. ვახუშტი მის შესახებ წერს: „აქავ მდინარის კიდეს არს მუხაური, მოსახლენი არიან ურიანი და სომეხი ვაჭარნი"[96].

აქ არის ქვითკირით ნაგები დარბაზული შენობის ნანგრევები, რომელსაც უწოდებენ თორას.

ო ქ ო რ ა. მდებარეობს მდ. ოქორას მარცხენა მხარეს. ძველი ქართული მოსახლეობა ლეკიანობის დროს ამოწყვეტილია. დღეს მოსახლეობენ ოსები. სოფელში ღვთისმშობლის ძველი დარბაზული ეკლესიაა. მდ. ოქორის ნაპირას დგას თავმორღვეული კოშკი.

სოფლიდან სამი კმ დაშორებით მდ. ოქორის ნაპირას არის მონასტრის ნანგრევები, რომელსაც ახსენებს ვახუშტი: „მუხაურს ზეით არს მონასტერი ფცისა და ოქორის წყალთა შუა, წოდებული ოქორისა, უგუმბათო, შემკობილ ადგილას და აწ ხუცის ამარად"[97].

მონასტერი მთლად დანგრეულია. შემორჩენილია სხვადასხვა სათავსოთა ნანგრევები. მთავარ ტაძარს შერჩენია მარტო კედლები, კლდის ქვით ნაგები. დასავლეთის კარის თავზე ყოფილა დიდი ქვა ასომთავრული წარწერით. ქვა ჩამოვარდნილია. წარწერას XIII—XIV სს. ათარიღებენ და ასე იკითხება: „წმინდაო ღმრთისმშობელო მეოხ ექმენ სიაოშს, ალექსანდრეს ძესა, ადიდნეს

---

90 სსცა, ფ. 254, აღწ. 1, საქმე № 76.

91 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. ფრონის ხეობა. გვ. 57.

92 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 80.

93 П. З а к а р а и я. Древние крепости Грузии. С. 168—175.

94 ლ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი. XVII ს. სასახლე ძაღინაში. — ქართული ხელოვნება, 5. 1959, გვ. 221—230.

95 ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. კალმასობა. ტ. I. 1936, გვ. 24—30.

96 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა... გვ. 80.

97 იქვე.

ღმერთმან ამის უდაბნოსა პატრონნი შნია (?) ყოველნი (?) თინათინი, ფალ-
ლონი და ძენი მათნი"[98].

ლ ი ს ა. ძველი ნასოფლარია. აქ შემორჩენილია ოთხკუთხა [illegible]
მიშენებულია დარბაზული ეკლესია, რომელიც მასზე მოთავსებ[illegible]
რის პალეოგრაფიული ნიშნებით XV—XVI სს-ით თარიღდება.

ლისა ბრინჯაოს ხანიდან ყოფილა დასახლებული, რასაც მოწმობს მის ფერდობზე აღმოჩენილი VIII—VII სს. ორმოსამარხები[99].

გ ო მ ა რ თ ა. სოფ. ხტანადან 10 კმ-ის დაშორებით ნასოფლარი და ეკლესია გომართაა. ვახუშტი მის შესახებ აღნიშნავს: „ხტანის ზეით არს ეკლესია მთასა შინა, წოდებული გომართა, აწ ცარიელი. მუნიდან წარვალს გზა ლოხოისის მთასა ზედა, და პერანგის მთასა ზედა გარდავალს იმერეთის ჭალასა შინა"[100].

გომართის ეკლესია ნაგებია კლდის ფლეთილი ქვით, ზოგან ურევია აგურიც. დარჩენილია ეკლესიის მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთის კედელი, ეკლესია შეღებილი და მოხატული ყოფილა. შემორჩენილ კედელზე სამი მამაკაცის (საერო პირის) პორტრეტია. ერთს თავთან ასომთავრულად აწერია — „ზვიადი", მეორეს მხედრულად — „სიაუშ". ჩრდილოეთის კედლის ქვის სალტეზე შერჩენილია ქალის წელზემო გამოხატულება გვირგვინით[101].

ა ლ ი ს წ ყ ა ლ ი. ვახუშტის აღწერით: „ხოლო ფცის წყალს დასავლეთით არს ალის წყალი, გამოდის ლიხის მთას, მიდის სამჯრით. ერთვის მტკვარს ჩრდილოდამ"[102].

ვახუშტის სოფელთა სიით ალის წყალზე შემდეგი სოფლებია: სომანეთი, სატივე, ვაყა, აძვი, ნაბახტევი, ბრილი, დუმაცხო, ქინძათი, ბროლოსანი, ალი, უწლევი, ულუნბა[103].

ს ა ტ ი ვ ე. მდებარეობს სურამულის მარცხენა ნაპირზე. ძველი ძეგლები არ შემორჩენილა. ძველი ეკლესია მებატონეს დაუშლია და ახალი აუშენებია. ასეთია სამების ეკლესია, რომელიც მის ჩრდილოეთ კედელში ჩატანებული წარწერის მიხედვით XIX საუკუნის შუა წლებშია აშენებული, თავად ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის მიერ.

1715 წლის დავთრის მიხედვით სატივეში 12 კომლი გლეხი ცხოვრობდა.

ვ ა ყ ა. მას ჩამოუდის ალის ფრონე, ანუ ჭერათხევი. 1715 წლის რუსისა საკათალიკოსო დავთრის მიხედვით, აქ ცხოვრობდა 30 კომლი ქართველი გლეხი. ვაყის მებატონე ყოფილა ბეგთაბეგოვი. ბეგთაბეგოვები ყოფილან მხარ-

---

98 Р. Меписашвили, В. Цинцадзе. Архитектура нагорной части — исторической провинции Грузии — Шида Картли. Тбилиси, 1975, с. 126—127.

99 ო. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები სოფ. ოქორაში. — თსუ შრ., 65, 1957, გვ. 181—215.

100 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 80.

101 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. ფრონის ხეობა. გვ. 64. 1488. წლის ერთი სიგელის მიხედვით სოფელი ოქონა და მონასტერი ამირან გაბელიძემ სიაოშ ფალავანდიშვილსა და მის ძმებს მისცა ნასისხლად (ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, საბ. Hd — 8731). შესაძლოა, ოქორას მონასტრის წარწერისა და გომართას ფრესკული წარწერის სიაოშ — სიაუში ერთი პიროვნება და ფალავანდიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყოს.

102 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 80.

103 იქვე. გვ. 204.

გრძელთა ჩამომავალნი. თავდაპირველად მათ უცხოვრიათ ქალაქ ალისში. XVII ს-ში მეფე თეიმურაზ I ბეგთაბეგოვისთვის უბოძებია თავადობა და მდივანბეგობა ამ საგვარეულოს უფროსი შთამომავლობისათვის. [illegible] იდან მოყოლებული, ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებამდე, [illegible] ვის გვარიდან უფროსებს ეკავათ სამეფო კარზე მდივნის თანამდებობა. არაა ცნობილი როდის გადადის ვაყა მათ ხელში.

ვახუშტი ვაყას შესახებ ძუნწად წერს: „სომანეთის სამჯრით არის ვაყა“[105].

ვაყაში საინტერესოა „დედალვთისას“ ეკლესია, რომელიც დგას სოფლის სამხრეთ განაპირაზე. კომპლექსს არ მოუღწევია პირვანდელი სახით, იგი არაერთხელ ყოფილა გადაკეთებული. თავდაპირველად ის უნდა ყოფილიყო ორსართულიანი ეკლესია. ფორმით კვადრატულია: 6 მ×6 მ. სიმაღლე უდრის 10 მ-ს. გარედან მოპირკეთებულია სუფთად გათლილი ფიქალქვით. სახურავი ჰქონია ბანური. აღმოსავლეთ მხარეზე ერთ ვერტიკალურ ღერძზე მოთავსებულია ორი სარკმელი, რომელთა ჩარჩო მოჩუქურთმებულია გეომეტრიული ფიგურებით. სამხრეთის კედელზე მზის საათია ამოკვეთილი.

XVIII ს-ის მიწურულში ვაყა გადავიდა ბეგთაბეგოვების მფლობელობაში. ეკლესიის გაფართოების მიზნით, ეს ქართული ეკლესია — დედალვთისა, მთლიანად გადაუკეთებიათ სომხურ-გრიგორიანული საყდრის ტიპზე. ამისათვის კოშკის მინაშენის სამხრეთის მხარეზე მიუშენებიათ საკმაოდ დიდი დარბაზი (10 მ სიგრძის) და იგი გაუერთიანებიათ ქართულ პატარა ეკლესიასთან, რომელიც გადაუკეთებიათ თავიანთი ეკლესიის საკურთხევლად. შესასვლელი კარი გაუმართავთ მინაშენის (ეკვდერის) ჩრდილოეთ კედელში. კარის თავზე ჩაუსვამთ ორი ფიქალქვა, რომელზეც ამოკვეთილი მხედრული წარწერა მოგვითხრობს ბეგთაბეგოვის მიერ ეკვდერის (ყამატუნის) აშენებაზე.

კოშკოვანი და მცირე ეკლესიის აგების თარიღად შეიძლება მიჩნეულ იქნეს XVI—XVII სს., ხოლო ეკვდერისა — უფრო გვიანი ხანა. ს. მაკალათიას აზრით, ეკვდერის აშენებისა და მასზე გაკეთებული წარწერის თარიღი უნდა იყოს XIX ს. დასაწყისი. ჩვენთვის ცნობილი 1796 წლის საბუთის მიხედვით ეკვდერის მშენებლობა არ შეიძლება 1795 წ. გვიან მომხდარიყო[106].

ნ ა ბ ა ხ ტ ე ვ ი. მდებარეობს ალის წყლის მარჯვენა ნაპირზე. იგი ეკუთვნოდა თავად ამირეჯიბს, გვიან ხანაში კი — თარხნიშვილებს. ნაბახტევში შემორჩენილია ეკლესია და ნაციხვარი. ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია აღმართულია სოფლის ზევით, გორაკზე. ოდესღაც ამ ხეობაზე გადადიოდა ინტენსიური სავაჭრო გზა, რომელიც ლიხთიმერეთს აკავშირებდა ლიხთამერეთთან; ეს გზა ქალაქ ალზე გადიოდა.

ნაბახტევის ეკლესიამ ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია. ნაბახტევის ეკლესია, რომელიც ოდესღაც მთლიანად ყოფილა მოხატული, საუკუნეთა მანძილზე დაზიანებულა. მხატვრობის დიდი ნაწილი განადგურებულია. ფრესკების უმეტესობა, მათი ავარიული მდგომარეობის გამო, ჩამოხსნილია.

---

104 Л. Меликсет-Беков. Усыпальница кн. Бектабековых. Тбилиси, 1914, с. 3—6; შ ე ს ხ ი ა. მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ. — მასალები საქ. და კავ. ისტ., 1948, ნაკვ. I.

105 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 80.

106 იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს სიძველენი, I. თბ., 1899, გვ. 309—311.

ნაბახტევის მხატვრობა შესრულებულია 1412—1431 წლებში ქუცნა ამირეჯიბის ინიციატივით[107].

ნაბახტევის მხატვრობის ისტორიულ პირთაგან აღსანიშნავია ალექსანდრე I, ქუცნა ამირეჯიბი, მისი მეუღლე რუსა, მათი ვაჟი [illegible] კიდევ სამი ვაჟი.

ნაბახტევის ეკლესიის აღდგენა და მოხატვა შედიოდა იმ ღონისძიებებში, რომელიც მიზნად ისახავდა თემურლენგის შემოსევებით დარბეული ქვეყნის მატერიალური კულტურის ძეგლების აღდგენას. მისი ინიციატორები ალექსანდრე მეფესთან ერთად მისი ბაბუა და ბებია — ქუცნა და რუსა ამირეჯიბები — იყვნენ.

ნაბახტევის ტაძრის სამხრეთით, 50 მეტრის დაშორებით, ნაციხვარია, სადაც გადარჩენილია ციხის მხოლოდ კედელი. ციხის გეგმის დადგენა ძნელია, დარჩენილი კედლის სიგრძე 15 მ და სიმაღლე 8 მ.

შესაძლებელია, რომ ნაბახტევი იყო ქუცნა ამირეჯიბის რეზიდენცია, სადაც იყო კარის ეკლესია და ძლიერი ციხე.

ბ რ ი ლ ი. ალის წყლისაგან დაშორებულია სამი კილომეტრით. ვახუშტი წერს: „ნაბახტევს ზეით ერთვის ალის-წყალს ბრილის-წყალი; დის ბრილს ერთის წყაროდამ და აბრუნებს წისქვილს. აქ, ბრილს, ითხრების კაჟი ფრიად კეთილი, მოსპეტაკო, ჩახმახისათჳს“[108].

ბრილი ეკუთვნოდა ამირეჯიბს. 1715 წლის დავთრიდან ჩანს, რომ აქ 40 კომლზე მეტი სახლობდა. შემდეგ ბრილის ნასოფლარს დაუფლებია საქაშეთელი დიასამიძე. მას აუშენებია წმ. ნინოს სახელობის პატარა ეკლესია. ეკლესიის დასავლეთის კარის თავზე ჩასმულია ქვაფიქალი მხედრული წარწერით: 1689 წ.

წმ. ნინოს ეკლესიის ზემოთ, ძველ ნასოფლარზე არის ღვთაების ეკლესია, რომელშიც დატანებულია XI—XII სს. ბარელიეფი, ალბათ, ძველად არსებული ეკლესიის კანკელის ნაწილი. მესამე ეკლესია ღვთისმშობელი და ნასახლარი ღვთაებიდან დაშორებულია 3 კმ-ზე[109].

ა ლ ი. მდებარეობს ალის წყლის მარჯვენა მხარეს. მას უკავია ცენტრალური ადგილი ამ ხეობაში და მასზე გადის ხაშურ-საჩხერის შარაგზა. ვახუშტი მის შესახებ ამბობს: „ბრილის-წყლის შესართავს ზეით არს ალის-წყალზედ, დასავლეთ, კიდესა ზედა, ალი, ქალაქი მცირე, მსახლობელნი არიან სომეხნი და ურიანი, მცირედ ქართველნი, გაზაფხულ-შემოდგომა ჴყვაპიან ტალახიანი, ზამთარ ცივი, ზაფხულს ცხელი, არამედ ჰავით კეთილი, მხიარული. ალს ზეით არს, ლიხის მთის კალთას, ციხე ალისა“[110].

შ. მესხიას აზრით, ქალაქი ალი უნდა წარმოშობილიყო XII ს-ში[111]. შუა საუკუნეებში ალი იღებდა აქტიურ მონაწილეობას მეზობელ ქალაქებთან ვაჭრობაში. 1925 წელს ალში აღმოჩნდა განძი, რომელიც შეიცავდა ვერცხლის 471 მონეტას. ეს იყო უმთავრესად XIV ს. ოქროს ურდოს, აგრეთვე რეის სულთნის აჰმად ჯილაირისა და საქართველოს მეფის გიორგი VIII სა-

---

107 ი ნ გ ა ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ნაბახტევის მხატვრობა. თბ., 1973, გვ. 17.

108 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 80.

109 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. ფრონის ხეობა. გვ. 76—77.

110 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 80—81.

111 Ш. Месхия. Города и городской строй феод. Грузии. 1959, Тбилиси, с. 44.

ხელით მოჭრილი ფულები. მონეტები თარიღდება 1310—1401 წლებით[112].

ალი მოხსენებულია ქუცნა ამირეჯიბის XV საუკუნის სიგელში: „როდეს ფალავანდიშვილის საქმეზედა მეფეთ მეფემან ალექსანდრემ, [illegible] ორი ძმანი პაპის ჩემისა დაიჭირეს და ტყავები დაჭკადეს [illegible] ალინჯას, აიღეს (ალი). მისად სანუქფოდ. კიდევ შეგვიწყალნა ჩუცნ და შუცნგან აშენებული ალი ისევ გვბოძა“[113].

იმავე სიგელიდან ჩანს, რომ ალში საბაჟო ყოფილა: „შევწირეთ მათ წამებულთათვს გამოღმა ალი ბაჟის მესამედი“[114] — ვკითხულობთ ძეგლში.

ქუცნა ამირეჯიბის სიგელის მიხედვით XIV ს-ის მიწურულს ალი უნდა ყოფილიყო ციხე-ქალაქი, სადაც გამართული იყო საბაჟო და სავაჭრო საქონელიც გადაჰქონდათ: „ულაყი აქათ თბილისამდი და იქით ქუთაისამდი“[115]. ამასთანავე, აქვე სახლებულან ვაჭარი ურიებიც და ქუცნა ამირეჯიბს ორი კომლი ურია შეუწირავს: „არს ულუმბისა ღვთისმშობლისა მამული შეწირული: გამოღმა ალი სრულად ბაჟის მესამედი, ორი კუამლი შიგ ალში ნაყიდი ურიები“[116].

1672 წლისათვის ალი ისეა დარბეული ლეკთა შემოსევებისაგან, რომ ჟ. შარდენი მას სოფელს უწოდებს. 1715 წლისათვის ალში 22 კომლია. XVIII ს. ალი ყოფილა დედოფალ დარეჯანის მფლობელობაში. 1804 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, ალში 67 კომლი მოსახლეა, რომელნიც ეკუთვნიან ხაზინას, ჩხეიძეს, ბეგთაბეგოვს, მახვილაძეს.

საყურადღებოა ალის ციხე, რომელიც მდებარეობს მაღლობზე, ალის წყლის მარჯვენა მხარეს. ციხის ნანგრევებია შემორჩენილი. იგი შედგებოდა ორი ნაწილისაგან, ციტადელისა და გალავნისაგან. გალავანი მოიცავდა ერთ ჰექტარ ტერიტორიას. გალავნის შიგნით სხვადასხვა ნაგებობათა ნანგრევებია.

ციტადელის კედლები მისდევდა ქედის ზედაპირს, ამიტომ მათ აქვთ უსწორმასწორო მოხაზულობა. ციტადელის ტერიტორიაზეც სხვადასხვა შენობათა ნანგრევებია. მათ შორის აღმოჩენილია წყლის აუზი. ერთ-ერთ კედელში შემორჩენილია ერთმაგი სათოფური. ციხის ძირითადი საშენი მასალა იყო ფლეთილი ქვა. ისტორიულ წყაროებში ალის ციხე პირველად იხსენიება XVII ს. დასაწყისში, მაგრამ კედლების ნანგრევები და კერამიკა მიუთითებს, რომ ციხე აქ არსებობდა ადრეც.

ალის ანუ მცხეთისჯვრის ციხესთან 1972 წელს გაითხარა ძვ. წ. VII—IV სს. სამაროვანი და ნამოსახლარი. ამის შედეგად გამოითქვა თვალსაზრისი, რომ უკვე ანტიკური ხანიდან ამ ადგილზე არსებობდა საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომელიც აღმოსავლეთიდან იცავდა ლიხის მისადგომებს და იგივე როლს ასრულებდა, როგორიც ეკისრებოდა შორაპნის ციხეს დასავლეთიდან აღმოსავლეთში მიმავალ ტრანსკავკასიის უძველეს სავაჭრო მაგისტრალზე[117].

XVII ს. 20-იან წლებში გიორგი სააკაძე კიკანათბერის, სურამისა და კე-

---

112 გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს. საქართველოში, თბ., 1964, გვ. 69—74.

113 თ. ყორდანია. ქრონიკები. II. გვ. 209.

114 იქვე. გვ. 212.

115 იქვე. გვ. 210.

116 იქვე.

117 ჯ. ნადირაძე. გათხრები მოდინახეზე და მცხეთიჯვარში. — საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წ. თბ., 1973, გვ. 4.

ხვის ციხეებთან ერთად ამაგრებს ალის ციხეს[118]. 1758 წლისათვის ისსენიება ალის ციხე, როდესაც მას იღებენ და ანგრევენ ლეკები[119].

ალის ციხეს ეჭირა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილ[illegible] ყვებოდა აღმ. და დას. საქართველოს დამაკავშირებელი ერთ[illegible] მაგისტრალი. ამაზე მიუთითებს ვახუშტის ისტორიაში დაცული არაერთი ცნობა, რომლის მიხედვით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და პირიქით მიმავალი მეფე-მთავრები ერთმანეთს ხვდებოდნენ ალში[120]. ალში რამდენიმე ეკლესიაა. შიგ სოფელშია დედაღვთისა და კვირაცხოველი (1910 წ.). სოფლის თავზე ერთი კმ-ის დაშორებით, ორი ეკლესიაა: ღვთისმშობელი (უსანეთი) და წმ. გიორგი. ეკლესიები ძველია, მაგრამ XIX ს-ში გადაკეთებულია სომხურ ეკლესიებად.

ულუმბა. ალის ფრონის სათავეებში მდებარეობს ულუმბას ღვთისმშობლის ტაძარი. ტრადიცია მის აშენებას მიაწერდა ცამეტ ასურელ მამათაგანს — მიქელს. ვახუშტი ბაგრატიონი მის შესახებ აღნიშნავს: „ჭერათჭევის ზეით არს მონასტერი ულუმბას, უგუნბათო, დიდი, დიდშენი, მიქელ იგ მამათაგან ქმნული, და დაფლულ არს მიქელ მუნვე. ზის წინამძღვარი“[121].

XIV ს-ში ულუმბის ტაძარი თემურლენგის ლაშქარს მიწასთან გაუსწორებია. შემდეგ იგი აღუდგენია ამ ხეობის მფლობელს ქუცნა ამირეჯიბს, რასაც მოწმობს მისივე სიგელი[122].

XIX ს-ის პირველ ნახევარში ულუმბის ეკლესია დაშლილი ყოფილა. შემდეგ ულუმბის დაზიანებული ტაძარი დაუნგრევიათ და 1871 წელს მისსავე საძირკველზე აუგიათ მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია. ამაზე მოგვითხრობს ეკლესიის სამხრეთი კარის ზევით მოთავსებული მხედრული წარწერა:

1. 1871-სა ხელდასხმულ ვიქმენ არხიეპისკოპოზის ევსევის მიერ.
2. მღვდელად ულუმბის ღ-ის მშობლის ეკკლესისა მე ალექსი.
3. კევლიევი მეცადინეობითა ჩემითა შეუდექ აღშენებას
4. ამა ტაძრისა და შევასრულე.

1871 წელს აშენებული ნაგებობა წარმოადგენს ერთნავიან ეკლესიას. იგი ნაგებია ნატეხი ქვითა და ქვიშაქვის კვადრებით. ძეგლის ძირითადი გაბარიტებია 15,95 მ×9,33 მ. კარი აქვს სამხრეთ და დასავლეთ მხარეს. აფსიდის მოხაზულობა ნახევარწრიულია. ეკლესია ნათდება 6 სარკმლით, რომელთაგან თითო აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებშია, ხოლო ორ-ორი სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში. იმავე კედლებზე ორ-ორი პილასტრია. მათზე გადადის საბჯენი თაღები. ეკლესია გადახურულია ცილინდრული კამარით. სამხრეთ და ჩრდილოეთი კედლების გასწვრივ გადაყვანილია სამ-სამი დეკორაციული თაღი. სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილში თაღოვანი კარი ყოფილა, რომელიც შემდეგ ამოუქოლიათ. ეს კარი უნდა ეკუთვნოდეს ძველ ეკლესიას. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, საძირკველში აყირავებულად ჩატანებულია ქვიშაქვა, რომელზეც შემორჩენილია XI ს. ხელით შესრულებული ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი.

ქუცნა ამირეჯიბმა ულუმბის მონასტერს მრავალი მამული შესწირა, რაც

---

118 ქართლის ცხოვრება, IV. გვ. 433.
119 ბ. ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. თბ., 1981, გვ. 246.
120 ქართლის ცხოვრება, IV. გვ. 350, 449, 472, 474, 478, 506, 856.
121 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 81.
122 თ. ჟორდანია. ქრონიკები. II. გვ. 208.

ხელით მოჭრილი ფულები. მონეტები თარიღდება 1310—1401 წლებით[112].

ალი მოხსენებულია ქუცნა ამირეჯიბის XV საუკუნის სიგელში: „როდეს ფალავანდიშვილის საქმეზედა მეფეთ მეფემან ალექსანდრემ [illegible] ორი ძმანი პაპის ჩემისა დაიჭირეს და ტყავები დაჭკადეს [illegible] ალინჯას, აიღეს (ალი). მისად სანუქფოდ. კიდევ შეგვიწყალნა ჩუცნ და შუცნგან აშენებული ალი ისევ გვბოძა“[113].

იმავე სიგელიდან ჩანს, რომ ალში საბაჟო ყოფილა: „შევწირეთ მათ წამებულთათვს გამოღმა ალი ბაჟის მესამედი“[114] — ვკითხულობთ ძეგლში.

ქუცნა ამირეჯიბის სიგელის მიხედვით XIV ს-ის მიწურულს ალი უნდა ყოფილიყო ციხე-ქალაქი, სადაც გამართული იყო საბაჟო და სავაჭრო საქონელიც გადაჰქონდათ: „ულაყი აქათ თბილისამდი და იქით ქუთაისამდი“[115]. ამასთანავე, აქვე სახლებულან ვაჭარი ურიებიც და ქუცნა ამირეჯიბს ორი კომლი ურია შეუწირავს: „არს ულუმბისა ღვთისმშობლისა მამული შეწირული: გამოღმა ალი სრულად ბაჟის მესამედი, ორი კუამლი შიგ ალში ნაყიდი ურიები“[116].

1672 წლისათვის ალი ისეა დარბეული ლეკთა შემოსევებისაგან, რომ ჟ. შარდენი მას სოფელს უწოდებს. 1715 წლისათვის ალში 22 კომლია. XVIII ს. ალი ყოფილა დედოფალ დარეჯანის მფლობელობაში. 1804 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, ალში 67 კომლი მოსახლეა, რომელნიც ეკუთვნიან ხაზინას, ჩხეიძეს, ბეგთაბეგოვს, მახვილაძეს.

საყურადღებოა ალის ციხე, რომელიც მდებარეობს მაღლობზე, ალის წყლის მარჯვენა მხარეს. ციხის ნანგრევებია შემორჩენილი. იგი შედგებოდა ორი ნაწილისაგან, ციტადელისა და გალავნისაგან. გალავანი მოიცავდა ერთ ჰექტარ ტერიტორიას. გალავნის შიგნით სხვადასხვა ნაგებობათა ნანგრევებია.

ციტადელის კედლები მისდევდა ქედის ზედაპირს, ამიტომ მათ აქვთ უსწორმასწორო მოხაზულობა. ციტადელის ტერიტორიაზეც სხვადასხვა შენობათა ნანგრევებია. მათ შორის აღმოჩენილია წყლის აუზი. ერთ-ერთ კედელში შემორჩენილია ერთმაგი სათოფური. ციხის ძირითადი საშენი მასალა იყო ფლეთილი ქვა. ისტორიულ წყაროებში ალის ციხე პირველად იხსენიება XVII ს. დასაწყისში, მაგრამ კედლების ნანგრევები და კერამიკა მიუთითებს, რომ ციხე აქ არსებობდა ადრეც.

ალის ანუ მცხეთისჯვრის ციხესთან 1972 წელს გაითხარა ძვ. წ. VII—IV სს. სამაროვანი და ნამოსახლარი. ამის შედეგად გამოითქვა თვალსაზრისი, რომ უკვე ანტიკური ხანიდან ამ ადგილზე არსებობდა საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომელიც აღმოსავლეთიდან იცავდა ლიხის მისადგომებს და იგივე როლს ასრულებდა, როგორიც ეკისრებოდა შორაპნის ციხეს დასავლეთიდან აღმოსავლეთში მიმავალ ტრანსკავკასიის უძველეს სავაჭრო მაგისტრალზე[117].

XVII ს. 20-იან წლებში გიორგი სააკაძე კიკანათბერის, სურამისა და კე-

---

112 გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს. საქართველოში, თბ., 1964, გვ. 69—74.

113 თ. ყორდანია. ქრონიკები. II. გვ. 209.

114 იქვე. გვ. 212.

115 იქვე. გვ. 210.

116 იქვე.

117 ჯ. ნადირაძე. გათხრები მოდინახეზე და მცხეთიჯვარში. — საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წ. თბ., 1973, გვ. 4.

ხვის ციხეებთან ერთად ამაგრებს ალის ციხეს[118]. 1758 წლისათვის იხსენიება ალის ციხე, როდესაც მას იღებენ და ანგრევენ ლეკები[119].

ალის ციხეს ეჭირა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი. ხერეთს ეკავებოდა ალმ. და დას. საქართველოს დამაკავშირებელი ერთ-ერთი მაგისტრალი. ამაზე მიუთითებს ვახუშტის ისტორიაში დაცული არაერთი ცნობა, რომლის მიხედვით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და პირიქით მიმავალი მეფე-მთავრები ერთმანეთს ხვდებოდნენ ალში[120]. ალში რამდენიმე ეკლესიაა. შიგ სოფელშია დედაღვთისა და კვირაცხოველი (1910 წ.). სოფლის თავზე ერთი კმ-ის დაშორებით, ორი ეკლესიაა: ღვთისმშობელი (უსანეთი) და წმ. გიორგი. ეკლესიები ძველია, მაგრამ XIX ს-ში გადაკეთებულია სომხურ ეკლესიებად.

ულუმბა. ალის ფრონის სათავეებში მდებარეობს ულუმბას ღვთისმშობლის ტაძარი. ტრადიცია მის აშენებას მიაწერდა ცამეტ ასურელ მამათაგანს — მიქელს. ვახუშტი ბაგრატიონი მის შესახებ აღნიშნავს: „ჭერათჴევის ზეით არს მონასტერი ულუმბას, უგუნბათო, დიდი, დიდშენი, მიქელ იგ მამათაგან ქმნული, და დაფლულ არს მიქელ მუნვე. ზის წინამძღვარი“[121].

XIV ს-ში ულუმბის ტაძარი თემურლენგის ლაშქარს მიწასთან გაუსწორებია. შემდეგ იგი აღუდგენია ამ ხეობის მფლობელს ქუცნა ამირეჯიბს, რასაც მოწმობს მისივე სიგელი[122].

XIX ს-ის პირველ ნახევარში ულუმბის ეკლესია დაშლილი ყოფილა. შემდეგ ულუმბის დაზიანებული ტაძარი დაუნგრევიათ და 1871 წელს მისსავე საძირკველზე აუგიათ მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია. ამაზე მოგვითხრობს ეკლესიის სამხრეთი კარის ზევით მოთავსებული მხედრული წარწერა:

1. 1871-სა ხელდასხმულ ვიქმენ არხიეპისკოპოზის ევსევის მიერ.
2. მღვდელად ულუმბის ღ-ის მშობლის ეკკლესისა მე ალექსი.
3. კევლიევი მეცადინეობითა ჩემითა შეუდექ აღშენებას
4. ამა ტაძრისა და შევასრულე.

1871 წელს აშენებული ნაგებობა წარმოადგენს ერთნავიან ეკლესიას. იგი ნაგებია ნატეხი ქვითა და ქვიშაქვის კვადრებით. ძეგლის ძირითადი გაბარიტებია 15,95 მ×9,33 მ. კარი აქვს სამხრეთ და დასავლეთ მხარეს. აფსიდის მოხაზულობა ნახევარწრიულია. ეკლესია ნათდება 6 სარკმლით, რომელთაგან თითო აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებშია, ხოლო ორ-ორი სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში. იმავე კედლებზე ორ-ორი პილასტრია. მათზე გადადის საბჯენი თაღები. ეკლესია გადახურულია ცილინდრული კამარით. სამხრეთ და ჩრდილოეთი კედლების გასწვრივ გადაყვანილია სამ-სამი დეკორაციული თაღი. სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილში თაღოვანი კარი ყოფილა, რომელიც შემდეგ ამოუქოლიათ. ეს კარი უნდა ეკუთვნოდეს ძველ ეკლესიას. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, საძირკველში აყირავებულად ჩატანებულია ქვიშაქვა, რომელზეც შემორჩენილია XI ს. ხელით შესრულებული ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი.

ქუცნა ამირეჯიბმა ულუმბის მონასტერს მრავალი მამული შესწირა, რაც

---

118 ქართლის ცხოვრება, IV. გვ. 433.
119 ბ. ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. თბ., 1981, გვ. 246.
120 ქართლის ცხოვრება, IV. გვ. 350, 449, 472, 474, 478, 506, 856.
121 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 81.
122 თ. ჟორდანია. ქრონიკები. II. გვ. 208.

სქემა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრონის ხეობები XV-XVIII სს

მ. ქერანგა
საქართველოს ქედი
ამირეჯიბთა ქედი
ალინის ქედი
ალინ-ალაზანი
ალაზანი
ალინ-ფონი
ფონი
ალინ-ბაღდადი
ალინ-ბეყამი
ალინ-ბეყამი შუა
ალინ-ბეყამი ზეა
ალინ-ბეყამი ქვეა
ალინ-ბეყამი ბოლო
ალინ-ბეყამი ბოლო
ალინ-ბეყამი ბოლო

ისრევე გვბოძა. შევსწირეთ მათ წამებულთათვს გამოღმა ალი ბაჟის მესამედი, წაკუაძის სარგოს გარეთ, რაც შეწირულს სიგელში ეწეროს იმ გუარად, დავდევით ულუმბას ღვთისმშობლის ბეგარი ოთხმოცი ლიტრა ზეთი, ორ-ორი ზურგიელი მიწისგან მეხუთედი მოდი, მთელმან მამულმან ოც-და-ოთხი კოკა საულუმბოს კოკითა, სხუა არა ეთხოებოდეს რა. ჩიჯანს მისი საბოყრაო არა დააკლდებოდეს; ულაყი აქათ თბილისამდი და იქით ქუთაისამდი. შევსწირეთ წაღვლი ნასყიდი და ნამზით მხეიძისაგან. შევსწირეთ ოდეს წარგვჩინა თვთ და ამისად რუსუდან მეფემან (1245 წ.) ლაშქარსა სპარსისა და გაგუცმარჯუა; მინდორს შევიბენით და ამოვსწყვდეთ, მოვართვთ დროშა და თაჯი თჳთვან (sic) მაღლის სულთნისა და გვიყო წყალობა და გვიბოძა ჯილდოდ რაც ვიაჯეთ. ლომინაძისაგან გამოტანებული მზითევი ბებიის ჩემისათვის წირქუალი და ზოდი მონასტრისა, ჩ˜ნისა მოსაკსენებლად და შესაწირავად მსხუცრლისა ჩ˜ნისა ყ˜დწ˜ისათვნ (sic). ნაოჯარი სოფლები ღოდორა, ლიჩი და გოლისი, ბობოკინი, ბროლოსანი და აძკსი... ვიყიდე ქუცბო ბრეძა კლიმიჩაძისაგან და შევსწირე პატიოსანსა ულუმბისა და ღ˜თისმშობელსა და განუაჩინე ალაპი ჩემი და ჩემის შვილის რამინისთჳნ საღუალაშენი ჩიტალაძისაგან კუჭაძისთვს მისყიდული, ახალდაბისათჳს მომცა, ვითაცა ახალდაბა კუჭაძისაგან ჩემი ნასყიდი იყო. მისად სანაცვლოდ ახალდაბა თუმანიშვილსავე მისცა, ძუცლთაგან მათი ყოფილიყო... ჩემდა მოსულამდე ბიძას ჩემს ალუქბარს (ალურბარს?) მიეყიდნა ღოღეთი და შეეწირა ულუბმისა და ღ˜თისმშობლისათვს. ვიწყინე და არ ვიკადრე განსყიდვა მამულისა, მივეც საქონელი ურიცხვ და დავიხსენ სოფელი ღოღეთი და არცალა გამოვსწირე. განუახლე გუჯარი... და მოძღუართ მოძღუარი... ალაპს გარდაკდიდეს ღოღურის მოდისაგან, ზოგს მონაზონს მისცემდით და მოგზაურს აჭმევდით. არის ულუმბისა ღ˜თისმშობლისა მამული შეწირული: გამოღმა ალი სრულიად ბაჟის მესამედი, ორი კუამლი შიგ ალში ნასყიდი ურიები, ალისათვს სრულობით უწლევი, სრულობით ბობოყინი, ბროლოსანი, იძკსი, სამი კვამლი ნაბახტევს, ორი კუამლი დუმარცხოს. აძურის წისქვლისათვს ფლეველთ (sic) თვითო კოდი პური, თვთო კოკა ღვინო საალაპოდ, ორი კუამლი სტკოცას, მხეიძისაგან მზითევს გარდაისად, წაღული სრულიად, ღოღეთი სრულიად, სიღუალაშენი სრულიად, ქუცმობრეძა სრულიად, ფრცული ღალა ათისთავი გოგობასშვილმან და კოკაისშვილმან, ბეგარა რარიგად ნუსხაში ეწეროს, სამი კუამლი ზემობრეძის, ორი აბანოს, ორი ატუაცს: ერთის დღის საალაპო პური და ღვინო ქელეთური, ერთი ალაპი მაღრაძემ უნდა გარდაიჯადოს, ერთი კუამლი კაცი თავისთვს შემოწირული, ღოდორა, ლიჩი, გოლისი, ხეფინისჯევი, — რაც ნუსხაში ეწეროს მუშაობა და ალაპი გუჯარა და ჭრუჭულას შუა რაც საალაპო გაგუცჩინოს, ასანიძე მამია და ჯანიბეგ უნდა მოვიდეს"[123].

როგორც სიგელიდან ჩანს, ქუცნა ამირეჯიბს ლიხთიქით ქვეყანაზეც საკმაოდ მიუწვდებოდა ხელი. კერძოდ მისი მამულები იყო წირქუალი, ზოდი, ღოდორა, ლიჩი, უწლევი, გოლისი, ხეფინისხევი, ჯრუჭულასპირა მიწები.

ვახუშტის მონაცემებზე დაყრდნობით, ფრონეებს მივაკუთვნებთ სურამის წყალსაც. მის შესახებ ვახუშტი წერს: „ხოლო კვალად ალის-წყლის დასავლით არს წყალი სურამისა. გამოსდის ლიხის მთას, მიერთვის ჩრდილოდამ მტკვარს, ოსიაურს ზეით. აქა არს ჭალა სურამისა, მტკვრის კიდესა, დაღალულიდამ შოლამდე. არამედ გაჰკაფა ჟდ მეფემან ვახტანგ და ქმნა დაბნები.

---

123 თ. ჟორდანია. ქრონიკები. II. გვ. 207—212.

ოსიაურს ზეით, ხაშურს, ერთვის სურამის წყალს ქემერტის-წყალი, აღმოსავლიდამ, გამოსდის ლიხის მთას. ამ ჯევის შესართავის დასავლით, შინდარას დასავლთით, არს სურამი, მცირე ქალაქი. მოსახლენი არიან ქართველნი: სომეხნი, ურიანი. არს საშუალოს ციხე მაღალსა კლდესა ზედა, მტკიცე. არს ეკლესიანი: ... თა მშვენი და მხარულნი"[124].

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურამი მდებარეობდა ორი მთავარი გზის შესაყარზე. ერთი მიემართება ლიხის გადასასვლელით დასავლეთისაკენ, მეორე კი — ბორჯომის ხეობით სამხრეთისაკენ.

სამწუხაროდ, ცნობები ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სურამის შესახებ არაა შემორჩენილი, მაგრამ უკვე ანტიკურ ხანაში რომ სურამი დაწინაურებული ადგილია, ამაზე მიუთითებს აქ აქემენიდური ვერცხლის სიკილის აღმოჩენა, რომელიც საქართველოში ერთადერთია[125]. სურამი შეიძლება იყოს კლ. პტოლემაიოსის მიერ იბერიაში დასახელებული „სურა"[126].

შ. მესხიას აზრით, სურამი ქალაქად უნდა იყოს ქცეული უკვე XII ს-ში, თუმცა წყაროები ამის თაობაზე დუმან. მეტად მნიშვნელოვანია, რომ XII—XIII სს-ში. ქართლის ერისმთავრები (ერისთავები) ატარებენ სურამელის ზედწოდებას, რაც უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ სურამშია ამ დროს ქართლის ერისთავთა რეზიდენცია-ადგილსამყოფელი. ამ თვალსაზრისზე იდგნენ ნ. ბერძენიშვილი[127] და შ. მესხია[128].

სურამის ციხის აღწერასა და სურამის ისტორიაზე გვიანშუასაუკუნეებში აღარ შევჩერდებით და მივუთითებთ სპეციალურ ლიტერატურაზე[129].

1804 წლისათვის სურამში სულ 129 კომლი ცხოვრობდა. აქედან სახაზინო იყო ქართველი 21 კომლი, სომეხი — 39, ებრაელი — 12. სურამში ყმაგლეხები ეკუთვნოდათ ბეგთაბეგოვებს, თარხნიშვილს, აბაშიძეს, ერისთავს.

ურთხვა. ვახუშტი წერს: „სურამს ზეით, სამხრიდამ მიერთვის ამ წყალს ურთხვის-ჯევი"[130].

სოფელ ურთხვაში, სოფლიდან ჩრდილოეთით 2 კმ-ზე, გორაკზე მდებარეობს ერთნავიანი ეკლესია, ნაგები თლილი კვადრებით. ძეგლის ძირითადი გაბარიტებია: 11 მ×6,70 მ. სამხრეთ კედელში სწორკუთხა მოხაზულობის კარია გაჭრილი, ეკლესიის აფსიდის მოხაზულობა ნახევარწრეზე ნაკლებია. ეკლესია განათებულია ხუთი სარკმლით. სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე ორსაფეხურიანი თითო პილასტრია, რომლებსაც საბჯენი თაღი ეყრდნობა. პილასტრების მარტივპროფილიან თაროებზე წრიული ვარდულებია ამოჭრილი. ეკლესია გადახურულია ცილინდრული კამარით. ეკლესიის ინტერიერი კირითაა შელესილი და შეთეთრებული. კონქში შემორჩენილია მხატვრობის კვალი (ალბათ, XIX ს.) — მაცხოვრის გამოსახულებით. ეკლესია გარედან სადაა, მოკლებულია ყოველგვარ მორთულობას. აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის თავზე რელიეფური თავსართია. ეკლესიის კედლებს აგვირგვინებს

---

124 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 81.

125 Е. А. Пахомов. Монетные клады. I. 6, 14, 30.

126 ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო", ცნობები საქართველოს შესახებ. — მასალები საქ. და კავ. ისტ. ნარკვ., 32. თბ., 1955, გვ. 59.

127 ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. გვ. 36.

128 Ш. Месхия. Города и городской строй феодал. Грузии. С. 45.

129 ვ. ზაქარაია. სამშობლოს გუშაგები. თბ., 1965, გვ. 86—90; ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვ., თბ., 1983, გვ. 140—145.

130 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 81.

კირქვის პროფილირებული კარნიზი. ეკლესია გვიანშუასაუკუნეებს მიეკუთვნება.

ეკლესიის სამხრეთით, 20 მეტრზე სამრეკლოა. მისი ძირითადი გაბარიტებია 3,5 მ×3,5 მ. სამრეკლო ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. სამრეკლოს სვეტებზე გადადის აგურის შეისრული თაღები. სამრეკლოს ექნებოდა გუმბათოვანი გადახურვა. სამრეკლოს აღმ. და სამხრ. ღიადები ნატეხი ქვით ამოეშენებიათ. სამრეკლო გვიანშუასაუკუნეებს მიეკუთვნება.

ი ტ რ ი ა. ვახუშტი წერს: „მას (ურთხვის — ჯ. გ.) ზეით არს იტრიას მონასტერი ყოვლაწმინდისა, უგუნებათო, დიდშენი, აწ ხუცის ამარად“[131].

იტრიის მონასტერი მდებარეობს სურამიდან სამხრეთ-დასავლეთით 1 კმ-ზე. იგი წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას. ნაგებია თლილი ქვიშაქვის კვადრებით.

ეკლესიას შემოუყვება დიდი სწორკუთხა გალავანი, რომელსაც კარები აქვს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში. დასავლეთ კარს თავზე ადგას კოშკური სამრეკლო. სამრეკლოს აღმოსავლეთ კედელზე მხედრული წარწერაა, საიდანაც ვიგებთ, რომ სამრეკლო 1656 წელს ააშენა წინამძღვარმა რევაზმა.

შემორჩენილია XVI ს-ის მიწურულის შეწირულობის სიგელი დოროთეოზ კათალიკოზისა იტრიის მონასტრისადმი. მასში ვკითხულობთ: „ჩუენ ქრისტეს ღმრთის მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქმან დორეთეოზ ვიგულე და ვიგულისმოდგინე და დავეუკე მეფეთ მეფესა გიორგის, მოგკბოძა და მოგვყიდა სურამის პირსა სოფელი ნიტრია დიდის ფასითა, აზნაურნი იქ მსახლობელნი, მარგუელაშვილნი დეკანოზნი, ერთი კუამლი ზამთარაძე, ერთი კუამლი კიკნაძე, ერთი საგლეხო ძაბირაული, ერთი საგლეხო ქინთირეული, გლეხნი დავასახლე ზედა.

ძველითგან ყოვლად წმინდის ეკლესია იყო დაქცეული, დაძველებული; ვიმუშაკე და ავიღე საფუძველითურთ; ახალი საფუძველი გავსთხარე; აღვაშენე მონასტერი ესე კარგი სახელსა ზედა სიონისასა, დიდი და პატიოსანი, რომელსა თვალნი ყოველთა ქრისტიანეთა ხედვენ... აწ ამას შინა გარდაჰკვდეს ჟამნი რაოდენნიმე, ბატონი გამოეცვალა სურამსა (ე .ი. სურამი სახასოა — ჯ. გ), მოვიდა მეფეთ-მეფის ბატონის სვიმიონის პირმშო ძე, და ღმრთისაგან შეყვარებული და საღთო-საკაცობომდი ზნესრული“[132].

იტრიის მონასტრიდან დასავლეთით 50 მეტრზე კოშკია, რომელსაც აღგილობრივი მოსახლეობა საჯვარეს უწოდებს. კოშკი XVI—XVII სს. თარიღდება. 1715 წლისათვის იტრიაში 42 კომლი ცხოვრობს. 1804 წლისათვის იტრიაში მხოლო 8 კომლი გლეხია, რომლებიც ეკუთვნოდა ჩხეიძესა და აბაშიძეს.

ქ ვ ი შ ხ ე თ ი. ვახუშტი მის შესახებ აღნიშნავს: „შოლის პირის დასავლით, შოლისავ კიდეზედ, არს ქვიშხეთი, ზაფხულს ჰავითა ამო, მშვენიერი, ზამთარ ცივი, ქარიანი, საჭირო“[133].

ქვიშხეთს ახსენებს ჟამთააღმწერელი XIII ს-ის 60-იანი წლების ამბების თხრობასთან დაკავშირებით[134].

---

131 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 81.
132 ქართული სამართლის ძეგლები, III. თბ., 1970, გვ. 353—355.
133 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 81.
134 ქართლის ცხოვრება, II. გვ. 246.

ქვიშხეთის მდებარეობა, ერთი მხრივ, ლიხის გადასასვლელთან, ხოლო მეორე მხრივ, ბორჯომის ხეობის შესასვლელთან, აპირობებდა მის სტრატეგიულ მნიშვნელობას. იგი XVII ს-ის მეორე ნახევრიდან დაცულია ციხით და ცალკე მდგომი კოშკით.

ქვიშხეთის ციხე არაა დიდი. იგი დგას მთის შვერილზე. ციხის გეგმა უახლოვდება კვადრატს. კუთხეებში, გარდა ჩრდილო-აღმოსავლეთისა, იდგნენ ცილინდრული კოშკები. მათგან უკეთესადაა დაცული ჩრდილო-დასავლეთის კოშკი. მას აკლია სახურავი და სართულშუა გადახურვა. ჩანს, იგი იყო სამსართულიანი, საბრძოლო ტერასით. კედლებში ცალმაგი სათოფურებია. ციხის კედლები ნაწილობრივ შემორჩა დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს. მათში სათოფურები ორ რიგადაა განლაგებული. სათოფურები ცალმაგია. ციხეში შესასვლელი უნდა ყოფილიყო სამხრეთიდან. ციხის კედლები ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით. ტერიტორიის შუაში იდგა ოთხკუთხა კოშკი, რომლის მხოლოდ საფუძველია შემორჩენილი. ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე 1732 წლის ქვეშ ახსენებს ქვიშხეთის ციხეს, რომლის მახლობლადაც ლეკები მარცხდებიან. პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს, რომ 1748 წელს ლეკთა ჯარმა გაძარცვა მუხრანი, საამილახვრო, ქარუმიძის კოშკი და აიღო ქვიშხეთის ციხე. ქვიშხეთის ციხე თარიღდება XVII ს-ით. ციხიდან 300 მეტრზე, გორაკზე დგას ოთხსართულიანი მრგვალი კოშკი, ერთმაგი სათოფურებით. ეს არის ერთ-ერთი უძველესი მრგვალი კოშკი, რომელიც აგრეთვე XVII საუკუნით თარიღდება[135].

ციხისძირი. ვახუშტი წერს: „ქვიშხეთ ზეით, შოლაზედ არს ციხისძირის ციხე“[136].

ხუთვერსიან რუკაზეც ქვიშხეთის დასავლეთით აღნიშნულია ციხისძირი. დღეს ასეთი სახელწოდებით არც სოფელია და არც ციხე. იმ ადგილებში დღეს სოფელი და ციხე ბულბულისციხეა. ეს სახელი უნდა მომდინარეობდეს XVI ს-ში მოხსენიებულ აზნაურ ბუნბულისძეთაგან. სოფელ ბულბულისციხიდან სამხრეთ-დასავლეთით, 1,5 კილომეტრზე, ორხევშუა ამართულ გორაკზე მდებარეობს ციხე. იგი დაშენებულია კლდეზე. შემორჩენილია ციხის სამხრეთი კედელი, რომლის სიგრძე 35 მეტრამდე აღწევს. იგი ნაგებია რიყის დიდი ზომის ქვებით დუღაბზე. ციხის დასავლეთ ნაწილში ნახევარწრიული გოდოლის ნაშთია. სამხრეთი კედლის სისქე ზედა ნაწილში 1,2 მ-ია, ქვედაში კი — 2 მეტრი. კედლის შემორჩენილი სიმაღლე 5 მეტრს აღწევს. ციხის სამხრეთ კედელში სათოფურებია შემორჩენილი. ძეგლი მდებარეობს ქვიშხეთ-მოლითის ანუ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ გზაზე.

ტაშისკარი. ვახუშტი წერს: „ქვიშხეთის სამჯრით არს, მთის ძირს, მტკვრის ახლო, დაბა ტაშის-კარი... ხოლო ტაშის-კარის სამჯრით ჩამოვალს დასავლეთიდამ მთა მახვილიოსი ცხვირ-ცხვირად, და აღმოსავლიდამ ყერძენის მთის წვერი, და მოავიწროებს მტკვარს კლდითა. აქ, მოვიწროებულსა შინა, არს განსავალი კარი და კოშკი მას ზედა, ქართლიდამ ჯეობასა შინა სავალი. ამის მიერ ეწოდა ტაშის-კარი (ესე არს ქვისკარი)“[137].

---

135 П. Закараия. Крепостные сооружения Картли. Тбилиси, 1968, с. 108—109, 110.

136 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 81.

137 იქვე. გვ. 81, 83.

ტაშისკარი წყაროებში ხშირად იხსენიება, როგორც შიდა ქართლის უკიდურესი სასაზღვრო პუნქტი. ტაშისკარი დღეს ქვიშხეთის ერთ-ერთი უბანია. ისტორიული სიძველენი თითქმის აღარაა შემორჩენილი.

ცხრამუხა. ამ სოფელს ვახუშტი ბატონიშვილი არ იცნობს[138]. სოფლის ცენტრში მდებარეობს რიყის ქვისაგან ნაგები ცილინდრული კოშკი. შემორჩენილია ოთხი სართული, კოშკის დიამეტრი უდრის 7,5 მეტრს. კარი აქვს სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს. სათოფურები აქვს ყველა სართულზე. კოშკი თარიღდება XVIII ს-ით.

სოფლის შუაში დგას აგურითა და რიყის ქვით ნაგები ერთნავიანი ეკლესია. ცხრამუხის წმ. ნინოს სახელობის ეკლესია გვიანშუასაუკუნეებს მიეკუთვნება. ამ ეკლესიაში აბაშიძეთა XIX ს-ის საფლავის ქვებია. ჩანს, ცხრამუხაში იყო აბაშიძეთა საძვლე. 1804 წლის კამერალური აღწერის მასალების მიხედვით, ცხრამუხაში 23 კომლი გლეხი ცხოვრობდა. აქედან 19 კომლი ეკუთვნოდა აბაშიძეებს, ხოლო 4 კომლი ამილახვრებს.

ვახუშტი ბაგრატიონი საababაშიოს ლიხსაქეთა მამულებს შემდეგ სოფლებს მიაკუთვნებს: ტეძერი, გუდეთი, ბეღლეთი, მონასტერი, ციხისძირი, შოლისპირი, ქვიშხეთი, ტაშისკარი[139].

დასკვნა

ფრონე ლიხის (სურამის) ქედთან მიმდებარე მხარეების — შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის (გვიანდელი „ზემო ქართლი“), ზემო იმერეთისა და სამცხის — მდინარეთა ზოგადი სახელია. იგი აღნიშნავდა თხელწყლიან მდინარეს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ფრონეს ეტიმოლოგია დაუკავშირდეს ფონს (ფონა, ფონე). შიდა ქართლში ფრონე ეწოდება ოთხ მდინარეს: დვანის წყალს, ფცის წყალს, ალის წყალს და სურამის წყალს.

ლიხის ქედი თავისი შედარებით დაბალი სიმაღლისა და გადასასვლელ-უღელტეხილთა სიმრავლის გამო ადვილგადასალახია და არ ქმნიდა სერიოზულ დაბრკოლებებს მის აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარე „ქვეყნებისათვის“. პირიქით, იგი აერთიანებდა კიდეც მიმდებარე პროვინციებს. ეს ერთიანობა შეინიშნება ადრებრინჯაოს ხანიდან მაინც. ერთიან ქვეყანას ქმნის ლიხის ქედი ანტიკურ ხანაშიც (დასავლეთით მოდინახეს ციხე და აღმოსავლეთით მცხეთისჯვრის ციხე — ალი). ადრეფეოდალურ ხანაში მდგომარეობა გაურკვეველია. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ლიხის „ქვეყანა“ გაერთიანებული საქართველოს შუაგულშია მოქცეული.

გვიანშუასაუკუნეებში, ქართლისა და იმერეთის სამეფოების წარმოშობის შემდეგ, ხან ლიხის ქედის დას. ნაწილი შედის ქართლის სამეფოში და ხან ქედის აღმ. ნაწილი შედის იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში. ამ პერიოდის სათავადოები — საამირეჯიბო და საababაშიო — ლიხის ქედის ორივე მხარეს მდებარე ტერიტორიებს მოიცავდა. ამიტომ მხოლოდ ადრეფეოდალურ ხანაში ლიხის ქედის აღმოსავლეთით ერთიანი სათავდაცვო სისტემის ძიება შეიძლება

---

138 სოფელი ცხრამუხა (ზუსტად „ცხრამუხელის კაცი“) მოხსენებულია 1797 წ. ერთ საბუთში (სსცა, ფ. 1448, № 3579).

139 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა..., გვ. 204.

არ იყოს მართებული[140]. ასეთი სისტემა შეიძლება შექმნილიყო გვიანშუასაუკუნეებშიც ქართლისა და იმერეთის სამეფოთა არსებობის პირობებში. ზოგჯერ შეიძლება აღმოსავლეთში შექმნილი სიმაგრეთა სისტემა [illegible] გებლოდ გამოეყენებინათ იმერეთის სამეფოს მესვეურებს.

ბიბლიოთეკა

გვიანბრინჯაოს ხანაში თითოეული ფრონე ცალკე ხეობას წარმოადგენს, რომელთაც აქვთ ცენტრები: დვანის წყალს დვანში, ფცის წყალს წალვლში, ალის წყალს ალში, სურამის წყალს სურამში. ანტიკური ხანისათვის ფრონეები გაერთიანებულია და ძვ. წ. I საუკუნისათვის მათი ცენტრი ჩანს „დედოფლის მინდორი". რამდენადაც VII ს. სომხური გეოგრაფია ფრონეებს იცნობს „დვანის ველის" სახელწოდებით, ამდენად ადრეფეოდალურ ხანაში ფრონისპირეთის ცენტრი დვანია.

ადრეფეოდალური ხანის მიწურულს ფრონეებზე იქმნება საქართლის საერისთავო, რომელიც ქართლის საერისთავოში შემავალი მცირე საერისთავოა (საქართლის საერისთავოს შექმნა ზომ არაა კავშირში დასავლურქართული სახელმწიფოს — „აფხაზთა სამეფოს" — შიდა ქართლში ექსპანსიასთან? ტერმინები — „საქართლის საერისთავო" და „საქართლის ციხე" — ლიხთიმერეთის მხრიდან გაიაზრება). მისი ცენტრია საქართლის ციხე, ხოლო ერისთავთა საძვლე-სამარხი უნდა იყოს საქართლის მონასტერი (ლიტერატურაში ცნობილი წორბისის მონასტრის სახელით).

IX—XII სს. ფრონისპირეთი წარმოადგენდა ფორპოსტს შიდა ქართლის დაუფლებისათვის ანუ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში. XII—XIII სს. ქართლის საერისთავოს ცენტრია სურამი. საერთოდ შეიმჩნევა ქართლის საერისთავოს ცენტრის გადაადგილება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. თუ ანტიკურ ხანაში სასპასპეტოს ანუ ქართლის საერისთავოს ცენტრი მცხეთის მახლობლადაა, XII საუკუნისათვის იგი ქართლის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში — სურამშია. ეს გარემოება უნდა იყოს კავშირში საქართველოს გაერთიანების ტენდენციასთან, შიდა ქართლის ლიხთიმერეთთან შერწყმასთან.

გვიანშუასაუკუნეებში ფრონის ხეობები რამდენიმე თავადურ გვარს ეკუთვნოდა. პირველ რიგში აღსანიშნავია ამირეჯიბ-ჩიჯავაძეთა გვარი, რომელიც XV ს-ზე ადრე გალმამხარეში ცხოვრობდა და შემდეგ გადმოდის ფრონისპირეთში. XV ს. ამირეჯიბებს ეკუთვნოდათ: ალი, უწლევი, ბობოკინი, ბროლოსანი, იძვისი, ნაბახტევი, დუმაცხო, საღოლაშენი, ქვემო ბრეძა, ფცა, აბანო, ატოცი, ღოდორა, ლიჩი, გოლისი, ხეფინისხევი, გუჯარასა და ჭრუჭულას შუა მიწა და სხვა. საამირეჯიბოს ცენტრი უნდა ყოფილიყო ნაბახტევში. როგორც ჩანს, შემდეგ საუკუნეებში ამირეჯიბები კარგავენ ყმა-მამულებს. ყოველ შემთხვევაში, 1804 წლისათვის მათ ყმები ჰყავთ მხოლოდ აბისში, ბრეძაში, თიღვაში, ავნევში, საღოლაშენში.

იმავე 1804 წლის მონაცემებით, თავადი ფალავანდიშვილები ყმა-მამულებს ფლობენ ძაღინაში, ახალშენში, ხუნდისუბანში, ოქონაში, კნოლეთში, წერონისში, დვანში. ავნევში. საფალავანდიშვილოს ცენტრი XVII—XVIII სს. ძაღინაშია.

ბაგრატიონ-დავითიშვილები ყმა-მამულებს ფლობდნენ სოფლებში: ფცა, აბანო, სუნისი, ძვიმლეთი, ნული. 1797 წლის ერთ საბუთში იხსენიებიან „სა-

---

140 შდრ. ო. ტყეშელაშვილი. დასახ. ნაშრომი.

დავითიშვილო კაცნი"[141]. ეს, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ არსებობდა სადავითიშვილო სათავადო.

რაც შეეხება აბაშიძეებს, მათ ფრონისპირეთში შემდეგი სოფლები ეკუთვნოდათ: ტეძერი, გუდეთი, ბეღლეთი, მონასტერი, ციხისძირი, შალისუბანი, ქვიშხეთი, ტაშისკარი.

ფრონეების ტერიტორია შედიოდა შიდა ქართლში. შიდა ქართლის ეს ნაწილი XVI—XVII სს-დან, მას შემდეგ რაც თურქეთმა დაიპყრო სამხრეთი საქართველო — ზემო ქართლი, იწოდება ზემო ქართლად. ფრონეს ხეობები შედიოდა ზემო ქართლის ანუ მეორე სადროშოში. ეკლესიურად ფრონეები ემორჩილებოდა რუისის საეპისკოპოსოს.

Дж. Г. ГВАСАЛИА

ВОПРОСЫ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ УЩЕЛЬЕВ ПРОНЕ

Резюме

«Проне» — общее название рек, прилегающих областей Лихского (Сурамского) хребта, северо-западной части Шида Картли (позднее «Земо Картли»), Земо Имерети и Самцхе. Оно означало мелководную реку. Поэтому этимологию Проне можно связывать с «пони» (пона, поне — «брод»). В Шида Картли под названием «Проне» обозначаются следующие реки: Дванис-цкали, Пцис-цкали, Алис-цкали и Сурамис-цкали.

Лихский хребет, из-за своей сравнительно небольшой высоты и обилия перевалов, легко преодолим и не создавал серьезных помех для общения живущих на прилегающих к нему землях. Наоборот, он объединял эти провинции. Это единство замечается если не в более ранний период, то по крайней мере с эпохи ранней бронзы. Единую страну образует Лихи и в античную эпоху. Каково положение в раннефеодальную эпоху — не ясно. В эпоху же развитого феодализма «Лихская земля» находится в середине объединенной Грузии.

В позднее средневековье, после образования Картлийского и Имеретинского царств, иногда зап. часть Лихского хребта входит в состав Картлийского царства, когда бывали случаи включения в Имеретинское царство вост. части Лихского хребта. Сеньории (сатавадо) этого периода — Саамиреджибо и Саабашио — включали в себя территории с обеих сторон Лихского хребта. Поэтому кажется неправомочным только в раннефеодальную эпоху искать единую оборонительную систему к востоку от Лихского хребта. Такая система могла бы создаваться и в эпоху позднего средневековья в условиях существования Картлийского и Имеретинского царств.

В эпоху поздней бронзы каждое Проне представляло отдельное ущелье со своим центром — Дванис-цкали в Двани, Пцис-цкали в Цагвли, Алис-цкали в Али, Сурамис-цкали в Сурами. В античную эпоху ущелья Проне объединены, и в I в. до н. э. их центром является Дедоплис-миндори. Поскольку в армянской географии VII в. все ущелья Проне обозначены термином «Дванис-вели («Дванская равнина»),

---

141 საქართველოს სიძველენი. III. თბ., 1910, გვ. 175.

постольку центром Проне в раннефеодальную эпоху является Двани.

К концу раннефеодальной эпохи на территории ущельев Проне образуется Сакартлис саэриставо (воеводство), которое входило в состав Картлис саэриставо. Его центром является Сакартлис цихе («Сакартлийская крепость»).

В IX—XII веках ущелья Проне представляли собой форпост в овладении Шида Картли или в борьбе за объединение Грузии. В XII—XIII веках центром эриставства Картли являлся Сурами. Намечается перемещение центра эриставства Картли с востока на запад. Если в античную эпоху центр Саспаспето или эриставства Картли находится поблизости Мцхета, то к XII веку он на западной окраине Картли — в Сурами. Это обстоятельство, видимо, связано с объединением Грузии, со слиянием Лихтимерети с Шида Картли.

В позднее средневековье ущелья Проне принадлежали нескольким княжеским фамилиям. В первую очередь должны отметить род Амиреджиби-Чиджавадзе, которые в XV веке переходят из Гагмамхари в Проне. Центром владения Амиреджибов — Саамиреджибо — являлся Набахтеви. В последующие века Амиреджиби теряют свое могущество.

Другим княжеским родом являлся род Палавандишвили. В XVII—XVIII веках центром владения Палавандашвили — Сапалавандишвило — являлся Дзагина. В ущельях Проне селами владели и князья Багратион-Давитишвили и Абашидзе. Территория ущелья Проне входила в состав Руисской церковной эпархии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. გრიგოლია

ძველი კოლხეთის საქალაქო ცენტრების (პეტრა) ლოკალიზაციის საკითხები

ქალაქ პეტრას, როგორც VI საუკუნის ლაზიკის საქალაქო ცენტრს, თავისი არსებობის ძალზე ხანმოკლე ისტორია გააჩნია. მიუხედავად ამისა, მან მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადრებიზანტიური ხანის ლაზიკის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ რელიგიურ ცხოვრებაში და ბიზანტიისა და სასანიდური ირანის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიაში. უმთავრესად სწორედ აქ, ლაზიკაში და კონკრეტულად პეტრასთან შეეჯახა პირველად „მსოფლიო ბატონობისათვის" მებრძოლი ეს ორი დიდი მეტოქე. ამდენად, ამ ქვეყნებისა და ლაზიკის ისტორიის გარკვეული ეტაპი მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან და VI ს-ის მათი ისტორიის ძირითადი პრობლემები, ურთიერთგანპირობებულობის გამო, ყოველთვის ერთ მთლიანობაში განიხილება..

ყოველივე ამის გამო გასაგებია ის ინტერესი, რომელიც დიდი ხანია არსებობს მეცნიერულ წრეებში ქალაქ პეტრას წარმოშობის ისტორიული აუცილებლობის, მისი შემდგომი ბედისა და ადგილმდებარეობის საკითხებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით მწვავედ დგას და კამათის საგანია პეტრას ლოკალიზაციის მცდელობის საკითხი, რომელსაც დიდი ხნის, სულ ცოტა ერთნახევარი საუკუნის, ისტორია გააჩნია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კიდევ უფრო ადრინდელ მოგზაურთა ცნობებს, პეტრას ლოკალიზაციის საკითხებს რომ ეხებიან.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს მ. სელეზნოვის მიერ გამოქვეყნებული იერუსალიმის პატრიარქის უფალი დოსითეოზის 1659—1660, 1677 წწ. ამიერკავკასიის ქრისტიანულ ქვეყნებში მოგზაურობის ჩანაწერები, სადაც ქობულეთის აღმოსავლეთით ერთი, ერთნახევარი საათის სავალ მანძილზე მითითებულია ციხის ნანგრევები, რომელსაც ავტორი ბიზანტიური ხანის ციხე-ქალაქ პეტრას ნაშთად მიიჩნევს. აქვე საუბარია იმ სისხლისმღვრელ ბრძოლებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა პეტრას მიდამოებში, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანესა და სპარსეთის მეფის ჯარებს შორის[1].

როგორც ვხედავთ, ამ ჩანაწერებში არ არის პირდაპირი მითითება, თუ კონკრეტულად რომელ პუნქტთან ახდენს დოსიფეოზი პეტრას იდენტიფიკაციას, მაგრამ აშკარაა, რომ აქ ციხისძირის ციხის ნაშთები უნდა იგულისხმებოდეს. ქობულეთიდან აღმოსავლეთით ერთი — ერთნახევარი საათის სავალ მანძილზე სწორედ ციხისძირი მდებარეობს, რომელიც ტოპოგრაფიულადაც უახლოვდება პროკოპისეულ პეტრას აღწერილობას.

---

[1] М. Селезніев. Руководство къ познанію Кавказа. Путешествіе патриарха Досифея съ религіозными и политическимъ состояніемъ Грузіи до XVII вѣка. Санкт-Петербургъ, 1847, с. 37.

მეორე ეცხოელი მკვლევარი, რომელმაც გარკვეული ღვაწლი დასდო ქალაქ პეტრას ლოკალიზაციის საკითხს, იყო ფრანგი არქეოლოგი და მოგზაური დიუბუა დე მონპერე. როგორც ცნობილია, ამ მეცნიერმა XIX ს-ის 30-იან წლებში სპეციალური მიზნით მოიარა საქართველო და ასევე მთიანეთ-ტუჩ ძეგლებთან ერთად, როგორიც არის ნოქალაქევ-არქეოპოლისი (ძველ ქალაქ-სისის ციხე-სიმაგრე, ნახა ვაშნარის ნანგრევებიც[2]. დიუბუა ამ ადგილს, ვაშნარის ნაცვლად, „უჯენარს" უწოდებს, რაც შენიშნა კიდეც ჯერ დ. ბაქრაძემ, ხოლო შემდეგ აკად. ს. ჯანაშიამ, როგორც შეცდომა[3]. ჩვენი აზრით, დიუბუა ამ შემთხვევაში შენიშვნას არ იმსახურებს. საქმე იმაშია, რომ ტოპონიმი ვაშნარი ქართულენოვანი წარმომავლობის ბოტანიკური შინაარსის მქონე სიტყვა არ უნდა იყოს, როგორც ეს დღეს არის გაგებული. იგი ლაზურ-ჭანური ენობრივი სამყაროს კუთვნილება ჩანს. თავდაპირველად უნდა გვქონოდა სიტყვა „ვაშინერი", რაც შინაარსობრივად ამკრძალავი, ტაბუს აღმნიშვნელი ტერმინია და რაიმეს სახელის ხსენებას, მიკარებას კრძალავს. დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა „უჯინერი", რითაც რაიმესადმი მიკარება კი არა, შეხედვაც კი იკრძალება. როგორც ჩანს, ასეთი ეპითეტები დაიმსახურა ვაშნარის ნანგრევებმა, რომელიც დიუბუას დროს დაბურულ ტყეში მდგარა და ალბათ, მოსახლეობა მასში ავი სულების ნამოქმედარსა და საბუდარს ხედავდა. აქედან გამომდინარე, გარკვეული ტერმინებით — „ვაშინერი", „უჯინერი" — იკრძალებოდა კიდეც მასთან მიახლოვება, გავლა, შეხედვა და ა. შ.

თანდათანობით, ალბათ, უფრო მოგვიანებით, შესაძლოა, ეთნიკური ელემენტის ცვლასთან დაკავშირებით ძველმა ტერმინმა „ვაშინერმა" დაკარგა თავდაპირველი შინაარსი და მივიღეთ გაქართულებული, ახალი შინაარსის მქონე ტოპონიმი „ვაშნარი", ე. ი. ადგილი, სადაც ვაშლის ხეები ჭარბობს, ისეთივე, როგორიც არის ფიჭვნარი, მუხნარი, თელავი და სხვ.

როგორც ჩანს, ვაშნარის სწორკუთხაკოშკებიან ციხეს, აგურისსარტყელებიან და გვერდებაკეცილი კრამიტით გადახრულ ტაძრისას და კიბიანი აბანოს ნაშთებს ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია დიუბუაზე, რომ იგი უყოყმანოდ პეტრად მიუჩნევია. დიუბუამ ანგარიში არ გაუწია პროკოპი კესარიელის ნიშანდობლივ ცნობას, რომლის მიხედვით ციხე-ქალაქი პეტრა, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ირან-ბიზანტიას შორის ომიანობის დროს, აგებული იყო უშუალოდ ზღვის სანაპიროზე, კლდოვანი რელიეფის მქონე ბორცვზე[4], მაშინ, როცა მდ. ნატანების ორი უმნიშვნელო შენაკადის — საცივესა და სკურდების — შეერთების ადგილას მდებარე ვაშნარის ციხე დაახლოებით 20 კმ არის დაცილებული ზღვას და ოდნავ შემაღლებულ გავაკებაზე მდებარეობს. ყოველივე ამის გამო პეტრას ლოკალიზაციის

---

[2] Vayage aumour Caucase. t. II. Parus, 1839, p. 85 და t. III, p. 86. Spp.

[3] Д. Бакрадзе. Археологические путешествіе по Гуріи и Адчаръ. 1873, с. 275; ს. ჯანაშია. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. — შრომები, I. თბ., 1935. გვ. 30.

[4] გეორგიკა. ტომი მეორე, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, გვ. 33, შენ. 2.

დიუბუასეული მცდელობა იმთავითვე არ იქნა გაზიარებული კ. კოხის[5], შ. ბროსეს, დ. ბაქრაძის[6], კარფოლლუს[7], ს. ჯანაშიას[8] და სხვათა მიერ.

იენის უნივერსიტეტის პროფესორმა, თავისი დროის ცნობილმა ბოტანიკოსმა და დენდროლოგმა კარლ ჰაინრიხ ემილ კოხმა, რომელმაც XIX საუკუნის ველ ნახევარში იმოგზაურა კავკასიაში, საქართველოს ბუნების, ხალხთა ყოფის, ცხოვრების, ეკონომიკისა და კულტურის საინტერესო აღწერილობა დაგვიტოვა[9].

სწორედ მან პირველმა გააკრიტიკა დიუბუა დე მონპერეს მცდარი შეხედულებანი პეტრა-ვაშნარის იგივეობის შესახებ. მასვე ეკუთვნის საინტერესო დაკვირვება პეტრას ლოკალიზაციის საკითხზე, როდესაც იგი მდ. ჩოლოქიდან ბათუმისაკენ მიემგავრებოდა: „მალე საკმაოდ დიდი მოცულობის ციხის ნანგრევებს მივადექით, ე. წ. ციხისჯვარს (კ. კოხი ცდება, აქ უნდა იყოს ციხისძირი — გ. გ.), აქედან შესანიშნავი სანახაობა იშლება: ერთი მხრივ ზღვა, ხოლო მეორე მხრივ ქვეყნის სიღრმეში მდებარე ნაყოფიერი მიდამოები. შესაძლოა, ეს ნანგრევები ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის წარმოებული ომების დროინდელია, ვინაიდან ისინი განსხვავდებიან ადგილობრივი ქართული წარმოშობის ციხეებისაგან. ისტორიამ შემოგვინახა ბიზანტიელების მიერ აგებული ერთი ასეთი ციხის სახელი. შესაძლოა დღევანდელი ციხისძირი ბერძნების პეტრა იყოს. პეტრა ზღვის მახლობლად მდებარეობს და რამდენადაც შეიძლება ამჟამად მისი ადგილმდებარეობის დადგენა, ახლანდელი ციხისძირის ნანგრევების ადგილზე უნდა ყოფილიყო აშენებული“[10].

როგორც ამ ამონაწერიდან ვხედავთ, კ. კოხის ვარაუდის საფუძველს ციხისძირის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა წარმოადგენს, რასაც მხარს უბამს ციხისძირისა და პროკოპისეული პეტრას პოტოგრაფიული მსგავსებაც. ჩვენთვის გაუგებარია ციხისძირის ნანგრევების აღწერისას რაში ხედავს იგი ციხის არაქართულ ხასიათს — მასშტაბებში, კედლების წყობაში თუ არქიტექტურულ დეტალებში.

ციხისძირის ხელსაყრელი სტატეგიული მდებარეობის წყალობით სავსებით ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა XIX ს. მეორე ნახევრის მკვლევარი, კავკასიოლოგი ე. ვეიდენბაუმი. მისი დაკვირვებით, „აქ თვით ბუნებას შეუკრავს ზღვისპირა გასასვლელი და მახლობელ მიდამოებში სხვა უკეთესი ადგილი არ არსებობს სანაპიროზე გამავალი გზის ჩამკეტი ციხის ასაგებად“[11].

საინტერესოა, რომ ყველა მოგზაური თუ მეცნიერი, რომელიც კი ეხება

---

5 კ. კოხი და ო. სპენსერი. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარი დაურთო ლ. მამულაშვილმა, თბ., 1981, გვ. 183—184.

6 Д. Бакрадзе. Указ. соч., с. 277.

7 И. И. Кальфоглу. Городъ Петра-Цихисъ-дзири, Историко-Археологическая замѣтка.—Извѣстія Кавказского отдѣла императорского географического общества, т. XVIII. 1905—1906, № 3, с. 198.

8 ს. ჯანაშია. დასახ. ნაშრ. გვ. 30.

9 კ. კოხი და ო. სპენსერი. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გვ. 10—259.

10 იქვე, გვ. 183—184.

11 Е. Г. Вейденбаум. От Батума до Артвина (путевые замѣтки), Кавказские этюды, Изслѣдованія и замѣтки Е. Г. Вейденбаума. Тифлисъ, 1901.

ციხისძირს და პეტრასთან აიგივებს მას, ისე მსჯელობს, თითქოს ყოველივე ეს მათი საკუთარი დაკვირვებისა და კვლევის შედეგი იყოს და არა წინამორბედთა ნააზრევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი დამოკიდებულების თვალსაჩინო მაგალითია ი. კალფოგლის სპეციალური ნაშრომი, რომელიც პეტრას ლოკალიზაციის საკითხებს ეხება და ზუსტად იმეორებს ე. ვეიდენბაუმის შეხედულებას ციხისძირზე. ი. კალფოგლუმ ადგილზე დაათვალიერა ციხისძირის ისტორიული ნაშთები, გაითვალისწინა ციხისძირის ნაშთის ადგილმდებარეობა კლდეზე, ზღვისპირას, რაც ახლოს არის სათანადო ცნობასთან პეტრას ტოპოგრაფიის შესახებ, და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ციხისძირის ნანგრევები სხვა არაფერია, თუ არა ისტორიული პეტრას ნაშთები[12].

მ. ბროსეს აზრით, პეტრა ახლანდელი ქობულეთის მახლობლად არის საძიებელი, მაგრამ კონკრეტულად სად, ამის შესახებ არაფერი უთქვამს[13].

პროკოპი კესარიელის ერთ-ერთი რუსულად მთარგმნელი გ. დესტუნისი ფიქრობდა, რომ პეტრა აგებული უნდა ყოფილიყო მდ. ნატანების შესართავთან, ადგილ „შეკვეთილში". სწორედ აქ ეგულებოდა მას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ნახევარმთვარისებური მოხაზულობის სამხრეთ წერტილი, სადაც, პროკოპი კესარიელის თქმით, პეტრა იქნა აგებული[14].

1934 წელს პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა პროკოპი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ ქართული თარგმანითურთ, რასაც დაურთო საყურადღებო შენიშვნები და კომენტარები. ნაშრომის ამ ნაწილში ავტორი საგანგებოდ ჩერდება პეტრას ლოკალიზაციის საკითხზე, იძლევა პეტრას ეტიმოლოგიური ძიების საინტერესო ვარიანტს და სავსებით მართებულად დაუკავშირა ლაზიკის ერთ-ერთი საეპისკოპოსო ცენტრი პროკოპისეულ ქ. პეტრას[15].

ს. ყაუხჩიშვილი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ნავსაყუდელის საკითხს — პეტრა, მისი აზრით, ისეთ პუნქტზე უნდა ვეძიოთ, „რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ვაჭრობისათვის და სავაჭრო მიმოსვლისათვის და აგრეთვე სამხედრო საქმიანობისათვის, ე. ი. კარგი საზღვაო ნავსადგურის პირობებს აკმაყოფილებდა", — ამბობს იგი და განაგრძობს: „საკითხის დამატებითმა შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ პეტრა ახლანდელი ბათუმი უნდა იყოს. ბათუმის შემდეგდროინდელი ეკონომიკური და სამხედრო მნიშვნელობა გვაფიქრებინებს, რომ მას ანალოგიური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა, როდესაც ბიზანტია ვაჭრობის მონოპოლიის ცენტრს ირჩევდა ლაზიკეში და როდესაც სპარსეთი ზღვაზე გასავალს ეძებდა. ასეთი პუნქტი შეიძლება ყოფილიყო ბათუმი"[16].

გარდა ამისა, ს. ყაუხჩიშვილის აზრით, რამდენადაც „პეტრა ბერძნულად ნიშნავს ქვას, კლდეს, უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვაში ბათ-ომ-ი არის ჩამალული ისეთი ძირძველი სიტყვა, რომელიც ქვას ნიშნავდა. შეიძლება ამისა-

---

12 И. И. Кальфоглу. Указ. соч., с. 202.

13 Д. Бакрадзе. Археологическое путешествие..., с. 275—276.

14 Пр. Кесарийский. Ист. войн. римлян с персами, пер. Дестуниса, кн. II, гл. 29, прим. 19; იქვე. დამატება. III. გვ. 263—264.

15 გეორგიკა. II. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტფ., 1934, გვ. 58—60.

16 გეორგიკა, II, გვ. 77.

თვის გამოდგეს ის ახსნა, რომელიც ჩვენ ოდესღაც წარმოვადგინეთ, რომ „ბათ“ ფუძე ერთ-ერთ ქართველურ ენაში (სვანურში — გ. გ.) ნიშნავს ქვას“[17].

ამრიგად, სანავსადგურო მონაცემებმა და ეტიმოლოგიურმა ძიებამ ს. ყაუხჩიშვილი ქ. ბათუმში მიიყვანა, რომელიც დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი ძირითადი საზღვაოსნო ცენტრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ საკითხით დაინტერესებულ პირთა შორის, მართალია, გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა პეტრას აჭარის სანაპიროზე იგულვებს, მდ. ჩოლოკსა და ბათუმს შუა, იქ, სადაც ციხისძირის ციხის დიდებული ნანგრევებია შემორჩენილი ზღვის ნაპირს აღმართულ კლდოვან ბორცვზე.

არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს, რომ ციხისძირი თავისი მდებარეობით, ტოპოგრაფიული მონაცემებით, მასშტაბებით და უკანასკნელი ორი ათეული წლის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებით გვიანრომაული და ადრებიზანტიური ხანის, უთუოდ, მნიშვნელოვანი ძეგლია.

საქართველოს ისტორიაში ციხისძირის ადგილისა და როლის გარკვევის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა აკად. ს. ჯანაშიას ვრცელმა და საფუძვლიანმა გამოკვლევამ. მან ბერძნულ-რომაული, ქართულ-სომხური წერილობითი წყაროების შესწავლის, არქეოლოგიური მასალის მოშველიებითა და ფოლკლორული მონაცემების გათვალისწინებით მეცნიერულად დაასაბუთა ციხისძირის, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო-სტრატეგიული ცენტრის, მნიშვნელობა[18].

ს. ჯანაშიას მტკიცებით, სწორედ ციხისძირი უნდა იყოს ციხე-ქალაქი პეტრა, რომელმაც „იმდროინდელ დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა, რამდენადმე მსგავსი თბილისის როლისა აღმოსავლეთ საქართველოსათვის“[19].

„აკად. ს. ჯანაშიას მეცნიერული კვლევის შედეგები პეტრას ლოკალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით დღეისათვის საყოველთაოდ გაზიარებულია და სახელმძღვანელო დებულებადაა აღიარებული. ყოველ შემთხვევაში „... ყველა აქამდის არსებულთაგან უფრო სრული და დამაჯერებელი ჩანს“[20].“

ს. ჯანაშიას შემდეგ არაერთი მკვლევარი დაუბრუნდა პეტრას ლოკალიზაციის საკითხს და სპეციალური ნაშრომები მიუძღვნა მას. ესენია: ნ. ხოშტარია[21], პ. ინგოროყვა[22], ნ. ლომოური[23], მ. სულეიმანოვი[24], ვ. სიჭინა-

---

17 გეორგიკა, II, გვ. 58—60; ს. ყაუხჩიშვილი. რას მოგვითხრობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ. თბ., 1964, გვ. 60.

18 ს. ჯანაშია. დასახ. ნაშრ., გვ. 32—44.

19 იქვე, გვ. 30.

20 ნ. ბერძენიშვილი, „ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“ (რეცენზია) — მიმომხილველი, III. თბ., 1953, გვ. 291,

21 ნ. ხოშტარია. ციხისძირის ისტორიისათვის არქეოლოგიური მასალების მიხედვით. — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მეოთხე სამეცნიერო სესიის თეზისები, 1953; მისივე, ციხისძირი. თბ., 1962.

22 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 230, 234.

23 ნ ლომოური. ქალაქი პეტრა და მისი მდებარეობა. — თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენციის შრომები, ნაწ. I, 1948, გვ. 24—27.

24 მ. სულეიმანოვი. პეტრა ციხე (ციხისძირი). — აჭარის სახ. მუზეუმის შრომები, ტ. II. ბათუმი, 1957, გვ. 5—41.

ვა[25], ი. სიხარულიძე[26], ნ. ბერძენიშვილი[27], ალ. ქათამაძე[28], ა. ინაიშვილი[29], დ. ხახუტაიშვილი[30], დ. მუსხელიშვილი[31], რ. გვერდწითელი[32], კ. მელითაური[33], ვ. ლექვინაძე[34] და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ეს ავტორი სავსებით იზიარებს პეტრა-ციხისძირის, იგივეობის ს. ჯანაშიასეულ ვარაუდს და საკუთარი სპეციალობისდა მიხედვით ახალი მასალებით ამდიდრებს და აღრმავებს მას.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ პირველი ქართველი არქეოლოგი ქალის ნ. ხოშტარიას დამსახურება ციხისძირის ისტორიულ-არქეოლოგიური და ეტიმოლოგიური ძიების თვალსაზრისით. ნ. ხოშტარია შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის შესწავლისა თუ უშუალოდ მის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური ძიების საფუძველზე დაასკვნის, რომ ციხისძირი უძველესი სამოსახლო პუნქტია და უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგისათვის შესაძლოა ერისთავის საჯდომი რეზიდენცია ყოფილიყო[35].

ნ. ხოშტარიას აზრით, ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული ციხე-ქალაქის სახელი პეტრა შესაძლოა ადგილობრივი (ლაზური) სახელწოდების „ქობულეთის" თარგმანს წარმოადგენს. „როგორც ირკვევა, ლაზურად სიტყვა ქობული და ქუაბული ნიშნავს ქვას (მრგვალ ქვას)"[36].

---

25 ვ. სიჭინავა. ახალი ცნობები (ციხისძირი) პეტრას ისტორიისათვის (ადგილის ლოკალიზაციის საკითხი). — აჭარის სახ. მუზეუმის შრომები. ტ. II. ბათუმი, 1957, გვ. 51—52.

26 ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, II, გვ. 97—103; მისივე, აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბათუმი, 1962, გვ. 25—26.

27 ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე (რეცენზია). — მიმომხილველი. III. თბ., 1953, გვ. 291; მისივე. ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიისათვის, — ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები. თბ., 1968, გვ. 21—45.

28 ალ. ქათამაძე. პეტრა ციხე-ქალაქის შესახებ. — გაზ. „საბჭოთა აჭარა", № 178, 1963, 9 სექტემბერი.

29 ა. ინაიშვილი. ციხე-ქალაქ პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II. თბ., 1971, გვ. 74—88; მისივე. პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. II. 1971, გვ. 91—107; მისივე. პეტრა-ციხისძირის 1962—1965 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IV. თბ., 1974, გვ. 102—153; მისივე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარებისა და ნაქალაქარების არქეოლოგიური კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები (1959—1971). — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, III. თბ., 1973, გვ. 3—7 და სხვ.

30 დ. ხახუტაიშვილი, ა. ინაიშვილი. ქართული მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლები. — გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1962/VIII, № 17; დ. ხახუტაიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1979 წ. მუშაობის ძირითადი შედეგები, — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XI. თბ., 1982, გვ. 3—17.

31 დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ., 1977, გვ. 102, 104, 108, 228.

32 Г. Гвердцители. Соображения по изучению к реставрации храма Цихис-дзири. 1963—1964 гг. рукопись; его же. Соображения по изучению и реставрации бани Цихис-Дзири за 1963—1964 гг., рукопись.

33 К. Н. Мелитаури. Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии. II. Тбилиси, 1971, с. 16—20.

34 В. А. Леквинадзе. О постройках Юстиниана Западной Грузии. — Византийский временник, т. 34. М., 1973, с. 169—186.

35 ნ. ხოშტარია. ციხისძირის ისტორიისათვის არქეოლოგიური მასალების მიხედვით. — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მეოთხე სამეცნიერო სესია, 1953, გვ. 17.

36 ნ. ხოშტარია. ციხისძირი, 1962, გვ. 35.

მკვლევარის აზრით, პეტრა თანამედროვე ციხისძირი უნდა იყოს და მდებარეობდა იქ, სადაც შემონახულია ძველი ციხის ნაშთები[37].

რაც შეეხება ქალაქ პეტრას, ნ. ხოშტარიას მიაჩნია, რომ აქ საეჭვოა თანამედროვე ციხის მიდამოები იგულისხმებოდეს, რადგან რელიეფის დასერილობა, კლდოვანი ზედაპირი, ნავსადგურის უქონლობა „არასოდეს ხელს[illegible] და პირობებს ქალაქის მჭიდრო სამეურნეო ცხოვრების სხვა დარგების განვითარებისათვის"[38].

ნ. ხოშტარიას ქ. პეტრა ციხის ჩრდილოეთით მდებარე ზღვისპირა დაბლობში (ბობოყვათი, ქობულეთი, ფიჭვნარი) ეგულება, რაც თითქოს დასტურდება კიდეც არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად[39]. ადგილ ციხისძირისა და მისი შემოგარენის თანმიმდევრულ, ფართო მასშტაბის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას საფუძველი ჩაეყარა 60-იანი წლების დასაწყისში, მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორის ინსტიტუტისა და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ერთობლივი ექსპედიცია, რომელიც დღესაც წარმატებით განაგრძობს მუშაობას. თავდაპირველად ექსპედიციას საერთო ხელმძღვანელობას უწევდა აკად. ნ. ბერძენიშვილი (1962—1964 წწ.), შემდეგ ა. ინაიშვილი (1965—1978 წწ.), ხოლო დღემდე მას ხელმძღვანელობს ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ხახუტაიშვილი. სწორედ მათი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით აჭარის სხვადასხვა ნაწილში მრავალი განსხვავებული ხასიათისა და ასაკის პირველხარისხოვანი ძეგლი იქნა გამოვლენილი და შესწავლილი, მაგრამ ამჯერად მათ შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ხსენებული ექსპედიციის ერთ-ერთი ძირითადი საკვლევი ობიექტი იყო და არის ციხისძირის თანამედროვე ნანგრევები და მისი შემოგარენი, სადაც გამოვლინდა ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების, ადრეანტიკური, ელინისტური და გვიანრომაული ხანისათვის დამახასიათებელი ფენების შემცველი გორა-ნამოსახლარი, რომლის ბაზაზეც უნდა განვითარებულიყო ქალაქი[40].

უშუალოდ ნაციხარის ტერიტორიაზე გაითხარა ორი კოშკითა და ორმაგი კედლებით გამაგრებული ციტადელი, რომელსაც აღმოსავლეთ ნაწილში დატანებული აქვს 2,80 მ სიგანის კარი. სწორედ ამ კარის მარჯვენა მხარეს აღმოჩნდა კედლის ქვის წყობაში ჩასმული, კრამიტით გამოყვანილი რელიეფური ჯვარი, რომელიც რამდენადმე ბოლნურს ემსგავსება[41]. აღსანიშნავია, რომ არქიტექტორ რ. გვერდწითელს სტამბოლში ანალოგიური დეტალი დაუდასტურებია იუსტინიანეს დროის (527—565 წწ.) ერთ-ერთ ციხეზე[42]. ე. ი. ci-

---

37 ნ. ხოშტარია. დასახ. ნაშრ., გვ. 34.

38 იქვე, გვ. 34.

39 იქვე, გვ. 34—35.

40 ა. ინაიშვილი. მასალები ციხისძირის გორა-ნამოსახლარიდან, — საქართველოს სსრ მენციერებათა აკადემიის მეთორმეტე რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ,, 1973, გვ. 149.

41 ა. ინაიშვილი. პეტრა-ციხისძირის 1962—1965 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IV. 1974, გვ. 139—140, ტაბ., V. I.

43 Р. Гвердцители. Указ соч., с. 12; К. Мелитаури. Указ. соч., с. 16.

ხისძირის ციტადელის კარიბჭის ნაწილიც VI საუკუნით უნდა დათარიღდეს. დაახლოებით V—VI სს. თარიღდებიან აგრეთვე ციტადელის ფარგლებში გამოვლენილი: კოშკები, სამნავიანი დიდი და მცირე ბაზილიკა, აბანო და სხვა არქიტექტურული ნაგებობანი[43]. ძეგლის გამთხრელის ა. ინაიშვილისა და აგვე მომუშავე არქიტექტორების — კ. მელითაურის, ვ. ლექვინაძის და რ. გვერდწითელის — აზრით, ციხისძირის აკროპოლისში გამოვლენილი სამნავიანი, გარედან ხუთწახნაგა აფსიდიანი ბაზილიკა უნდა ყოფილიყო პეტრას ის საეპისკოპოსო ტაძარი[44], რომელიც წერილობით წყაროებში (ნოტიციებში) არაერთგზის იხსენიება.

ციხისძირის აკროპოლისის თანადროული, საყურადღებო ძეგლები აღმოჩნდა მის ჩრდილოეთიდან მომიჯნავე ზღვისპირა გავაკებაზე, ადგილ ბობოყვათში. აქ, ქ. კიევის სანერგეს ტერიტორიაზე, 1959 წ. აღმოჩნდა და 1966 წ. გაითხარა სამნავიანი ბაზილიკა და მოპოვებული იქნა V—VI სს. მდიდარი არქეოლოგიური მასალა. ესენია: წელში გამოყვანილი ამფორები, სოლენის ტიპის კრამიტი, დამღიანი (თხის ჩლიქის გამოსახულებით) აგური, მინის ჭურჭლის ნატეხები, მოზაიკის ნაშთები, ქვის კაპიტელი, მარმარილოს სვეტის ნატეხი, ქვაზე ნაკვეთი „ბოლნური“ ჯვარი, აკლდამა[45] და სხვ.

ა. ინაიშვილის აზრით, ბობოყვათის სამნავიანი ბაზილიკა წარმოადგენს ნაქალაქარზე აგებულ ძეგლს, რომელიც შესაძლოა აკროპოლისის სამნავიანი ბაზილიკის თანადროული ან უშუალოდ მისი მომდევნო ხანისა (VI საუკ. II ნახევარი) იყოს[46].

არქეოლოგიური ზედაპირული ძიებისა და ბობოყვათის დაბლობზე ბაზილიკური ნაშთების აღმოჩენის ფაქტმა მკვლევარი საბოლოოდ დაარწმუნა მასში, რომ ქალაქი პეტრა ვრცელდებოდა ბობოყვათის დაბლობზე, ციხისძირის ციხიდან მდინარეების — დეხვასა და კინტრიშის — მიმართებით[47]. როგორც ზემოთ დავინახეთ, პეტრას ლოკალიზაციის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერთა ერთი ჯგუფი, ითვალისწინებს რა ციხისძირის ციხის ტერიტორიულ შეზღუდულობას (1,5 ჰექტარი), ნავსაყუდელის უქონლობას და რელიეფის დანაწევრებას, თანამედროვე ნანგრევებს აკროპოლის ნაშთად მიიჩნევს[48],

---

43 ა. ინაიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 138, 145; В. А. Леквинадзе. Указ. соч., с. 174—179; Мелитаури. Указ. соч., с. 18; Р. Гвердцители, Соображения по изучению к реставрации храма·· 1963—1964 гг.

44 ა. ინაიშვილი. პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II. თბ., 1971, გვ. 105—106; Р. Гвердцители. Указ. соч.; В. А. Леквинадзе. О постройках . ., с. 174—179; К. Н. Мелитаури. Крепости..., с. 16—20.

45 ა. ინაიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, ა. კახიძე. 1966 წელს ციხისძირისა (პეტრა) და ფიქვნარის ნაქალაქართა არქეოლოგიური შესწავლის შედეგები, — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1960 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები. თბ., 1967, გვ. 66—68;

46 იქვე; ა. ინაიშვილი. პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის, ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით. გვ. 91—97.

47 ა. ინაიშვილი, ციხე-ქალაქი პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. II. თბ., 1971, გვ. 82.

48 ს ჯანაშია. შრომები. I. გვ. 42—43.

ხოლო ქალაქის ტერიტორიას აპრიორულად ბობოყვათის დაბლობში და მის ჩრდილოეთით ვარაუდობს[49]. ამ ვარაუდის სისწორეს თითქოს ადასტურებს კიდეც ბობოყვათის ხსენებული აღმოჩენები და მიმდინარე წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სასურველია სავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის ციხისძირის რაზმმა 1983 წ. ბობოყვათის ტერიტორიაზე აღმოაჩინა და გათხარა მოზაიკურიატაკიანი აბანო და გვიანანტიკური ხანის სამაროვანი[50].

ამრიგად, უკანასკნელ წლებში მიღწეული შედეგების მიხედვით, ციხისძირის ტერიტორიაზე ფაქტობრივად დადასტურდა დიდი, ქალაქური დასახლების არსებობა, რომელსაც გააჩნია ორმაგი კედლებითა და კოშკებით გამაგრებული აკროპოლისი თავისი სამნავიანი ბაზილიკით, აბანოთი და რაღაც სამეურნეო ნაგებობებით და აქვე, დაბლობში, საკუთრივ ზღვისპირას გაშლილი ქალაქი ტაძრით, აბანოთი, აკლდამით, სამაროვნით და სხვ.

ერთი სიტყვით, ციხისძირის ციხის ეფექტური ნაშთების შესწავლისა და უკანასკნელ წლებში ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიების საფუძველზე უდავოდ დასტურდება, რომ ამ პუნქტში გვიანრომაულ და ადრებიზანტიკურ ხანაში არსებობდა რომელიღაც ქალაქი თუ ქალაქური ტიპის მსხვილი დასახლება.

ციხისძირი რომ დიდმნიშვნელოვანი ძეგლია, ეს კარგად დასტურდება როგორც მიწისზედა არქიტექტურული, ისე არქეოლოგიური მასალის საფუძველზე და აქ საკამათოც არაფერია, რასაც ვერ ვიტყვით პეტრა-ციხისძირის იდენტიფიკაციის საკითხზე. პეტრა-ციხისძირის იგივეობის საკითხი, რომელსაც თითქმის ორსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია, წინააღმდეგობათა ქსელით არის გარემოცული და ნაკლებად დამაჯერებელია.

პეტრა-ციხისძირის იდენტიფიკაციის, უკვე საყოველთაოდ მიღებული და გაზიარებული, სახელმძღვანელო დებულებისადმი ჩვენი სკეპტიკური დამოკიდებულების საფუძველს რაიმე განსაკუთრებული ორიგინალობისაკენ სწრაფვის ტენდენცია არ გააჩნია. ეს არის სავსებით რეალურად არსებული საკვლევი საკითხის ირგვლივ წინააღმდეგობრივი ფაქტების ანალიზის საფუძველზე მიღებული შეხედულება.

ჩვენი აზრით, პეტრას ლოკალიზაციის ხსენებულ ვარიანტს გააჩნია თავისი მყარი და სუსტი მხარეები. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ ადგილზე არსებობს შესანიშნავი არქეოლოგიური ძეგლი, რომლის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები პასუხობს ქალაქ პეტრას წყაროსეულ ჩვენებებს, რაც წარმოადგენს მეცნიერთა ყურადღების გამახვილების საფუძველს ციხისძირისაკენ.

ლოკალიზაციის სისუსტე კი, პირველ ყოვლისა, იმით არის განპირობებული, რომ წერილობითი წყაროების ჩვენებათა გამოყენება ხდება ფრაგმენტულად, სასურველი ადგილების გამოყენებით და საწინააღმდეგო ცნობების გვერდის ავლით. ცალკეული გამონაკლისის გარდა, წინასწარ არ ხდება იმ პუნქტების, ტომების განსახლების, გზებისა და მდინარეების ადგილმდება-

---

49 ნ. ხოშტარია. დასახ. ნაშრ., გვ. 34; მ. სულეიმანოვი. პეტრა ციხე. — აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები, II. ბათუმი, 1957, გვ. 25—26; ა. ინაიშვილი. პეტრა-ციხისძირი. 1962—1965 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები. გვ. 121.

50 ცნობა მოგვაწოდა ხსენებული ექსპედიციის წევრმა ისტ. მეცნ. დოქტ. ა. კახიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

როების გარკვევა, რომელიც წერილობითი წყაროების ჩვენებით საძიებო ქალაქის ლოკალიზაციის საფუძველს წარმოადგენენ.

საუბარი რომ ძალზე ზოგადი არ გამოგვივიდეს, საჭიროდ [illegible] კვეული თანმიმდევრობით განვიხილოთ ყველა ფაქტი და [illegible] რო, სადაც ქალაქ პეტრაზეა საუბარი: თუ სად, როდის და რატომ შენდება ეს ქალაქი, როგორი იყო იმ დროისათვის ლაზების განსახლების ეთნიკური საზღვრები, სად გადიოდა ძირითადი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები, რომელი იყო ქვეყნის მთავარი მდინარეები, სად მდებარეობდა ლაზების ძირითადი ციხე-ქალაქები და სხვ. ერთი სიტყვით, პირველი რიგის ამოცანად მიგვაჩნია საკითხის კომპლექსური შესწავლა, წერილობითი წყაროების გამოწვლილვითი ანალიზისა და ყველა სხვა რიგის ფაქტიური მასალის გათვალისწინების საფუძველზე.

როგორც ცნობილია, ქ. პეტრას პირველ მოხსენიებას ვხვდებით იუსტინიანე კეისრის 535 წლით დათარიღებულ ნოველაში, სადაც საუბარია პოლემონის პონტოს ქალაქებზე: ნეოკესარიაზე, კომანაზე, ტრაპეზუნტზე, კერასუნტზე, პოლემონიონზე, **პიტიუნტზე და სებასტოპოლისზე**. ნოველის ავტორის თქმით, „მათ შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკე, სადაც არის ქალაქი პეტრა, რომელსაც ჩვენგნით ხვდა წილად ქალაქი გამხდარიყო და დარქმეოდა და რომელსაც მიენიჭა ჩვენი უზენაესის სახელიც და ეწოდება იუსტინიანე“[51].

ამ ცნობაში არაფერია ნათქვამი პეტრას ლოკალიზაციის საკითხის სასარგებლოდ, მაგრამ იგი მაინც მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან ამ წყაროდან პირველად ვგებულობთ, რომ პეტრა ლაზიკის ქალაქია. იგი აშენებული უნდა იყოს VI საუკუნის 30-იან წლებში, ალბათ, სპარსეთის მეფის კავადის იმ ექსპანსიური პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, რომელსაც მოჰყვა ჯერ მეფობის გაუქმება ქართლში (523 წ.), ხოლო შემდეგ ლაზიკის ფარგლებში სპარსელების შემოჭრა და სანაპირო ციხეების — სკანდესა და შოროპანის — დაჭერა.

იმ ბერძენ მწერალთა შორის, რომლებმაც მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა დაგვიტოვეს ლაზიკის ისტორიის შესახებ და რომელთა თხზულებებმაც მოაღწიეს ჩვენამდე, „პროკოპი კესარიელი უნდა ჩაითვალოს ყველაზე უფრო ნაყოფიერ და სანდო ისტორიკოსად“[52].

ლექსიკოგრაფ სვიდას ცნობით, „პროკოპი ბრწყინვალე პალესტინის კესარიიდან, რიტორი და სოფისტი; აღწერა რომაული ისტორია, ესე იგი პატრიკიოს ველიზარის ომები, რომლებიც რომსა და ლიბიაში მოხდა. ცხოვრობდა იუსტინიანე მეფის დროს, ველიზარის მდივნის (მრჩევლის) თანამდებობას ასრულებდა და მას ახლდა ყველა ომში და მისი საქმიანობაც აღწერა“[53].

მიუხედავად იმისა, რომ თვითონ პროკოპის არ მიუღია მონაწილეობა ბიზანტია-სპარსეთის ომებში და არ ყოფილა ლაზიკაში, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის წყალობით ჰქონდა საშუალება გასცნობოდა ომის მსვლელობის ნამდვილ სურათს, რადგან მისთვის ხელმისაწვდომი იყო სახელმწიფო კანცელარიის ოპერატიული მოხსენებები, სახელმწიფო არქივებისა და სამხედრო შტაბების საიდუმლო მასალები.

---

51 გეორგიკა, II. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1965, გვ. 33—35.

52 გეორგიკა. II. გვ. 38.

53 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პროკოპი კესარიელი ცხოვრობდა VI საუკუნის I ნახევარში, როდესაც ბიზანტია-სპარსეთის ომები ძალზე გამწვავებულია ლაზიკაში მისი ერთ-ერთი ციხე-ქალაქის პეტრას ხელში ჩაგდებისა-ნით, რომელიც სპარსეთისათვის რომის იმპერიაში შეღწევის გასაღებ-ად ძოადგენდა, ხოლო რომისათვის — პირიქით, რომის იმპერიის ჩრდილო კარის ჩამკეტ ბურჯსა და ლაზიკაში მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობის ცენტრს წარმოადგენდა.

პროკოპის თხზულება იუსტინეს დროინდელი ომების შესახებ სამართლიანად არის მიჩნეული საუკეთესო წყაროდ ბიზანტიისა და საქართველოს VI საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიისათვის. აგათია სქოლასტიკოსის მიხედვით, „ვინაიდან რიტორ პროკოპი კესარიელს ზედმიწევნით აქვს აღწერილი უმეტეს წილი იუსტინიანეს დროის მომხდარი ამბებისა, აღარ არის საჭირო მეც შევეხო მათ, რადგან მათზე საკმარისად არის ნათქვამი“[54].

ამასთანავე, პროკოპის ომების „ისტორია“, როგორც ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, არ არის მარტო ფაქტების გადმოცემის წყარო. ამბის უკეთესად გასაშუქებლად იგი იძლევა დაწვრილებით გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ აღწერებს იმ ადგილებისას, სადაც საომარი ოპერაციები მიმდინარეობდა[55].

აქვე, თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ მენანდრეს[56] და ლექსიკოგრაფ სვიდას[57] შეფასებას პროკოფისადმი, დავრწმუნდებით, რომ პროკოპი, როგორც ისტორიკოსი, სრული ნდობით სარგებლობდა ჯერ კიდევ მისივე თანამედროვე მწერალთა და მეცნიერთა შორის.

ასევეა დღესაც. „პროკოპი კესარიელი, როგორც ცნობილია, საერთოდ და კერძოდ ლაზიკის იმდროინდელი ვითარების გასარკვევად ფრიად კომპეტენტური ისტორიკოსია“[58]. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, საქართველოს ისტორიის საკითხებზე მსჯელობისას „პროკოპი კესარიელი უნდა ჩაითვალოს ყველაზე უფრო ნაყოფიერ და სანდო ისტორიკოსად“[59].

პროკოპი კესარიელის, როგორც ისტორიკოსის, მიმართ ამგვარი პოზიტიური დამოკიდებულების მიუხედავად ჩვენივე ისტორიკოსთა შრომებში ხშირად ვხვდებით პროკოპის ცნობებისადმი კრიტიკულ, მე ვიტყოდი, გადაჭარბებულ კრიტიკულ დამოკიდებულებას. ერთნი უსაყვედურებენ ავტორს ლიტერატურული და რეალურად არსებული ფაქტების აღრევას[60], მეორენი — თითქოს, მის ცნობებში არსებულ ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტებს[61] და ა. შ. აღსანიშნავია, რომ პროკოპი კესარიელის „შეცდომების“ დიდი ნაწილი თავმოყრილია მისი ისტორიის იმ ნაწილში, სადაც საუბარია ირან-ბიზანტიას შორის გაჩაღებული საომარი მოქმედების პირველ ეტაპზე, პეტრას ხელში

---

54 აგათია სქოლასტიკოსი. ბერძენ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ. — გეორგიკა, III, გვ. 25.

55 გეორგიკა, II. 1935, გვ. 13.

56 ს. ყაუხჩიშვილი. ბერძენ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. 3. 1936, გვ. 202.

57 გეორგიკა. II, გვ. 38.

58 დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. თბ., 1977, გვ. 102.

59 გეორგიკა. II. 1965, გვ. 106—109 (შენიშვნა); ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, 1975, გვ. 476.

60 ნ. ბერძენიშვილი. ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიისათვის. მასალები. თბ., 1968, გვ. 22—23.

61 დ. მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 102.

ჩასაგდებად რომ მიმდინარეობს (541—551 წწ.). შემდგომში კი, როცა პრო-
ლის ასპარეზი რიონ-ფასისის ხეობაში გადაინაცვლებს, ანალოგიურ ფაქტებს
თითქმის აღარ ვხვდებით; რაშია საქმე? ეს ფაქტი უთუოდ [illegible]
თითქოს გეოგრაფიული გარემო იგივეა, ომები კვლავ ფასისიის [illegible]
ნარეობს, წყაროს ავტორი კვლავ პროკოპი კესარიელია, მისი ინფორმატო-
რებიც, ალბათ, უცვლელნი რჩებიან. შრომის ხარისხი კი მკვეთრად იცვლება:
ყოველ შემთხვევაში, ფაქტები აღარ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, სწორად
ასახავენ ისტორიულად არსებულ რეალურ ვითარებას და ბუნებრივია, ჩვენც
უყოყმანოდ ვღებულობთ მათ.

რაშია საქმე, რამ გამოიწვია წყაროს ცალკეული ნაწილის ასეთი ხარი-
სხობრივი ტრანსფორმაცია. ან იქნებ არ გვესმის პროკოპი სწორად და ასეთი
გადახრები შესაძლოა მისი ჩვენებების არასწორი ინტერპრეტაციის შედეგი
იყოს, როგორც ამას ვარაუდობს პროფ. დ. მუსხელიშვილი[62].

ასეა თუ ისე, ამას პროკოპი კესარიელის წყაროსა და მისი სათუო ადგი-
ლების კიდევ ერთი გადასინჯვა დაგვანახებს, ამჟამად უკვე ახალი, თვითკრი-
ტიკული კუთხიდან ჩატარებული. ეს შეეხება პროკოპი კესარიელის პირდა-
პირ და განსაკუთრებით არაპირდაპირ, ჩვენებებს.

პროკოპი კესარიელი ქ. პეტრას პირველად თავისი შრომის იმ ნაწილში
მოიხსენიებს, სადაც საუბარია ბიზანტიის ეკონომიკურ პოლიტიკაზე ლაზეთ-
ში[63]. პროკოპის თქმით, იუსტინიანე კეისარს ვერცხლის მოყვარეობის, უდი-
ერი ქცევისათვის თუ სხვა ცოდვებისათვის ლაზეთიდან გაუწვევია სტრატე-
გოსი პეტრე არზანიელი და მის ნაცვლად, სხვა მთავრებთან ერთად, აგზა-
ვნის ვინმე იოანეს ციბედ წოდებულს, არაწარჩინებულთა და არასახელოვან-
თა შთამომავალს, რომელსაც, როგორც ვხედავთ, დიდი წარმატებისათვის
მიუღწევია თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ნიჭის წყალობით. „მანვე
დააჯერა მეფე იუსტინიანე ლაზების ქვეყანაში ზღვისპირა ქალაქი აეშენებინა
სახელად პ ე ტ რ ა. იქ იჯდა ის, ვითარცა აკროპოლისში, და სძარცვავდა ლაზთა
ქონებას. ვაჭრებს ხომ უკვე ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდაში შეეტანათ მა-
რილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისათვის აუცილებლად საჭიროა, არც
აქედან შეეძლოთ რაიმე ეყიდინებინათ, არამედ მან (ე. ი. იოანემ) შემოიღო
ეგრეთ წოდებული მონოპოლია“[64], — მოგვითხრობს პროკოპი.

ამ ცნობებიდან ბევრი რამ არის საყურადღებო როგორც პოლიტიკური,
ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ამ-
ჯერად კი იმით ვკმაყოფილდებით, რომ მივიღეთ პირველი ინფორმაცია პეტ-
რას ზღვისპირა მდებარეობის შესახებ, რასაც არაერთგზით იმეორებს პრო-
კოპი შემდგომშიც.

„პეტრა ზღვისპირა ქალაქია კოლხეთში, ეგრეთწოდებულ ევქსინის პონ-
ტოსთან; ის უმნიშვნელო იყო წინათ, ხოლო იუსტინიანე მეფემ გარე ზღუდი
სა და სხვა მინიშნების საშუალებით გაამაგრა და ყოველმხრივ გაამშვენიერა
კიდეც“[65].

პროკოპი კესარიელის მიერ მოწოდებული ამ მეორე ცნობიდან ვგებუ-
ლობთ, თუ რას წარმოადგენდა თავდაპირველად პეტრა და რა სამშენებლო
სამუშაოები ჩაატარა აქ იუსტინიანემ. როგორც ჩანს, პეტრას ადგილზე თავ-

---

62 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 104.
63 გეორგიკა. II. გვ. 21—22.
64 იქვე. გვ. 74.

დაპირველად მცირე, სოფლური ტიპის დასახლება უნდა არსებულიყო, რომელიც იუსტინიანეს გარეზღუდით, მინაშენებითა და სხვა სიკეთით ყოველმხრივ გაუმშვენებია კიდეც. ამ ბოლო ფრაზაში, ალბათ, იგულისხმება ტაძრის, სასახლის, აბანოს, მოკირწყლული ქუჩებისა და მოედნების მშენებლობა, რაც დამახასიათებელია ბერძნულ-რომაული ტიპის ქალაქებისათვის.

კიდევ უფრო საინტერესო ცნობებია დაცული პროკოპის შრომის მომდევნო ნაწილში პეტრას შესახებ. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ქალაქის ტოპოგრაფიას, რაც ნიშანდობლივია მისი ლოკალიზაციისათვის. „ქალაქი პეტრა მიუვალია ჯერ ერთი ზღვის მხრიდან, მერე ციცაბო კლდეებით, რომელიც იქ ყოველმხრივ არის აღმართული: აქედან არის რომ მას ეს სახელწოდება ხვდა წილად. მხოლოდ ერთი შესავალი აქვს მას დაბლობში. ისიც არცთუ ისე ფართო: ვინაიდან მის ორივე მხარეს არაჩვეულებრივი კლდეებია დაკიდებული. რადგან იმათ, რომელთაც ქალაქი პირველად ააშენეს, წინასწარ განჭვრიტეს, რათა ზღუდის ის ნაწილი არ ყოფილიყო ადვილი იერიშებისათვის, და გრძელი კედლები გააკეთეს აქ დიდ მანძილზე მისავალის თითოეული კლდის გასწვრივ და ამ კედლების ორივე მხარეს ორი კოშკი ააგეს ჩვეულებრივი წესით კი არა, არამედ სხვანაირად“[55].

როგორც ვხედავთ, აქ დეტალურად არის აღწერილი ქალაქის ტოპოგრაფია, მისი ყოველმხრივ ქარაფოვან-კლდოვანი რელიეფი, რომელსაც მხოლოდ ერთი შესავალი გააჩნია დაბლობში, ისიც კედლებითა და კოშკებით გამაგრებული. თუკი პროკოპისეულ ნიშანდობლივ აღწერას დავუჯერებთ, ქალაქი ქარაფოვან, ნიადაგს მოკლებული შიშველი კლდეების გარემოცვაში ყოფილა აგებული და არა მაღალ ბორცვოვან ზოლში, როგორსაც ვხვდებით ციხისძირის მიდამოებში. ციხისძირს მხოლოდ დასავლეთ ნაწილში ზღვისაკენ მიმართულ კიდეზე გააჩნია მაღალი ქარაფი, სხვა მხრივ კი მისი ზომიერად დახრილი ფერდები სუბტროპიკული ზონისათვის დამახასიათებელი ხშირი მცენარეული საფარით არის შემოსილი. ასეთია ციხისძირ-ბათუმს შორის მოქცეული მთელი სანაპირო ზოლი და არა გვგონია, არსებითად შეეცვალა ციხისძირის რელიეფი იქ XIX ს-ის 90-იან წლებში (1889—1895 წწ.) ბათუმის ნავსადგურის სამშენებლო მასალით მომარაგების მიზნით არსებულ ქვის კარიერებს[67]. გარდა ამისა, მოტანილ ცნობაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ქალაქი პეტრა მთლიანად და არა მარტო მისი აკროპოლისი კლდეზეა გაშენებული. მაშინ, როცა პეტრა-ციხისძირის იდენტიფიკაციის მომხრე მკვლევრები ციხისძირის ციხის ტერიტორიაზე გულისხმობენ პეტრას აკროპოლისს, ხოლო თვით ქალაქი ზღვისპირა დაბლობში, ბობოყვათ — ქობულეთ — ფიქვნარის მიმართულებით ეგულებათ[68], რაც არ შეეფერება პროკოპისეულ ჩვენებას, როცა ქალაქის მიუვალობაზე საუბრობს.

ინფორმაცია, პეტრას ლოკალიზაციას რომ უწყობს ხელს, სულ უფრო ვრცელი და მრავალფეროვანი ხდება პროკოპის ომების ისტორიის იმ ნაწილში, სადაც საუბარია სპარსელების მეორე შემოჭრაზე კოლხეთში და მათ წინააღმდეგ ამჯერად უკვე ლაზებისა და რომაელების ერთობლივ მოქმედე-

---

65 გეორგიკა. II. გვ. 83.
66 გეორგიკა. II. გვ. 85—86.
67 ვ. სიჭინავა. დასახ. ნაშრ. გვ. 42—43.
68 ს. ჯანაშია. შრომები. I, გვ. 42; ნ. ხოშტარია. ციხისძირი. 1962, გვ. 35; ვ. სიჭინავა. დასახ. ნაშრ. გვ. 25—26.

ბაზე, როგორც უშუალოდ პეტრასთან, ისე ლაზიკისა და იბერიის საზღვრებთან. საჭიროა ამთავითვე ითქვას, რომ პროკოპი კესარიელს წერის თავისებური მანერა გააჩნია. იგი, როდესაც რაიმე საკითხზე საუბრობს, ხშირად წმეტს მსჯელობას და რათა უფრო იოლი და უკეთ გასაგები გახდეს ეს საკითხი, აკეთებს ისტორიულ, ეთნოგრაფიულ თუ ისტორიულ-გეოგრაფიულ ექსკურსს იმ მხარისა და მისი შემოგარენის შესახებ, სადაც ვითარდება მოქმედება. ამჯერადაც არ ღალატობს იგი ჩვეულ ტრადიციას და დეტალურ აღწერას იძლევა ქ. პეტრასთან დაბანაკებულ და ლაზიკის ვიწროებში ჩასაფრებულ ლაზებისა და რომაელების წინააღმდეგ იბერიიდან მომავალი სპარსეთის ჯარის მარშრუტისას: რა გზით მიემართებიან ირანელები პეტრასკენ, ან რა გზით შემოვიდნენ ისინი ლაზიკაში, როცა მათ რომაელებისაგან გამდგარი ლაზები მიუძღოდნენ წინ. რათა უფრო იოლი გასაგები გახდეს ამ გზის მიმართულების გარკვევა, პროკოპი დეტალურად აღწერს გზაზე შემხვედრ მდინარეებს, მოგვითხრობს მათ ფიზიკურ თვისებებზე, მიმართულებაზე, საიდან იღებენ ისინი სათავეებს, სად არის მათი შესართავი, რომელი ქვეყნებისა თუ ტომების დასახლებათა მახლობლად მიედინებიან და სხვა. ყოველივე ეს ფასდაუდებელ ინფორმაციას იძლევა, ქალაქ პეტრას ლოკალიზაციისათვის რომ არის საჭირო.

სამაგალითოდ მოვიტანთ ამ რიგის ერთ ამონაწერს პროკოპის შრომიდან: „მდინარე ბოასი გამოდის სადღაც ჭანეთის საზღვრების მახლობლად არმენიელთა ადგილებში, რომლებიც ფარანგიონის მახლობლად ცხოვრობენ. თავში ის კარგა მანძილზე მარჯვნივ მიმდინარეობს. თხელია და არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს არავისათვის ფონში გასასვლელად ვიდრე იმ ადგილამდე, სადაც მარჯვნივ იბერთა საზღვრები არის, ხოლო პირისპირ კავკასიის მთა თავდება. აქ ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს. მათ შორის ალანებიც და აბაზგებიც, რომლებიც ქრისტიანები არიან და ძველითგანვე რომაელთა მეგობრები, აგრეთვე ზიქნიც და მათ შემდეგ ჰუნებიც, რომელთაც საბირები ეწოდება. მის შემდეგ, რაც ეს მდინარე მიაღწევს იმ ადგილს, სადაც კავკასიისა და იბერიის საზღვრებია, აქ რადგან მას ბევრი სხვა წყალიც ემატება, ის იზრდება ძალიან და, ნაცვლად ბოასისა ამიერიდან ფაზისად წოდებული, განაგრძობს მდინარეობას, ნაოსნობისათვის გამოსადეგია ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე, სადაც მისი შესართავია, და მის ორივე მხრით ლაზიკე არის. მაგრამ მარჯვნივ მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე ვიდრე იბერიის საზღვრებამდე დასახლებულია ადგილობრივი მოსახლეობით. ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი — იბერიის საზღვრებისაკენ. ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი. მდინარის მარცხნივ, ისეთ მანძილზე, რომელსაც ერთ დღეში გაივლის მსუბუქად დატვირთული კაცი, ლაზიკის საზღვრებია, ხოლო ეს მხარე მოსახლეობას მოკლებული ჩანს. ამ მხარის მეზობლად რომაელები ცხოვრობენ, რომელთაც პონტოელები ეწოდებათ. ლაზიკის მიწაწყალზე, იმ ადგილას, სადაც ადამიანს არასოდეს არ უცხოვრია, იუსტინიანე მეფემ ჩემს დროს ქალაქი პეტრა გააშენა. აქ იოანე ეგრეთ წოდებული ციბე მონოპოლიონის დამაწესებელი — როგორც ეს ჩემ მიერ ზემოთ იყო მოხსენიებული — ლაზთა განდგომის მიზეზი შეიქმნა. ქა-

ლაქ პეტრადან პირდაპირ რომ მიდიხარ სამხრეთისაკენ, გხვდება რომაელთა საზღვრები, აქ კი — ადგილები მჭიდროდ არის დასახლებული: ორზედ წოდებული და ათინა და ზოგი სხვა ვიდრე ტრაპეზუნამდე.

როდესაც ლაზები წინ მიუძღოდნენ ხოსროს, მათ გადავლეს მდინარე ფაზისი — ბოასი და ისე მივიდნენ პეტრაში, რომ ფაზისი მარჯვნივ ჰქონდათ, — იმიტომ, რომ მათ წინასწარ განჭვრიტეს, რომ მდინარე ფაზისის გადასასვლელად არც დრო და არც შრომა დასჭირდებოდათ მეტი, ხოლო ნამდვილად იმიტომ, რომ არ სურდათ სპარსელებისათვის ეჩვენებინათ თავიანთი საბინადროები, თუმცა ლაზიკე ყველგან, მდინარე ფაზისის როგორც აქეთა, ისე იქითა მხარეზე, გაუვალია. ქვეყნის ორსავე მხარეს უზარმაზარი კლდეებია, რომლებიც იქ დიდ მანძილზე ვიწროებს ქმნიან, ასეთ გზებს რომაელები „კლისურებს“ უწოდებენ ელინური გამოთქმით. მაგრამ რადგან მაშინ ლაზიკე დაუცველი აღმოჩნდა, სპარსელები მათ წინამძღოლ ლაზებთან ერთად სწრაფად გაჩნდნენ პეტრაში“[69].

როგორც ვხედავთ, მოტანილი ამონაწერი მრავალმხრივი ძვირფასი ინფორმაციის შემცველია პეტრას ლოკალიზაციის თვალსაზრისით. აქ ვხვდებით პირდაპირ მითითებას საძიებო ქალაქის ადგილმდებარეობის შესახებ, მოცემულია დასავლეთ კავკასიონის ზოგადი და ლაზიკის კონკრეტული ნაწილის აღწერილობა, საუბარია იბერიისა და რომაული სამფლობელოების საზღვრებზე და სხვა, მაგრამ ეს ცნობა განსაკუთრებით იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ პროკოპის აღწერილი აქვს ერთ-ერთი მდინარე, ე. წ. ბოას-ფასისი, რომლის თანამედროვე მდინარესთან სწორი იდენტიფიკაციის შემთხვევაში მყარი საყრდენი ორიენტირი გვექნებოდა ხელთ არა მარტო პეტრას, არამედ ქვეყნის საზღვრების, მისი ქალაქებისა და ციხეების განლაგების, გზების მიმართულებისა და სხვათა საჩვენებლად.

როგორც ცნობილია, დროთა განმავლობაში დიდი ცვლილებები ხდება ხალხთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. მაშინ, როდესაც ისპობა და ჩნდება ახალი სახელმწიფოები, ირღვევა ისტორიულად დადგენილი საზღვრები, ხდება ხალხთა გადასახლება, ინგრევა და ჩნდება ახალი ქალაქები და სხვა, სრულიად უცვლელი რჩება გეოგრაფიული ერთეულები: მთები, ზღვები, მდინარეები და სხვა, რომელთა ლოკალიზაცია უტყუარი ამოსავალია უკვე მისამართდაკარგული პუნქტების ადგილმდებარეობის დასადგენად.

სწორედ ასეთი, არსებითი მნიშვნელობა გააჩნია მოტანილ ცნობაში მოხსენებულ მდ. ბოასს. როგორც დავინახეთ, პროკოპი ამ მდინარის აღწერას იწყებს სათავიდან: „მდ. ბოასი გამოდის სადღაც ჭანეთის საზღვრების მახლობლად არმენიელთა ადგილებში, რომლებიც ფარანგიონის მახლობლად ცხოვრობენ“[70] — ვფიქრობთ, ძალზე ნიშანდობლივი აღწერაა მდინარის სათავისა. აქ დასახელებულია ჭანების საცხოვრისის საზღვრები, არმენიელთა ადგილები და ბოლოს ადგილი ფარანგიონი[71].

ფარანგიონს იხსენიებს პროკოპი რამდენჯერმე და ყოველთვის „ბოლონის“ სიმაგრესთან დაკავშირებით. ფარანგიონი ცნობილია ოქროს მადნებით და როგორც ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, სწორედ მის დასაცავად უნდა იყოს

---

69 გეორგიკა. II. გვ. 100—102.
70 იქვე. გვ. 100.
71 იქვე.

აგებული ციხე ბოლონი[72]. ნ. ადონცის აზრით, ფარანგიონი იგივეა, რაც სომხური „სპერ“, კლასიკური „სისპირისი“[73].

ასეთი ნიშანდობლივი მითითების შემდეგ ძნელია არ გავიზიაროთ ზემოდასახელებულ მკვლევრების აზრი, რომ მდ. ბოასი ახლანდელ ჭოროხს ეფარდებოდა[74]. აღსანიშნავია, რომ დიდი გეოგრაფოსი ვახუშტი ბატონიშვილიც მდ. ჭოროხის ერთ-ერთ სათავედ ისპირის მდინარეს თვლის[75].

მდ. ბოასის სათავეზე საუბრის შემდეგ პროკოპი დეტალურად აღწერს მდინარის მომდევნო ნაწილს, რომელიც კარგა მანძილზე მარჯვნივ მიმდინარეობს და ყველგან ადვილი გადასალახია, ვიდრე არ მიაღწევს იმ ადგილს, სადაც მარჯვნივ იბერთა საზღვრებია. აქ, რადგან მას ბევრი წყალიც ემატება, ის იზრდება ძალიან და, ნაცვლად ბოასისა, ამიერიდან ფაზისად წოდებული, განაგრძობს დინებას, ნაოსნობისათვის გამოსადეგია, ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე[76].

ჭოროხის პროკოპისეული აღწერილობა სავსებით წააგავს XIX ს-ის მოგზაურების ოსმან ბეისა[77] და დ. ბაქრაძის[78] ცნობებს ამ მდინარის შესახებ.

მდ. ჭოროხის კალაპოტი ბაიბურთამდე ფართოა და დინებაც შედარებით მდორეა დიდ მანძილზე, ართვინთან კი იგი ექცევა ვიწროებში, მთებთან — აჯირახსა და მეზლასთან — იცვლის მიმართულებას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ და დიდი სისწრაფით მიექანება ზღვისაკენ.

ჭოროხის მთავარი შენაკადებია თორთობის წყალი, ოლთისის წყალი, აჭარის წყალი, იმერხევის წყალი, მაჭახლის წყალი და სხვა. ართვინიდან ქვემოთ, მდინარეზე მთელი წლის მანძილზე მიმოდიან დიდი ზომის ნავები ანუ კიუკები, გარდა ზაფხულის დამდეგისა, როდესაც იწყება წყალდიდობა.

როგორც ჩანს, სწორედ ართვინთან გულისხმობს პროკოპი იბერიის საზღვრებს და სწორედ აქედან მოკიდებული, ღებულობს ფასისის სახელს წყალუხვი ბოას-ჭოროხი.

სხვა შემთხვევაში, ჭანების ტომის ადგილსაცხოვრისის აღწერისას პროკოპი კესარიელი ფასისის სახელით მოიხსენიებს ჭოროხის სათავესაც და მთლიანად მდინარესაც, რომელიც გამოდის ჭანეთის მთებიდან. „არმენიის ადგილებიდან პერსარმენიაში რომ მიდიხარ, მარჯვნივ არის ტავრი, მიმავალი იბერიაში და იქ მოსახლე ხალხებამდე, როგორც ეს მე ცოტა ზემოთ ვთქვი; ხოლო მარცხნივ მეტად დაქანებული, დიდ მანძილზე გაჭიმული გზა არის, და აღმართულია მეტად ციცაბო და მუდამ ნისლითა და თოვლით დაფარული მთები, საიდანაც გამოდის მდინარე ფაზისი და მიდის კოლხეთის ქვეყნისაკენ. აქ მოსახლეობენ ჭანების ტომი, თავიდანვე ბარბაროსები, რომელნიც არავის ქვეშევრდომები არ არიან, წინა ხანებში სანებად წოდებულნი“[79].

„მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ფაზისი ძველ ბერძნებში

---

72 გეორგიკა, III. გვ. 6, შენ. I.

73 Н. Адонцъ, Арменія въ эпоху Юстиніана, С-Петербургъ, 1908, с. 25, 52.

74 გეორგიკა. II. გვ. 107, შენ. I, ბ.

75 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941, გვ. 139.

76 გეორგიკა. II. გვ. 101.

77 Д. Чл. Османъ-бей. Лазистанъ. Известія Императорского Русского географического общества, т. X. С-Петербургъ, 1874, с. 356—364.

78 Д. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гуріи и Адчарѣ, с. 78.

79 გეორგიკა, II, გვ. 52—53.

ეწოდებოდა ოთხ მდინარეს: ყუბანს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში პიპანისის სახელით იყო ცნობილი. არაზანს ანუ არაქსს, ჭოროხსა და რიონს, და თვითეული მათგანის ასეთი სახელდებისათვის მონახულია სათანადო ინტერპრეტაციები ბერძენ მწერალთა ნაშრომებში"[80].

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედარებით უფრო ხშირად, ფაზისის სახელით მდ. ჭოროხი იხსენიება, რაც უმეტესწილად ცხადი ხდება ხოლმე იმის წყალობით, რომ ამ ფაზისის სათავედ სდებენ არმენიის, ან მოსხიკის მთებს. თუ ქსენოფონტეს არ ჩავთვლით, ამ სახელით იგი გვხვდება ძვ. წ. III საუკუნიდან ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე, დაწყებული ერატოსთენედან და გათავებული პროკოპი კესარიელით[81].

ამრიგად, პროკოპი კესარიელი არც პირველია და არც უკანასკნელი (ესტათე თესალონიკელი), რომელიც მდ. ჭოროხს ფასისის სახელით მოიხსენიებს. როგორც ჩანს, ტრადიცია, რომელიც ჭოროხს ფასისის სახელით მოიხსენიებდა, დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა და სავსებით სწორად ასახავდა რეალურად არსებულ ვითარებას. ჭოროხის ხეობა ხომ სწორედ ის ტერიტორიაა, რომელიც წყაროებში ფასიანთა ტომის საცხოვრებლად არის მიჩნეული[82].

ისიც უდავოა, რომ არსებობდა მეორე ფასისიც, რიონ-ფასისი და შესაძლოა, უფრო პოპულარულიც მის შესართავთან მოსახელე სავაჭრო ქალაქის არსებობის გამო. ამ ორ ფასისს ზოგჯერ ურევენ კიდეც ერთიმეორეში[83] ძველი ავტორები, განსაკუთრებით ისინი, ვინც მხოლოდ ლიტერატურული წყაროებით სარგებლობენ, მაგრამ ესეც იმის დასტურია, რომ არსებობდა რამდენიმე მოსახელე მდინარე, თორემ ერთის არსებობის შემთხვევაში აღრევა აზრობრივადაც სავსებით გამორიცხულია.

მკვლევართა დაკვირვებით, ფასი, რომლის შვილი იყო კოლხების ეთნარქოსი კოლხი, ღმერთი ყოფილა[84], რაც საფუძველს არ არის მოკლებული. თ. მიქელაძის აზრით, ფასი წყლის ღმერთი უნდა ყოფილიყო[85], ჩვენ კი იგი ადამიანის დამცველ, ბოროტ ძალებთან მებრძოლ, ხმელეთის მოურავ, ადამიანსა და ღმერთებს შორის კავშირის დამამყარებელ არწივისებურ ფრინველად გვესახება. საფიქრებელია, რომ სწორედ ეს ღვთაებაა წარმოდგენილი წინარე ანტიკური და ანტიკური ხანის ბრილის, სოხუმის, საირხის, ვანის, დაფნარისა და სხვა არქეოლოგიურ მასალებში თავმობრუნებული, ფრთაგაშლილი არწივის სახით.

უთუოდ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კოლხეთის ლეგენდარული მეფე აიეტი, რომელიც მზის შვილია, არწივის სახელს ატარებს. ინტერესმოკლებული არ არის ის ფაქტიც, რომ ჰესიხე ალექსანდრიელი, პონტოს ხალხებზე

---

80 მ. ბერძენიშვილი. ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის. თბ., 1969, გვ. 89; თ. მიქელაძე. ფასიანების სადაურობისა და ადგილსამყოფელის გარკვევის საკითხისათვის. — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 32. თბ., 1955, გვ. 31—32.

81 მ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ 93—94.

82 თ. მიქელაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 23—37.

83 ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეპაუმაძისა, თბ., 1961, გვ. 86.

84 თ. მიქელაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 34.

85 იქვე.

საუბრისას, ახსენებს რაღაც ფრინველს ფასის სახელწოდებით[86], და ისიც, რომ ქართულმა ფოლკლორმა ფართოდ შემოგვინახა ღვთაებრივი თვისებების მქონე, მითოლოგიური ფრინველი ფასკუნჯის სახით, მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით სხვა დროს.

ბიბლიოთეკა

სხვა საქმეა, ფასი ფრინველთა თუ წყლის ღვთაებაა, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ იგი კოლხური წარმართული პანთეონის ერთ-ერთი ბინადარი ჩანს, და შესაძლოა არა მარტო კოლხეთისა, არამედ მთელი კავკასიური სამყაროსი. მას, როგორც ღვთაებას, ამ გარემოში ეკუთვნის ყველაფერი ის, რაც კი საგანგებო ნიშნით არის გამორჩეული: სიმაღლით, სილამაზით, გემოვნებით, დინების სისწრაფით, წყალუხვობით და სხვა. ასეთი მთებია: რაჭაში ფასის მთა და იმავე სახელწოდების მთა აბასთუმანთან, სოფლები: ფასკაუ ყაბარდოში, ფასრაღი კვაისასთან (ჯეჯორას ხეობა), ფასანაური ხევში და მდინარეები: ფასის-ყუბანი, ფასის-არაქსი, ფასის-რიონი და ფასის-ჭოროხი ანუ ბოას-ფასისი.

სწორედ ეს უკანასკნელი, ბოას-ფასისია ის მდინარე, რომელიც პროკოპი კესარიელის ნიშანდობლივი აღწერილობის მიხედვით ზუსტად თავსდება ჭოროხის გეოგრაფიულ ჩარჩოებში და ყველა ის ფიზიკური და საგზაო-სატრანზიტი თვისებები გააჩნია, რაც ნიშანდობლივია თანამედროვე ჭოროხისათვის.

ასეთი დაშვების საწინააღმდეგოდ ხშირად მიუთითებენ პროკოპის შრომის კიდევ ერთ ადგილზე, სადაც ბოასის გაგრძელებად აკამფსისი ჩანს. ამ ცნობაში მოცემულია პონტოს სანაპიროს აღწერილობა, საუბარია ტრაპიზონის საზღვრებზე და მის ქალაქებზე — ტრაპეზუნდზე, სუსარმენეზე, რიზეზე და სხვა: „ამ ადგილების მარჯვნივ აღმართულია ჭანების მთები, რომელთა გადაღმა რომაელთა ქვეშევრდომი არმენიელები ცხოვრობენ. ამ ჭანეთის მთებიდან ჩამოდის მდინარე, სახელად ბოასი, რომელიც მის შემდეგ, რაც გამოივლის მრავალ ჭალას და შემოუვლის მთაგორიან ადგილებს, ლაზიკის სოფლების მახლობლად გასწევს და ერთვის ეგრეთწოდებულ ევქსინოს პონტოს, მაგრამ უკვე აღარ ეწოდება ბოასი. ვინაიდან, როდესაც ის ზღვის მახლობლად მიდის, იცვლის ამ სახელს და იქიდან სახელწოდებას მიირქმევს: სახელს ის თავის მიმდევართაგან იძენს. მას სხვათა შორის ადგილობრივი მცხოვრებლები აკამფსის უწოდებენ იმის გამო, რომ მისი დამორჩილება ზღვასთან შეერთების ადგილას შეუძლებელი ხდება, ვინაიდან ისეთი სისწრაფითა და სიმწვავით უერთდება და ისეთი დიდი ხმაურობით მიიწევს წინ, რომ ზღვის კარგა მოშორებით მიმდინარეც შეუძლებელს ჰქმნის ზღვაში შეცურვას; ასე რომ, პონტოს იმ ადგილას მცურავნი ვერც შიგ ლაზიკეში ახერხებენ შენავებას, ვერც იქიდან გამოსვლას და ვერც ახლოს გაცურვას. ვინაიდან არსად არ შეუძლიათ დაიმორჩილონ წყლის მდინარება, არამედ შორს უნდა ავიდნენ ზღვაში, სადმე შუა პონტოში მივიდნენ და ასე აიცდინონ მდინარის შესართავი. აი, ის, რაც მინდოდა მეთქვა მდინარე ბოასის შესახებ“[87].

როგორც მოტანილი ცნობიდანაც ჩანს, ამ მდინარის სათავე და ზემო წელი იგივე ბოასია, რომელზეც ადრეც ჰქონდა საუბარი პროკოპის. ეს არავისათვის არ არის საკამათო. რაც შეეხება მდინარის ქვემო წელს, იგი ამჯე-

---

86 В. Латышев. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. Т. I, вып. 3-й, с. 855.

87 გეორგიკა. II. 1965, გვ. 122—123.

რად ფასისის ნაცვლად აკამფსისის სახელით იხსენიება. უფრო სწორად, მთლიანად ქვემო წელი კი არა, არამედ უშუალოდ შესართავი მონაკვეთი, აბა, დავაკვირდეთ თხრობის ამ ნაწილს: „... რომელიც მას შემოვლილი გამოივლის მრავალ ჭალას და შემოუვლის მთაგორიან ადგილებს, ლაზიკის სოფლების მახლობლად გასწევს და ერთვის ეგრეთწოდებულ ევქსინოს პონტოს, მაგრამ უკვე აღარ ეწოდება ბოასი. ვინაიდან, როდესაც ის ზღვის მახლობლად მიდის, იცვლის ამ სახელს და იქიდან სხვა სახელწოდებას მიირქმევს: სახელს ის თავის მიმდევართაგან იძენს. მას სხვათა შორის ადგილობრივი მცხოვრებლები აკიმფსისს უწოდებენ"[88]. როგორც ჩანს, აკამფსისი ბოასის სულ ბოლო მონაკვეთს ეწოდება, შესაძლოა, იმ წერტილიდან მოყოლებული, როცა იგი ორ ტოტად იყოფა. საგულისხმოა, რომ კ. მიულერის დაკვირვებით, აკამფსისი ეწოდებოდა ჭოროხის აღმოსავლეთ ტოტს, დასავლეთი ტოტი კი მდ. აფსაროსია[89]. იქნებ სწორედ ეს ტოტი იგულისხმება პროკოპის გამოთქმაში — „სახელს ის თავის მიმდევართაგან იძენს"-ო[90].

ლექსიკოგრაფი სვიდას მიხედვით, აკამფსისი ქალაქის სახელია[91].

ასევე საყურადღებოა, რომ აკამფსისი ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ გაგებულია, როგორც „ფას" ფუძიანი ტოპონიმი. პავლე ინგოროყვას მიხედვით, ჭოროხის ისტორიული სახელწოდების აკამ-ფსისის პირველადი ვარიანტი უნდა იყოს აკამ-ფასისი[92]. ანალოგიურ დასკვნამდე მიდის პროფ. თ. მიქელაძე „ფას" ფუძიანი სახელების გავრცელების საზღვრების დადგენისას. მისი აზრით, აკამ-ფსისი ანუ აკამ-ფასისი იგივე მდ. ჭოროხია[93].

ჩვენი დაკვირვებით, ასევე „ფას" ფუძე უნდა ედოს საფუძვლად მდ. ჭოროხის მარცხენა ტოტის აფსაროსის სახელწოდებას — ა-ფასარო-სი ან ო-ფასარუ-სი, სადაც თუ თავსართი ა//ო ქართული სა პრეფიქსის შესატყვისია, იგი უნდა ნიშნავდეს ფასის კუთვნილ ან ფასიანელების კუთვნილ მდინარეს. თუ ეს ასეა, მაშინ პროკოპი კესარიელის შრომის ეს ადგილიც ისე უნდა გავიგოთ, რომ ამ შემთხვევაშიც მდ. ბოასის გაგრძელება კვლავ სახენაცვალი ფორმებით წარმოდგენილი მდინარე ფასისია. ინტერესს არ არის მოკლებული აგრეთვე პროკოპის ცნობის კიდევ ერთი ადგილი, სადაც განმარტებულია, თუ რატომ უწოდებენ მდინარე აკამფსისს ასე: „მას, სხვათა შორის, ადგილობრივი მცხოვრებლები აკამფსისს უწოდებენ იმის გამო, რომ მისი დამორჩილება, ზღვასთან შეერთების ადგილას, შეუძლებელი ხდება..."[94] აქედან გამომდინარე, აკამფსისი მდინარის საკუთარი სახელი კი არ არის, არამედ ზედსართავი სახელია, რაც ბოასის გარკვეული მონაკვეთის ფიზიკურ თვისებას ასახავს.

საგულისხმოა აგრეთვე წყაროში ხმარებული გამოთქმა — „სხვათა შორის ადგილობრივი მცხოვრებლები აკამფისის უწოდებენ". კონტექსტის მი-

---

88 გეორგიკა II. გვ. 123.

89 ENG V, 174 (ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 64) მიხედვით.

90 გეორგიკა. II, გვ. 122.

91 გეორგიკა, VI. ნაკვ. 2; ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული განმარტებებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ., 1952, გვ. 312.

92 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 184.

93 თ. მიქელაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 31—32.

94 გეორგიკა. II. გვ. 129.

ხედვით, ეს ისე უნდა გავიგოთ, თითქოს პროკოპი დარწმუნებულია, რომ მისმა მკითხველმა იცის ამ მდინარის ნამდვილი, ოფიციალური სახელი და აქვე, სხვათა შორის, დამატებით გვაცნობს მდინარის ადგილობრივ, კუთხურ, შინაურ სახელსაც. ანდა მეორე, პროკოპის ამით სურს მკითხველს შეახსენოს ხსენებული მდინარის ადრინდელი, ლიტერატურული სახელი, რითაც კიდევ ერთხელ ამახვილებს მის ყურადღებას, რომ მან იცოდეს: მის მიერ აღწერილი ბოას-ფასისი თუ ბოას-აკამფსისი ეს ის მდინარეა, რომელსაც მისი წინამორბედი მწერლები (ფლავიუს არიანე, პლინიუსი, კლავდიოს პტოლემაიოსი) ძველად აკამფსისს უწოდებდნენ.

ამასთანავე, ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ მდ. ჭოროხის ხეობა, ანტიკური ხანიდან მოკიდებული მაინც, დასახლებული იყო არაერთი ეთნიკური ჯგუფით, როგორიც არიან ფასიანელები, არმენიელები, ჭანები, ლაზები, იბერ-მესხები, ბიძერ-ზიდრტები და სხვ. ამდენად, გამორიცხული არ არის ცალკეულმა ასეთმა ეთნიკურმა ჯგუფმა თავისი შეხედულებისამებრ შეარქვა მდინარის ცალკეულ ნაწილებს განსხვავებული საკუთარი სახელი, ისე როგორც ენგურს სხვადასხვა სახელს უწოდებენ სვანები და მეგრელები, თერგს — მოხევეები და ჩერქეზები[95], ბზიფს — სვანები და აფხაზები[96] და ა. შ. ანალოგიური ტრადიცია კიდევ უფრო ფართოდ ყოფილა გავრცელებული XIX ს. ბოლო მეოთხედშიც კი მდ. ჭოროხის ზემო წელის შენაკადთა ხეობებში. გ. ყაზბეგი, რომელმაც იმოგზაურა შავშეთში და ლაზეთში, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აქაურ მდინარეებს არ გააჩნიათ ერთი საერთო სახელი, მათ ყოველი სოფელი, გარკვეული საგნისა თუ ნიშნის მიხედვით, აძლევს საკუთარ სახელს[97].

არ არის გამორიცხული ასეთივე ვითარებასთან გვქონდეს საქმე პროკოპის დროსაც. მაგრამ, ასეა თუ ისე, ერთი კი ცხადია, რომ მისი ფასისი, ბოას-ფასისი და ბოას-აკამფსისი ერთი და იგივე მდინარეა და უფრო თანამედროვე მდ. ჭოროხს შეესატყვისება, ვიდრე რიონ-ფასისს, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი ჩვენი წინამორბედი მკვლევარი.

აკად. ს. ყაუხჩიშვილი, ეკამათება რა ჰიუფშმანს, ასეთი დაშვების უარსაყოფად ყურადღებას ამახვილებს პროკოპის ცნობის ერთ ადგილზე, სადაც ნათქვამია: „მას შემდეგ, რაც ეს მდინარე მიაღწევს იმ ადგილს, სადაც კ ა ვ კ ა ს ი ი ს ა დ ა ი ბ ე რ ი ი ს ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი ა, აქ..., ნაცვლად ბოასისა ამიერიდან ფაზისად წოდებული განაგრძობს მდინარებას“ და დასძენს, რომ ასეთი საზღვრები „ჭოროხის ხეობაში საძიებელი არ არის...“, რაშიც ვერ დავეთანხმებით პატ. მკვლევარს. როგორც ჩანს, მას უმთავრესად მხედველობაში აქვს და უადგილოდ ეჩვენება აქ კავკასიის საზღვრების მოხსენიება, თორემ მან კარგად იცის, რომ სწორედ ჭოროხისა და მისი შენაკადების შუა და რამდენადმე ქვემო წელზე უნდა გასულიყო იბერია-ლაზიკის საზღვარი, სადაც ადრე შუასაუკუნეებში ჩამოყალიბდა ტაოსა და კლარჯეთ-შავშეთის სა-

---

95 ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 66; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ისტორიის საკითხები, ტ. VIII, 1975, გვ. 72.

96 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 55—57; ვ ა ხ უ შ ტ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 172—173.

97 Г. Казбек. Три мѣсяца въ Турецкой Грузии, Изъ дневника путешественника. Тифлис, 1875, с. 27.

მეფო-სამთავროები[98]. რაც შეეხება კავკასიის საზღვრების ხსენებას, აქ შეიძლება ასეთი ახსნა მოეძებნოს. ჯერ ერთი, იქნებ პროკოპის თავდაპირველად ეწერა „იქ, სადაც კავკასიის იბერიის საზღვრებია“, და გვიანი ხელნაწერების წერებმა კავკასია — იბერიის შუა შეცდომით ჩასვეს „და“ კავშირ[illegible] საძლოა ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ხშირად, პროკოპი იშველიებს ლიტერატურულ ცნობებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ძვ. წ. V—IV სს. ლოგოგრაფოსი ჰეროდორე, რომლის მიხედვით „კავკასია არმენიელთა ქვეყნიდან. კოლხთა [მხარემდეა] გადაჭიმული...“[99] ვფიქრობთ, ასეთი შესაძლებლობა არ არის გამორიცხული, ყოველ შემთხვევაში, კიდევ უფრო გაუგებარია „კავკასიის“ საზღვრების ძიება ყვირილა-რიონის შესართავის მიდამოებში, რომელსაც არაფერი აქვს საერთო არც არმენიელთა და არც ჭანების სამოსახლოებთან, საიდანაც პროკოპისა და არაერთი სხვა ავტორის ცნობით ბოას-ფასისი იღებს სათავეს. მიუღებლად გვეჩვენება აგრეთვე ყვირილა-ფასისის და ბოას-ფასისის გაიგივება იმ საფუძველზე, რომ Βόας ბერძნულად ყვირილს ნიშნავს და ამდენად შეიძლება ბოასი ყვირილას თარგმანი იყოს[100].

სავსებით შესაძლებელია ბოასი, მართლაც, თარგმანი იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ზემო იმერეთის მდინარე ყვირილას სახელწოდების თარგმანთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე, არამედ ჭანეთის ყვირილასთან ანუ ჭოროხის სათავეებთან. როგორც ჩანს, ძველად ასევე უნდა რქმეოდა ჭოროხის ზემო წელს, რაზეც მიგვანიშნებს იმერხევისა და ამდენად, მდ. ჭოროხის ერთ-ერთი მარჯვენა შენაკადის მდ. ყვირილას სახელწოდება და აქვე ამავე სახელწოდების (ყვირილა) უღელტეხილისა და სოფლის არსებობა.

გ. ყაზბეგის აღწერილობით, მდ. ყვირილა სათავეს იღებს არსიანის ქედიდან, რომელიც დასავლეთითაა მიმართული, ეკუთვნის იმერხევს და ართვინს, ზემოთ მიერთვის მდ. ჭოროხს. მისი ხეობა მდიდარია თბილი, გოგირდოვანი და მჟავე წყლებით და მინერალური რესურსებით[101].

ერთი სიტყვით, ჭოროხის ხეობაშიც, მართალია, სათავეებთან კი არა, შუაწელზე, მაგრამ მაინც დამოწმებულია ჰიდრონიმი ყვირილა და ტოპონიმები: სოფ. ყვირილა და უღელტეხილი ყვირა[102], რაც გარკვეულად უკავშირდება ბოასის სახელწოდებას. ჩვენი აზრით, ხსენებული ტოპონიმები ეთნიკური წარმომავლობისაა და დაკავშირებული უნდა იყოს ოკენიტის ჭანების სახელწოდებასთან. პროკოპი კესარიელი არმენიელთა მეზობელი ჭანების აღწერისას, საუბრობს რა მათი ცხოვრების მძიმე პირობებზე და მათი მთების შეუვალობაზე, დასძენს: „აქ ქვეყანა სამ ჯვარედინ გზად არის დასერილი. აქედან იწყებენ ხომ გაყრას რომაელთა, პერსარმენიელთა და თვით ჭანთა საზღვრები. აქ იუსტინიანემ ძალიან მტკიცე ციხე ააგო, რომლებიც წინათ არ ყოფილა, სახელად ჰ ო რ ო ნ ო ნ ი, და ამით საფუძველი ჩაუყარა ზავის საქმეს. პირველად ხომ აქედან გახდა შესაძლებელი ჭანეთში შესვლა, აქვე ჩააყენა ჯარის მთავარი, რომელსაც დუკს ეძახიან. ერთ სოფელში, რომელიც ჰორონონისაგან ორი დღის სავალი გზით არის დაშორებული, და სადაც საზღვრებია ეგრეთწოდე-

---

98 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II. 1980, გვ. 155—205, რუკ. IV, V.

99 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ. — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 35, 1963, გვ. 32.

100 გეორგიკა. II. 1965, გვ. 108. შენ. 1 გ.

101 Г. К а з б е к. Указ. соч. С. 50—59.

102 იხ. საქართველოს სსრ რესპუბლიკის რუკა, 1931 წ.

ბული ოკენიტის ჭანებისა (ჭანები ხომ მრავალ ტომად განიყოფებიან) ...გა-ლმა მთის ძირას ბოსლებია, სადაც ეგრეთწოდებული ოკენიტის ჭანების სა-ქონელია მოთავსებული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქონელს ისინი ინახავენ იმისათვის, რომ წველონ ... ხორცით გამოიკვებონ თავი. შემდეგ მთის ძირისა, სადაც დავაკებულ ადგი-ლას სოფელი კენა არის, დასავლეთის მიმართულებით რომ იარო, არის ერთი ციხე, სახელი მისი სისილისსონი"[103].

ამრიგად, პროკოპი კესარიელი ჭოროხის აუზში, მის სათავეებთან მოიხსე-ნიებს ოკენიტის ჭანებს, რომლებსაც ეკავათ ღართის ველი და ხალდო-ძორი ანუ ხალდის ხეობა[104]. ტერმინში ო კ ე ნ ი ო თავსართს ქართული სა პრეფი-ქსის შესატყვისად მიიჩნევენ, შესაბამისად, ო კ ე ნ ი ნიშნავს ს ა კ ე ნ ო ს, ე. ი. კენებით თუ კიანებით დასახლებულ მხარეს[105].

Kyanos-ის სახელწოდებით ბერძენი, რომაელი და ბიზანტიელი მწერლე-ბი (პტოლემაიოსი, პლინიუსი, სტეფანე ბიზანტიელი) აღნიშნავენ კოლხეთის ერთ-ერთ მდინარეს, რომელსაც უპირატესად მდ. ჰიპოსთან და ფასისთან კავ-შირში ახსენებენ[106]; ეს მდინარე, ჩვენი აზრით, უნდა იყოს მდ. ყვირილა.

საკითხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არქანჯელო ლამბერ-ტის ერთ ცნობას, სადაც ნათქვამია: „ხოფის შემდეგ რომ მდინარეა, მკვიდრნი უწოდებენ მას ჭანისწყალად და რუკებზე კი იწერება Cianis. ეს მდინარე შე-ერთვის ხოფს და ამასთან ერთად შეერთვის ზღვას. ჩვენი აზრით, ეს სახელი იმიტომ ეწოდება ამ მდინარეს, რომ მასთან მოდის სავაჭროდ თავისი პატარა ნავებით და ჩერდება ერთი მეზობელი ხალხი, რომელსაც ჰქვია ჭანი"[107]. რო-გორც სწორად შენიშნავს თ. მიქელაძე, აქ მთავარია არა ავტორისეული ეტი-მოლოგია, არამედ ფაქტიური ხასიათის ცნობა, რომ Cianis ჭანის წყალს აღნიშნავს და, მაშასადამე, კიანოს ჭან ეთნიკური სახელის შესაბამის ფორმა-დაა მისაჩნევი[109].

როგორც ჩანს, კაინ//კენ//კიანის//კიანოს ჭანთა ეთნიკური სახელის უძვე-ლესი ფორმაა და მათ სამოსახლოს შესაბამისად შეერქვა ასეთი სახელი — კენ//კიამოს. ე. ი. ეთნონიმი იქცა გეოგრაფიული ერთეულების — მდინარის, სოფლის, უღელტეხილისა და ა. შ. — სახელად. უნდა ვიფიქროთ, რომ დროთა განმავლობაში დავიწყებული იქნა ამ ტოპონიმების ეთნიკური წარმომავლო-ბა, და რამდენადაც მეგრულ ანუ ლაზურ-ჭანური კიანი კივილსა და ყვირილ-საც ნიშნავს[109], ქართულენოვანი ჯგუფების მიერ იგი გაგებული იქნა, როგორც ყვირილი//ყვირილა, ხოლო ბერძნებმა თარგმნეს ბოასის შინაარსით.

ამრიგად, რამდენადაც სწორედ ჭოროხი იღებს სათავეს ჭანების ანუ

---

103 გეორგიკა, II. 1934, გვ. 187—188.

104 Н. Адонцъ. Арменія о эпоху Юстиніана. Спб., 1980, с. 62—63.

105 თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ზოგიერთი საკითხი — მაცნე. I. 1967, გვ. 91.

106 Plin., N H, VI, 13; ნ. ლ ო მ ო უ რ ი. კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო". — ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 45; გეორგიკა. III. გვ. 274; თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 106—107.

107 ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი. სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938 გვ. 175.

108 თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 101.

109 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბ., 1938, გვ. 298.

კენ//კიანების ტერიტორიიდან, ბუნებრივია, იმთავითვე სწორედ მას შერქმეოდა კიანიოსის ანუ იგივე ბოასის სახელი[110].

ბოას-ფასისი რომ ნამდვილად მდ. ჭოროხია და არა ყვირილა, როგორც ეს ადრე იყო გაგებული, ამას კიდევ ერთხელ მოწმობს ბერძენ-რომაელ სარიელის შრომის არაერთი ადგილი. ეს ეხება ლაზებისა თუ მისი მეზობელი ტომების განსახლებას, ლაზების ქალაქებისა და ციხეების დახასიათებას თუ სპარსეთის ჯარის სალაშქრო მარშრუტების აღწერილობას, პეტრას წინააღმდეგ რომ მიემართებიან.

ყოველივე თქმულის ნათელსაყოფად მივყვეთ და თანმიმდევრულად განვიხილოთ ეს ადგილები, როგორც მდ. ჭოროხთან, ისე რიონ-ყვირილასთან კავშირში.

პროკოპი კესარიელი შრომის იმ ნაწილში, სადაც საუბარია ხოსროს მიერ ქ. პეტრას აღებისა და შემდეგ რომაელთა (დაგისთეს ხელმძღვანელობით) და სპარსთა (მერმერიეს სარდლობით) ჯარების ახალი კონცენტრაციის შესახებ, იძლევა ცნობებს მდინარე ბოასის, ლაზთა დასახლებული ადგილების — მათი ქალაქებისა და ციხე-ქალაქების — შესახებ: „...ბოასი, ამიერიდან ფაზისად წოდებული, განაგრძობს მდინარებას ნაოსნობისათვის გამოსადეგი ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე, სადაც მისი შესართავია, და მის ორივე მხრით ლაზიკე არის. მაგრამ მარჯვნივ მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე ვიდრე იბერიის საზღვრებამდე დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით. ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი — იბერიის საზღვრებისაკენ. ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი. მდინარის მარცხნივ, ისეთ მანძილზე, რომელსაც ერთ დღეში გაივლის მსუბუქად დატვირთული კაცი, ლაზიკის საზღვრებია, ხოლო ეს მხარე მოსახლეობას მოკლებული ჩანს. ამ მხარის მეზობლად რომაელები ცხოვრობენ, რომელთაც პონტოელები ეწოდებათ. ლაზიკის მიწა-წყალზე, იმ ადგილას, სადაც ადამიანებს არასოდეს არ უცხოვრიათ, იუსტინიანე მეფემ ჩემს დროს ქალაქი პეტრა გააშენა“[111].

მდ. ფასისის ნაპირებზე ლაზების დისპროპორციული განსახლების ასეთივე სურათს იძლევა პროკოპის შრომის სხვა ადგილიც, სადაც საუბარია ევქსინის პონტოსპირა ხალხებსა და მათ მეზობლებზე.

„...ზოგიერთები ამბობენ (გულისხმობს ესქილეს, ჰეროდოტეს), რომ აქ ფაზისი ორად ჰყოფს ხმელეთს. ჩამომდინარე წყლის მარცხნივ არის აზია, ხოლო მარჯვნივ ევროპად იწოდება. ევროპის ნაწილშია ლაზთა ყველა

---

110 არ არის გამორიცხული, რომ ასევე ჭანების განსახლების ფარგლებში უნდა ყოფილიყო მოქცეული რაჭა-ერწოს მთიანეთი, საიდანაც სათავეს იღებს ყვირილა, და აფხაზეთის მაღალმთიანი ზოლიც, სადაც ე. წ. „აწანგვარებია“ გავრცელებული, რომლებიც წარმოადგენენ ყორულად ნაგებ ქვის ოთხკუთხა და მრგვალ, დაბალ ნაგებობებს. აკად. ს. ჯანაშია „წანიგუარას“ თარგმნის როგორც „წანის სადგომს“, ხოლო წანს ჭანურ ტომად მიიჩნევს (იხ. მისი თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, გვ. 195, 196). ნიშანდობლივია, რომ ეს „წანიაგურები“ განსაკუთრებით თავმოყრილია მდ. საკენის ხეობაში (იხ. თ. მიქელაძე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 92—93, შენ. 34).

111 გეორგიკა. II. გვ. 100—101.

საბინადრო ადგილი, ხოლო მეორე ნაწილში არც რაიმე ქალაქი აქვთ ლაზებს, არც სიმაგრე და არც დაბა მოხსენიების ღირსი, გარდა იმისა, რომ რომელებმა იქ პეტრა ააშენეს წინათ"[112].

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, პროკოპის შრომის აქ მოტანილი ორივე ადგილი ნაარსობრივად ერთგვაროვანია და ძალზე საინტერესო, მრავალფეროვან ინფორმაციას იძლევა ლაზიკის ისტორიისა და განსაკუთრებით ისტორიული გეოგრაფიისათვის. აქ საუბარია ლაზიკის სამხრეთ საზღვარზე, ციხე-ქალაქთა რაგვარობაზე, მათ განლაგებაზე, მოსახლეობის განსახლებაზე და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ შრომის ეს ნაწილია ე. წ. „შეცდომებითა" და ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებით სავსე, რაც პროკოპისადმი და საერთოდ, ბერძენ მწერალთა ცნობებისადმი სკეპტიკურად განაწყობს მკვლევართა დიდ ნაწილს. აკად. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „ეს ცნობები ბევრგან არეულია, ერთიმეორეს არ ეთანხმება, ან ჩვენს თანამედროვე საისტორიო მწერლობაში შემოწმებული არაა"[113]. აკად. ნ. ბერძენიშვილი მისთვის დამახასიათებელი მთელი სიღრმე-სიგანით იხილავს ადრებიზანტიური ხანის ლაზიკის ისტორიის საკითხებს და საერთოდ, ნდობას უცხადებს პროკოპის ცნობებს საქართველოს რომ ეხება, მაგრამ საკამათო ადგილების შესახებ შენიშნავს, რომ როგორც „ჩანს (პროკოპი) შტაბში წარმოდგენილი მოხსენების საფუძველზე ადგენს თავის მოთხრობას და ერთიმეორეში ურევს ცნობებს..."[114] და იქვე მიგვითითებს, რომ მეტი სიფრთხილით მოვეკიდოთ ბერძენ მწერალთა ცნობებს[115].

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროფ. დ. მუსხელიშვილის, როგორც ისტორიული გეოგრაფიის წამყვანი სპეციალისტის, შეხედულებას პროკოპი კესარიელის ცნობების რაობა-ღირებულების შესახებ, მით უფრო, რომ იგი საგანგებოდ ჩერდება მოტანილი ცნობების საჩოთირო ადგილებზე და მას შემდეგ, რაც ნდობას უცხადებს პროკოპი კესარიელს, როგორც კომპეტენტურ ისტორიკოსს, იქვე დასძენს, რომ „რიონის მარცხენა ნაპირის სრული დაუსახლებლობის შესახებ მისი აზრი შეცდომა უნდა იყოს"-ო[116], რასაც ფაქტიური მასალით ადასტურებს[117].

განსაკუთრებით საყურადღებოა დ. მუსხელიშვილის სახელმძღვანელო დებულება, სადაც ნათქვამია, რომ „პროკოპი კესარიელის ზემოხსენებულ ჩვენებებზე დამყარებული წარმოდგენა მარცხენა რიონისპირეთის დაუსახლებლობის შესახებ ადრებიზანტიურ ხანაში, ფაქტიურად, შესაძლებელია ამ ჩვენებათა არასწორი ინტერპრეტაციის შედეგი იყოს"-ო, რაშიც შეუძლებელია არ დავეთანხმოთ პატ. ავტორს.

როგორც უკვე ითქვა, ჩვენი მთავარი შეცდომა ის არის, რომ პროკოპისეული ბოას-ფასისი არასწორადაა გაგებული, როგორც ყვირილა-რიონი.

პროკოპის ცნობით, ფაზისის მარჯვენა ნაპირზე „მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე ვ ი დ რ ე ი ბ ე რ ი ი ს ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა მ დ ე დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით"[118]. თუკი ფასისი რიონია, როგორც ეს ამჟამად

---

112 გეორგიკა. II. გვ. 127.

113 იქვე. გვ. 97.

114 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები. 1975, გვ. 476.

115 იქვე. გვ. 446.

116 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. თბ., 1977, გვ. 102.

117 იქვე. გვ. 103—104.

118 იქვე. გვ. 100.

არის მიღებული, სრულიად გაუგებარია, რა უნდა რიონის მარჯვნივ იბერიის საზღვრებს; როგორც ანტიკური, ისე ბიზანტიური და მომდევნო ხანებისათვის ასეთი საზღვრების ძიება რიონის მარჯვენა ნაპირზე უაზრობაა. რა მმართველებითაც არ უნდა წავიდეთ, რამდენიც არ უნდა ვიაროთ რიონის მარჯვენა ნაპიროზე ვერც ერთ წერტილში იბერიის საზღვრებს ვერ მივადგებით. ძით უფრო, ვიცით, რომ პროკოპისავე არაერთგზის ჩვენებით ასეთი სასაზღვრო ხაზი, ხსენებული დროისათვის, სკანდა-შორაპანთან გადის[119]. ეს პირდაპირ არის მითითებული პროკოპის ცნობის იმ ნაწილში, სადაც საუბარია ფასისის მარჯვენა ნაპირზე გაშენებულ ქალაქებზე და ციხეებზე: „მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი — იბერიის საზღვრებისაკენ. ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი"[120]. როგორც ცნობილია, როდოპოლისი თანამედროვე ვარციხეა რიონისა და ყვირილა-ხანისწყლის შესართავთან, მოხირისს კი დაბლაგომთან ვარაუდობენ[121]. ე. ი. ორივე ეს ქალაქი რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს, რომ არაფერი ვთქვათ სკანდასა და შოროპანზე. პროკოპის ცნობის მიხედვით კი, ისინი მდ. ფასისის მარჯვენა სანაპიროზეა მითითებული. აქაც აშკარა შეუსაბამობაა ფასის-რიონის მიმართ. ჯერ კიდევ იუსტინიანეს ნოველების ავტორმა იცის, რომ „არქეოპოლისი და როდოპოლისი, უდიდესი და ძველი სიმაგრეებია"[122], ხოლო შემდეგ პროკოპი კესარიელი პირდაპირ მიუთითებს და ხაზს უსვამს, რომ „ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი"[123]. ყოველივე ეს იცის პროკოპიმ, უფრო სწორად, მისმა ინფორმატორმა. მაგრამ, თუ ეს ფასისი რიონია, მაშინ შეცდომას უშვებს, როცა მათ მდინარის მარჯვენა ნაპირის ქალაქებად მიიჩნევს, რაც ნაკლებად სარწმუნოა. აქაც ისეთივე დასკვნა უნდა გაკეთდეს, როგორიც ლაზიკა-იბერიის საზღვრებთან დაკავშირებით მივიღეთ, კერძოდ, ამ ეტაპზე პროკოფის ფაზისი რიონი არ არის.

საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს განსაკუთრებით აღელვებთ პროკოფის ცნობის ის ადგილი, სადაც საუბარია მდ. ფასისის მარცხენა სანაპიროზე, რომელიც „მოსახლეობას მოკლებული ჩანს[124] და ამ „...ნაწილში არც რაიმე ქალაქი აქვთ ლაზებს, არც სიმაგრე და არც დაბა მოხსენიების ღირსი"[125].

თუ პროკოპისეული ფასისი თანამედროვე რიონია, საქმე ეხება იმერეთის დიდ ნაწილს, მთელს გურიასა და აჭარას, ე. ი. ისტორიული კოლხეთის საუკეთესო ნაწილს, სადაც როგორც უკანასკნელი დროის არქეოლოგიური ძიების შედეგები მოწმობენ, აღმოცენდნენ ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ქალაქური ცენტრები: ვანი, დაბლაგომი, ფასისი, ფიქვნარი და აფსარისი, რომ არაფერი ვთქვათ ამ ტერიტორიებზე გამოვლენილ უფრო ადრეულ ძეგლებზე — ქვის ხანიდან მოკიდებული ბრინჯაო-რკინის ხანის ჩათვლით. ყვე-

---

119 გეორგიკა, II, გვ. 35—36; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 105.
120 იქვე. გვ. 101.
121 იქვე. გვ. 208, შენ. 1.
122 იქვე. გვ. 35—36.
123 იქვე. გვ. 101.
124 გეორგიკა. II. გვ. 101.
125 იქვე. გვ. 127.

ლა ეპოქაში ეს მხარე საკმაოდ დაწინაურებული ჩანს როგორც ეკონომიკურად, ისე კულტურულად და პოლიტიკურად. აკად. ნ. ბერძენიშვილი ლაზიკის ისტორიულ-გეოგრაფიულ საკითხებზე მსჯელობისას არაერთხელ ეხება ამ მხარეს და ხაზს უსვამს მის ძველ მორწმულობას[126]. მისი აზრით, „ეს ის ადგილია, რომელიც თავდაპირველად ჰეგემონობდა და მათი „ქვეყნიერ-ეკონომიკური ცენტრებით საზოგადოებრივ-სამეურნეო, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ლოგიკური გამოხატულებაა[127]. ნ. ბერძენიშვილის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ უფრო გვიან, ე. ი. პროკოპის დროს, ჰეგემონობა ჩრდილოეთის, ე. ი. რიონის მარჯვენა სანაპიროს ხელში უნდა იყოს გადასული, მარცხენა სანაპიროზე მაინც „შემორჩენილა“ და ისევ ყვავის ვარდციხე მისი „ქვეყნით“[128]. აქვე ასახელებს იგი ტელეფისის ციხეს, ვაშნარს, ათასგზის წონის და ზომავს, პროკოპის ხსენებული ცნობის წინააღმდეგობის მრავალგვარ ახსნას იძლევა, მაგრამ აშკარად იგრძნობა, რომ თვითვე არ არის კმაყოფილი მიღებული დასკვნებით[129].

როგორც ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ, პროკოპის ცნობა, ფასისის მარცხენა სანაპიროს რომ შეეხება, საგანგებოდ განიხილა პროფ. დ. მუსხელიშვილმა და წერილობითი და მატერიალური მასალის მოშველიებით დაასაბუთა, რომ აქ შეცდომაა დაშვებული და რიონის მარცხენა სანაპირო პროკოპის დროსვე საკმაოდ დასახლებული და ათვისებული ჩანს[130]. ამ მიზნით მან პირველ რიგში გამოიყენა ისევ პროკოპის თანამედროვე და უშუალო გამგრძელებლის აგათია სქოლასტიკოსის ცნობები, რომლის მიხედვით რიონის მარცხენა სანაპიროზე არსებობდა ტელეფისის ციხე (აიგივებდნენ სოფ. ტოლებთან)[131], ქოთნების სავაჭრო ადგილი ე. წ. ქიტროპოლია, მთელი რიგი პატარა ქალაქები[132], ციხე-ქალაქი ფასისი (დღ. ფოთი) თავისი სოფლებით[133], და „ქრისტიანეთა შორის ძალიან განთქმული ტაძარი, რომელიც ქალაქს ბევრად არ იყო დაშორებული“[134]. ბუნებრივია, ასეთი „სახელგანთქმული ტაძარი“ უდაბურ ადგილზე არ იქნებოდა აგებული[135].

არქეოლოგიური ძეგლებიდან იგი უთითებს ასევე ადრებიზანტიური ხანით დათარიღებული ტოლების ციხეზე[136] და გურიის სოფ. შუხუთში აღმოჩენილ IV—V სს. წარჩინებული ლაზის აგარაკზე[137].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დ. მუსხელიშვილი სავსებით სწორად დაასკვნის, რომ ლაზეთის რიონის მარცხენა სანაპირო საკმაოდ მჭიდროდ ჩანს დასახლებული ამ ხანაშიც[138], რაშიც შეუძლებელია არ დაეთანხმო-

---

126 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 446.
127 იქვე. გვ. 447.
128 იქვე. გვ. 446.
129 იქვე. გვ. 472—479.
130 იქვე. გვ. 102—104.
131 აგათია სქოლასტიკოსი. გეორგიკა III. გვ. 311—316.
132 იქვე. გვ. 30—34.
133 იქვე. გვ. 106—107.
134 იქვე. გვ. 112—113.
135 დ. მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 104.
136 გეორგიკა. III. გვ. 311—316.
137 П. П. Закарая, В. А. Леквинадзе. Археологические раскопки в селе Шухуте — მაცნე, 1966, № 1, გვ. 133—135.
138 დ. მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

ავტორს. აქვე უნდა გავიხსენოთ ბათუმის მახლობლად, ყოროლის წყლის შესართავთან მდებარე ბორცვზე, ე. წ. „თამარის ციხეზე“ გათხრილი ოთხკუთხაკოშკებიანი რომაული კასტელის ტიპის სიმაგრე, რომელიც ახ. წ. VI ს.-ით თარიღდება და პროფ. ვ. ლექვინაძის აზრით, უნდა იყოს პროკოპისეულ „შენებლობათა შესახებ“ მოხსენიებული ლოსორიონი[139]. სადავოდ რამდენად სწორია ლოსორიონის იდენტიფიკაცია თამარის ციხესთან, მაგრამ რიონის მარცხენა სანაპიროზე ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლის არსებობა თავისთავად საყურადღებოა. აქ, მდ. სკურდუმის და ნატანების შესართავთან, მდებარეობს ახ. წ. V—VI სს. დათარიღებული კიდევ ერთი და ალბათ, არაუკანასკნელი ძეგლი — ვაშნარის ნაქალაქარი, რომელსაც თავისი სწორკუთხაკოშკიანი ციხე-გალავნით, კრამიტით გადახურული, ხუთწახნაგა აფსიდიანი ტაძრითა და კიბიანი აბანოს ნაშთებით ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ფრანგ მოგზაურსა და არქეოლოგ დიუბუა დე მონპერეზე, რომ მან იგი ნაქალაქარ პეტრად მიიჩნია, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

განა შეეძლო პროკოპის, უფრო სწორად, მის ინფორმატორებს, რომლებიც ლაზიკიდან აწვდიდნენ ცნობებს, რიონის მარცხენა სანაპიროზე, იქ, სადაც ძირითადი საომარი ოპერაციები მიმდინარეობდა 10 წლის განმავლობაში და სადაც მდებარეობს ქ. ფასისი, ქალაქი ვაშნარი, ქრისტიანებს შორის ძალზე სახელგანთქმული ტაძარი, ტელეფისისა და თამარის ციხე, ეთქვა, რომ ლაზიკის ეს ნაწილი თხლად არის დასახლებული და არაფერია იქ მოხსენიების ღირსი. ვფიქრობთ, რომ არ შეეძლოთ. სხვა რომ არაფერი გვქონდეს, მარტო ფასისი, მონუმენტური ვაშნარი და თამარის ციხე აცლის საფუძველს პროკოპის ხსენებული ცნობის რიონის მარცხენა სანაპიროსადმი მიყენების მცდელობას და პროკოპისეული ფასისისა და რიონის იდენტიფიკაციის საწინააღმდეგო კიდევ ერთი არსებითი ხასიათის ფაქტია. აშკარაა, რომ ბიზანტია-სპარსეთის პირველი ომების დროს მოხსენიებული ფასისი არ არის რიონი. როგორც უკვე ითქვა, პროკოპის ბოას-ფასისი ყველა მონაცემით თანამედროვე ჭოროხია, როგორც მისი ნიშანდობლივი სათავეებით, ისე ქვემო წელის სპეციფიკური ფიზიკური ნიშნებით. პროკოპისეული ბოას-ფასისი რომ მდ. ჭოროხია და არა ყვირილა-რიონი, ამას კარგად მოწმობს მისი შრომის კიდევ ერთი ადგილი, სადაც საუბარია ფასისის გაუვალ კლდოვან ნაპირებზე. ჩვენ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ აქ საუბარია ბოასის გაგრძელება ფასისზე, რომელიც, აკად. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ყვირილას შესართავს ქვემოთ რიონს უნდა შეესატყვისებოდეს[140]. პროკოპის ცნობა შეეხება სპარსეთის მეფის ხოსროს პირველ შემოსვლას ლაზიკაში ლაზების მეგზურობით და მის მიერ განვლილ მარშრუტს იბერიიდან პეტრასაკენ. „როდესაც ლაზები წინ მიუძღვებოდნენ ხოსროს, მათ გადავლეს მდინარე ბოასი და ისე მივიდნენ პეტრაში, რომ ფაზისი მარჯვნივ ჰქონდათ, თითქოს იმიტომ, რომ მათ (იგულისხმება ლაზები — გ. გ.) წინასწარ განჭვრიტეს, რათა მდინარე ფაზისის გადასასვლელად არც დრო და არც შრომა დასჭირდებოდათ მეტი, ხოლო ნამდვილად იმიტომ, რომ არ სურდათ სპარსელებისათვის ეჩვენებინათ თავიანთი საბინადროები, თუმცა ლაზიკე ყველგან, მდინარე ფაზისის როგორც

---

139 В. А. Лекви надзе. О постройках Юстиниана в Западной Грузии. — Византийский современник. 34. М., 1973, с. 172—173.

140 „ქართლის ცხოვრება“. II, გვ. 109.

აქეთა, ისე იქითა მხარე, გაუვალია. ქვეყნის ორსავე მხარეს უზარმაზარი კლდეებია, რომლებიც აქ დიდ მანძილზე ვიწროებს ქმნიან, ასეთ გზებს რომაელები „კლისურებს“ უწოდებენ — ელინური გამოთქმით“[141].

როგორც ცნობილია, კლისურები ანუ ვიწროები რთული კლდოვანი რელიეფით რიონის ქვემო წელისათვის არ არის დამახასიათებელი. ქუთაისს ქვემოთ იგი გამოდის კოლხეთის დაბლობზე და დაახლოებით 80—90 კმ მანძილზე, ზღვის შესართავამდე, მეანდრებად დახვეული თავისუფლად დანავარდობს გაშლილ ვაკეზე, მარჯვნივ თუ მარცხნივ, რისი მოწმობაცაა აბაშაფოთის რაიონში არაერთგან შემორჩენილი მისი მკვდარი კალაპოტები, ე. წ. „ნარიონალები“. ამდენად, აშკარაა, რომ პროკოპის ცნობა რიონს არ გულისხმობს. იგი ზედმიწევნით ასახავს ჭოროხის გეოგრაფიულ თავისებურებას, თუნდაც მდინარის ქვემო წელზე. მდ. ჭოროხი, სათავიდან თითქმის შესართავამდე, სწორედ ასეთ კლდოვან ვიწრობებში მოედინება და შესართავიდან სულ რაღაც ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით, გაიგაკებს და ორ ტოტად გაყოფილი შეერთვის ზღვას.

ართვინიდან ქვემოთ, ვიწრობების მიუხედავად, ჭოროხი სანაოსნო ხდება და აქედან თუ არა, ფორჩხადან მოკიდებული მაინც (რომლის მარჯვნივ იბერთა საზღვრები იგულისხმება) ჭოროხს ფასისის სახელი უნდა ეტარებინა. სწორედ ეს მდინარე იღებს სათავეს ჭანების სამოსახლოების მახლობლად არმენიის მთებში, სწორედ იგი მიედინება დიდ მანძილზე მარჯვნივ და აქ, სადაც პირისპირ კავკასიონია, უხვევს დასავლეთისაკენ; სწორედ, აქვე იგულისხმება იბერიის საზღვრები, რომლის „გასწვრივ ცხოვრობენ ძველითგანვე იბერთა ქვეშევრდომი მესხები“[142]. სწორედ, მისი კალაპოტია დინების მთელ სიგრძეზე გაუვალი და კლდოვანი და სწორედ, მის მარჯვენა ნაპირზე „ყველგან სიმაგრეებიც გაუკეთებიათ ლაზებს, რათა ნავებით მომავალი მტრისათვის ხმელეთზე გადასვლა არ ყოფილიყო შესაძლებელი“[143].

ალსანიშნავია, რომ ჭოროხის ქვემო წელის მარჯვენა ნაპირზე, სამ ადგილას არის დადასტურებული ციხის ნაშთების არსებობა. ესენია: ერგე, ანუ ნიკატაური, ჯოჭოს წყლისა და ჭოროხის შესართავთან[144], გვარა, მაჭახელის წყლისა და ჭოროხის შესაყართან[145] და ბაშქო, მათ შუა ტერიტორიაზე. ძნელი სათქმელია, თუ რა დროისაა ერგე და ნიკიტაური, მაგრამ გვარა, როგორც წყობით, ისე კონსტრუქციით, აშკარად ადრეული შუა საუკუნეების ძეგლია და გამორიცხული არ არის, რომ პროკოპი კესარიელს ეს ციხე და მსგავსი ძეგლები ჰქონოდა მხედველობაში, როცა ჭოროხის მარჯვენა სანაპიროს დამცველ ციხეებზე აქვს საუბარი.

ფასისისა და ჭოროხის იგივეობის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე პროკოპის მიერ ფასისის ქვემო წელზე არსებული ფონის ორგზის მოხსენიება.

---

141 გეორგიკა. II. გვ. 102.

142 იქვე, გვ. 127.

143 იქვე. გვ. 113.

144 ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II. 1959, გვ. 37; მისივე. საიდან წარმოიშვა სოფლის სახელი ნიკიტაური. — „ოქტომბრის გზით“ (ხელვაჩაური). 1977 წ., 2 აგვისტო, № 31.

145 ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი I. ბათუმი, 1958, გვ. 183; მისივე. აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბათუმი 1962, გვ. 22; Кавказские этюды, I. Исследования и замѣтки Е. Г. Венденбаума. I. 1901, с. 127.

პირველად მაშინ, როცა ფასისის მარჯვენა ნაპირზე დაბანაკებული გუბაზი ფონით მოულოდნელად გადაიყვანს ჯარს მდინარის მარცხენა ნაპირზე და რომაელებთან ერთად გაანადგურებს მერმეროეს მიერ ლაზიკის სოფლების სარბევად დატოვებულ 5000 კაცისაგან შემდგარ რაზმს[146]. ხოლო შემდეგ — თვით მერმეროე სარგებლობს ამ ფონით: ფეხით გადალახავს ფასისს, ცხენ-ლახავს მეორე მდინარე რეონს და ჯარი მიჰყავს ერთი ქალაქის — არქეოპოლისის — წინააღმდეგ[147]. საყურადღებოა, რომ ასეთი ფონი დღესაც არსებობს ჭოროხის ქვემო წელზე, სოფ. ზემო მარადიდის მახლობლად, შუახევის წყალთან, რომლითაც უსარგებლიათ დ. ბაქრაძეს[148] და ე. ვეიდენბაუმს, ბათუმიდან ართვინამდე მოგზაურობის დროს. ვეიდენბაუმის ცნობით, ჭოროხი იმ ადგილზე ფართოა, მდორედ მიედინება, თხელია და წარმოქმნის ფონს. აქ გადაუყვანიათ მათ ცხენები ერთი ნაპირიდან მეორეზე[149].

არც ერთი ამ ჩვენებათაგანი, პროკოპისეულ ფასისთან კავშირში რომ აღინიშნება, არ არის ნიშანდობლივი ყვირილა-რიონისათვის, რაც იმის უდავო დასტურია, რომ პროკოპი თავისი ისტორიის პირველ ნაწილში, იქ, სადაც აღწერილია ბიზანტია-სპარსეთის ომები ქ. პეტრას ხელში ჩაგდების მიზნით, ყვირილა-რიონს არ შეხებია და მისი ბოას-ფასისი მხოლოდ და მხოლოდ ჭოროხია. ასეთი დაშვების შემთხვევაში პროკოპის შრომის ზემოთ განხილული ყველა ცნობა იკავებს კუთვნილ ადგილს და ერთი შეხედვით, საპირისპირო და გაუგებარი ადგილები მარტივად გასაგები ხდება. მაგალითად, არავინ იკამათებს იმაზე, რომ ჭოროხის მარჯვნივ არის და ადრეც ასე უნდა ყოფილიყო ლაზთა ძირითადი სამოსახლოები, რომ ეს მხარე მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დასახლებული და ბუნებრივია, აქვე უნდა ეშენებინათ ლაზებს თავისი ქალაქები და ციხეები: არქეოპოლისი, სევასტოპოლისი, პიტიუნტი, ფასისი, მოხირისი, როდოპოლისი, სკანდე და სარაპანი იბერიის საზღვრებისაკენ. თითქოს, არც იმან უნდა დაგვაეჭვოს, რომ ჭოროხის ანუ ძველი ფასისის მარცხენა სანაპირო, მართლაც, თხლად ჩანს დასახლებული. ლაზიკის ეს მხარე ტერიტორიულადაც მცირეა. პროკოპის თქმით, მას ერთ დღეში გაივლის მსუბუქად დატვირთული კაცი[150]. ე. ი. ლაზიკის სამხრეთი საზღვარი ჭოროხიდან სამხრეთით 30—35 კმ უნდა ყოფილიყო მოცილებული.

მართალია, ამჟამად ლაზიკის ამ მხარის შესწავლაზე ხელი არ მიგვიწვდება, მაგრამ მაინც უნდა ვენდოთ პროკოპის ცნობას, რომ აქ არც რაიმე ქალაქი აქვთ ლაზებს, არც სიმაგრე და არც დაბა მოხსენიების ღირსი[151]. ყოველ შემთხვევაში, რაიმე მნიშვნელოვანი მიწისზედა ძველი ან საყურადღებო შემთხვევითი აღმოჩენა ამ მხარიდან ჩვენთვის უცნობია და არც ბერძნული წყაროები მიუთითებენ აქ რაიმე მნიშვნელოვანი ცენტრების არსებობაზე. გამონაკლისს წარმოადგენს ციხე-სიმაგრე აფსარუნტი, რომელშიც, ფლავიუს არიანეს ცნობით, რომაელთა ხუთი კოპორტი მდგარა[152]. აფსაროსი რომის

---

146 გეორგიკა, II. გვ. 113.
147 იქვე. გვ. 182.
148 Д. М. Бакрадзе. Указ. соч. С. 34.
149 Кавказские этюды. I. 1901, с. 122—131.
150 გეორგიკა. II. გვ. 101.
151 იქვე. გვ. 127.
152 ფლავიუს არიანე, დასახ. ნაშრ. გვ. 35.

იმპერიის საზღვრების დამცველ სიმაგრეთა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. მას არაერთგზის იხსენიებენ ბერძენი ავტორები (პროკოპი, სტეფანე ბიზანტიელი და სხვ.), იგი აღნიშნულია „პევტინგერის ტაბულის" სახელით ცნობილ რუკაზეც[153]. მასზე საგანგებოდ ჩერდება პროკოპი,

ერთი სიტყვით, პროკოპის დროსაც, ისევე როგორც უფრო ადრეც, ერთდროულად ფასისის სახელით იხსენიება კოლხეთის ორი მდინარე — ჰოროხი და რიონი, რაც აშკარად ჩანს კიდეც მისი შრომის ერთი ადგილიდან. ცნობა ეხება სპარსეთის ჯარების მსვლელობის მარშრუტს მერმეროეს ხელმძღვანელობით პეტრას დასახმარებლად რომ მიემართება. ისინი ბეთლიანის ლაზიკაში (იგულისხმება ძველი გზით იბერიიდან), მაგრამ გზაში იგებენ, რომ პეტრა უკვე აიღეს რომაელებმა (ბესას მთავარსარდლობით) და ციხის კედლები მისწასთან გაასწორეს, „რომ მტერს კვლავ არ გაეჭირვებინა საქმე რომაელებისათვის“[157].

„მან (იგულისხმება მერმეროე — გ. გ) გაიგო ყველაფერი, რაც მოხდა და სრულიად შეცვალა ეს გზა, რადგან კარგად იცოდა, რომ მდინარე ფაზისის იქითა მხარეს ლაზებს, პეტრას გარდა, სხვა არც ერთი დასახლებული ადგილი არ მოეპოვებოდათ[158], ის გაბრუნდა და დაიჭირა იბერიიდან კოლხიდის ქვეყანაში გადასასვლელი ადგილები, სადაც ფაზისის გადასვლა შეიძლება ფონით, გადალახა ეს მდინარე ფეხით, გადალახა აგრეთვე მეორე მდინარეც, სახელად რეონი — არც ეს არის იქ სანაოსნო — და ფაზისის მარჯვენა მხარეს რომ აღმოჩნდა, წაიყვანა ჯარი ერთი ქალაქის, არქეოპოლისის, წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“[159].

შრომის ეს ადგილი დიდი ხანია მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. პროკოპის გამომცემელი ჰაური ფიქრობს, რომ პროკოპიმ შეცდომით ორი წყარო აურია ერთმანეთში და მერმეროე ორ მდინარეზე გადაატარაო. აკად. ს. ყაუხჩიშვილი არ იზიარებს ჰაურის შეხედულებას და ამ ცნობის საკუთარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. მისი აზრით, იბერიიდან გადმოსულმა სპარსელებმა ჯერ მდ. ყვირილა გადალახეს, რომელიც მას ფაზისად მიაჩნია, და შემდეგ მდ. რიონი[160]. როგორც ვხედავთ, პატ. მკვლევარი ეწინააღმდეგება ადრე გამოთქმულ თავისსავე მოსაზრებას ბოას-ფასისთან დაკავშირებით რომ აქვს გამოთქმული, რომლის მიხედვით ყვირილა ბოასია და არა ფასისი[161].

ჩვენი აზრით, უნიკალურ ჩვენებასთან გვაქვს საქმე, რაც კოლხეთში ორი ფასისის არსებობას მიუთითებს პირდაპირ. პირველი ფასისი ჰოროხი უნდა იყოს, მეორე კი — რიონ-ფასისი. მართალია, პროკოპი მეორე ფასისს რეონს უწოდებს, მაგრამ აშკარაა, მასში ფასისს გულისხმობს, რაც კარგად ჩანს მოტანილი ცნობის ერთი ადგილიდან, სადაც ნათქვამია: „... გადალახა აგრეთვე მეორე მდინარეც სახელად რეონი — არც ეს არის იქ სანაოსნო — და ფაზისის მარჯვენა ნაპირზე რომ აღმოჩნდა...“ ე. ი. პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ეს მდინარეც ფასისია, ორი ფასისის ერთდროულად მოხსენიებით მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ერთ-ერთს გამოუნახა ასევე ადგილობრივი მეორე სახელი და დროებით იგი უწოდა. სხვა ყველა შემთხვევაში კი, პროკოპი რიონს ფასისის სახელით იხსენიებს.

პირველ ეტაპზე, პეტრასთან წარმოებული ომების დროს, პროკოპი ფა-

---

157 გეორგიკა. II. გვ. 180.

158 უნდა გავიგოთ „ლაზებს პეტრას გარდა სხვა არც ერთი გ ა მ ა გ რ ე ბ უ ლ ი ადგილი არ მოეპოვებოდათ“.

159 გეორგიკა. II. გვ. 181—182.

160 იქვე. გვ. 230, შენ. 1.

161 იქვე. გვ. 106—109, შენ. 1.

სისის აუზში, თუნდაც მდინარის მარცხენა ნაპირზე, არც ერთ სხვა პუნქტს არ იხსენიებს, სპარსელები აქ იმდენ სურსათსაც კი ვერ შოულობენ, რომ 30 000-იანი ჯარი გამოკვებონ და იძულებულნი ხდებიან 25 000 კაცი წაიყვანონ დვინში და მხოლოდ 5000 დატოვონ ლაზიკაში, რომელიც, მომდევ რომაელებისა და ლაზების გაერთიანებულმა ძალებმა გაანადგურა.

მეორე ეტაპზე, ისევ ფასისის აუზში, მდინარის მარცხენა ნაპირზე, იქ, სადაც იხსენიება ციხე კუტაიონი, ფასისის ციხე, მოხირისი, სკანდე, შოროპანი, უქიმერიონი და სხვა[163], სპარსელები არათუ აღარ გარბიან ლაზიკიდან სურსათის ნაკლებობის გამო, არამედ მთელი ჯარით იზამთრებენ კუტაიონის ციხეში[164], სადაც მოხირისი ჯარისათვის მატერიალურ, სასურსათო მძლავრ ბაზას წარმოადგენს[165]. პეტრასთან ბრძოლების დროს სპარსელთა შეიარაღებული სპილოები არ ჩანს, მეორე ეტაპზე კი სპარსელებს ლაზიკაში 8 სპილო შეჰყავთ[166] და მასზე ამხედრებულები იბრძვიან არქეოპოლისთან თუ ფასისთან.

ყველა მონაცემით აშკარაა, რომ პირველი ეტაპის ლაზიკა სულ სხვა ქვეყანაა. სხვა გზებითა და სხვა ეკონომიკური ბაზისის მქონე, უფრო მწირია და სუსტადაა დასახლებული, მეორე ეტაპის ლაზიკა კი სხვაა — მჭიდროდაა დასახლებული, გააჩნია მძლავრი ეკონომიკური ქვეყანა მრავალი ციხე-ქალაქითა და იბერიასთან დამაკავშირებელი უკეთესი გზებით. ჩვენი ღრმა რწმენით, პირველი მდ. ჭოროხ-ფასისის ქვემო წელის რეგიონია, მეორე კი — მოიცავს რიონ-ფასისის აუზს ქუთაისიდან მოკიდებული შესართავამდე.

მართალია, სიტყვა გაგვიგრძელდა მდ. ფასისის ლოკალიზაციის საკითხებზე, მაგრამ, რამდენადაც პროკოპი კესარიელის, ისევე როგორც აგათია სქოლასტიკოსისა და საერთოდ, ყველა ბერძენი მწერლის ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ჩვენებათა ამოსავალ, ძირითად ორიენტირს ეს მდინარეები წარმოადგენენ, პირველ რიგში, მათი ადგილმდებარეობის დაზუსტების გარეშე, ყოველგვარი ლოკალიზაციის საკითხის დასმა ძირშივე მცდარი იქნებოდა. მით უფრო ეს ითქმის ქალაქ პეტრაზე, რომელსაც პროკოპი კესარიელი ყოველთვის მდ. ფასისთან კავშირში იხსენიებს და მისი ნიშანდობლივი ლოკალიზაცია მხოლოდ და მხოლოდ ფასისთან მიმართებით არის შესაძლებელი. სწორედ ასეთი განზომილების საფუძველზეა მიღებული დღეისათვის საყოველთაოდ გაზიარებული დებულება პეტრა-ციხისძირის იდენტიფიკაციის შესახებ, რაც ჩვენ დამაჯერებლად არ გვეჩვენება მთელი რიგი მიზეზის გამო. ამ მიზეზთა შორის უმთავრესი მაინც ის არის, რომ პეტრა დაკავშირებულია მდ. რიონ-ფასისთან, რომელიც ლაზიკაში ირან-ბიზანტიის ომების I ეტაპზე არ ფიგურირებს. როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ ეტაპის ძირითად მდინარედ ჭოროხ-ფასისი ჩანს და პეტრას ლოკალიზაციის საკითხების კვლევისას სწორედ ეს ორიენტირი უნდა იქნეს გამოყენებული.

პროკოპის შრომის განხილული ნაწილიდან უკვე ვიცით, რომ პეტრა ზღვისპირა ქალაქია, რომელიც აუგია იუსტინიანეს სტრატეგოსი ციბეს შე-

---

162 გეორგიკა, II.
163 იქვე, გვ. 188—210.
164 იქვე, გვ. 194—195.
165 იქვე, გვ. 208—210.
166 იქვე, გვ. 182.

გონებით, და იგი სტრატეგიულ და ეკონომიკურ ცენტრად უქცევია[167]. თავდა-
პირველად ამ ადგილზე უმნიშვნელო, პატარა, სოფლისებური ტიპის დასახ-
ლება უნდა ყოფილიყო, ხოლო იუსტინიანე კეისარს გარეზღუდითა და მნი-
შვნებით ყოველმხრივ გაუმაგრებია და გაუმშვენიერებია[168]. სტრატეგიული
თვალსაზრისით, პეტრა ყოველმხრივ მიუვალი ციხე-ქალაქი ყოფილა. ოთხ-
მხრიდან შვეული ქარაფებით დაცული, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან მას
იცავდა ციცაბოდ აღმართული კლდეები; ეს ტოპოგრაფიული თავისებურება იმ-
დენად ნიშანდობლივი ჩანს, რომ, პროკოპის ცნობით, სწორედ ამ ნიშნის მი-
ხედვით შერქმევია მას პეტრას სახელი, რაც ბერძნულად კლდეს ნიშნავს[169].
ჩვენი აზრით, პეტრა ანუ კლდეკარი თუ კლდეეთი თავდაპირველად ადგილის
სახელი ჩანს, რაც ქალაქის აშენების შემდეგ უნდა ქცეულიყო ქალაქის სა-
კუთარ სახელად, როგორც 535 წ. დათარიღებული ერთ-ერთი ნოველიდან
ვგებულობთ, ოფიციალურად ამ ქალაქს იუსტინიანეს პატივსაცემად იუსტი-
ნიანე რქმევია[170]. ქალაქ პეტრას ტერიტორია რომ კლდოვანია და მოკლებუ-
ლია ნიადაგის საფარს, ეს პეტრასთან მომხდარი ირან-ბიზანტიის ბრძოლის
ერთ-ერთი ეპიზოდიდანაც ჩანს, რომელიც ეხება მერმეროეს მთავარსადლო-
ბით სპარსელების ახალი ძალების მოსვლას პეტრაში ალყაშემორტყმული ნა-
წილების დასახმარებლად. როდესაც მერმეროე ციხეში შევიდა, მხოლოდ 150
კაცი დახვდა უვნებლად გადარჩენილი, „დანარჩენი ყველანი დახოცილიყვ-
ნენ. ამათი გვამები გადარჩენილებს კლდის იქით კი არ გადაეყარათ, არამედ,
თუმცა მათ აღრჩობდა მყრალი სუნი, მაგრამ იტანდნენ ამას ყოველგვარი მო-
ლოდინის გარეშე, რათა, რადგან მეტი წილი სპარსელებისა დაღუპული იყო,
მტერს ამის დანახვაზე არ შემატებოდა გარემოცვის სიმხნევე"[171].

როგორც ვხედავთ, პეტრაში მყოფი სპარსელები მიცვალებულთა დამარ-
ხვასაც ვერ ახერხებენ და იძულებულნი არიან ლეშის ლპობით მოწამლული
ჰაერი ისუნთქონ, რაც ქალაქში ნიადაგმოკლებული, კლდოვანი საფუძვლის
არსებობაზე მეტყველებს. ადგილის ასეთი ფიზიკური ნიშან-თვისება საგუ-
ლისხმო და გასათვალისწინებელია ლოკალიზებული ქალაქის ადგილმდება-
რეობის დაკონკრეტებისათვის. პროკოპი კესარიელის შრომაში, ამა თუ იმ
გეოგრაფიული პუნქტის ადგილმდებარეობის ჩვენებისას, ხშირად ვხვდებით
მითითებას — მდინარიდან მარჯვნივ, მდინარიდან მარცხნივ, მდინარიდან სამ-
ხრეთით, მდინარიდან ჩრდილოეთით, მდინარიდან ერთი ან რამდენიმე დღის
სავალზე და ა. შ. ამდენად, თუკი დანამდვილებით ვიცით ამოსავალი მდინა-
რის მდებარეობა ნაჩვენები მიმართულებისა და მანძილების გათვალისწინე-
ბით, საჭირო პუნქტის მიკვლევა დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენს. არაერთი
ასეთი ჩვენება მოიპოვება ნაშრომში პეტრასთან დაკავშირებით, რომლის ძი-
რითად ამოსავალს ანუ მთავარ ორიენტირს მდ. ფასისი წარმოადგენს.

რამდენადაც ქ. პეტრა პროკოპის ისტორიაში უმთავრესად ბიზანტია-
ირანის ბრძოლების პირველი ეტაპის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება, მისი
ამოსავალი მდ. ფასისი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ყოველთვის თანამედრო-
ვე ჭოროხს უდრის. „მდინარიდან მარცხნივ (საუბარია ბოას-ფასისზე — გ. გ),

---

167 გეორგიკა. II. გვ. 74.
168 იქვე. გვ. 83.
169 იქვე. გვ. 85—86.
170 იქვე. გვ. 34—35.
171 იქვე. გვ. 111.

ისეთ მანძილზე, რომელსაც ერთ დღეში გაივლის მსუბუქად დატვირთული კაცი. ლაზიკის საზღვრებია, ხოლო ეს მხარე მოსახლეობას მოკლებული ჩანს. ამ მხარის მეზობლად რომაელები ცხოვრობენ, რომელთაც პონტოელები ეწოდებათ. ლაზიკის მიწა-წყალზე, იმ ადგილას, სადაც ადამიანებს არასოდეს არ უცხოვრიათ, იუსტინიანე მეფემ ჩემს დროს ქალაქი პეტრა გააშენა"[172].

აი, ასეთია პროკოპის შრომის კიდევ ერთი საინტერესო ადგილი, საიდანაც პირველად ვგებულობთ, რომ პეტრა სასაზღვრო ქალაქია და აუშენებიათ ისეთ ადგილზე, სადაც ადამიანს წინათ არასოდეს უცხოვრია. ეს უკანასკნელი წინადადება ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს პეტრა სრულიად უკაცრიელ, უდაბურ რეგიონში აეშენებინოთ, როგორც ეს ზოგ შემთხვევაში ესმით ხოლმე, არამედ მასში უნდა დავინახოთ ქალაქის მშენებლობის კონკრეტული ტერიტორიის მითითება. შესაძლოა, ასეთი ადგილი დასახლებული ტერიტორიის მახლობლად ან შუაგულშიც კი მდებარეობდეს, მაგრამ კონკრეტულად ის ადგილი აუთვისებელი იყოს. ასეთად გვეჩვენება ტყე, ბორცვი, მთის თხემი, კლდოვანი ფერდი და ა. შ., რომელიც, სამეურნეო თვალსაზრისით უვარგისობის გამო, ადრე შეიძლება არ ყოფილიყოს გამოყენებული. ნუ დაგვავიწყდება, რომ პეტრა მკაცრ, კლდოვან რელიეფზე დაფუძნებული ქალაქია და მისი აგება სტრატეგიული მიზნებით არის განპირობებული: მიუვალია, გზის ჩამკეტია, საზღვრის მოდარაჯეა და ა. შ. მართალია, ცნობაში ლაზიკის სასაზღვრო ხაზი ზუსტად არ არის მითითებული, მაგრამ ცნობილია, რომ მდ. ფასისის მარცხნივ ერთი დღის სავალ მანძილზე მდებარეობს.

პროკოპი კესარიელს არაერთხელ აქვს ნაჩვენები და სხვა ბერძენი ავტორების მითითებიდანაც ვიცით, რომ ერთი დღის სავალი მანძილი დაახლოებით 30 კმ უდრის. ე. ი. ლაზიკის სასაზღვრო ხაზი, და ამდენად, ქალაქი პეტრაც, მდ. ფასისიდან ანუ ჭოროხიდან სამხრეთით 30 კმ-ზეა საძიებელი, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ამჟამად ისტორიულად ცნობილი დაბა და ნავსადგური ხოფა-ხუფათი მდებარეობს. ამ ადგილის მახლობლად რომაელები მოსახლეობენ, რომლებსაც პონტოელები ეწოდებათო — აზუსტებს პროკოპი. თუ ვინ არიან ეს რომაელები, პონტოელებად რომ იწოდებიან, ან სად მოსახლეობენ — ამას ვგებულობთ პროკოპის ცნობის მომდევნო ნაწილიდან.

„ქალაქ პეტრადან პირდაპირ რომ მიდიხარ სამხრეთისაკენ, გვხვდება რომაელთა საზღვრები, აქ კი ადგილები მჭიდროდ არის დასახლებული: რიზედ წოდებული და ათინა და ზოგი სხვა, ვიდრე ტრაპეზუნამდე"[173].

ე. ი. ირკვევა, რომ პროკოპის მიერ ცოტა ზემოთ ნახსენები რომაელები ანუ პონტოელები ეს ის ხალხია, რომლებიც ტრაპეზუნტის, რიზესა და ათენას სანახებში მოსახლეობენ, პეტრადან სამხრეთით დაახლოებით დღე, დღენახევრის სავალზე ანუ 40—45 კმ დაშორებით.

ხოფის სექტორში, იქ, სადაც პეტრას არსებობა ივარაუდება, რომაელების მეზობლობა სავსებით ლოგიკურად გამოიყურება, რაც პეტრა-ციხისძირის იდენტიფიკაციის შემთხვევაში რამდენადმე უჩვეულო ჩანს, მათ შორის მანძილი სულ ცოტა 100—120 კმ მაინც განიზომება.

თავისი შრომის სხვა ადგილას პროკოპი კიდევ უფრო ვრცლად ჩერდება პონტოელთა გავრცელების არეალზე, რაც რამდენადმე გვიადვილებს ლაზიკის

---

172 გეორგიკა. II. გვ. 101.
173 იქვე. გვ. 102.

სასაზღვრო ხაზის დაზუსტებას სამხრეთით და ამდენად, პეტრას ლოკალიზაციის საკითხის დადგენაში გვეხმარება.

„ამათ შემდეგ ცხოვრობენ ეგრეთწოდებული პონტოელები ვიდრე ტრაპეზუნტის ქალაქამდე და მის საზღვრებამდე... ტრაპეზუნტელთა საზღვრები ვრცელდება დაბა სუსარმენემდე და ეგრეთწოდებულ რიზემდე, რომელიც ლაზიკაში ზღვით მიმავლისათვის ორი დღის სავალი გზით არის დაშორებული ტრაპეზუნტს... რიზეს მოსდევს მიწა-წყალი ერთი ხალხისა, რომლებიც რომაელებსა და ლაზებს შორის მოსახლეობენ. იქ მდებარობს ერთი სოფელი, სახელად ათინა... ათინას შემდეგ მდებარეობს არქაბე და აფსარუც, რომელიც ერთ სამი დღის სავალი გზით არის რიზეს მოშორებული. ის ძველად აფსურტად იწოდებოდა“[174]. შემდეგ პროკოპი ლიტერატურული ცნობების მიხედვით იძლევა აფსარუნტის ეტიმოლოგიას, აღწერს მას როგორც დიდსა და ხალხმრავალ ქალაქს, რომლისგანაც მის დროს მხოლოდ ნაშენობათა საძირკვლები ყოფილა დარჩენილი, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ამ ცნობაში მთავარი ის არის, რომ პროკოპიმ ახსენა ერთი ხალხი, რომელიც თურმე რომაელებსა და ლაზებს შორის მოსახლეობს და აქვთ სოფელი ათინა. თუ ვინ არიან ისინი, პროკოპი ამის შესახებ არაფერს ამბობს. როგორც ჩანს, ეს ხალხი იმდენად მცირერიცხოვანი ანდა ისეთი ნარევია, რომ პროკოპის მათი რომელიმე ეთნიკური ნიშნით გამოყოფა და ასე სახელდება საჭიროდ არ მიაჩნია. რამდენადაც ცნობილია, ამ ადგილებში სხვადასხვა დროს მოსახლეობენ სანები-სანიგები[175], მაკრონები ანუ იგივე ჭანები[176], ძიდრიტები[177], ანუ ბიძერები[178], ლაზები, რომაელები და სხვა. შესაძლოა მოცემულ მომენტში სწორედ ამ ხალხების სიმბიოზთან გვქონდეს საქმე.

პროკოპისავე ცნობით, პოლიტიკურად ეს ხალხი თვითთავადნი არიან. „იქაური მცხოვრებლები არც რომაელთა და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არ არიან, გარდა იმისა, რომ, რადგან ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელმსახურებას. ისინი ისწრაფვიან ორივესთან მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ და ყოველთვის თანხმდებიან ხოლმე მიაცილონ ერთი მხრიდან მეორესთან მიმავალი მოციქულები. ასე იქცევიან ისინი ჩვენს დრომდე: ისინი თავისი მსუბუქი ხომალდებით მიაცილებენ ხოლმე ერთი მეფის გზირებს, რომელნიც მეორე მეფესთან მიდიან. დღემდე ისინი არავითარ გადასახადს არ იხდიან. ამ ადგილების მარჯვნივ აღმართულია მეტად ციცაბო მთები და გადაჭიმულია უმეტესად უდაბური ადგილები. ამის გადაღმა ცხოვრობენ ეგრეთწოდებული პერსარმიენელები და არმენიელები, რომლებიც რომაელების ქვეშევრდომები არიან და რომაელთა მიწა-წყალი იბერიის საზღვრებამდე ვრცელდება“[179].

ამრიგად, პროკოპი ზუსტ ცნობებს გვაწვდის ტრაპეზუნტელთა საზღვრებზე, რიზე-სუსარმენემდე რომ აღწევდა, რომლის იქით რომაელებსა და ლაზებს

---

174 გეორგიკა. II. გვ. 121—123.

175 ევსევი კესარიელი. (260—340 წწ.), გეორგიკა. I. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტება დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961, გვ. 32.

176 სტრაბონი. XII. 3,18; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. I. 1977, გვ 92.

177 ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. 1961, გვ. 42, 90.

178 იქვე. გვ. 85.

179 გეორგიკა. II. გვ. 125.

შორის აღნიშნავს პოლიტიკურად დამოუკიდებელ „ერთ ხალხს", რომლებსაც, როგორც ქრისტიანებს, მღვდელთმსახურებას უნიშნავენ ლაზთა ეპისკოპოსები. აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს უკანასკნელი [illegible] უნდა მიგვითითებდეს, რომ ე. წ. „ერთი ხალხი" ლაზებთან [illegible] იდგნენ (ალბათ, ეთნიკურად), ვიდრე რომაელებთან[180].

ამ ხალხის ტერიტორიაზე პროკოპი ასახელებს სოფ. ათინას, რომლის შემდეგ მდებარეობს არქაბე და ქალაქ აფსარუს ნაშთები. ათინასთან ერთად არქაბესა და აფსარუს მოხსენიების ფაქტი ადრე გარკვეულ საცდურსა ჰქმნიდა, რის საფუძველზეც ეს ორი პუნქტი ამ ხალხის კუთვნილებად იყო გამოცხადებული და შესაბამისად, მათი ჩრდილოეთ საზღვარი მდ. აფსაროსამდე, კიდევ მეტი, პეტრა-ციხისძირამდე იყო მიტანილი[181]. ჩვენი აზრით, მოყვანილი ცნობის განხილული ადგილი ასეთი დაშვების შესაძლებლობას არ იძლევა. აქ, უბრალოდ, პროკოპიმ, ახსენა რა ათინა, იქვე შეეხო მეზობლად მდებარე არქაბესა და აფსარუნტს და ერთი ხელის მოსმით მოითავა ზღვისპირეთში არსებული, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პუნქტების ჩამოთვლა, რის შემდეგ უკვე გადადის თვით ლაზიკის, მისი შიდა ქვეყნების — სკვიმიასა და სვანიას, მისი მეზობლების — მესხებისა და ლაზების ქვეშევრდომი აფსილების ქვეყნების აღწერასა და მათი ხალხების პოლიტიკურ-სოციალური მდგომარეობის, სამეურნეო საქმიანობისა და რელიგიური კუთვნილების დახასიათებაზე[182]. ამასთანავე, აფსაროსს, როგორც ლიტერატურაში ფართოდ ცნობილ პუნქტს, კიდევ ერთხელ იყენებს ლაზიკის სამხრეთი სასაზღვრო ხაზის დასაზუსტებლად.

„ქალაქ აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე და ლაზთა საზღვრებამდე, სადაც ევქსინოს პონტო თავდება, ერთი დღის სავალი გზა არის. პონტო რომ თავდება, ქმნის ნახევარმთვარის მსგავს ნაპირს"[183].

იმასთან დაკავშირებით, რომ მოყვანილ ცნობაში აფსარუნტიდან ლაზიკის საზღვრებისა და პეტრას მიმართება არ არის ნაჩვენები და პროკოპი კესარიელსაც პონტოსა და ლაზიკის აღწერისას ორიენტაცია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ აქვს აღებული, ჩვენი წინამორბედი მკვლევრების ყურადღება აფსაროსის ჩრდილოეთზე გამახვილდა. ამას დაემატა კოლხეთის ორი ფასისისადმი არადიფერენცირებული მიდგომა და ყოველივე ამან, ბოლოს და ბოლოს, პეტრა-ციხისძირის იდენტიფიკაციამდე მიგვიყვანა. როგორც ზემოთ დავინახეთ, და ქვევითაც არაერთგზის შევეხებით, პეტრას ამგვარ ლოკალიზაციას მრავალი წინააღმდეგობა გააჩნია თავისთავად და მან პროკოპის შრომის ბევრი საინტერესო ადგილი გაუგებარი და არასანდო გახადა.

ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პროკოპის ისტორია პერიპლუსის სტილის ნაშრომი არ არის. მართალია, ავტორი ძირითადად იცავს თანმიმდევრუ-

---

180 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. 1975, გვ. 484.

181 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 484; Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. 1959, с. 65; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი II. 1973, გვ. 252; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. 1977, გვ. 107.

182 გეორგიკა. II. გვ. 126—127.

183 იქვე. გვ. 126.

ლი აღწერის პრინციპს, მაგრამ მასში ხშირად ვხვდებით აქედან გადახვევების შემთხვევებსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ უკვე განხილული ცნობა ეგრისსა და ლაზიკის აღწერას რომ ისახავს მიზნად. პროკოპი იწყებს ეგრისიდან, ახსენებს „ერთ ხალხს“, შემდეგ აღწერს ზღვისპირა ლაზიკას, გადადის სკვიმიაზე და სვანიაზე, აქედან კვლავ ბრუნდება ზღვისპირა ლაზიკაში, იბერიის გასწვრივ მცხოვრები მესხების აღწერის მიზნით, შემდეგ ეხება იბერიას, აქედან კვლავ პეტრასა და ზღვისპირა ლაზიკას ახსენებს, რომლის პირისპირ ლაზების ქვეშევრდომი აფსილები ეგულება. ასეთი წიაღსვლები, გადახვევები, თუ უკუსვლები ხშირია პროკოპის ნაშრომში და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ჩვენი აზრით, ცნობაში, სადაც პეტრა და ლაზიკის საზღვრები აფსარუნტიდან ერთი დღის სავალ მანძილზეა ნაჩვენები, უფრო ზემოთ მოტანილი ცნობის განმეორება უნდა დავინახოთ, ოღონდ პირველ შემთხვევაში თუ მდ. ფასისი იყო ამოსავალი, საყრდენი ორიენტირი, მეორე შემთხვევაში, ამ მიზნით უკვე მკითხველი საზოგადოებისათვის ისტორიიდან კარგად ცნობილი ქალაქი აფსარუნტია გამოყენებული. ქ. აფსარუნტიდან ანუ თანამედროვე გონიოდან სამხრეთით, ისევ და ისევ, ხოფას სანახები მდებარეობს და ამდენად, ქალაქი პეტრაც და ლაზიკა — „ერთი ხალხის“ საზღვარიც — ამ სექტორშია საძიებელი, ალბათ, ხოფა-არქაბეს შუა[184].

პეტრა და ლაზიკის საზღვრები რომ ხოფას ფარგლებშია საძიებო და არა აფსარის ჩრდილოეთით, ამას კარგად მოწმობს მოყვანილი ცნობის კიდევ ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ აფსარუნტიდან ლაზთა საზღვრები სწორედ იმ ადგილზეა, სადაც ევქსინის პონტო თავდება და ნახევარმთვარის მსგავს ნაპირს ქმნის. თუ სად მთავრდება პონტო და ნახევარმთვარისებურ სანაპიროს რა ნაწილში მდებარეობს პეტრა, ამას კიდევ უფრო აზუსტებს პროკოპის შრომის სხვა ადგილი. „მაშასადამე, ფაზისი იქ მომდინარე, როგორც ეს ჩემს მიერ მოთხრობილია, ერთვის ევქსინის პონტოს, იქ, სადაც ეს უკანასკნელი თავდება. ნახევარმთვარის იმ ერთ დასაწყისში, რომელიც აზიისა არის, მდებარეობს ქალაქი პეტრა, ხოლო მის პირისპირ, მეორე ნაპირას, ევროპის ნაწილში აფსილების ქვეყანაა“[185].

ამ ცნობის ღირებულება მრავალმხრივია, პირველ რიგში, ვგებულობთ, თუ სად გულისხმობს პროკოპი ევქსინის პონტოს დასასრულს ან ნახევარმთვარის დასაწყის წერტილსა და დასასრულს, სადაც ერთვის ფასისი და სადაც მდებარეობს პეტრა. ამ შემთხვევაში ორიენტირად პროკოპი იყენებს აფსილების ქვეყანას, რომელიც ნახევარმთვარისებური სანაპიროს ერთ ბოლოში მდებარეობს.

მატერიალური კულტურის ძეგლებისა და წერილობითი წყაროების გამოწვლილვითი შესწავლის საფუძველზე პროფ. დ. მუსხელიშვილის მიერ სავსებით ნათლად არის გარკვეული, რომ VI—VII სს. აფშილეთის ეთნოგრაფიული ტერიტორია მდებარეობს მდ. ღალიძგასა და გუმისტას აუზს შუა[186],

---

184 გეორგიკა, II. გვ. 126—127.

185 იქვე. 128.

186 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ., 1977, გვ. 117—118.

რომელიც მოიცავს თანამედროვე გულრიფშის და სოხუმის რაიონებს. თუ ზუსტად გავაელებთ ხაზს, თვალნათლივ დავინახავთ, რომ აფშილების სამოსახლოს პირისპირ, ე. წ. ნახევარმთვარის მეორე ბოლოში ძევს ბოფა-აფსარის რაიონი. ყოველ შემთხვევაში, რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, აფშილეთის პირისპირ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოვათავსებთ ციხისძირს, რომელიც ნახევარმთვარის სიღრმეში მდებარეობს, აქ არც სხვა რაიმე თვალსაჩინო გეოგრაფიული ნიშანია, რომლის მიხედვით პონტოსათვის მიჯნის დადება შეიძლებოდეს.

პონტოს დასასრულში რომ ნამდვილად ჭოროხის აუზი იგულისხმება, ამას პირდაპირ ადასტურებს ავრეთვე ფლავიუს არიანეს პერიპლუსის ერთი ადგილი, რომელიც სწორედ ამ რეგიონს შეეხება. „აფსაროსამდე ჩვენ მივცურავდით აღმოსავლეთისაკენ, ევქსინის მარჯვნივ, ხოლო აფსაროსი მე მეჩვენა პონტის სიგრძის უკიდურეს საზღვრად. აქედან უკვე ჩრდილოეთისაკენ მივცურავდით მდინარე ქობოსამდე"[187]. ზუსტად იგივეს იმეორებს V ს. მისივე ანონიმიც: „აფსაროსამდე აღმოსავლეთით მივცურავდით ევქსინის მარჯვენა მხარეს. აფსაროსი მე მეჩვენა პონტოს სიგრძის საზღვრად, რადგან უკვე აქედან ჩვენი მოგზაურობა ჩრდილოეთით წარიმართა"[188]. როგორც ჩანს, შეხედულება ჭოროხის რეგიონზე, როგორც პონტოს საზღვარზე, პროკოპიზე დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბდა. ეს კარგად იცოდა კესარიელმა და მდ. ფასისის, ლაზიკის საზღვრისა და პეტრას ადგილმდებარეობის მისათითებლად გამოიყენა. ძალზე საგულისხმოა, რომ პროკოპი ზუსტად ჭოროხის ანუ აფსაროსის აუზში უთითებს ფასისის შესართავს, რაც პირველი ეტაპის ფასისისა და ჭოროხის იდენტიფიკაციის ჩვენი თეორიის სასარგებლოდ მეტყველებს. ამავე ცნობის მიხედვით, აქვეა ლაზიკის საზღვარი და ქალაქი პეტრაც, მაგრამ უშუალოდ მდინარესთან კი არა, არამედ ქ. აფსარუნტის ნანგრევებიდან და მდინარე ფასისიდან სამხრეთით დაახლოებით 30 კმ მანძილზე, იქ, სადაც ამჟამად პატარა ქალაქი ხოფა მდებარეობს.

როგორც არიანესა და ანონიმის მიხედვით ირკვევა, პონტოს დასასრულის აფსართან მინიშნების ტრადიციას საფუძვლად უნდა დასდებოდა ზღვის სანაპირო ხაზის მიმართულების ცვლილება ამ ნაწილში აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ამის გარდა, ალბათ, ისიც იყო გათვალისწინებული, რომ სწორედ ეს რეგიონი, ჭოროხის მარცხენა ნაპირიდან მოკიდებული არქაბე-ათინამდე მაინც, იმდენად მჭიდროდ არის დასერილი ლაზისტანის ქედიდან ზღვისაკენ პერპენდიკულარულად დაშვებული ტოტებით, რომ დაახლოებით 50—60 კმ სიგანის ზღვისპირა ზოლი თითქმის გაუვალი ხდება. განსაკუთრებით ეს ითქმის ხოფა-არქაბეს შუა სივრცეზე, სადაც მაღალი ქედები შიშველი კლდეების სახით პირდაპირ ზღვაში ეშვებიან და 10—15 კმ სიგრძეზე ზღვისპირეთი ფეხით მოსიარულეთათვისაც კი გაუვალია. ერთი სიტყვით, პონტოს ამ ნაწილში ლაზიკის მთათა სისტემით წარმოქმნილია რელიეფურად გამოხატული ვრცელი ბუნებრივი საზღვარი, რომელიც ერთ გეოგრაფიულ რეგიონს გამოჰყოფს მეორისაგან. შესაძლოა, ეს ფიზიკური ნიშან-თვისებაც ჰქონდათ მხედველობაში ბერძენ ავტორებს (ესქილეს, ჰეროდოტეს, არისტოტელეს, ესქილეს ძველ სქოლიასტს, იუნიანეს, იუსტინეს, აგათი-

---

187 ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. გვ. 43.
188 იქვე. გვ. 90.

მეროსს, არიანეს, პერიპლუსის ანონიმს, პროკოპი კესარიელს და სხვ.), რომ-
დესაც ისინი აზიისა და ევროპის გამყოფად მდ. ფასისს ასახელებენ. ყოველ
შემთხვევაში, მათ მიერ პონტოს აქ დამთავრება, თუნდაც ამ ნიშნის
სავსებით ლოგიკური ჩანს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ბუნებრივი ზღუდის ერთ თავში ათინა და რიზე მდებარეობს, მეორე ნაწილის ჩამკეტი კი თანამედროვე პატარა სავაჭრო ქალაქი და ნავსადგური ხოფაა, რომელიც ერთპიროვნულად ბატონობს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალ როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო გზაზე. გარდა ამისა, ხოფა უმოკლესი გზით უკავშირდება ჭოროხის ხეობას სოფ. ფორჩხასთან. ჭოროხის ზემო წელისაკენ მიმავალი გზა ართვინთან იყოფა ორად, ერთი ჭოროხის გაყოლებით მიემართება ყარსი, არდაგნი და სომხეთისაკენ, ხოლო მეორე იმერხევით, ყვირილას ხეობით და არსიანის უღელტეხილით გადადის ფოცხოვის ხეობაში, საიდანაც ახალციხე, ახალქალაქი, წალკა — მანგლისის გზით ჩადის თბილისში.

საფიქრებელია, რომ სწორედ ამ გზით წაიყვანეს ლაზებმა მეფე ხოსროანუშირვანი პეტრას წინააღმდეგ.

როგორც პროკოპის ცნობიდან ვგებულობთ, სპარსელებმა გადალახეს ბოასი (ჩვენი გაგებით ჭოროხის ზემო წელი) „... და ისე მივიდნენ პეტრაში, რომ ფასისი მარჯვნივ ჰქონდათ. თითქოს იმიტომ, რომ მათ (ლაზებმა — გ. გ.) წინასწარ განეკვრიტეს, რათა მდინარე ფაზისის გადასასვლელად არც დრო და არც შრომა დასჭირდებოდათ მეტი, ხოლო ნამდვილად იმიტომ, რომ არ სურდათ სპარსელებისათვის ეჩვენებინათ თავიანთი საბინადროები“[189].

როგორც ჩანს, იბერიიდან ლაზიკის ამ ნაწილში სხვა გზაც შემოდიოდა (ალბათ, ქვაბლიანის ხევით გოდერძის უღელტეხილზე და აქედან აჭარისწყლის ხეობაში), მაგრამ ლაზებს შეგნებულად აუვლიათ მისთვის გვერდი და ირანელები მდინარე ფასისის ზემო წელისაკენ ანუ ბოასისაკენ წაუყვანიათ. როგორც უკვე ითქვა, ჭოროხს ასე უნდა რქმეოდა ართვინიდან სათავეებამდე. ჩვენი ვარაუდით, სპარსელებს ჭოროხი უნდა გადაელახათ ართვინის ზემოთ 10—15 კმ მოშორებით, იქ, სადაც იმერხევისა და ჭოროხის შესართავია. შემდეგ ფასისის მარცხენა ნაპირით ქვემოთ ეშვებიან ფორჩხამდე და აქედან უმოკლესი გზით (40—45 კმ) ჩათის უღელტეხილის გადავლითა და მდ. ხოფას ხეობით მიდიან პეტრაში.

ჩანს, რომ იგივე გზა გაიარეს ლაზიკაში მეორედ შემოსულმა სპარსელებმა, ამჟამად უკვე მერმეროეს მთავარსარდლობით რომ მიემართებოდნენ რომაელების მიერ ალყაშემორტყმული პეტრას დასახმარებლად. პროკოპის ცნობით, „იმან (მერმეროემ — გ. გ.) არ მოინდომა ლაზიკის სოფლებზე გაეარა სადმე, რათა მას რაიმე დაბრკოლება არ შეხვედროდა“[190], და ისე იარა პეტრამდე, რომ „ფასისი მარჯვნივ ჰქონდა“.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჭოროხის სახით გაგვაჩნია ის მყარი, საიმედო ნიშანსვეტი, რომელიც საძიებო ქალაქ პეტრას არსებობას ხოფას სანახებში მიგვითითებს.

ხოფადან ჭოროხისაკენ და აქედან აღმოსავლეთით, იბერიისაკენ სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, არმენიისა და პერსარმენიისაკენ მიმავალი

---

189 გეორგიკა. II. გვ. 102.
190 იქვე. გვ. 106—107.

ეზა რომ არ არის ახალი და ძველთაგანვე არსებობდა, ამის შესახებ ერთერთ ცნობას ვხვდებით ქართლის ცხოვრებაში[191]. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი მათგანი, სადაც მოთხრობილია 1205 წ. დავით სოსლანის მიერ ბასიანში თურქთა დიდი ჯარის განადგურების შესახებ: „ესენი ბასიანსა ... დგეს დიდნი თურქნი ხარგებითა, ვინათგან ზამთრის სიფიცხესა და მთათა სიმაგრეთა მიენდვნეს. ხოლო მეფემან მოიხელოვნა ესრეთ, რამეთუ სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა და თვთ ქუთათისს გარდავიდა, რომელითა უეჭველ ყვნა იგინი. და თვესა თებერვალსა აცნობა ქართუელთა და მესხთა, რათა კლარჯეთს დახუდენ პაემანსა, და თვთ შიდითა სპითა ხუფთით ჭოროხის პირი წარვლო და შეკრბეს ერთად. და უგრძნეულად დაესხნეს მათ ზედა, უშიშად გულდებითა მსხდომარეთა ბასიანამდე და მთად კარნიფორისა“[192].

უდავოდ ნიშანდობლივი მითითებაა ხუფათის გზაზე, რომლითაც მეფე დავით სოსლანი გადადის ჭოროხის ხეობაში და კლარჯეთში ხვდება ქართლიდან და მესხეთიდან მოსულ ლაშქარს. როგორც ჩანს, გზა ხუფათიდან და იბერიიდან ჭოროხისაკენ იმდენად ყოფილა გაკვალული, რომ ზამთრის პერიოდშიც კი არ ფერხდებოდა მასზე ხალხთა დიდი მასების მოძრაობა. ასეთია იგი განვითარებულ შუა საუკუნეებში და ასეთივე უნდა ყოფილიყო უფრო ადრეც, პროკოპის დროსაც. ამ გზის ერთ ბოლოში მდებარეობს ხოფა, სადაც ჩვენ პეტრას არსებობას ვვარაუდობთ.

ხოფა თავისი ხელსაყრელი მდებარეობის გამო საკვანძო პუნქტია, სადაც თავს იყრიან ჩრდილოეთიდან (ეგრისი), აღმოსავლეთიდან (იბერია), სამხრეთ-დასავლეთიდან (არმენია, პერსარმენია) და სამხრეთიდან (რომის პროვინციები) მომავალი სახმელეთო გზები. გარდა ამისა, ხოფას, როგორც სანაპირო ქალაქს, გააჩნია კარგი ნავსადგური და დღესაც თანამედროვე თურქეთის უკიდურესი ჩრდილო ზოლის საზღვაო ჭიშკარია.

როგორც ცნობილია, მკვლევართა უმრავლესობა პეტრას ლოკალიზაციის საკითხებზე მსჯელობისას ერთხმად აყენებს მასთან ნავსადგურის არსებობის აუცილებლობას. მათი აზრით, პეტრა „... ისეთი პუნქტი უნდა ყოფილიყო, რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ვაჭრობისათვის და სავაჭრო მიმოსვლისათვის და აგრეთვე სამხედრო საქმიანობისათვის, ე. ი. კარგი საზღვაო ნავსადგურის პირობებს აკმაყოფილებს“[193].

პირველი დიუბუა დე მონპერე იყო, რომელმაც ქალაქის ამ მხარეზე გაამახვილა ყურადღება. სანავსადგურო მონაცემების არარსებობის გამო აკად. ს. ყაუხჩიშვილმა ზურგი შეაქცია საყოველთაოდ მიღებულ და გაზიარებულ ტრადიციას პეტრა-ციხისძირის იგივეობის შესახებ და ამ ფაქტორის ძიებამ იგი ბათუმში მიიყვანა[194], მიუხედავად იმისა, რომ ბათუმი სხვა მხრივ ვერ აკმაყოფილებს ქ. პეტრასადმი წაყენებულ მოთხოვნებს. პეტრასთან ნავსადგურის აუცილებლობაზე მიუთითებს პროფ. ნ. ლომოურიც, რომელიც ასეთად ჩაქვის დაბლობს მიიჩნევს[195].

პროფ. ი. სიხარულიძე თავდაპირველად იზიარებდა ნ. ლომოურის ვარაუდს, მაგრამ შემდეგ რამდენადმე განსხვავებული მოსაზრება წამოაყენა.

---

191 ქ. ც. I. 239_{10}/ 240_{10}/; ჯ უ ა ნ შ ე რ ი. მარ. 204; ლ. მ რ ო ვ ე ლ ი. მარ. 30.

192 ქ. ც. I. ც-ბა დავითის, 333_{11}.

193 გეორგიკა. II. გვ. 34.

194 იქვე. გვ. 105—106.

195 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. ქალაქი პეტრა და მისი ადგილმდებარეობა. გვ. 34.

მისი აზრით, ქ. პეტრას ეჭირა ბობოყვათის მიდამოები, რომლის ნავსადგური უნდა ყოფილიყო მდინარეების — დაგვისა და კინტრიშის — შესართავები[196].

ციხისძირის ნავსადგურის ძიებას, ისევე როგორც საერთოდ ციხისძირი-პეტრას იდენტიფიკაციის საკითხების კვლევას და არქეოლოგიურ შესწავლას დიდი ღვაწლი დასდო ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ყოფილმა დირექტორმა აწ განსვენებულმა ა. ინაიშვილმა. მან სპეციალური წერილიც გამოაქვეყნა „ციხე-ქალაქ პეტრას ნავსადგურის საკითხისადმი" მიძღვნილი, რომელშიც, საკმაოდ ვრცელი მსჯელობის შემდეგ, იზიარებს ი. სიხარულიძის ვარაუდს[197], და დასძენს: პეტრასთან ნავსადგური კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ უბრალოდ ნავმისადგომები, რისთვისაც შეეძლოთ გამოეყენებინათ დეხვა-კინტრიშ-აჭყვას შესართავები[198]. ობიექტური თუ ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ციხისძირში და მის შემოგარენში ნავსადგურისათვის საჭირო ფიზიკური პირობები არ არსებობს და ზემოთ ხსენებული ავტორების ვარაუდი ასეთის არსებობის სურვილის ფარგლებში რჩება.

სულ სხვა მდგომარეობაა ხოფასთან. როგორც ცნობილია, აქ არსებობს საკმაოდ ღრმა და მოხერხებული ბათუმის მსგავსი უბე, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს თანამედროვე კარგი ნავსადგურისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და არაფერი დაუდგებოდა წინ ასეთივე მნიშვნელობით მის გამოყენებას ადრეც, როდესაც ნაოსნობა შედარებით მცირე ზომის ხომალდებით ხორციელდებოდა და საკაბოტაჟო ხასიათი ჰქონდა.

პროკოპი კესარიელის არაერთგზის ჩვენების მიხედვით, პეტრა სასაზღვრო ქალაქია ლაზების ქვეყანაში, რომლის აშენების აუცილებლობაში სტრატეგოს ციბეს დაურწმუნებია იმპერატორი იუსტინიანე. საინტერესოა, რით დაარწმუნა ამ „გაქნილმა" მოხელემ იმპერატორი, რომელმაც დააკმაყოფილა მისი სურვილი, ანუ რა იყო ის მთავარი მომენტი, რამაც განაპირობა ქ. პეტრას აშენება. მკვლევართა ერთობლივი აღიარებით პეტრა შენდება კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში, რომელიც უმთავრესად ბიზანტიის თავდაცვით მომენტს გულისხმობს[199], სასანიდური ირანის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელმაც დაიპყრო სომხეთის დიდი ნაწილი, მეფობა მოსპო ქართლში (523 წ.) და ეგრისში გაბატონებით სურს ზურგიდან მიაყენოს გადამწყვეტი დარტყმა მის ძირითად მოწინააღმდეგეს რომის იმპერიას.

ბუნებრივია, იუსტინიანე შესაბამისად ანხორციელებს რადიკალურ კონტრღონისძიებებს უკვე კარზე მომდგარი საშიშროების წინააღმდეგ, რის გამოც თავდაპირველად ცდილობს ლაზიკის სასაზღვრო ციხეების — სკანდესა და შორაპანის — გამაგრებას, უკვე რომაული გარნიზონების საშუალებით. მაგრამ, როგორც ჩანს, მალე დარწმუნდა იუსტინიანე, რომ ეს ღონისძიება არ იყო ეფექტური არმენიაში და იბერიაში გაბატონებული საშიში მტრის შესაჩერებლად, რომელსაც ლაზიკის ცენტრალური რაიონების გვერდის ავლით იბერიიდანაც (ახალციხის გადასასვლელებით) და სომხეთიდანაც (ჭოროხგზა) შეეძლო გაჭრილიყო ზღვის სანაპირო ზოლში, უშუალოდ რომის პროვინციების

---

196 ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია. წიგნი II. ბათუმი, 1959, გვ. 99.

197 ა. ინაიშვილი. ციხე-ქალაქ პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. II. 1971, გვ. 74—90.

198 იქვე. გვ. 87.

199 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII, გვ. 471.

საზღვართან. სწორედ ამიტომ და არა სურსათის ნაკლებობის გამო, როგორც ეს პროკოპის ჰგონია[200], იუსტინიანეს გამოჰყავს ჯარები სკანდეიდან და ბორაპნიდან და სასწრაფოდ აშენებს ახალ ზღუდეს ქალაქ პეტრას, სადაც ... მელიც საიმედოდ ჩაკეტავდა რომის ჩრდილოეთ პროვინციებში ... ყველა გზას, ლაზების განდგომის შემთხვევაშიც კი (მით უფრო, რომ ლაზებს ასეთი ტენდენცია არაერთხელ გამოუმჟღავნებიათ)[201]. არც სკანდეს, არც შოროპანს, არც ფასისს, არც ციხისძირის და არც ლაზიკის სხვა რომელიმე ციხეს არ შეიძლება ჰქონოდა ასეთი მნიშვნელობა, რომის პროვინციებიდან მათი გარკვეული მანძილით დაშორების გამო. როგორც ჩანს, ამიტომ გახდა საჭირო ახალი ქალაქის აშენება უფრო ხელსაყრელ სტრატეგიულ ადგილზე, ზღვის სანაპირო ზოლში. ვფიქრობთ, სწორედ ასეთი ადგილის შერჩევაში მდგომარეობს სტრატეგოსი ციბეს დამსახურება, რომელიც, ალბათ, კარგად იცნობდა რომისა და ლაზიკის შავი ზღვის სანაპირო ზოლის რელიეფს, სადაც ყველა სტრატეგიული ნიშნით (ზღვის სიახლოვე ქედებთან, კლდოვანი რელიეფი, სახმელეთო და საზღვაო გზების შეხვედრის წერტილი, რომის პროვინციის კლდეკარი, ხელსაყრელი კლიმატი და სხვ.) შეუდარებელია ხოფას რაიონი. აქ არის ქედებით გამოყოფილი გეოგრაფიული საზღვრები, რომელსაც ემთხვევა ბიზანტია-ლაზიკის პოლიტიკური სასაზღვრო ზოლიც უძველესი დროიდან (ჰეროდოტე, ფსევდო სკილაქს კარიანდელი, არიანე და სხვ.) V—VI სს. ჩათვლით. ამის შესახებ ბერძენ ავტორთა წერილობითი ცნობებიც გაგვაჩნია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს IV საუკუნის მეორე ნახევრის სახელგანთქმული რომაელი ისტორიკოსი ამიანე მარცელინი, რომელიც მოგვითხრობს ირანის შაჰი შაბურისაგან 368 წელს ლტოლვილი სომხეთის მეფე პაპის და სხვა სომეხი წარჩინებულების შესახებ, რომლებმაც „სცადეს შეეფარებინათ თავი მაღალ მთებში, რომლებიც ჩვენებს (ე. ი. რომაელთა მიწებს — გ. გ.)... ლაზიკისაგან ჰყოფენ. იქ ხუთ თვეს იფარავდნენ თავს და თავს აღწევდნენ მეფის მრავალ ცდას მათი დაჭერისათვის"[202]. როგორც მკვლევრები ფიქრობენ, ის მაღალი მთები, რომლებიც გამოჰყოფდნენ რომაელთა სამფლობელოს ეგრისის სამეფოსაგან, უნდა მდებარეობდნენ ჭოროხის შესართავიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზღვის მახლობლად[203], ეს უნდა იყოს ლაზიკის ანუ ე. წ. პონტოს ქედი და მისი განშტოებები, რომლის ერთ ბოლოში, საზღვაო და სახმელეთო გზების შესაყართან, ხოფა მდებარეობს, ადრე კი აქ ქალაქი პეტრა უნდა აეგოთ, როგორც რომის პროვინციებისაგან მიმავალი გზებისა და კლდეკარის ჩამკეტი.

ხოფასთან ლაზიკის სასაზღვრო ზოლის არსებობის შესახებ კიდევ უფრო ზუსტ მითითებას ვხვდებით V საუკუნის ავტორის დანიელ მესვეტის ცხოვრებაში, სადაც ნათქვამია: „მათ დღეთა შინა მოვიდა, ღობაზიანოს მეფე აფხაზთა ხილვად ნეტარისა ლეონ (იგულისხმება ლეონ I, 457—474 წწ. — გ. გ.).. ხოლო აქუნდა ორთავ ამათ მეფეთა საურავი რაჲმე ქვეყანათა. და-

---

200 გეორგიკა. II. გვ. 52.

201 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები. I. გვ. 35; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 471; გეორგიკა, II. გვ. 35, შენ. 1.

202 ა მ ი ა ნ ე მ ა რ ც ე ლ ი ნ ი. გეორგიკა. I. თბ., 1961, გვ. 128.

203 Г. А. Меликишвили. დასახ. ნაშრომი, გვ. 91, 381; ნ ლ ო მ ო უ რ ი. ეგრისის სამეფოს ისტორია. 1968, გვ. 70; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი. გვ. 91.

წყნარებისათვს და ზღვათა განყოფისა: სადამის არს საბერძნეთისა ანუ მეგრელთა აფხაზეთის სამეფოსა: და უთხრეს წმიდასა და მონასა ღმრთისასა დანიელს და იგი იქმნა შუამდგომელ მათდა. და დადვეს საზღვრად ცეხეს ხუფათი: და აღუთქვეს ურთიერთას მშვიდობა და სიყვარული ამისითა სიტყვითა. და შთამოვიდა მეფე ქალაქად და განუტევა ღობაზიონ მამულსა თვსსა.[204]

ბიზანტიელი მწერლის პრისკე პანიონელის მიხედვით გუბაზის ჩასვლა კონსტანტინოპოლში მომხდარა დიდი ხანძრის შემდეგ (465 წ.)[205], ე. ი. გუბაზისა და ლეონის დაზავება და ხუფათზე საზღვრის დადება უნდა მომხდარიყო 465—474 წწ. შუა პერიოდში. არც ბიზანტიური და არც ქართული წყაროების მიხედვით არ ჩანს ამის შემდეგ, პროკოპის დრომდე, ე. ი. ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რაღაც ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილება მომხდარიყოს, რომ საზღვარი ლაზიკასა და ბიზანტიას შორის ციხისძირთან გადაეტანათ, რაც თავისთავად გამოდის პეტრას ციხისძირთან ლოკალიზაციის შემთხვევაში. და თუ ასეთი რამ მოხდა, მას უთუოდ ახსენებდა **პროკოპი, როგორც არაერთგზის** იხსენიებს იგი ჭანების დამორჩილებას ბიზანტიელების მიერ[206]. როგორც ქართული წერილობითი წყაროებიდან ვგებულობთ, ეს საზღვარი არ შეცვლილა გვიან შუასაუკუნეების დასაწყისამდე. პროკოპისეული პეტრას ტოპოგრაფიულ დახასიათებას ძალზე უახლოვდება კარლ ჰაინრიჰ კოხის ხოფას სანაპიროების აღწერის სურათი; კოხმა 1843—1844 წწ. იმოგზაურა შავიზღვისპირეთში რედუდ-კალედან ტრაპიზონამდე და დაგვიტოვა დეტალური აღწერილობა სანაპირო ზოლისა. ჩვენთვის ამჯერად საგულისხმოა ხოფას მიდამოებზე კოხისეული ვიზუალური დაკვირვების შთაბეჭდილებები, ჭოროხის მარცხენა სანაპიროდან ხოფასაკენ და აქედან ათენამდე. „მეორე დღეს ხოფასაკენ განვაგრძეთ გზა: იგი ამ ადგილიდან ექვსი საათის სავალით არის დაშორებული. თანდათანობით ქრება დაბლობი და პონტოს მთები სულ უფრო უახლოვდება პონტოს სანაპიროს... ხოფის დასავლეთით მდებარე მთა სულ უფრო და უფრო უახლოვდება ზღვას და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ზღვიდან ამოდისო; ამის გამო გზა ზღვის ნაპირის გაყოლებით სულ უფრო და უფრო ძნელი სავალი ხდება. აქ ცხენითაც ვერ გაივლის კაცი. კლდეზე ფეხით სიარულიც კი ჭირს“[207]. რადგან ხოფადან ათენისაკენ ხმელეთის გზა ძალზე რთული სავალი ყოფილა, კოხი იალქნიანი ნავით გამგზავრებულა ათენისაკენ და შიშნარევი აღფრთოვანებით აღწერს სანაპიროს სიმკაცრესა და სილამაზეს. „თუმცა განთქმული ყირიმის სანაპიროები და ზღვიდან ამოსული ჩერქეზეთი, თავისი მაღალი მთებით, უკვე ნანახი გვქონდა, ასეთი სილამაზე და მრავალფეროვნება ჯერ მაინც არსად გვიხილავს... ზღვიდან უზარმაზარი კლდეები აღმართულიყო. ... ვაი ჩვენი ბრალი, ამ საშიშ ადგილებში უეცრად ქარიშხალი რომ ამოვარდნილიყო. ასეთი კლდეების სიახლოვისას ყველა ცდა გადარჩენისათვის უშედეგო იქნებო-

---

204 კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. VII. თბ., 1961, გვ. 5—6.

205 გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი პირველი, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ., 1961, გვ. 259.

206 გეორგიკა. II. გვ. 31.

207 კოხისა და სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა. თბ., 1981, გვ. 196, 199.

და; ნავი კლდეს დაეჯახებოდა და დაიშლებოდა იმავე ნაფოტებად, რომლებისგანაც ის დურგალს წვალებით შეეკრა. ჩვენმა თანამგზავრებმა გვითხრეს, რომ იმ ადგილებში ყოველწლიურად ბევრი გემი და ნავი ილუპება. მათი მონაყოლი ახლაც შიშის ზარს გვცემს"[208]. როგორი რომანტიული და ნიშანდობლივი აღწერაა კლდოვანი სანაპიროსი, რომელსაც არაერთხელ სანგარეთ ასახელებს პროკოპი, როგორც პეტრას ძირითად ტოპოგრაფიულ ნიშანს.

როგორც ჩანს, ამ ადგილებმა ადრევე მიიქცია გემებით მოგზაური ბერძნების ყურადღება და რელიეფის ნიშანდობლივი თავისებურების გამო შეერქვა მას სახელწოდება პეტრა, რაც ბერძნულად კლდესა და კლდეეთს ნიშნავს. ერთი სიტყვით, ხოფის გარემო ამ მხრივაც სავსებით პასუხობს პროკოპის ჩვენებას, პეტრას ტოპოგრაფიას რომ შეეხება.

საბწუხაროდ, გასაგები მიზეზების გამო, ამჯერად არ არსებობს შესაძლებლობა ხოფას მიდამოების ვიზუალური დაკვირვებისა, მაგრამ XIX ს. მოგზაურთა და მთხრობელთა მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით მაინც გარკვეული წარმოდგენა გვექმნება აქ არსებული ისტორიული ძეგლების შესახებ. ხოფას რეგიონში საგულისხმო მატერიალური ძეგლების არსებობისა და შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მოეპოვებიათ ი. ყიფშიძეს, გ. ყაზბეგს, დ. ბაქრაძეს, დ. კლდიაშვილს, ნ. მარსა და სხვ. ამ ავტორთა ცნობების, მთხრობელთა ინფორმაციისა და ხუთვერსიანი რუკის მონაცემების გათვალისწინებით, პროფ. ი. სიხარულიძემ გამოსცა ორი ნაშრომი — ჭანეთი I და ჭანეთი II, რომელშიც ლაზიკის ამ ნაწილის ისტორიული გეოგრაფიისათვის მეტად საყურადღებო მასალებია თავმოყრილი[209]. ამ ნაშრომებში აღწერილი პუნქტებიდან პეტრას ლოკალიზაციის საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებო გვეჩვენება სოფ. პირონითსა და სოფ. კისეს შორის ზღვისპირას აღმართული კლდოვანი ბორცვი, რომელზეც გ. ყაზბეგი მთელ ჭანეთში საუკეთესო ეკლესიის არსებობას ადასტურებს[210]. დ. ბაქრაძის ცნობით, რომელიც მეჯლისის წევრის ორთაზოფელი წარმოშობის ხასან-აღა მურად-ოღლის (მისი ქართული გვარი ყოფილა მოურავიშვილი) მონაყოლს ემყარება, ამ ადგილს ჯიხა რქმევია[211], რაც აქ ციხის არსებობაზეც მიგვითითებს[212]. ინტერესს არ არის მოკლებული აგრეთვე აქვე ახლოს მდებარე სოფლის სახელწოდება ყალა-დიბი თუ კულე-დიბი, რაც თურქულად ციხისძირს ნიშნავს[213]. განსაკუთრებით საგულისხმოა ი. სიხარულიძის ერთი უნიკალური ცნობა, რომელიც მთხრობელის ინფორმაციაზეა დამყარებული. ამ ცნობის მიხედვით აქვე არსებობს პატარა მდინარე, რომელსაც მოსახლეობა პ ე ტ რ ო ღ ა ლ ს უწოდებს, რაც პეტრა-წყალს ნიშნავს[214]. ამ საინტერესო უბანში ჰიდრონიმი პეტრას დადას-

---

208 კ. კოხისა და სპენსერის ცნობები..., გვ. 199, 200.

209 ი. სიხარულიძე, ჭანეთი (ლაზეთი). — საისტორიო გეოგრაფიის მასალები. I. ბათუმი, 1977; მისივე. ჭანეთი (ლაზეთი). — საისტორიო გეოგრაფიის მასალები. II. ბათუმი, 1979.

210 Г. Казбек. Три мѣсяца въ турецкой Грузии, с. 103; ი. სიხარულიძე. ჭანეთი. I. გვ. 68—69.

211 დ. ბაქრაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

212 მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს. თბ., 1971, გვ. 84, შენ. 148.

213 ი. სიხარულიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 64—65.

214 იქვე. გვ. 60.

ტურება, სხვა მონაცემებთან ერთად, ვფიქრობთ, კიდევ ერთი საიმედო საფუძველია ხოფას შემოგარენში ქალაქი პეტრას არსებობის მტკიცებისათვის.

დასასრულ, დასკვნის სახით კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ ჩვენი ძირითადი დებულებები: პროკოპი კესარიელის მიერ 1 ეტაპზე მოხსენიებული ბოას-ფასისი ჭოროხს შეესატყვისება და არა რიონს. მისგან სამხრეთით, დაახლოებით 30 კმ-ზე ხოფას შემოგარენში უნდა ყოფილიყო ქალაქი პეტრა. ამ პუნქტის ტოპოგრაფია ხასიათდება მკვეთრად გამოხატული კლდოვანი რელიეფით, იგი მდებარეობს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნახევარმთვარისებური სანაპიროს ერთ ბოლოში, რომლის პირისპირ აფშილეთის საზღვრებია. ხოფას შემოგარენზე გადის ლაზიკისა და რომის იმპერიის როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული, ისე პოლიტიკური საზღვარი, სადაც თავს იყრის სატრანზიტო გზები ლაზიკიდან, იბერიიდან, არმენიიდან და პერსარმენიიდან, რომლის ჩამკეტია პეტრა-ხოფა. მას გააჩნია კარგი ნავსადგური და ხელსაყრელი მდგომარეობის გამო, კონტროლს უწევს საზღვაო გზასაც. იგი, პირველ რიგში, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სტატეგიული პუნქტია, რომელიც იმავე დროს ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობისათვის. ხოფას შემოგარენში დადასტურებულია ტოპონიმი პეტროღალი. პეტრა-ხოფას ინდენტიფიკაციის გაზიარების შემთხვევაში, შესაბამისად, უნდა გასწორდეს პროკოპი კესარიელის შრომის ყველა საეკვო-სადავო ადგილი და მეტი ნდობა უნდა გამოვუცხადოთ მას, როგორც ადრებიზანტიური ხანის საქართველოს ისტორიის საიმედო პირველ წყაროს.

Г. К. ГРИГОЛИЯ

ВОПРОСЫ ЛОКАЛИЗАЦИИ ГОРОДСКИХ ЦЕНТРОВ (ПЕТРА) ДРЕВНЕЙ КОЛХИДЫ

Резюме

Город Петра, как городской центр Лазики VI века, имеет краткую историю своего существования. Несмотря на это, он сыграл важнейшую роль в истории ранневизантийской Лазики, Византии и Сасанидского Ирана.

В связи с этим вопрос локализации г. Петра, как пограничного города-крепости, вызывает особый интерес. Упомянутая в истории Прокофия Кессарийского река Боас-Фазис в научной литературе отождествляется с рекой Риони. На основании вышесказанного г. Петра «помещают» на побережье Аджарии между рекой Чолоки и городом Батуми, в тех местах, где сохранились развалины крепости Цихисдзири.

В предлагаемой работе отождествляются упоминаемые на первом этапе десятилетней войны (541—551 гг.) на территории Лазики между Византией и Ираном гидронимы рек Фазис, Боас-Фазис и Боас-Акамфсис с рекой Чорохи. Южнее от р. Чорохи, в 25—30 км около Хопи (Хопа) подразумевается существование г. Петра.

Хопи характеризуется четко выраженным скалистым рельефом, и вообще этот пункт имеет все те же признаки физико-географического, топографического, стратегического и др. характера, которые совпадают с описанием г. Петра Прокофием Кессарийским.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. სიხარულიძე

ფერსათის ისტორიული გეოგრაფიიდან*

(საერისთავოს ტერიტორია)

„საერისთავო“ ან „ბარის საერისთავო“, როგორც მას უწოდებენ, ფერსათის ყველაზე გვიანდელი სათავადოა[1].

საერისთავოს ტერიტორიაზე ვახუშტი პირდაპირ არაფერს ამბობს. ბატონიშვილის ჩვენებებიდან მხოლოდ ის ჩანს, რომ ეს ფეოდალური ერთეული იმერეთის ბარში ჩამოყალიბდა[2].

ეს სათავადო პირველად ი. გიულდენშტედტმა აგვიწერა[3]. საერისთავოს სოფლების სიას გერმანელი მოგზაური ამაღლებით იწყებს[4].

ამაღლება

ამ სოფელს გიულდენშტედტზე ადრე ვახუშტი იხსენიებს „სალომინაოს აღწერილობაში“[5]. ბატონიშვილი ამაღლებას ამავე სახელწოდების ხევზე მიუთითებს[6], ხოლო გერმანული ავტორი — მდ. კუნიზე[7]. ერთიცა და მეორეც თანამედროვე კვინისწყალს შეესაბამება[8].

სოფლის სახელი წარმოდგება ეკლესიის სახელისაგან „ამაღლება“[9]. ზო-

---

* მოხსენდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებას 1975 წლის 4 დეკემბერს (იბეჭდება შემოკლებით და ზოგიერთი ცვლილებით).

1 ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა — ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 686; ს. კაკაბაძე. საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა. ტფ., 1922, გვ. 197; ო. სოსელია. გიორგი ერისთავის ყმათა ქონება და ვალდებულება — „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 29, თბ., 1961, გვ. 37; მისივე. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. თბ., 1973, გვ. 89; ქვ. ჩხატარაშვილი. დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში — წიგ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. IV. თბ., 1973, გვ. 464—465.

2 ბატონიშვილი ვახუშტი. დასახ. ნაშრ., გვ. 683 და შმდ.

3 ი. გიულდენშტედტი. მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გ. გელაშვილის თარგმანი, თბ., 1962, გვ. 161, 305.

4 იქვე. გვ. 305.

5 ბატონიშვილი ვახუშტი. დასახ. ნაშრ. გვ. 150.

6 იქვე.

7 ი. გიულდენშტედტი. დასახ. ნაშრ. გვ. 161.

8 კვინისწყალი ფერსათის ჩრდილოეთ კალთებიდან მომდინარე მცირე ხევებისაგან იქმნება და ერთვის რიონს მარცხნიდან ამაღლების ჭალაში, ტყაჩირის სანაოს ზემოთ.

9 Д. Гордеев. Материалы к обследованию Хонских древностей. საისტორიო მოამბე. I. 1924, გვ. 214; საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები. თბ., 1959, გვ. 56.

გიერთ წყაროში ეს ძეგლი მონასტრად იწოდება[10], ხოლო ზოგან — საყდრად[11]. XVIII ს. შუა ხანიდან ეს ეკლესია ერისთავთა საძვალედ იქცა[12].

ტაძრის ახლოს იდგა ციხე-დარბაზი, რომელიც ბარის ერისთავთა სახლის ფუძემდებელს გიორგი გედეონყოფილ ერისთავს აუგია[13].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა დ ე მ ე ტ რ ა ო

საერისთავოს სოფლების გიულდენშტედტისეულ სიაში მეორე ადგილზე დასახელებულია სადემეტრაო[14].

სახელწოდება წარმოდგება აზნაურთა საგვარეულო სახელისაგან „დემეტრაძე“.

სადემეტრაო კორისწყლის ქვემო წელზე მდებარეობს და მდინარის ორივე მხარეზე ვრცელდება. ეს მხარეები, რომ აქ საკმაოდ გამოიყოფოდნენ, ამას მოწმობს „გალმა“-„გამოლმა“ სადემეტრაოების არსებობა.

ჩვენს დროში ეს გეოგრაფიული სახელი გაუქმდა და მის ნაცვლად „წითელი ხევი“ დამკვიდრდა.

საერისთავოში სადემეტრაოს მხოლოდ ერთი ნაწილი, კორისწყლის მარცხენა სანაპირო („გამოლმა“) ერთიანდებოდა.

ეს სოფელი ზეგანზეა შეფენილი. ისტორიული ღირსშესანიშნაობებიდან იქ (დევაძეების უბანში) შემონახულია განვითარებული ფეოდალიზმის ხანის (X—XI სს.) ეკლესია გვიან შუასაუკუნეთა საალმშენებლო ფენით[15].

ს ა ლ ო მ ი ნ ა ო

ი. გიულდენშტედტის სიაში სადემეტრაოს შემდეგ დასახელებულია „სალომინოვო“[16]. „სალომინოვო“ ამ სოფლის სახელწოდების ადგილობრივი ფორმა უფროა, ვიდრე „სალომინაოს“ მოგზაურისეული დამახინჯება.

სალომინაოდ რევოლუციამდე ორი სოფელი (სალომინაო პირველი, სალომინაო მეორე) იწოდებოდა, მაგრამ ეს ფაქტი გვიანდელი მოვლენა ჩანს და XVIII ს., როცა ი. გიულდენშტედტი მოგზაურობდა, მხოლოდ ერთი სალომინაო არსებობდა.

როდის დამკვიდრდა სოფლის სახელად „სალომინაო“, ჯერჯერობით, საძიებელია, ხოლო ამავე სახელწოდების ფეოდალურ ერთეულად ქცევა აზნაურ ლომინაძეთა სახლის იმ აღზევების თანმხდური მოვლენა უნდა იყოს, რაც XVII ს.-ის შუახანებში შეინიშნება[17].

---

10 ი. ც ი ნ ც ა ძ ე. ალექსი იეველეის 1650—1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა. თბ., 1969, გვ. 87, 167; ვ ა ხ უ შ ტ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 751.

11 შ. ბ ე რ ჯ ა ნ ა ძ ე. ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო — საქართველოს სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. I. 1957.

12 თ ბ ე რ ა ძ ე. ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან — „ვანი — !!!“. თბ., 1977, გვ. 29.

13 გიორგი ივანეს ძე ერისთავის (დაბ. 1878 წ.) ზეპირსიტყვიერი ცნობა (ჩავიწერეთ ამაღლებას, 1974 წლის 14 აგვისტოს).

14 ი. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 305.

15 საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები. გვ. 79.

16 ი. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 305.

17 ჩვენი, ფერსათის (სალომინაოს) ისტორიული გეოგრაფიის საკითხები (მოხსენება საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებას 1975 წლს 4 დეკემბერს).

ისტორიული ძეგლებიდან სალომინაო მეორეში (აწ ფერეთა) ზედაპირულად არაფერია შემონახული, ხოლო სალომინაო პირველში (აწ კიროვი) მოღწეულია ღვთისმშობლის ეკლესიის ნაშთი, რაშიც ორი საკმეველი (შუა ფეოდალური ხანის და გვიან შუასაუკუნეთა) გამოიყოფა[18].

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალომინაო პირველში მოგვიანებით ერისთავთა შთამომავლები მცხოვრობდებიან.

სალომინაოელ აზნაურ ერისთავთა შორის უკანასკნელ პერიოდში გამოირჩეოდა კონტანტინე ერისთავი (აკად. კ. ერისთავის პაპა) თავისი სასახლითა და კარის ეკლესიით.

ნ ა ს ა გ ო რ ე ვ ი

სალომინაოს ი. გიულდენშტედტთან „ნასაგორევი" მოსდევს[19].

ამ სოფლის ადგილმდებარეობა ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ. სახელწოდება გორ-ს უკავშირდება. თავდაპირველად „გორი" უნდა რქმეოდა, შემდეგ იგი სა-ე აფიქსებით (სა-გორ-ე) გაფორმებულა, ხოლო შემდეგ ,ნა-საგორ-ევად ქცეულა.

სოფელი ნაგორევი დადასტურებულია არგვეთში[20].

ბ ა ბ ო თ ი

საერისთავოს მეხუთე სოფლად ი. გიულდენშტედტი ასახელებს ბაბოთს[21].

ბაბოთი მდ. ფერეთას ზემო წელზე მდებარეობს. ამ მდინარის ერთი (მარჯვენა) შენაკადი (შუატყის ღელე) ბაბოთს ორად (ბალმა და გამოლმად) ჰყოფს.

ეს სოფელი ადრე სალომინაძო საქონებელი იყო და არც ამ უკანასკნელის საერისთავოში შესვლის შემდეგ გაუქმებულა იქ ლომინაძეთა მფლობელობა.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ეს ხალხმრავალი სოფელი ამჟამად თითქმის დაცარიელებულია (ერთიანდება ფერეთას სასოფლო საბჭოში). სოფლის მიტოვება დაიწყო 1968 წლის მეწყერთან დაკავშირებით, რამაც რამდენიმე ოჯახი იმსხვერპლა.

გ ო რ ა

საერისთავოს შემდეგი სოფელი ი. გიულდენშტედტის სიაში გორაა[22].

გორა ამჟამად სამად განიყოფება: ქვედა გორა, ზედა გორა და შუა გორა. პირველი ორი გორას სასოფლო საბჭოში ერთიანდება, ხოლო უკანასკნელი — ზეინდრის საბჭოში.

გორას ტერიტორიაზე რამდენიმე გორა-საცხოვრისი დავადასტურეთ. გორადან ცნობილია გვიანბრინჯაოს შესანიშნავი განძი[23]. იქვეა შემონახული ადრე და შუა ფეოდალური ხანის ციხეთა ნაშთები (პირველი ქვედა გორაში, მეორე — ზედაში), ნაეკლესიარები და სხვ. ყველაფერი ეს ნათლად მი-

---

18 ერთ ძველ ნუსხაში ეს ეკლესია თუმცა 1610 წლითაა დათარიღებული (დ. გორდეევი. დასახ. ნაშრ. გვ. 214), მაგრამ აქ თითქოს უფრო მისი მეორედ შენება უნდა ვივარაუდოთ.

19 ი. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 305.

20 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიური ისტორიისათვის — საისტორიო კრებული. წ. I. 1928, გვ. 89.

21 ი. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 305.

22 იქვე.

23 დ. ქ ო რ ი ძ ე. კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1965, გვ. 15—16.

უთითებს იმ როლზე, რასაც ამა თუ იმ დროს ასრულებდა გორა ამ მხარის ისტორიულ ცხოვრებაში.

ი. გიულდენშტედტის სიაში გორას მოსდევს სოფელი სვანი[24], გორც სწორადაა შენიშნული, „სვანი" იგივე „ბზვანია"[25].

ბზვანი დიდი სოფელია და ზედა და ქვედა ბზვანად იყოფა. ო. სოსელია ერისთავებს ბზვანის მხოლოდ „ნაწილობრივ" მფლობელებად მიიჩნევს[26]. ამასვე ადასტურებენ საველე ძიებისას მოპოვებული ჩვენი მასალები[27].

ბზვანში ყურადღებას იპყრობს დანგრეული ციხე „პადალაური", რომელსაც ორგზის იხსენიებს გერმანელი მეცნიერი. პირველად რაობის მიუთითებლად[26], ხოლო შემდეგ — ციხედ[29].

„პადალაური" „ფანდილოურის" დამახინჯებული ფორმაა. ფანდილოური გორას სახელია ზედაბზვანისა და ინაშაურის საზღვარზე. ამ გორის წვერზე შემონახულია ციხის ნაშთი, რომელსაც ხალხური ტრადიცია თამარ მეფეს მიაწერს, ხოლო თვით გორა გვიან ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარია[30].

ი. გიულდენშტედტი „პადალაურს" საერისთავოში გულისხმობს. ერთხელ ეს არაპირდაპირაა მითითებული[31], მეორეჯერ კი — იგულისხმება[32].

ასევე დამახინჯებული სახითაა შეტანილი საერისთავოს სოფლების სიაში „უ ხ უ თ ი", რომელიც ავტორს „ოკუთი"-ს (8) ფორმით მოაქვს[33].

უხუთი, რომელიც საკუთრივ უხუთად და იმერუხუთად განიყოფება, კვინისწყლის ზემო წელზე მდებარეობს და ამავე სახელწოდების სასოფლო საბჭოში ერთიანდება.

უხუთის მიდამოებში ადამიანის ნაკვალევი, ჯერჯერობით, ბრინჯაოს ხანიდანაა დადასტურებული.

უხუთი ბარს რამდენიმე გზით უკავშირდება: კერცხეთის გადასასვლელით (გორა-ზეინდარს), კვინისწყლით (ამაღლებას) და რომანეთ-ძულუხურასხევით (საჩინოს).

კვინისწყლის ზემოწელის ამ საკმაოდ გამოსახული მიკროქვეყნის სოფლებია ის გორმაღალი და რომანეთი, რომლებიც საერისთავოს ი. გიულდენშტედტის სიაში გვხვდება. უკანასკნელი იქ მეცხრე ადგილზეა ნაჩვენები, ხოლო პირველი — მეათეზე[34].

გ ო რ მ ა ღ ა ლ ი ამჟამად ნასოფლარია და მდებარეობს სოფელ რომა-

---

24 ი. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 305.

25 იქვე. მთარგმნელის შენიშვნა 8.

26 ო. ს ო ს ე ლ ი ა. ნარკვევები... გვ. 89.

27 ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ზედაბზვანის მესხების უბანში დავადასტურეთ ერისთავთა მფლობელობა (ალისტორე მესხის — დაბ. 1900 წ. — ჩვენება).

28 ი. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 169.

29 იქვე. გვ. 305.

30 იქ გვიან ბრინჯაოს ეპოქის მრავალი ძეგლია აღმოჩენილი და ზედაპირული კერამიკაც ამას მოწმობს.

31 როცა აბანოებზე ლაპარაკობს, წერს: „... ამ ქედზე (ფერსათის ქედი — ი. ს.) უნდა იყოს აბანოები, ისე როგორც ისრიწას ანუ ისრეთის ახლოს საჩინოში და პადალაურის ახლოს საერისთაოში" (ი. გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრ., გვ. 169).

32 „დანგრეული ციხე პადალაური მდ. კუნიზე, მთაში" (იქვე, გვ. 305).

33 იქვე. „ოკუთი" უხუთთან პირველად გ. გელაშვილმა გააიგივა (იქვე, შენიშვნა 9).

34 იქვე. გვ. 305.

ეროვნული
ბიბლიოთეკა


ბარის საერისთავო
(სქემა)
რიონი
ზეინდარი
საღუმეცრაო
საღომინაო
ამაღლება
ქვედა გორა
ზედა გორა
ქვედა ბზვანი
ინაშაური
ზედა ბზვანი
ბაგინეთი
ბობოთი
ეფრუნა
(საღომინაოს ხევი)
ქვეშა ხევი
ეფრუნა
ეფრუნა
ეფრუნა

ინაშაური

ინაშაურის ტერიტორიაზეც სიძველეთა არაერთი ნაშთი მოიპოვება. ძველესები მათ შორის გვაროვნულ ხანას განეკუთვნება. მოღწეულია ფეოდალური ხანის სტეფანწმინდის ეკლესია (გვიანდელი გადაკეთებით), XIX ს.-ის მეორე ნახევრის ეკლესია და ა. შ.

ი. გიულდენშტედტის სიაში არ დასტურდება საერისთავოს ისეთი სოფლები, როგორიცაა ძულუხი, საპრასია, ზეინდარი, ბაგინეთი და სხვ. სამ უკანასკნელს იმგვარი მდებარეობა აქვს, რომ შეუძლებელია მათი ამ ფეოდალური ერთეულიდან გამოთიშვა. ამდენად, აქ ან ამათი შემთხვევით გამორჩენა უნდა ვივარაუდოთ, ანდა იმ სოფლებში შემავლობა, რომელთაც ავტორი ასახელებს. თუ ამ უკანასკნელს ვირწმუნებთ, მაშინ ახლანდელი საპრასია XVIII ს-ის გორმაღლის ფარგლებში უნდა ვიგულისხმოთ, ზეინდარი კი — გორაში, ხოლო ბაგინეთი — ბაბოთში.

ამათგან განსაკუთრებით საინტერესოა ზ ე ი ნ დ ა რ ი, რომელშიც რამდენიმე საყურადღებო ძეგლის ნაშთია შემონახული — მათ შორის ერისთავთა გვიანდელი (XIX ს.) სასახლე და მის ახლოს მდებარე, უფრო ძველ ნაგებობათა ნანგრევები, რასაც ერისთავთა ადრინდელ ციხე-დარბაზად ვარაუდობენ[37].

საერისთავო ყმა-მამულები დადასტურებულია ძულუხსაც[38].

ბარის ერისთავებს სიმონეთის ზოგიერთ გლეხზეც მიუწვდებოდათ ხელი[39].

ერისთავები ფერსათის ქედის ჩრდილოეთ კალთებზეც ტყისა და ალპური საძოვრების დიდ მასივებს ფლობდნენ; კოპიტნარი, ლამაზმთა, დიდი ღელე, საირმე, დიდი და პატარა საკონდარე, დიდი და პატარა შუაგორა, ბოსტანა, ვსხალნარი და არაერთი სხვა საერისთავო საქონებელი იყო[40].

აი, ის მასალა-დაკვირვებანი, რაც დღემდე დაგვიგროვდა ამ საკითხზე.

Ю. М. СИХАРУЛИДЗЕ

ИЗ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ ПЕРСАТИ

(Саэристао)

В статье рассмотрены вопросы исторической географии одной сатавадо (Саэриставо) Имеретинского царства, расположенной на левой стороне р. Риона — в историческом регионе Персати.

---

37 თ. ბ ე რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 29.

38 ო. ს ო ს ე ლ ი ა. გიორგი ერისთავის ყმათა ქონება და ვალდებულება. გვ. 38—40; აზნაურ ნიკო თეიმურაზის ძე ერისთავის 1891 წლის მიწის ნასყიდობის ხელწერილი (საბუთი დაცულია ტ. ხურციძის (ძულუხი) საოჯახო არქივში).

39 ო. ს ო ს ე ლ ი ა. დასახ. ნაშრ. გვ. 40.

40 გ. ი. ერისთავის ცნობა (14. VI. 1974. ამაღლება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზ. ცინცაძე

სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX საუკუნის I ნახევარში

სამეგრელოს (ოდიშის) სამთავრო ძველი ეგრისის საერისთავოს ერთი ნაწილისაგან ჩამოყალიბდა. რიონსა და ეგრისწყალს[1] შორის მდებარე ეგრისის საერისთავო უფრო დიდი ტერიტორიის მომცველი ადმინისტრაციული ერთეული იყო, ვიდრე მერმინდელი სამეგრელოს სამთავრო. შემდგომში დასავლეთ საქართველოს ეთნიკურ გეოგრაფიაში მომხდარმა ცვლილებამ (აღმოსავლურ-ქართულმა თუ გაქართებულმა ტომებმა მდ. ცხენისწყლამდე მიაღწიეს) და ქვეყნის თანდათანობითი ფეოდალიზაციის პროცესმა (ახ. წ. VIII ს.-ის I ნახ.) რიონსა და ცხენისწყალს შორის მდებარე მიწა-წყლისაგან თვისებრივად სრულიად განსხვავებული, ახალი — სამოქალაქოს — ქვეყნის წარმოქმნა განაპირობა და ეგრისის საერისთავოს ტერიტორია მნიშვნელოვნად შემცირდა. ძველი ეგრისის საერისთავო ქვეყნის შემდგომი ფეოდალიზაციის პროცესს გადაჰყვა და მისი ერთი ნაწილისაგან (ტერიტორია მდ. ტეხურსა და მდ. ენგურს შორის) ახალი, ოდიშის საერისთავო წარმოქმნა. ოდიშის საერისთავო უკვე XII ს-დან იხსენიება.

ოდიშის საერისთავოს აღმოსავლეთით სამოქალაქო ესაზღვრებოდა და მათი გამყოფი სასაზღვრო ხაზი უნაგირას სერს გასდევდა, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჭილაძეთა ფეოდალური სახლის სამფლობელო ეკვროდა, რომლისაგანაც ტეხურის მარჯვენა სანაპიროთი გამოიყოფოდა; დასავლეთით ცხუმის საერისთავოსაგან მდ. ღალიძგა გამოჰყოფდა, სამხრეთით გურიისაგან მდ. რიონით იმიჯნებოდა.

XIV ს. მიწურულსა და XV ს. დასაწყისში ოდიშის ერისთავებმა მიერთეს ცხუმის საერისთავო და ოდიშის საერისთავოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ანაკოფიის დასავლეთით გადაიწია. XV ს. დადიანებმა ხელში ჩაიგდეს ტერიტორია უნაგირას სერსა და ცხენისწყალს შორის[2].

გართულებული საგარეო პოლიტიკური და საშინაო ვითარების პირობებში, როდესაც ერთიანი საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, საბოლოოდ დასრულდა სამეგრელოს (ოდიშის) საერისთავოს სამთავროდ ჩამოყალიბების პროცესი. XVI ს. შუაწლებში დადიანებმა სრულ დამოუკიდებლობას მიაღწიეს.

XVI ს-ში ოდიშის სამთავრო ფართოვდება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. დადიანების მფლობელობაში გადავიდა ჭილაძეების სამფლო-

---

1 ეგრისწყლის ლოკალიზაციის საკითხში ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი მკვლევარი მას მდ. ღალიძგასთან აიგივებს, ნაწილს კი ეგრისწყლად მდ. ენგური მიაჩნია.

2 თ. ბერაძე. ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. III. თბ., 1976, გვ. 164, 168, 170.

ბელოს ის ნაწილი, რომელიც რიონის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა და ოდიშის სამთავროს სასაზღვრო ხაზმა სამხრეთ-აღმოსავლეთით რიონ-ცხენისწყლის ხერთვისამდე გადმოიწია. იმავე საუკუნეში სამთავროს ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთით საგრძნობლად შემცირდა. ოდიშის სამთავროს ჩამოსცილდა ანაკოფია, ცხუმის საერისთავო და საზღვარმა მდ. კოდორამდე ჩამოიწია[3].

XVII ს-ის I ნახევარში, ლევან II დადიანის დროს, ოდიშის სამთავროსა და აფხაზეთს შორის საზღვარი მდ. კელასურის მარცხენა ნაპირზე გადიოდა. ოდიშის მთავარს აქ ეკუთვნოდა სანაპიროს ვიწრო ზოლი, კოდორის ხეობის ზემოწელი აფხაზეთის სამთავროს შემადგენლობაში იყო. შემდეგ საზღვარი მიყვებოდა ფანავის ქედს.

ოდიშს სვანეთისაგან ეგრისის ქედი გამოჰყოფდა. ენგურის ხეობაში იგი სადადეშქელიანო სვანეთს ესაზღვრებოდა. ოდიშის სამთავროს უკანასკნელი პუნქტი ამ ხეობაში იყო სოფელი ხუდონი.

ცხენისწყლის ხეობის ზემო წელი, ქვემო სვანეთი და ლეჩხუმი ამ ხანაში იმერეთის სამეფოში შედიოდა, რომელთაგანაც ეგრისის ქედის აღმოსავლური განშტოებითა და ასხის მთაგრეხილით იმიჯნებოდა, ლეჩხუმის ქვემოთ საზღვარი ვაკე იმერეთსა და ოდიშს შორის მდინარე ცხენისწყალს მიუყვებოდა. სამხრეთით გურიის სამთავრო ემეზობლებოდა და მათ გამყოფ სასაზღვრო ხაზად რიონი ითვლებოდა[4].

ლევან დადიანის გარდაცვალების შემდეგ ოდიშის სამთავრო საგრძნობლად დასუსტდა, რითაც ისარგებლეს აფხაზმა ფეოდალებმა და დაიწყეს განუწყვეტელი ლაშქრობები ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის დასაპყრობად. XVII ს. დასასრულისათვის აფხაზმა ფეოდალებმა დაიპყრეს ტერიტორია კოდორიდან ღალიძგამდე. 1763 წელს აფხაზეთის მთავარმა სარეკ შერვაშიძემ ხელში ჩაიგდო ოდიშის ნაწილი ენგურამდე და XVIII ს-ის დასასრულისათვის ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ენგურს გაუყვებოდა[5].

სამაგიეროდ, ოდიშის სამთავრო გაფართოვდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრით, როდესაც XVII ს. II ნახევარში ოდიშში გამთავრებულმა ლეჩხუმელმა ჩიქოვანებმა იმერეთის სამეფოს ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი მოსტაცეს. იმერეთის სამეფო ხელისუფლება არ შერიგებია ლეჩხუმის დაკარგვას და მის კვლავ შემოერთებას ცდილობდა.

განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა ლეჩხუმის გამო სოლომონ მეორესა და გრიგოლ დადიანს შორის. კონფლიქტი მეფესა და მთავარს შორის იმდენად სერიოზული იყო, რომ თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეთა ერთობლივ მოქმედებას ძლიერ აფერხებდა. ამიტომ არსებული დავის გადაწყვეტა რუსეთის მთავრობამ იკისრა, რომელმაც დაავალა ერეკლე II რადაც არ უნდა დაჯდომოდა შეერიგებინა იმერეთის მეფე და სამეგრელოს მთავარი.

---

3 იქვე. გვ. 179

4 თ. ბერაძე. XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა — „ძეგლის მეგობარი", XXI. თბ., 1970, გვ. 42.

5 თ. ბერაძე. ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. III. გვ. 180.

ხანგრძლივი დავის შემდეგ 1799 წელს გრიგოლ დადიანი და სოლომონ მეორე ერეკლე მეორის შუამდგომლობით შერიგდნენ. შეთანხმების საფუძველზე გრიგოლმა სამეგრელოს მთავრობა შეინარჩუნა და ლეჩხუმე სამეგრელოს შეუერთეს. მაგრამ ლეჩხუმის სარდალ-მოურავი ქაიხოსრო გელოვანი, რომელიც მეფის მომხრე იყო, გრიგოლ დადიანს ლეჩხუმში არ უშვებდა. ამის გამო 1799 წ. გრიგოლ დადიანმა გელოვანს თავი მოკვეთა, რამაც კვლავ გაამწვავა ურთიერთობა მეფესა და მთავარს შორის. ამ უკმაყოფილებას ახალი ბრძოლები მოჰყვა ლეჩხუმისათვის.

1802 წლის დასაწყისში სოლომონ მეორემ შეძლო დადიანობიდან გადაეგდო მთავარი გრიგოლი და ტახტი გრიგოლ დადიანის უმცროს ძმას მანუჩარ დადიანს უბოძა. მაგრამ გრიგოლ დადიანი სამეგრელოდან მთლიანად ვერ გააძევა და სოლომონი კვლავ აპირებდა ოდიშში ლაშქრობას. ხალხის უკმაყოფილებამ ამ გაუთავებელი ბრძოლების გამო მეფე იძულებული გახადა დაზავებოდა სამეგრელოს მთავარს და იგი ოდიშის მთავრად ეცნო, მხოლოდ სანაცვლოდ ამ გარემოებისა მას ჭყვიშის ციხე და მისი შემომავალი უნდა მიეღო. ოდიშის მთავარი არ აპირებდა საზავო პირობების შესრულებას და აჭიანურებდა ჭყვიშის ციხის იმერეთის მეფისათვის გადაცემას[6].

1802 წლის ივნისში სოლომონ მეორე, იმერეთის სამეფოსა მხედრობით, რაჭის მხრიდან შეიჭრა ლეჩხუმში და ჭყვიშის ციხეს შემოადგა. რამოდენიმე დღის ალყის შემდეგ მეციხოვნეებმა ციხე სოლომონს გადასცეს. ამ ციხის აღების შემდეგ სოლომონ მეორე დაიძრა ლეჩხუმის სიღრმეში, სოფ. უსახელოსთან დადიანის ჯარი გაანადგურა და 1802 წ. 25 ოქტომბერს მთელი ლეჩხუმი დაიკავა. დადიანს დარჩა მხოლოდ მურის ციხე. 1802 წლის 4 ნოემბერს გამარჯვებული მეფე ქუთაისში დაბრუნდა.

ქართლ-კახეთის რუსული მმართველობა დაუყოვნებლივ ჩაერია მეფისა და დადიანის კონფლიქტში. სოლომონ მეორეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ლეჩხუმის დაპყრობა მოთავებული, როდესაც 1802 წლის 15 აგვისტოს იმერეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილში საქართველოს ჯარების სარდალი ლაზარევსკი სთხოვდა სოლომონს — ეცნობებინა მისთვის, თუ რამ განაპირობა მეფის მიერ დადიანის შევიწროება. იმავე წლის 25 აგვისტოს გაგზავნილ საპასუხო წერილში სოლომონ იმერთა მეფე აცნობებდა ლაზარევსკის, რომ ოდიშ-ლეჩხუმის მთავარმა გრიგოლ დადიანმა, იმერეთის სამეფო ტახტის სამკვიდრო ყმამ, მრავალჯერ დაარღვია მეფისადმი მიცემული ერთგულების ფიცი, რამაც აიძულა იმერეთის მეფე, ურჩი მთავარი იარაღის ძალით მოეყვანა მორჩილებაში[7].

სოლომონ მეფემ ლეჩხუმის დაპყრობის შემდეგ უშუალოდ ოდიშზე მიიტანა იერიში. როგორც სოლომონის მიერ საქართველოს მმართველისადმი, კოვალენსკისადმი გაგზავნილი წერილიდან (1803 წ. 2/X) ჩანს, სოლომონმა გადააყენა მთავრობიდან გრიგოლ დადიანი და მის მაგიერ დადიანობა გრიგოლის ძმას ოტიას გადასცა[8].

შევიწროებული დადიანი დახმარებას ხან ახალციხის ფაშას სთხოვდა, ხან აფხაზეთის მთავარს ქედაიშ-ბეგ შერვაშიძეს. ბოლოს, 1802 წლის 5 ოქ-

---

6 ქ. მუშკუდიანი. ლეჩხუმის საკითხი მე-19 საუკუნის დასაწყისში — გაზ. „კომუნიზმის სხივი" (ცაგერი), 1966, 21 მაისი, № 59.

7 Акты. Т. I. С. 573, 577.

8 Акты. Т. II. С. 340.

ტომბერს მან მიმართა თავის ცოლისძმას დავით ბატონიშვილს, თბილისი და მას რუსეთის ხელმწიფის წინაშე შუამდგომლობა სთხოვა. ასეთივე წერილით დადიანმა მიმართა 1802 წლის 2/XII რუს მოხელე სოკოლოვს — აცნობა: თუ მას ხელმწიფე არ დაიხსნის მოძალადე სოლომონ მეფისაგან, ის იძულებული იქნება თურქეთის მფარველობა ეძებოს. სოკოლოვმა დადიანის წერილი ციციანოვს გაუგზავნა. სოლომონ მეფემ მორიგების წინადადებით მიმართა გრიგოლ დადიანს. დადიანმა სოლომონ მეფეს მორიგებაზე უარი უთხრა. იმერეთის მეფემ გადაწყვიტა კვლავ ძალის საშუალებით მოეყვანა მორჩილებაში დადიანი, მაგრამ საქართველოს მთავარმართებელი ციციანოვი გამოექომაგა დადიანს და იგი მეფის ხელყოფისაგან დაიცვა.

1803 წლის 4 დეკემბერს დადიანმა რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობაზე დაიფიცა და ლეჩხუმი ციციანოვმა მას დაუმტკიცა, რამაც იმერეთის სამეფო კარის მესვეურნი შეაშფოთა. მათ გადაწყვიტეს თვითონაც მიეღოთ რუსეთის ქვეშევრდომობა და ლეჩხუმის საკითხი აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივ რუსულ ადმინისტრაციას მოეგვარებინა.

1804 წლის 23 თებერვალს იმერეთის თავადაზნაურობამ და სამღვდელოებამ წერილი მიართვეს ციციანოვს, რომელშიაც ისინი ამტკიცებდნენ, რომ ლეჩხუმი ოდითგანვე იმერეთის მეფეთა სამკვიდრო მამული იყო, და იგი დადიანებმა ძალმომრეობით მიიტაცეს, იმერეთის არც ერთ ბაგრატიონთაგანს არ უბოძებია დადიანებისათვის ლეჩხუმი[9]; ისინი აგრეთვე უცხადებდნენ ციციანოვს — ლეჩხუმის ეკლესიებზე არსებული წარწერები, ადგილობრივ მცხოვრებლებზე გაცემული სიგელ-გუჯრები და ძველი წერილობითი წყაროები, თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა, რომ ლეჩხუმი იმერეთის მეფეთა კუთვნილებას წარმოადგენდაო[10].

1804 წლის დამდეგს სოლომონ იმერთა მეფემ ციციანოვთან ქაიხოსრო წერეთელი და სეხნია წულუკიძე გაგზავნა. ამ ელჩების პირით სოლომონი რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობას ითხოვდა, მაგრამ იმ პირობით, რომ იმერეთის მეფობა შერჩებოდა და ლეჩხუმი, რომელიც დადიანს წაართვა, მას დაუმტკიცდებოდა. უკანასკნელი პირობა ციციანოვისათვის მიუღებელი იყო და ეს არა იმიტომ, რომ მან ლეჩხუმი უკვე დადიანს აღუთქვა, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ რუსეთის მთავრობამ კარგად იცოდა სოლომონ მეფის მიზნის შესახებ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას რომ ითვალისწინებდა, რაც მას ყოვლად დაუშვებლად მიაჩნდა.

ციციანოვმა განუცხადა იმერეთის წარმომადგენლებს, რომ ლეჩხუმი ოდიშის სამთავროს უნდა გადასცემოდა[11]. მაშინ სოლომონის ელჩებმა უარი თქვეს მეფესთან შეთანხმების გარეშე მოლაპარაკების გაგრძელებაზე და იმერეთში დაბრუნდნენ[12].

სოლომონ მეფის მოციქულებს ციციანოვმა თან გააყოლა თავისი რწმუნებული გრაფი ვორონცოვი. ვორონცოვმა იმერეთის მეფეს ციციანოვის მიერ

---

9 მართალია, იმერეთის მეფეებს დადიანებისათვის არასდროს უბოძებია ლეჩხუმი, მაგრამ XVII საუკუნის მეორე ნახევარში ალექსანდრე იმერთა მეფემ ოდიშის ფაქტიურ გამგებელს გიორგი ლიპარტიანს ლეჩხუმის თავობა უბოძა (იხ. ვახუშტი ბატონიშვილი. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ., 1973 წ. გვ. 851).

10 Акты. Т. II. С. 370.

11 ნ ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. II., 1965, გვ. 303.

12 Акты. Т. II. С. 370.

შედგენილი ტრაქტატის ანუ „სათხოვართა პუნქტების“ პროექტი მიუტანა. სოლომონ მეფეს ეს პროექტი უცვლელად უნდა მიეღო და თავისი სახელით ამ პუნქტების დამტკიცება ხელმწიფისათვის უნდა ეთხოვა. სოლომონ მეფემ ამ პირობების მიღებაზე უარი განაცხადა. უთანხმოების მთავარი მიზეზი ლეჩხუმი იყო, რომელსაც მეფე დაჟინებით თავისთვის ითხოვდა. ციციანოვი იმუქრებოდა და იმერეთის მეფესთან პირისპირ შეხვედრას მოითხოვდა.

მეფისა და ციციანოვის შეხვედრა მოხდა 1804 წლის 16 აპრილს ელაზნაურში, ლეჩხუმის გამო შეთანხმება აქაც გაძნელდა, ვინაიდან მეფე ხელშეკრულების ყველა პუნქტს ღებულობდა მხოლოდ ერთი პირობით, თუ იმპერატორი იმერეთის მეფის უფლებას ლეჩხუმზე სათანადო რეზოლუციით დაამტკიცებდა[13]. იმისათვის, რომ სოლომონ მეორე დაეთანხმებინა და ტრაქტატზე ხელი მოეწერინებინა, ციციანოვმა 22 აპრილს მეფეს წერილობით აცნობა: ლეჩხუმის ციხეები, რომლებიც სოლომონ მეფის მეციხოვნეთ ჰქონდათ დაკავებული, დროებით დარჩებოდა იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში, სანამ ლეჩხუმის კუთვნილების საკითხს ალექსანდრე ხელმწიფე არ გადაწყვეტდა. ამავე დროს სოლომონ II იმპერატორისათვის ლეჩხუმზე მფლობელობით უფლების დამამტკიცებელი საბუთები უნდა გაეგზავნა.

სოლომონ მეფემ ლეჩხუმზე იმერეთის მეფეების მფლობელობითი უფლების დამამტკიცებელი საბუთები ციციანოვს სოლომონ ლიონიძის ხელით გაუგზავნა[14], რის შემდეგ იმერეთის მეფემ მიიღო ციციანოვის წარდგენილი პირობები და 25 აპრილს რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე დაიფიცა.

სანამ ელაზნაურში ციციანოვსა და სოლომონს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა, ლეჩხუმში სოლომონის საწინააღმდეგო აჯანყება დაწყებულიყო. ზოგიშის ციხის მფლობელი ახვლედიანი და აჭარის ციხის — ბაკა ჩიქოვანი მეფეს განუდგნენ და დადიანს მიემხრნენ. ასევე, აუჯანყდნენ იმერეთის მეფეს კლდეაღმართის ხეობის მცხოვრებნიც[15]. ციციანოვმა ნება დართო გრიგოლ დადიანს ლეჩხუმში შეეჭრილიყო. დადიანის ჯარებმა ლეჩხუმის ყველა ციხე დაიკავეს გარდა ჭყვიშისა და გველისთავისა. 1804 წლის 4 აპრილს მათ სოფ. ლაბეჩინასთან მომხდარ ბრძოლაში მეფის მომხრე რაჭველები დაამარცხეს. იმავე წელს, 20 აპრილს დადიანმა ალყა შემოარტყა დეხვირის ციხეს და მეფის მეციხოვნეთ ყველა გასასვლელი მოუსპო. ამის შესახებ იმერეთის მეფემ ვერ გაიგო მანამ, სანამ ქუთაისში არ დაბრუნდა[16]. სოლომონმა მომხდარი ფაქტის შესახებ აცნობა ციციანოვს და მას დახმარების აღმოჩენა სთხოვა. ამავე დროს სოლომონ II უარს აცხადებდა ოდიშზე, რომელიც რუსეთის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო, ხოლო ლეჩხუმს იმერეთის სამეფოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა[17].

1804 წლის 29 მაისს გაგზავნილი რაპორტით ციციანოვი აცნობებდა ალექსანდრე I, რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესული იმერეთის მეფე სოლომონ II სთხოვდა აღმოსავლეთ საქართველოს მთავარმართებელს — თხოვნითი მუხლების ხელმოწერის დროს მასში არ შესულიყო ლეჩხუმის საკითხი, ვიდრე იგი არ წარუდგენდა ციციანოვს იმერეთის სამეფოსადმი

---

13 Акты. Т. II. С. 337, 378.
14 იქვე. გვ. 376.
15 იქვე. გვ. 380.
16 იქვე. გვ. 921.
17 იქვე, გვ. 380—381.

ლეჩხუმის კუთვნილების დამამტკიცებელ საბუთებს და სანამ ამ საკითხებზე იმპერატორი საბოლოო განჩინებას არ გამოიტანდა. ციციანოვი სოლომონის წერილსა და საბუთებს იმპერატორს უგზავნიდა განსახილველად, და ამავე დროს ამ საკითხის ირგვლივ თავის მოსაზრებასაც ურთავდა. მისი აზრით, არ შეიძლებოდა მთელი ლეჩხუმი ჩამორთმეოდა გრიგოლ დადიანს, ვინაიდან ეკატერინესა და ალექსანდრეს მიერ ნაბოძებ სიგელებში დადიანი ოდიშისა და ლეჩხუმის მთავრად იწოდებოდა; ციციანოვს მიაჩნდა, რომ არ იყო მხედველობაში მისაღები იმერეთის სამეფოს თავადაზნაურობისა და სამღვდელოების მტკიცებანი, რომლებიც, როგორც ამ სამეფოს მოქალაქენი, თავისი ქვეყნის ინტერესებს დაიცავდნენ; ციციანოვის აზრით, უმჯობესი იქნებოდა ლეჩხუმი ოდიშის სამთავროსა და იმერეთის სამეფოს შორის იმგვარად გაყოფილიყო, რომ ამ ორ პოლიტიკურ ერთეულს შორის კვლავ დარჩენილიყო დაძაბულობის კერად, რაც დას. საქართველოში რუსეთის იმპერიის გაბატონებას გააადვილებდა[18].

ამავე დროს ციციანოვმა ლეჩხუმის საკითხის მოგვარება დაავალა. მ. ტუჩკოვს, მაგრამ ტუჩკოვმა ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ამ მისიის შესრულება და მის ნაცვლად მოხელე ლიტვინოვი იქნა გაგზავნილი. ციციანოვი ავალებდა ლიტვინოვს გაეგო, თუ რამ განაპირობა ლეჩხუმის მცხოვრებთა დიდი ნაწილის დადიანის მხარეზე გადასვლა და ყოველნაირად ცდილიყო დაეთანხმებინა დადიანი — ციხეთა მფლობელნი, მათი შემავალი სოფლებითურთ კვლავ სოლომონ მეფის მფლობელობაში დაეტოვებინა[19].

ლიტვინოვმა თავის უპირველეს საქმედ სოლომონ მეფისა და გრიგოლ დადიანის შერიგება დასახა. ამ მიზნით მან მეფის შემდეგ დადიანი ინახულა, ლეჩხუმსაც ეწვია, იქაურ პოლიტიკურ ვითარებასაც გაეცნო და ქუთაისს დაბრუნდა. რუსი მოხელის შეხედულებით, ლეჩხუმის საქმე სოლომონის სასარგებლოდ ვერ გადაწყდებოდა, რადგან ქვეყნის თავადები დადიანს არჩევდნენ, ვინაიდან ამ უკანასკნელს ხელმწიფე წყალობდა[20].

1804 წლის 26 აპრილს ციციანოვმა ლეჩხუმის თავადების წერილი მიიღო. ამ წერილიდან კარგად ჩანდა, თუ რამ განაპირობა ლეჩხუმის ფეოდალების დადიანის მხარეზე გადასვლა.

1803 წ., როდესაც მაინოვი ჩავიდა ოდიშში და გრიგოლ დადიანს გადასცა იმპერატორის რესკრიპტი სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის შესახებ, ლეჩხუმის თავადები, იმპერატორის წყალობის იმედით, განუდგნენ იმერეთის მეფეს, კვლავ მიერთვნენ დადიანს და მოაწერეს ხელი ხელმწიფის სიგელს; მოიწვიეს დადიანი ლეჩხუმში და შეჰფიცეს ერთგულება. მეფის ერთგულები მხოლოდ გელოვანთა ერთი ოჯახი და დეხვირის ციხის მფლობელები დარჩნენ. დანარჩენი გელოვანები, ჩიქოვანები, ახვლედიანები და ასათიანები ლეჩხუმის მფლობელად დადიანს ირჩევდნენ; ლეჩხუმის თავკაცები ჩიქოვანები და ახვლედიანები უარს აცხადებდნენ თავიანთი ციხეებითა და შემავალი სოფლებით მეფის მფლობელობაში დარჩენილიყვნენ; ასევე, არ სურდათ მათ ჭყვიშისა და დეხვირის ციხეები მეფეს გადასცემოდა[21].

---

18 Акты. Т. II. С. 380, 381.

19 იქვე. გვ. 382.

20 იქვე. გვ. 389—391.

21 იქვე. გვ. 925.

ციციანოვის ინიციატივით, 1804 წლის ივლისში საჭილაოში იმერეთის მეფემ და ოდიშის მთავარმა კომპრომისულ შეთანხმებას მიაღწიეს.

ლეჩხუმის ის ციხეები და მათი შემავალი სოფლები, რომელიც იმერეთის მხედრობას ჰქონდა დაკავებული დროებით, იმერეთის მეფეს უნდა დაბრუნებოდა, ხოლო ლეჩხუმის ის ნაწილი, რომელიც გრ. დადიანის მომხრეებს ეკავათ, ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში დარჩებოდა. იმერეთის მეფესა და სამეგრელოს მთავარს პეტერბურგში დეპუტაცია უნდა გაეგზავნათ ლეჩხუმზე მფლობელობის დამამტკიცებელი საბუთებით და ხელმწიფის კარზე მათი განხილვის შემდეგ, იმპერატორი ლეჩხუმის კუთვნილების შესახებ საბოლოო განჩინებას გამოიტანდა[22].

1805 წლის 22 მარტს ოდიშიდან ციციანოვთან გაგზავნილი იქნა ნიკო დადიანი, ლეჩხუმზე მთავრის სახლის მფლობელობითი უფლების დამამტკიცებელი საბუთებით. ციციანოვს წარედგინა მარტვილის ტაძრის ბალავრის წარწერის შინაარსი, რომელიც კაცია ჩიქოვანის სახლისადმი ლეჩხუმის კუთვნილებას ამტკიცებდა და 1792 წლის სიგელი, რომლითაც გრიგოლ დადიანი თავის მეუღლეს ნინოს ჭყვიშის ციხეს უბოძებდა[23].

1805 წლის 16 აპრილს გაგზავნილ რაპორტში ციციანოვი ალექსანდრე ხელმწიფეს სამეგრელოს მთავრის სახლის მიერ გადმოცემულ საბუთებს წარუდგენდა და ლეჩხუმის საკითხის ირგვლივ თავის საკუთარ დამოკიდებულებას გამოთქვამდა.

ციციანოვის აზრით, ლეჩხუმი ყოველთვის დადიანების კუთვნილი ქვეყანა იყო და იმერეთის მეფემ სოლომონ II, ისარგებლა რა გრიგოლ დადიანის სისუსტით, მოახერხა ლეჩხუმის ზოგიერთი ციხის ხელში ჩაგდება, რის გამოც ციციანოვი საჭიროდ თვლიდა, რომ ლეჩხუმი სამეგრელოს სამთავროს გადასცემოდა; ციციანოვი სოლომონ მეფეს ახასიათებდა, როგორც რუსეთისადმი მტრულად განწყობილ პოლიტიკურ მოღვაწეს და არწმუნებდა იმპერატორს, რომ მისი გაძლიერება, რუსეთის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, არასასურველი იყო; რაც შეეხებოდა ჭყვიშის ციხეს, რომლის გაცემაც გრიგოლ დადიანმა სოლომონ მეფეს აღუთქვა და რომელზედაც სოლომონს ჰქონდა დადიანის წერილობითი საბუთი, სოლომონის დამშვიდების მიზნით, იმერეთის სამეფოსათვის უნდა გადაეცათ, მაგრამ ასევე უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული სოლომონის მიერ გრიგოლ დადიანისადმი გაცემული 1789 წლის 10 სექტემბრის სიგელი, რომლითაც მეფე გრიგოლ დადიანს უმტკიცებდა სოფელ საჭილაოს, იმ დახმარების საფასურად, რაც მან მეფეს იმერეთის ტახტის დაუფლებისათვის ბრძოლაში აღმოუჩინა[24].

ამგვარად, ციციანოვმა წინასწარ შეამზადა ალექსანდრე I, რომ ლეჩხუმის საკითხი ოდიშის სამთავროს სასარგებლოდ გადაეწყვიტა.

1806 წლის 8 მაისს, პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოში უმაღლეს დონეზე განიხილეს ლეჩხუმის საკითხი და გამოთქვეს მოსაზრება, რომ იგი, საბოლოოდ, სამეგრელოს სამთავროს სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო, რომლის მთავრებმაც რუსეთისადმი ერთგულება არაერთგზის დაამტკიცეს. საბჭოში აგრეთვე დაადგინეს — შეექმნათ თბილისში კომისია, რომელშიც შე-

---

22 Акты. Т. II. С. 474.

23 იქვე. გვ. 474.

24 იქვე. გვ. 512—513.

ვიდოდა ოთხი რუსი ჩინოვნიკი და იმერეთიდან და სამეგრელოდან წარმომადგენლებს მოიწვევდნენ. კომისია, განიხილავდა რა სადავო საქმეს, გამოიტანდა თავის დასკვნას და მას საქართველოს მთავარმართებელს გადასცემდა, რომელიც სათანადო შენიშვნების დართვით დასამტკიცებლად ბუბურგში გადააგზავნიდა[25].

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე წლის მაისის თვეში, სამეგრელოში გამომგზავრებულ იაკოვლევს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩასტორიისკიმ მისცა საიდუმლო მითითება, — დაერწმუნებინა დადიანი რუსეთის კეთილგანწყობაში, რომ პირველი ხელსაყრელი ვითარების შემთხვევაში, ლეჩხუმი ოდიშის სამთავროს გადაეცემოდა[26].

ლეჩხუმის მფლობელობის საკითხი საბოლოოდ გადაწყდა 1810 წელს, როდესაც იმერეთის სამეფო გაუქმდა. იმ დიდი დახმარებისათვის სამეგრელოს მთავარმა რუსეთის ადმინისტრაციას იმერეთის სამეფოს გაუქმებისათვის ბრძოლაში რომ აღმოუჩნდა, ლეჩხუმი სამეგრელოს სამთავროს გადასცეს.

როდესაც რუსეთის ჯარებმა იმერეთის დაპყრობის დროს ჭყვიშის ციხე (ლეჩხუმისა და რაჭის საზღვარზე) და სოფ. საჭილაო (ოდიშ-იმერეთის საზღვარზე, რიონ-ცხენისწყლის ხერთვისში) დაიკავეს, სამეგრელოს დედოფალმა ნინომ და მისმა ვაჟმა ლევანმა ამ სოფლებზე პრეტენზია განაცხადეს. 1810 წლის 2 აპრილს სოფ. ჭყვიში და ჭყვიშის ციხის შემავალი ლევან დადიანს გადაეცა, რაც შეეხება ჭყვიშის ციხეს, იგი საომარი მოქმედების დროს რუსეთის მხედრობამ დაანგრია და რუსული ადმინისტრაცია ახალი ციხის აგების უფლებას არ იძლეოდა.

სოფ. საჭილაოზე ლევან დადიანს უარი ეთქვა, რასაც რუსული ადმინისტრაცია შემდეგი გარემოებით ასაბუთებდა:

1. რუსეთის მიერ იმერეთის დაპყრობის დროისათვის, იგი იმერეთის სამეფოში შედიოდა და ამ სოფლებში სამეფოს კუთვნილი მამული ხაზინას გადაეცა; 2. საჭილაო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო, იქ ხაზინამ ააგო ციხე-სიმაგრე, გახსნა მაღაზიები და ააშენა საწყობები, რომლებიც ღებულობდნენ შავი ზღვიდან გადმოტანილ საქონელს, რითაც იმერეთში დაბანაკებული რუსეთის მხედრობა მარაგდებოდა; 3. იმერეთის ყოფილ მეფეს, სოლომონ მეორეს საჭილაოში მიქელაძეებზე ბევრი მამული ჰქონდა გაცემული და დანარჩენი ნაწილის მთავრის საკუთრებაში გადაცემით იმერეთის დროებითი მმართველობის ხაზინა საგრძნობლად გაღარიბდებოდა[27].

სოფელი საჭილაო ბოლოს მაინც დადიანმა დაისაკუთრა. 1832 წელს იგი ლევან დადიანის სამფლობელოში ირიცხებოდა[28].)

გვიან საუკუნეებში, ვიდრე გურიის სამთავროს რუსეთის იმპერია შეიერთებდა, გამყოფი სასაზღვრო ხაზი გურიის სამთავროსა და ოდიშის სამთავროს შორის რიონს გასდევდა. 1828 წელს ლევან დადიანმა ისარგებლა გურიაში მომხდარი არეულობით და პალიასტომის ტბა მიითვისა. 1836 წელს როზენმა პალიასტომი სამეგრელოს საკუთრებად ცნო, რასაც გურია-სამეგრე-

---

25 Акты. Т. III. С. 177.

26 იქვე.

27 იქვე. გვ. 496—497.

28 ო. ს ო ს ე ლ ი ა. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). I. თბ., 1973, გვ. 282.

ლოს თავადაზნაურობას შორის გაუთავებელი დავა და შუღლი მოჰყვა. ამ მხარეს საზღვრის დემარკაცია მხოლოდ 1843 წელს დაიწყო. 1835 წელს წარმოიშვა დავა ჭალადიდის ტყის გამო, რისთვისაც ერთმანეთს ებრძოდნენ სამეგრელოს თავადი მიქაძე და გურიის აზნაურები — ჭყონიები. [illegible] ბაბს ქმნიდა ის გარემოება, რომ ისტორიულ ეპოქაში [illegible] ჯერ შეიცვალა კალაპოტი და ეს პროცესი XIX ს.-ის დასაწყისშიც გაგრძელდა. ასევე, რამდენჯერმე გადაადგილდა რიონის შესართავიც. XIX ს.-ის 30-იან წლებში საზღვარმა მდ. ფიჩორამდე გადმოინაცვლა. მდ. ფიჩორის სამხრეთით ტყე ჩიბათის მცხოვრებლებს ეკუთვნოდა, ჩრდილოეთით კი სამეგრელოს თავადს მიქაძეს[29].

მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს, XVII ს.-ის II ნახევარში, ჩრდილო-დასავლეთით აფხაზმა ფეოდალებმა მნიშვნელოვანი ტერიტორია (კოდორიდან ენგურამდე) ჩამოაჭრეს, სამეგრელოს მთავრები, სამურზაყანოს[30] მაინც, ოდიშის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდნენ, რაც განპირობებული იყო იმით, რომ აფხაზეთის მთავართა მიერ დაპყრობილი სხვა ნაწილისაგან განსხვავებით, აქ მეგრული მოსახლეობა აფხაზურით არ შეიცვალა და არც მაჰმადიანობა გავრცელდა. განსაკუთრებით გაძლიერდა ოდიშის მთავრების გავლენა სამურზაყანოზე XVIII—XIX სს. მიჯნაზე, როდესაც საქართველოში მეფის რუსეთი ფეხს იკიდებდა. სამურზაყანოს უკანასკნელი ერთპიროვნული მმართველის, მურზაყან შერვაშიძის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებს შორის ატეხილი ბრძოლით ისარგებლა სამეგრელოს დედოფალმა ნინომ და თავისი გავლენა ამ მხარეში კიდევ უფრო განამტკიცა.

1805 წელს, სამურზაყანოს თავადებმა მანუჩარ და ლევან შერვაშიძეებმა სამეგრელოს სამთავროს ქვეშევდრომობა აღიარეს, ერთგულება შეჰფიცეს ლევან დადიანს და რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის სურვილი განაცხადეს[31]. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების მეოთხე ტომში დაცულია სამურზაყანოელთა მიერ დადებული ფიცის ასლი, რაც ოდიშის მთავრების სამურზაყანოზე დიდი გავლენის თვალსაჩინო მოწმობაა. მოგვყავს სამურზაყანოელთა ფიცის სრული ტექსტი: „ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, აფხაზის თავადნი, სამურზაყანოს მფლობელნი, შემოვედით ყმად ჩვენი ქვეყნით და თავად-აზნაურებით მის იმპერატორობის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალესისა რუსთა ხელმწიფისა, ვფიცავთ ყოვლად ძლიერ ღმერთს და წმინდას სახარებას, რომ ვიყვნეთ ერთგულნი მონა და ყმანი სამიწდღეოდ და მის დიდებულობის ურჩობაში და ღალატობაში არასდროს არ შევიდეთ და აგრეთვე თუ სხვათაგან ღალატი ანუ ურჩობა შევიტყვეთ, დიახ სწრაფად შევატყობინოთ საცა მართებული იყოს და როგორც ზემო სწერია ის არ აღვასრულოთ, ღვთისაგან და წმინდა სახარებისაგან შეჩვენებული ვიყვნეთ, და აგრეთვე ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფისაგან განრი-

---

29 ჭ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავრო. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1963, გვ. 31.

30 როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზეთის მთავარმა სარეკ შერვაშიძემ ხელში ჩაიგდო ოდიშის სამთავროს მიწა-წყალი კოდორიდან ენგურამდე. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს ტერიტორია ორად დაიყო. ჯიქეშას კოდორსა და ღალიძგას შორის მდებარე მიწა-წყალი. ერგო წილად, ყვაპუს ღალიძგასა და ენგურს შორის მდებარე მიწა-წყალი. უკანასკნელი მემკვიდრის მურზაყანის გამო ტერიტორიას ღალიძგასა და ენგურს შორის სამურზაყანო ეწოდა (იხ. თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, გვ. 180).

31 Акты. Т. IV. С. 514.

სხებულნი ვიყვნეთ. როგორც რომ ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფის ყმა ვიმყოფებით, აგრეთვე სამეგრელოს თვითმპყრობელი ლევან დადიანისა, რადგანაც ჩვენ ჩვენის ქვეყნით ვყოფილვართ სამეგრელოს თვითმპყრობელის თავადი დადიანისა"[32].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცულია აგრეთვე მანუჩარ შერვაშიძის თხოვნითი წერილი ციციანოვისადმი, რომლითაც იგი სამურზაყანოს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლას ითხოვდა. ამ წერილში მანუჩარ შერვაშიძე ციციანოვს თავის თავს გრიგოლ დადიანის ხელქვეითად და სამურზაყანოს „ზედმოკიდებული კერძო"[33] ქვეყნად წარმოუდგენდა.

მანუჩარ შერვაშიძემ, ლევან დადიანის დახმარებით, მოახერხა ძმების, ბეჟან და ლევან შერვაშიძეების მამულების ხელში ჩაგდება და სამურზაყანოს ფაქტიური მფლობელი გახდა. იმ დახმარებისათვის, რაც მან რუსულ ადმინისტრაციას აღმოუჩინა ამ მხარეში გაბატონებისათვის, 1810 წელს მანუჩარს ლევან დადიანმა სამურზაყანოს მოურავობა უბოძა[34].

მანუჩარ შერვაშიძე 1813 წელს ბედიაში მოკლეს. მას დარჩა ორი ვაჟი — ალექსანდრე და დიმიტრი. სამეგრელოს მთავარმა, ლევან დადიანმა, როგორც უახლოესმა ნათესავმა (იგი გარდაცვლილის მეუღლის მკვიდრი ძმა იყო), მათი აღზრდა იკისრა. სარგებლობდა რა განუსაზღვრელი ძალაუფლებითა და გავლენით, ლევან დადიანმა მცირეწლოვანი ალექსანდრე შერვაშიძის სახელით სამურზაყანოს მმართველობა მიითვისა. ლევან დადიანის მძლავრობას წინააღუდგნენ გარდაცვლილის ნათესავები და თვით აფხაზეთის მთავარი მიხეილ შერვაშიძეც. სამურზაყანოში ბატონობის განმტკიცების მიზნით, ლევან დადიანმა მანუჩარის მემკვიდრეები გზიდან ჩამოიცილა. 1829 წელს, როდესაც ალექსანდრე სრულწლოვანი გახდა, ლევან დადიანის დასმენით ციმბირში გადაასახლეს და იგი ადგილზე ჩასვლამდე გარდაიცვალა. დიმიტრი შერვაშიძე 1832 წელს დადიანის შეჩენილმა კაცებმა მოკლეს. ამ აქტის შემდეგ ლევან დადიანი სამურზაყანოს უშუალო მმართველი გახდა.

კავკასიის ადგილობრივი, რუსული ადმინისტრაციაც სამურზაყანოს სამეგრელოს სამთავროს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა. მაგრამ სამურზაყანოს თავადაზნაურობა არ ცნობდა დადიანს სამურზაყანოს მფლობელად და მის წინააღმდეგ ხშირად ჯანყდებოდა. სამეგრელოს მთავარი საკუთარი ძალებით ვერ ახერხებდა სამურზაყანოში წესრიგის დამყარებას და კავკასიის მმართველობა იძულებული ხდებოდა იქ სამხედრო ექსპედიციები გაეგზავნა[35].

შერვაშიძეებისადმი დადიანის ულმობელი დამოკიდებულებით განაწყენებულმა აფხაზეთის მთავარმა სამურზაყანოს შტოს დანარჩენი შერვაშიძეები სოხუმში გაიწვია. 1839 წ. მან თხოვნით მიმართა მთავრობას, რომ სამურზაყანო, როგორც ადრე აფხაზეთის კუთვნილი ქვეყანა, ჩამორთმეოდა დადიანს და აფხაზეთის სამთავროს გადასცემოდა. შერვაშიძეს სამურზაყანოს მფლობელობაში გადაცემაზე უარი ეთქვა, ვინაიდან სამურზაყანო, რომელიც აფხაზეთის სამთავროსაგან დიდი ხნის წინ იყო გამოყოფილი, როგორც და-

---

32 Акты. Т. IV, с. 527.

33 იქვე. გვ. 536.

34 სცია, ფ. 4, ან. 2. ს. 384, ფ. 4.

35 С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом. Т. I, 1907, с. 107; სცია, ფ. 4, ან 2, ს. 384. ფ. 68.

მოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, არც ერთ ამ სამთავროსაგანს არ ეკუთვნოდა და სახაზინო უწყებას უნდა გადასცემოდა[36].

1840 წელს სამურზაყანო ჩამოერთვა დადიანს და მისგან [illegible] ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული — სამურზაყანოს [illegible] შეიქმნა[37].

იმავე წლის დეკემბერში სამეგრელოსა და სამურზაყანოს გამყოფი სადემარკაციო ხაზი დადგინდა. გოლოვინის მიერ გამოგზავნილმა რუსმა მოხელემ, ესპეხომ ოდიშის სამთავროსა და სამურზაყანოს საბოქაულოს გამმიჯნავ საზღვრის ხაზად მდ. ენგურის დინების ახალი კალაპოტის მარჯვენა ტოტი მიიჩნია. სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა ამ გამიჯვნის საფუძველზე ადრე მანუჩარ და ბეჟან შერვაშიძეების კუთვნილი სოფლები — დიდი და პატარა კოკი — მიითვისა, რომლებიც მდინარის ახალი კალაპოტის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდნენ[38].

ბეჟან შერვაშიძის მემკვიდრეებს არ სურდათ თავიანთი წინაპრების მამული დავით დადიანისათვის დაეთმოთ. შერვაშიძეებს დიდ დახმარებას უწევდა შავი ზღვისპირეთის სანაპირო ხაზის დაცვის უფროსი ბუდბერგი, რომლის მითითებითაც სამურზაყანოს პრისტავი დავიდოვსკი ნებას არ რთავდა დავით დადიანს სოფლებს — დიდსა და პატარა კოხს — დაუფლებოდა.

1846 წელს დავით დადიანმა თხოვნით მიმართა კავკასიის მეფისნაცვალს ვორონცოვს — პირადად ჩარეულიყო ამ საქმეში და სადემარკაციო ხაზის დასადგენად სათანადო მოხელე გამოეგზავნა[39].

ვორონცოვმა საქმის გამოძიება კავკასიის საქმეთა კორპუსის მმართველს, გენერალ ტარაკანოვს დაავალა. კავკასიის მეფისნაცვლის მითითებით ადგილზე ჩასულ მოხელეს უნდა გაერკვია:

1. რა მიმართულებით მიედინებოდა ენგურის მთავარი კალაპოტი 1840 წელს, როდესაც სამეგრელოს სამთავროსა და სამურზაყანოს საბოქაულოს შორის საზღვრის ხაზი დადგინდა. ხომ არ იყო სოფლები — დიდი და პატარა კოკი — გაერთიანებული ერთ სასოფლო საზოგადოებაში; 2. ფლობდა თუ არა გარდაცვლილი მანუჩარ შერვაშიძე დიდ კოკს, და რა ნათესაურ კავშირში იმყოფებოდნენ მოსარჩლე შერვაშიძეები გარდაცვლილ თავადთან; 3. ვინ ფლობდა დიდ კოკს მანუჩარ შერვაშიძის გარდაცვალების შემდეგ, ვიდრე სამურზაყანო სახაზინო უწყებას გადაეცემოდა; 4. თუ დადიანი მანუჩარ შერვაშიძის მემკვიდრეების გადაშენების შემდეგ დაეუფლა სოფ. დიდ კოკს, ჰქონდა თუ არა მას ამის უფლება, როგორც მთავარს, ვახტანგ მეექვსის სამართლისა და სამეგრელო-სამურზაყანოში არსებული ადათის საფუძველზე, რომლის მიხედვით გარდაცვლილის მამულს, თუკი მას მამრობითი ხაზით მემკვიდრეები არ დარჩებოდა, მთავარი უნდა დაპატრონებოდა; 5. შეეძლოთ თუ არა მანუჩარ შერვაშიძის ქალიშვილსა და მის მეუღლეს, თავად ჩხოტუას, მემკვიდრეობის უფლებით, გარდაცვლილის უძრავ ქონებას დაუფლებოდნენ.

---

36 სცია. ფ. 4, ან 2, ს. 384, ფ. 69.
37 იქვე. ფ. 70.
38 იქვე. ფ. 71.
39 იქვე, ფ. 1.

ყველა ამ საკითხის დეტალური განხილვის შემდეგ ტარაკანოვი ამ საქმის შესახებ თავის პირად დასკვნას გამოიტანდა და დასამტკიცებლად ვორონცოვს გადასცემდა.

ხსენებულ მითითებათა საფუძველზე ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგებს ტარაკანოვი ვორონცოვს მოახსენებდა:

1. სოფელი დიდი კოკი სამურზაყანოს სახაზინო უწყებაში გადასვლამდე ეკუთვნოდა სამეგრელოს სამთავროს და სოფ. პატარა კოკთან ერთ სასოფლო საზოგადოებას შეადგენდა. 1840 წელს, სამეგრელოს სამთავროსა და სამურზაყანოს საპრისტავოს სასაზღვრო ხაზის დადგენის დროს, მდ. ენგური იმავე მიმართულებით მიედინებოდა, როგორც 1846 წელს. სამურზაყანოს მცხოვრებნი დინების მთავარ კალაპოტად მიიჩნევდნენ ტოტს, რომელიც პატარა კოკს დიდი კოკისაგან გამოჰყოფდა; სამეგრელოს მცხოვრებნი კი მდინარის მთავარ კალაპოტად სოფ. პატარა კოკის სამურზაყანოსაგან გამმიჯნავ ტოტს თვლიდნენ; ტარაკანოვი არ ენდო ადგილობრივ მცხოვრებთა ჩვენებას, რომლებიც დაინტერესებულ პირებს წარმოადგენდნენ, და გადაწყვიტა მდინარის დინების მთავარი კალაპოტი ადგილზე შეემოწმებინა; მდინარის დინების ორგზის დათვალიერებამ ტარაკანოვი დაარწმუნა, რომ განშტოება, რომელიც სოფ. პატარა კოკს მარჯვნიდან შემოუვლიდა, ორჯერ უფრო ფართო იყო, ვიდრე დიდსა და პატარა კოკს შორის გამდინარე ტოტი. მდ. ენგურის მარცხენა ტოტი, განსაკუთრებით გაზაფხულზე, წყალდიდობის გამო, ძალზე სწრაფად მიედინებოდა და მისი გადალახვა არა მარტო ცხენით, არამედ თვით სამდინარო ნავებითაც კი გაძნელებული იყო, ეს ტოტი მაღალ და ფლატეებიან ნაპირს გაუყვებოდა; მარჯვენა ტოტი შედარებით მცირე ზომისა იყო და მასზე თვით ცხენითაც კი შეიძლებოდა გადასვლა. მცხოვრებნი მდინარის იმ ტოტს, პატარა კოკს მარჯვნიდან რომ შემოუვლიდა, დიდ ენგურს ეძახდნენ, მარცხენა ტოტს კი პატარა ენგურს უწოდებდნენ. აქედან გამომდინარე, ტარაკანოვმა ენგურის დინების ის ტოტი, რომელიც კოკს მარჯვნიდან ჩაუვლიდა და სამურზაყანოსაგან გამოყოფდა, მდინარის მთავარ კალაპოტად მიიჩნია.

2. სოფელ დიდ კოკს თავადი მანუჩარ შერვაშიძე ფლობდა, რასაც არც თვით დავით დადიანი უარყოფდა. რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებაში შემჩნეულ სოლომონ (მანუჩარის მამა) და ლევან (მანუჩარის ძმა) შერვაშიძეებს ჩამოერთვათ მათი კუთვნილი მამულები, მათ შორის სოფ. დიდი კოკი. და ლევან დადიანმა სამეგრელოს სამთავროსადმი გაწეული ერთგულების საფასურად ეს სოფელი მანუჩარ შერვაშიძეს გადასცა. ამის დასამტკიცებლად სამეგრელოს მთავარმა წარუდგინა მას (ტარაკანოვს) ასლი 1810 წლის ლევან დადიანის მიერ მანუჩარზე გაცემული სიგელისა, რომლითაც დადიანი მანუჩარ შერვაშიძეს სამურზაყანოს მოურავობას უბოძებდა (რომლის ორიგინალიც, როგორც მას დავით დადიანის წარმომადგენელმა განუცხადა, 1841 წლის 29 აგვისტოს გოლოვინს გადაეცა); აგრეთვე ამონაწერი საქართველოს მთავარმმართებლის რტიშჩევის 1815 წლის 18 ივნისს ლევან დადიანისადმი მიწერილი წერილიდან, საიდანაც ჩანდა, რომ ძმის (მანუჩარის) მოკვლის განზრახვაში ეჭვმიტანილი, დაპატიმრებული და მამულჩამორთმეული ბეჟან შერვაშიძის დასჯა თუ შეწყალება ლევან დადიანს ჰქონდა მინდობილი.

მოსარჩლე თავადებმა, ლევან, მანუჩარ და როსტომ შერვაშიძეებმა, აჩვენეს: სოლომონ შერვაშიძის გარდაცვალების შემდეგ, სოფ. დიდ კოკს

განუყოფელად ფლობდნენ, რაზეც მათ არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ წარმოუდგენიათ; გარდაცვლილი მანუჩარ შერვაშიძის ძმამ ბათუმ განაცხადა, რომ მთელ მამულს განაგებდნენ მანუჩარ და ბეჟან შერვაშიძეები. როდესაც ბეჟანი იმალებოდა, მაშინ მამულს მხოლოდ მანუჩარი ფლობდა, შემდეგ ბეჟანი დაბრუნდა და მიიღო თავისი ყოფილი მამულის ნაწილი. ბეჟანის ხელმეორედ გაქცევის დროს იგი შეიპყრო მანუჩარმა და გადააგზავნა ლევან დადიანთან, რომელმაც იგი ციხეში გამოამწყვდია და იქ გარდაიცვალა; ამის შემდეგ ბეჟანის მამული მთლიანად მანუჩარის ხელში გადავიდა. მანუჩარის სიკვდილის შემდეგ სოფ. დიდ კოკს გარდაცვლილის ქალიშვილი და მისი ვაჟები ფლობდნენ და ბეჟანის მემკვიდრეებს მამისეული ნაქონი მამული აღარ დაუბრუნეს. სამურზაყანოს სასამართლოს მდივანბეგმა ჯამლეთ ჩხოტუამ განაცხადა: მანუჩარ შერვაშიძემ დადიანის დახმარებით გზიდან ჩამოიცილა თავისი ძმები და მათ მამულს დაეუფლა. სოლომონ შერვაშიძის არც ერთ შთამომავალთაგანს ამ მამულზე მფლობელობითი უფლება არ ჰქონია.

ტარაკანოვმა გაარკვია აგრეთვე, თუ რა ნათესაურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ მოსარჩლე თავადები გარდაცვლილ მანუჩარ შერვაშიძესთან. ლევან შერვაშიძე იყო მანუჩარის ძმის, ბეჟანის ვაჟი, მანუჩარი სარეკისა, რომელიც გარდაცვლილის მკვიდრი ბიძაშვილი იყო;

3. სამურზაყანოს და სამეგრელოს თავად-აზნაურთა და აგრეთვე სამეგრელოს მთავრის დადიანის ჩვენებით გამოირკვა, რომ მანუჩარ შერვაშიძის გარდაცვალების შემდეგ სოფ. დიდ კოკს ფლობდნენ გარდაცვლილის ქვრივი და მისი შვილები; მათი გარდაცვალების შემდეგ, ვიდრე სამურზაყანოს ხაზინას გადაეცემოდა, ამ სოფელს სამეგრელოს მთავრები ფლობდნენ.

შერვაშიძეები ამტკიცებდნენ, რომ ამ სოფელს გარდაცვლილის ქვრივთან და შვილებთან ერთად განუყოფელი მფლობელობითი უფლებით ფლობდნენ შერვაშიძეთა საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებიც. დავით დადიანი უარყოფდა ამ ცნობას, ვინაიდან ძველი ქართული სამართლისა და ადგილობრივი ადათის თანახმად, მათ არ ჰქონდათ რაიმე მფლობელობითი უფლება; იგივე დაამოწმეს თავადებმა — ბათუ, მურზაყან, კუდნათ შერვაშიძეებმა, ჯამლეთ ჩხოტუამ და სოფ. დიდი კოკის მღვდელმა მიქაბერიძემ.

4. გამოძიებით დადგინდა, რომ მანუჩარის ქვრივისა და მისი შვილების გარდაცვალების შემდეგ სოფ. დიდი კოკი ლევან დადიანის მფლობელობაში გადავიდა, ვინაიდან ვახტანგ VI კანონთა კრებულის პირველი განყოფილების 131, 137, 160 და 248-ე მუხლებისა და ადგილობრივი ადათის მიხედვით გარდაცვლილის უძრავი ქონება, თუკი მას პირდაპირი მემკვიდრეები არ დარჩებოდა, მთავრის მფლობელობაში უნდა გადასულიყო. ჩატარებული გამოძიების საფუძველზე მიღებული დასკვნები ტარაკანოვმა განსახილველად ვორონცოვს გადასცა.

ტარაკანოვის დასკვნის თანახმად, სადემარკაციო ხაზად სამეგრელოს სამთავროსა და სამურზაყანოს საბოქაულოს შორის მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადი უნდა მიჩნეულიყო, რომელიც, თავის მხრივ, მდინარის დინების მთავარ კალაპოტს წარმოადგენდა და სოფ. პატარა კოკს სამურზაყანოსაგან გამოჰყოფდა, სოფ. პატარა კოკი, რომელიც დიდ კოკთან ერთად ყოველთვის ერთ სასოფლო საზოგადოებას შეადგენდა და სამეგრელოს მთავარს ეკუთვ-

---

40 სცია, ფ. 4, ან 2, ს. 384, ფ. ფ. 3—10.

ნოდა, ვიდრე სამურაზაყანო სახაზინო უწყებაში გადავიდოდა, დავით დადიანის მფლობელობაში უნდა გადასულიყო.

დავით დადიანს ხელში ჩაეგდო აგრეთვე ენგურის მარჯვენა ნაპირზე ბარე სოფელი ფახულანი, რომელიც ტერიტორიულად სამურზაყანოს ნაპირ-ტავოს ფარგლებში მდებარეობდა. ამ შემთხვევაშიც კი ტარაკანოვი შესაძლებლად თვლიდა, რომ ეს სოფელი, რომელიც აღმოსავლეთით ჯვრის ოკრუგს ესაზღვრებოდა და იქ დადიანის ყმები დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ, სამეგრელოს ჯვრის ოკრუგის შემადგენლობაში გადასულიყო[40].

1847 წლის დეკემბერში კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვმა ამ საქმის ხელახლა გასარჩევად გრაფი გალანტერი გააგზავნა, რომელმაც ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად მიღებული დასკვნები მეფისნაცვალს წარუდგინა:

1. პატარა კოკი იყო არა მარტო ერთი სოფლის სახელწოდება, არამედ მისი წარმოქმნის დღიდან ეს სახელი ეწოდა მთელ ფართობს, რომელიც შამგონას, ორსანტიასა და გაინარჯიას-მუხურს შეიცავდა.

2. სოფლები — შამგონა, ორსანტია და გაინარჯიას-მუხური — მანუჩარ შერვაშიძის მამული იყო, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ, ვახტანგ VI სამართლის თანახმად, სამეგრელოს მთავრის სახლს უნდა მიკუთვნებოდა. საკუთრივ სოფ. პატარა კოკი, რომელიც თავად გარდაცვლილ ბეჟან შერვაშიძის გლეხებით იყო დასახლებული და რომელსაც პირდაპირი მემკვიდრე ჰყავდა ლევან შერვაშიძის სახით, ამ უკანასკნელის მფლობელობაში დარჩებოდა.

ამ მონაცემების საფუძველზე და აგრეთვე იმიტომ, რომ სასაზღვრო ხაზად სამეგრელოსა და სამურზაყანოს შორის ენგურის დინების მარჯვენა ტოტი ითვლებოდა, 1846 წლის 6 მარტს კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვმა დაავალა შავი ზღვის სანაპიროს დაცვის მესამე განყოფილების უფროსს ბულბერგს სოფლები — შამგონა, ორსანტია და გაინარჯიას-მუხური — დავით დადიანის მფლობელობაში გადაეცა, ხოლო სოფელი პატარა კოკი ბეჟან შერვაშიძის მემკვიდრე ლევან შერვაშიძის მფლობელობაში დაეტოვებინა, იმ პირობით, რომ ამ სოფლის ადმინისტრაციული ზედამხედველობა დავით დადიანს დაევალებოდა. სამეგრელოს სამთავროს ჯვრის ოკრუგის შემადგენლობაში უნდა დარჩენილიყო აგრეთვე სოფ. ფახულანიც.

1849 წლის 4 იანვარს სოფლები — დიდი კოკი, გაინარჯიას-მუხური, ორსანტია და შამგონა — პირად მფლობელობაში გადაეცა დავით დადიანს, ხოლო სოფ. პატარა კოკი, რომელიც მდინარის მარჯვენა ტოტის მარცხენა ნაპირზე იმყოფებოდა, სამეგრელოს სამთავროს შეუერთეს[41].

XIX ს. I ნახევარში სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრები ასე გამოიყურებოდა:

აღმოსავლეთით მას ქუთაისის გუბერნიის რაჭისა და ქუთაისის მაზრები ესაზღვრებოდა, რომელთაგანაც ასკის წყლით თავშავისქედის სამხრეთი კალთებით, ხვამლის მთის მასივით და ცხენის წყლით გამოიყოფოდა. სამხრეთით გურიის მაზრა ემეზობლებოდა და საზღვარი მდ. ფიჩორს გაუყვებოდა. დასავლეთით სამურზაყანოს საპრისტავო ესაზღვრებოდა, რომლისაგანაც მდინარეების — ენგურისა და ღალიძგას — წყალგამყოფი კოდორის ქე-

---

41 სცია, ფ. 4, ან 2, ს. 384, ფ. 57, 80

დის სამხრეთული განშტოებით, ხირუმის მთავრეხილითა და მდ. ენგურით იმიჯნებოდა. ჩრდილოეთით სადადეშქელიანო და თავისუფალი სვანეთი ესაზღვრებოდა და მათი გამყოფი სასაზღვრო ხაზი სვანეთის ქედს ნიშნავდა.

З. Ф. ЦИНЦАДЗЕ

К ВОПРОСУ О ГРАНИЦАХ МИНГРЕЛЬСКОГО (ОДИШСКОГО) КНЯЖЕСТВА В I ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА

Резюме

В рассматриваемый период границы Мингрельского княжества выглядели следующим образом: на востоке оно граничило с Рачинским и Кутаисским уездами Кутаисской губернии, далее по р. Аскис-Цкали граница опускалась по склонам Тавшавского хребта, шла к г. Хвами и р. Цхенис-Цкали, с юга проходила по р. Пичори, отделявшей его от Горийского уезда. На западе границей Самурзаканского приставства служили Хрумский хребет, южное ответвление Кодорского хребта и далее она спускалась к Черному морю вплоть до р. Ингури. На север от Мингрельского княжества находились княжеская и вольная Сванетия. Граница с ними проходила по Сванетскому хребту.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძ. კეკელია

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების გეოგრაფიული ასპექტები

სოფლის მეურნეობაში მიწის დანიშნულება ძალზე დიდია. იგი წარმოების ძირითადი საშუალებაა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდება და მისი ხარისხის ამაღლება ძირითადად დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ოდენობაზე, მის სტრუქტურასა და გამოყენების ხასიათზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობას აქვს ექსტენსიური ხასიათი. ეხებოდა რა მიწის მნიშვნელობას, კ. მარქსი აღნიშნავდა: „შრომა არ არის ერთადერთი წყარო მის მიერ წარმოებული ღირებულებისა, ნივთიერი სიმდიდრისა.. შრომა სიმდიდრის მამაა და მიწა მისი დედა"[1].

მიწის, ამ ძირითადი საშუალების, ფიზიკური განსაზღვრულობა განაპირობებს მის დანიშნულებით გამოყენებას, რაც ცვალებადი მოვლენაა. დროსა და სივრცეში საწარმოო ძალთა განვითარების მსგავსად, მიწის დანიშნულებით გამოყენება იცვლებოდა საზოგადოების მოთხოვნილების შესაბამისად; მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს ადამიანთა მოთხოვნილება, მიწის დანიშნულებით გამოყენებას განაპირობებს საკუთრების ფორმები, წარმოებითი ურთიერთობა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, ბუნებრივი პირობები და სხვა.

XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების გეოგრაფიული ანალიზისათვის ჩვენ გამოვიყენეთ 1909—1921 წწ. სტატისტიკური კრებული. გარდა ამისა, ვისარგებლეთ 1880 წ-დან 1914 წლის ჩათვლით „კავკასიის კალენდრის" მონაცემებით; თუმცა სანდო სტატისტიკური ცნობების ძიება „კავკასიის კალენდარში" იმ მიზნით, რათა აღნიშნულ პერიოდზე გაბმული ანალიზი ვაწარმოოთ, რამდენადმე უნაყოფოა, რის შესახებაც თვით კალენდარშიც არის აღნიშნული[2]. ეს მასალა შეიძლება მხოლოდ განვითარების ტენდენციის მაჩვენებელი იყოს და ზოგიერთი დასკვნის გაკეთების საშუალება მოგვცეს.

კალენდრის მონაცემების შესავსებად და დასაზუსტებლად გამოვიყენეთ აგრეთვე 1899 წლის სტატისტიკური კრებული[3]. კრებულში მოცემულია დიდძალი მასალა, რომელიც მიწათსარგებლობის საკითხებს ეხება. მასში არის თბილისის გუბერნიაში ზოგიერთი მაზრების გამიჯვნის დამთავრების შემდეგ მიღებული სტატისტიკური მონაცემები. რადგან ამ დროს ქუთაისის გუბერ-

---

1 კ. მარქსი, კაპიტალი. ტ. I. 1954, გვ. 60.

2 К. К. на 1885 г. Тифлис, 1884 г., с. 235.

3 Сборник статистических данных о землевладении и способах хозяйства в пяти губерниях Закавказского края. Тифлис, 1899.

ნიაში არ იყო დამთავრებული მიწების გამიჯვნა, ამდენად თბილისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრებზე და ქუთაისის გუბერნიაზე არსებული სტატისტიკური მონაცემები გამოუყენებელი გვრჩება. საგულისხმოა პროფესორ ს. ავალიანის შენიშვნა, რომელიც წერდა: „რუსეთის მთავრობას საქართველოში მიწის ფონდის რაოდენობა არ გამოუკვლევია; საქართველოში მიწის აზომვა, კადასტრი არ მომხდარა. ჩვენში მიწის გამიჯვნა არ დამთავრებულა 1917 წლამდე. რუსეთის მთავრობის სტატისტიკური გამოკვლევების მიხედვით მხოლოდ დაახლოებით ვიცოდით საქართველოს მიწის ფონდის რაოდენობა. რუსეთის სტატისტიკა მიწების შესახებ საქართველოში არ იყო სწორი, ყალბ საფუძველზე იყო აგებული"[4].

ყოველივე ზემოთქმულმა გაართულა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების გეოგრაფიული თავისებურებების შესწავლა და გამორიცხული არ არის მცირე უზუსტობა.

* * *

მიწის დანიშნულებით გამოყენებაზე დიდ გავლენას ახდენს ის ფაქტორი, თუ ვის სარგებლობაშია მიწა.

მიწათსარგებლობა და მიწათმფლობელობა საქართველოში, საკვლევ პერიოდში, ყოველთვის წარმოადგენდა კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ საფუძველს.

მიწის განაწილება მიწათმფლობელთა მიხედვით რევოლუციამდელ პერიოდში საქართველოში შემდეგ სურათს იძლევა:

ცხრილი 1

საქართველოს მიწის ფონდის განაწილება მიწათმოსარგებლეთა შორის 1917 წ. მიხედვით[5]

რიგითი №	მიწათმოსარგებლეთა კატეგორიები	საერთო ფართობი ათას დესეტინებში	% შეფარდება
1	სახელმწიფო მიწები	2309,5	36,2%
2	კერძომფლობელთა მიწები	2265,1	35,4%
3	გლეხთა მიწები	1504,2	23,6%
4	საუფლისწულო უწყების მიწები	116,4	1,8%
5	საეკლესიო-სამონასტრო მიწები	22,3	0,3%
6	საქალაქო დასახლებების მიწები	25,4	0,4%
7	მიწები ტრანსპორტის მიერ დაკავებული	9,3	0,1%
8	სხვა მიწები (მყინვარები, მთები, კლდეები, ჭაობები და სხვ.)	138,2	2,2%
	სულ	6380,4	100%

როგორც ცხრილი 1-ლი გვიჩვენებს, საქართველოში, აღნიშნულ პერიოდში, მიწის ფონდის 2/3-ზე მეტი ეკუთვნოდა ხაზინასა და კერძო მფლო-

4 ს. ავალიანი. მიწათმოქმედება საქართველოში. ქუთაისი, 1920, გვ. 5.

5 Яшвили Н. Є. Земельный фонд ГССР — В кн.: Природные ресурсы ГССР, том VI, сельскохозяйственные ресурсы. М., 1965, с. 231.

ჰექტრები ჩვენ მიერ გადაყვანილია დესეტინებში (ქ. კ.).

ბელებს, მაშინ, როდესაც ისინი შეადგენდნენ მოსახლეობის 4,9%-ს, მიწის ფონდის თითქმის 1/5 ნაწილი გლეხების სარგებლობაში იყო. შედარებით მცირე მიწას (0,3%) ფლობდნენ ეკლესია-მონასტრები. მიწის ფონდის გარკვეული ნაწილი დაკავებული იყო ქალაქებით და საქალაქო დასახლებებით (0,4%). საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ აგრარული საქართველოსათვის დასახლებათა ეს ტიპები შედარებით ნაკლებად იყო დამახასიათებელი. საქართველოში სახალხო მეურნეობის მიზნებისათვის გამოუყენებელი მიწის ფონდის 2,2% აღირიცხებოდა. ეს მიწები იყო ძირითადად მყინვარები, ციცაბო ადგილები, ჭაობები და სხვ.

მოსახლეობის სხვადასხვა ფენების მიწით უზრუნველყოფას ყველაზე კარგად განსაზღვრავს სულადობრივი ნორმები. სულ საქართველოში საკვლევ პერიოდში აღირიცხებოდა თავადაზნაურობის 10312 კომლი. აქედან 1 კომლზე 400 დესეტინაზე მეტი მიწა მოდიოდა. ამგვარად, მოსახლეობის ეს ფენა ყველაზე კარგად იყო უზრუნველყოფილი მიწით. გლეხებს შორის მიწით შედარებით კარგად იყვნენ უზრუნველყოფილნი სახელმწიფო გლეხები. თბილისის გუბერნიის 48250 კომლი სახელმწიფო გლეხის სარგებლობაში იყო 84,3 ათასი დესეტინა სახაზინო მიწა; კომლზე საშუალოდ 17 დესეტინა მოდიოდა, აქედან საკარმიდამოზე, ბაღ-ვენახსა და სახნავ-სათესზე — 6 დესეტინა, დანარჩენი კი საძოვარი, ბუჩქნარი და უვარგისი ნაკვეთები იყო[7].

ქუთაისის გუბერნიაში (აჭარა-აფხაზეთის გამოკლებით) 20997 კომლი სახელმწიფო გლეხის სარგებლობაში იყო 88,7 ათასი დესეტინა მიწა (კომლზე საშუალოდ 4 დესეტინა)[8].

როგორც აღინიშნა, ყველა კატეგორიის გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი ფაქტორი მიწა იყო. ასევე, ხიზნების მიწით უზრუნველყოფაც შემდეგნაირად წარმოგვიდგება: თბილისის გუბერნიაში ზემოხსენებული კატეგორიის გლეხთა ერთ კომლზე მოდიოდა 4,3 დესეტინა მიწა; ქუთაისის გუბერნიაში საშუალო საკომლო ნადელი არ აღემატებოდა 2,3 დესეტინას[9]. ხოლო თბილისის გუბერნიის დროებით ვალდებულ გლეხთა თითო კომლზე მოდიოდა 3 დესეტინა მიწა, ქუთაისის გუბერნიაში — 4 დესეტინა[10]. მიწის ეს ფართობი, რა თქმა უნდა, არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ მოსახლეობას თავიც ერჩინა და მიწის პატრონისა და სახელმწიფოს ვალი გადაეხადა. არსებობის შესანარჩუნებლად გლეხობას უხდებოდა მიწის იჯარით აღება, რაც მაინც მცირე იყო და ხშირად იწვევდა გლეხების მიგრაციას, როგორც საქართველოს რიგ სოფლებსა და ქალაქებში, ისე მის გარეთაც.

სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების გეოგრაფიული შესწავლისათვის საჭიროა მიწის ფონდის სტრუქტურის შესწავლა. 1914 წლის „კავკასიის კალენდარში" მოცემული სტატისტიკური მასალის საფუძველზე შედგენილი ცხრილი 2 ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს. როგორც ცხრილიდან ირკვევა, მიწის ფონდის 40,3%-ს საქართველოში შეადგენდა სასოფლო-

---

6 საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V. თბ., 1970, გვ. 527—28.

7 ალ. ბენდიანიშვილი. აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917., თბ., 1965, გვ. 31—32.

8 იქვე.

9 საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V. გვ. 557.

10 Сборник статистических данных в пяти губерниях Закавказского края. 1899, Тифлис, с. 12.

სამეურნეო საკარგულები, რომლებსაც მიეკუთვნებოდა სახნავი, ნასვენი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბები და საძოვრები. ვინაიდან ამ მიწებიდან მიღებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე დაწესებული იყო სახელმწიფო გადასახადი, ამიტომ ეს მიწები აღირიცხებოდა კავკასიის მხარის სახელმწიფო პალატის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო საკარგულების ხვედრითი წილით საქართველო ჩამოუვარდებოდა მეზობელ ბაქოს გუბერნიას, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მოდიოდა მთელი მიწის ფონდის 58,9%[12].

ცხრილი 2[11]

საქართველოს მიწის ფონდის სტრუქტურა XX საუკუნის დასაწყისში (1912—1914 წწ.)

გუბერნიები, მაზრები და ოკრუგები	სულ მიწის ფონდი		სასოფლო-სამეურნეო საკარგულები			ტყეები, ბუჩქნარები და დანარჩენი მიწები		
	ფართობი ათას დესეტ.	% სულ. მიწის ფონდის მიმართ	ფართობი ათას დესეტ.	% სულ. მიწების მიმ.	% მაზრის სს მიწების მიმართ	ფართობი ათას დესეტ.	% ტყეების, ბუჩ. და დან. მიწ. მიმ.	% მაზრის მიწის ფონდის მიმ.
თბილისის გუბერნია	3733.2	54.1	17428	62.7	46.7	1.990.4	48.1	53.3
ახალქალაქის მაზრა	250.3	3.6	168.9	6.0	67.5	81.4	1.9	32.5
ახალციხის „	242.4	3.5	110.6	3.9	45.6	131,8	3.2	54.4
ბორჩალოს „	627.7	9.1	397.2	14.2	63.3	230.5	5.6	36.7
გორის „	624.7	9.1	297.8	10.7	47.7	326.9	7.9	52.3
დუშეთის „	354.7	5.1	105.7	3.8	29.8	249.0	6.0	70.2
სიღნაღის „	550.2	8.0	215.4	7.7	39·2	334.8	8.1	60.8
თელავის „	224.8	3.3	64.3	2.3	28.6	160.5	3.9	71.4
თბილისის „	416.4	6.0	194.2	6.9	46.6	222.2	5.4	53.4
თიანეთის „	442.0	6.4	188.7	6.8	42.7	253.3	6.1	57.3
ქუთაისის გუბერნია	1927.0	27.9	683.6	25.1	36.2	1243.8	30.1	63.8
ზუგდიდის მაზრა	244.0	3.5	132,2	4.7	54.2	111.8	2.7	45.8
ქუთაისის „	316.4	4.6	118.8	4.2	37.5	197.6	4.8	62.5
ლეჩხუმის „	445.2	6.5	140.5	5.0	31.5	304.7	7.4	68.5
ოზურგეთის „	197.5	2.9	59.2	2.1	29.9	138.3	3.3	70.1
რაჭის „	257.5	3.7	34.2	1.2	13.3	223·3	5.4	86.7
სენაკის „	194.4	2.8	109.3	3.9	56.2	85.1	2.1	43.8
შორაპნის „	272.4	3.9	89.4	3.2	32.8	183.0	4.4	67.2
ბათუმის ოკრუგი	638.4	9.3	112.0	4.0	17.5	526.4	12.7	82.5
სოხუმის „	602.3	8.7	228.4	8.2	37.9	373.9	9.1	62.1
სულ საქართველოში	6901.3	100	2766.8	100	40.3	4134.5	100	59.1

განსხვავებული იყო მიწის ფონდის სტრუქტურა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. თუ თბილისის გუბერნია გამოირჩეოდა სასოფლო-სა-

[11] К. К. на 1914 г. Тифлис, 1913, с. 114—153. კალენდარში მოცემული კვადრატული ვერსტები გადაყვანილია დესეტინებში (ქ. კ.).

[12] Сборник статистических данных в пяти губерниях Закавказского края. Тифлис, 1899, с. 70—71.

მეურნეო სავარგულების სიჭარბით, ქუთაისის გუბერნიაში სჭარბობდა ტყეებისა და ბუჩქნარების მასივები. ქუთაისის გუბერნიის მთელი ტერიტორიის 100 დესეტინაზე მოდიოდა 46,5 დესეტინა ტყე და ბუჩქნარი, თბილისის გუბერნიაში კი — 29,8 8 დესეტინა[13].

ტყის მასივების სიჭარბე მაღალმთიანი მაზრების, ისტორიული სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობას აიძულებდა ტყეების გაკაფვის გზით გაეზარდათ სახნავ-სათესი ფართობი. მასიური ხასიათი მიიღო მიწათსარგებლობის „საახოვე" სისტემამ[14]. ამიტომ იყო, რომ აქ ადრეარსებული ხშირი ტყეები განადგურებული იქნა. ეს კი, თავის მხრივ, უარყოფით ბუნებრივ მოვლენას იწვევდა, კერძოდ, ეროზიას, რითაც ქვეითდებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

განსხვავებული იყო ასევე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით უზრუნველყოფა ცალკეული მაზრებისა და მხარეების მიხედვითაც. ისინი შეიძლებოდა შემდეგნაირად დაგვეჯგუფებინა: პირველ ჯგუფში გაერთიანებულ მაზრებს (ზუგდიდის, სენაკის, ბორჩალოს, ახალქალაქის) ახასიათებდათ მიწის ფონდის სტრუქტურაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შედარებით მაღალი მაჩვენებლები. იგი მერყეობდა 54%-დან 68%-მდე. მეორე ჯგუფში გაერთიანდა ის მაზრები, სადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხვედრითი წილი მერყეობდა 30%-დან 54%-მდე. ესენი იყო: ლეჩხუმის, შორაპნის, ქუთაისის მაზრები, სოხუმის ოკრუგი, ახალციხის, თბილისის, გორის მაზრები. ხოლო მესამე ჯგუფი გამოირჩეოდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შედარებით დაბალი დონით. მათი წილი 30%-ზე დაბალი იყო. მათში გაერთიანებული იყო რაჭის მაზრა, ბათუმის ოკრუგი, თელავის, დუშეთის, ოზურგეთის მაზრები. ამ ჯგუფში განსაკუთრებით გამოირჩეოდა რაჭის მაზრა, სადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენდნენ მიწის ფონდის მხოლოდ 13,3%-ს. ყოველივე ეს აიხსნებოდა ამ მაზრის რთული რელიეფური პირობებით და ტყის მასივების სიჭარბით.

სირთულით გამოირჩეოდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების სტრუქტურა, რაც ნათლად ჩანს ცხრილიდან 3. როგორც ამ ცხრილიდან ირკვევა, სასოფლო-სამეურნეო მიწებში სჭარბობდა საძოვრებისა და სათიბების ხვედრითი წილი. კერძოდ, მათზე მოდიოდა 57,3%, ანუ ნახევარზე მეტი. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივ და ეკონომიკურ პირობებთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო მიწების სტრუქტურაში საძოვრებზე მოდიოდა ყველაზე დიდი ხვედრითი წილი, საქართველო მაინც ხასიათდებოდა საკვები ბაზის შეზღუდულობით. რაც შეეხება ინტენსიურ სავარგულებს, სახნავსა და მრავალწლიან ნარგავებს, მათზე აღირიცხებოდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნახევარზე ნაკლები. სათესი ფართობის შეფარდებამ არსებულ სახნავთან გვიჩვენა, რომ მეტად დაბალი იყო ასევე სახნავის გამოყენების ეფექტურობა (0,64).

როგორც მე-4 ცხრილიდან ირკვევა, საქართველოში მემინდვრეობა საკვლევ პერიოდში მკვეთრად გამოხატული სასურსათო მიმართულებისა იყო (84,4%). აქ დიდად ჭარბობდა პურეული, რაც 81,5% შეადგენდა მთელი ნათესებიდან, უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოში და სიმინდის წარ-

---

13 К. К. на 1894 г. Тифлис, 1893, с. 232.

14 ე. ქვათაძე. სკკპ აგრარული პოლიტიკა და საქართველოს მთის რეგიონების სოციალ-ეკონომიკური განვითარების საკითხები. თბ., 1975, გვ. 24.


ბიბლიოგრაფია
ბიბლიოგრაფია
ბიბლიოგრაფია

ცხრილი 3

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების სტრუქტურა XX ს. დასაწყისში (1912—14)[15]

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუბერნიები, მაზრები და ოკრუგები	სახნავი		ბაღები		სათიბი		საძოვარი		საკარმიდამო ნაკვეთი		სულ
	ათას დესეტინებში	% შეფარდ. მაზრის მიმართ / % შეფარდ. საქ. მიმართ	ათას დესეტინებში	% შეფარდ. მაზრის მიმართ / % შეფარდ. საქ. მიმართ	ათას დესეტინებში	% შეფარდ. მაზრის მიმართ / % შეფარდ. საქ. მიმართ	ათას დესეტინებში	% შეფარდ. მაზრის მიმართ / % შეფარდ. საქ. მიმართ	ათას დესეტინებში	% შეფარდ. მაზრის მიმართ / % შეფარდ. საქ. მიმართ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1. ახალქალაქის მაზრა	84.4	50.0 / 7.6	0.4	0.2 / 0.7	19.3	11.4 / 15,8	63.4	37.6 / 4.3	1.4	0.8 / 7.1	168.9 / 100.0
2. ახალციხის „	37.4	33.9 / 3.4	1.1	0.9 / 1.9	8.7	7.9 / 7.2	62.6	56.7 / 4.3	0.6	0.6 / 3.0	110.4 / 100.0
3. ბორჩალოს „	134.4	33.9 / 12.2	1.7	0.4 / 2.8	32.3	8.1 / 26.5	226.0	56.9 / 15.5	2.9	0.7 / 14.6	397.0 / 100.0
4. გორის „	130.3	43.8 / 11.8	6.1	2.0 / 10.7	14.1	4.8 / 11.6	144.2	48.0 / 9.9	3.0	1.0 / 15.2	297.7 / 100.0
5. დუშეთის „	40.5	38.3 / 3.7	1.5	1.4 / 2.6	5.1	4.9 / 4.2	57.7	54.6 / 3.9	0.9	0.8 / 4.5	105.7 / 100.0
6. სიღნაღის „	101.9	47.3 / 9.2	6.8	3.2 / 12.0	8.2	3.8 / 6.7	93.3	43.3 / 6.4	5.2	2.4 / 26.3	215.4 / 100.0
7. თელავის „	38.0	59.1 / 3.5	6.7	10.4 / 11.8	0.1	0.2 / 0.08	17.3	26.9 / 17.2	2.2	3.4 / 11.1	64.3 / 100.0
8. თბილისის „	79.1	40.8 / 7.2	3.4	1.8 / 6.0	25.4	13.1 / 20.9	83.4	43.1 / 5.7	2.4	1.2 / 12.1	193.7 / 100.0
9. თიანეთის „	25.6	13.6 / 2.3	0.7	0.3 / 1.0	3.8	2.0 / 3.1	157.6	83.5 / 10.8	1.1	0.6 / 5.6	188.7 / 100.0
სულ თბილისის გუბ-ში	671.6	38.5 / 60.9	28.2	1.7 / 49.5	117.0	6.7 / 96.1	905.5	52.0 / 62.0	19.7	1.1 / 99.5	1742.0 / 100.0
სულ ქუთაისის გუბ-ში	336.9	49.2 / 30.6	19.8	2.9 / 34.9	3.3	0.5 / 2.7	323.1	47.2 / 22.1	0.1	0.2 / 0.5	683.2 / 100.0
1. ზუგდიდის მაზრა	82.1	62.0 / 7.4	0.01	0,07 / 0.1	—	—	50.0	37.9 / 3.4	—	—	132.1 / 100.0
2. ქუთაისის „	11.5	65.3 / 7.1	6.3	5.4 / 11.4	—	—	34.8	29.3 / 2.4	—	—	118.6 / 100.0
3. ლეჩხუმის „	24.2	27.2 / 2.2	2.4	1.8 / 4.2	—	—	113.9	81.0 / 7.8	—	—	140.5 / 100.0
4. ოზურგეთის „	30.7	51.9 / 2.8	—	—	—	—	28.5	48.1 / 1.9	—	—	59.2 / 100.0

[15] К. К. на 1914 г. Тифлис, 1913 г. с. 143—153.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
5. რაჭის „	17,6	51.5/1.6	1.5	4.3/2.6	3.3	9.6/2.7	11.8	34.6/0.8			34.4/100.0
6. სენაკის „	51.6	47.3/4.7	0.4	0.4/0.1	—	—	57.1	52.3/3.9	0.04	—	109.1/100.0
7. შორაპნის „	53.2	59.5/4.8	9.2	10.2/16.2	—	—	27.0	30.2/1.9	0.1	0.1/0.5	89.5/100.0
8. ბათუმის ოკრუგი	20.9	18.9/1.9	0.7	0.6/1.2	1.5	1.3/1.2	87.7	19.2/6.0	—	—	100.8/100.0
9. სოხუმის „	72.5	32.2/6.6	8.2	3.6/14.6	—	—	145.0	64.2/9.9	—	—	225.7/100.0
სულ საქართველოში	1101.9	39.9/100.0	56.9	2.1/100.0	121.8	4.4/100.0	1461	52.9/100.0	19.8	0.7/100.0	2761.7/100.0

მოება უმთავრესად დასავლეთ საქართველოში, თუმცა სიმინდი აღმოსავლეთ საქართველოშიც საგრძნობლად ვრცელდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ მინდვრის კულტურების ასორტიმენტი საქართველოში წინათაც მოიდარი იყო; მაგრამ იგივე ცხრილი იმასაც გვიჩვენებს, რომ ძვირფას ტექნიკურ (2,8%) და სპეციალურ საკვებ (12,8%) კულტურებს მემინდვრეობაში მეტად მცირე ადგილი ეჭირა და ბევრ შემთხვევაში, ჩანასახის სახით არსებობდა.

მარცვლეული საკვები კულტურები შეადგენდა საერთო ნათესების 12,4%. ტექნიკური კულტურებიდან თამბაქო იყო წამყვანი (2,3%), რომელიც ძირითადად აფხაზეთში იყო გავრცელებული, აღმოსავლეთ საქართველოში კი — სიღნაღის მაზრაში (4,8%).

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში შეიმჩნეოდა შიდატერიტორიული განსხვავებები. თბილისის გუბერნიაში სჭარბობდა საძოვრები და სათიბები; ქუთაისის გუბერნიაში კი — თითქმის თანაბრად (58,7%) იყო განაწილებული (სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები). დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთთან შედარებით, უფრო მაღალი იყო მრავალწლიანი ნარგავების ხვედრითი წილი, იგი თითქმის 1,4-ჯერ აღემატებოდა თბილისის გუბერნიის ანალოგიურ მაჩვენებელს.

აღმოსავლეთ საქართველოში სახნავი ფართობის შედარებით დაბალი ხვედრითი წილის ერთ-ერთი მიზეზი ჰავის სიმშრალე და სარწყავი სისტემების სიმცირე იყო. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, აქ მიწათმოქმედება ურწყავი იყო და მის ერთ-ერთ ხელშემშლელ პირობას რთული რელიეფის თავისებურებანი წარმოადგენდა (ციცაბო კალთები). იმ პერიოდში მათი ათვისება ხდებოდა გამწევი ძალით და მაქსიმალურად გამოიყენებოდა დასამუშავებელი მიწები. ამგვარად, ქუთაისის გუბერნიაში მიწათმოქმედება უფრო ინტენსიური ხასიათისა იყო.

სასოფლო-სამეურნეო მიწების სტრუქტურა განსხვავებული იყო ასევე მაზრების მიხედვითაც. თბილისის გუბერნიაში, თბილისის, გორის, სიღნაღის, ახალქალაქის და თელავის მაზრებში, სასოფლო-სამეურნეო მიწების სტრუქტურაში დამუშავებული ფართობის (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები, საკარმიდამო) ხვედრითი წილი მერყეობდა 43,8%-დან 72,9%-მდე. ძირითა-

დად ეს ის მაზრები იყო, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ შიდა ქართლისა და გარე კახეთის ვაკეებზე, ჯავახეთის ზეგანზე; რაც შეეხება დუშეთის, თიანეთის, ახალციხის მთიან მაზრებს, აქ დამუშავებული მიწების ხვედრითი წილი მეტად დაბალი იყო და მერყეობდა 14,5%-დან (თიანეთი) 40,5%-მდე (დუშეთი). ასეთივე სურათი გვქონდა ქუთაისის გუბერნიის მთიან მაზრებში, ლეჩხუმში, მთიან აჭარაში, მთიან აფხაზეთში. ზემოთ აღნიშნულ სავარგულებზე მოდიოდა მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწების 19%-დან 35,8%-მდე. ამ მონაცემებიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბუნებრივი ფაქტორების გავლენას მიწათმოქმედებაზე.

ცხრილი 4

ნათესების სივრცის განაწილება სხვადასხვა კულტურათა ჯგუფების მიხედვით 1917 წლის აღწერით (%-ში)[16]

მაზრები და ავტონომიური რესპუბლიკები	სასურსათო მცენარეები				საკვები მცენარეები				ტექნიკური მცენარეები				
	პურეული												
	შემოდგომის	გაზაფხულის	კარტოფ., ბოსტნეული და ბაღჩის მცენარეები	სულ	მარცვლეული	ბალახი	საკვები ჯარხალი	სულ	ზეთის მომცემი მცენარეები	თამბაქო	ბამბა	სულ	სულ ნათესები
აღმ. საქართველო	43.1	26.9	4.4	74.4	23.4	0.7	0.0	24.1	0.6	0.7	0.2	1.5	100
1. ახალქალაქის	2.0	37.6	1.6	41.2	53.4	3.2	0.0	56.6	2.2	0.0	0.0	2.2	100
2. ახალციხის	43.1	23.4	4.9	71.4	28.0	0.5	—	28,5	0.0	0.1	0.0	0.1	100
3. ბორჩალოს	49.6	18.8	9.6	76.0	20.9	0.4	0.0	21.3	0.4	0.0	0.3	0.7	100
4. გორის	45.0	33.9	2.6	81.5	18.4	0.0	0.0	18.4	0.1	0.0	0.0	0.1	100
5. დუშეთის	51.2	11.7	1,9	64.8	35.2	0.0	—	35.2	0.0	—	0.0	0.0	100
6. თბილისის	46.7	22.0	4.5	73.2	26.8	—	—	26.8	—	—	—	—	100
7. თელავის	68.4	22.7	2.8	93.9	5.7	—	—	5.7	—	0.4	—	0.4	100
8. თიანეთის	70.0	10.4	3,8	84.0	15.0	0.1	0.1	15.2	0.0	—	0.3	0.6	100
9. სიღნაღის	47.1	34.6	5.6	87.3	6.3	0.2	0.0	6.5	1.2	4.8	0.2	6.2	100
დას. საქართველო	50.0	92.2	1.1	98.3	1.3	0.1	0.0	1.4	0.0	0.2	0.1	0.3	100
10. ზუხდიდის	—	98.4	0.9	99.2	0.1	0.1	0.0	0.2	—	0.6	0.0	0.6	100
11. ლეჩხუმის	26.3	62.3	2.5	91.1	8.9	0.0	—	8.9	0.0	—	—	0.0	100
12. ოზურგეთის	0.0	96.3	2.1	98.4	0.3	0.0	—	0.3	—	1.3	—	1.3	100
13. რაჭის	36.4	54.0	2.1	92.5	7.5	—	—	7.5	—	—	—	—	100
14. სენაკის	0.0	99.0	0.6	99.6	0.2	0.2	—	0.4	—	0.0	—	0.0	100
15. ქუთაისის	0.4	97.5	1.4	99.3	0.2	0.2	0.0	0.4	0.0	0.1	0.2	0.3	100
16. შორაპნის	5.7	92.8	0.2	98.7	1.2	0.0	—	1.2	—	—	0.1	0.1	100
აჭარა	1.3	92.0	0.7	94.0	0.8	0.3	0.0	1.1	—	4.9	—	4.9	100
აფხაზეთი	0.3	76.4	2.7	79.4	0.2	0.4	0.0	0.6	0.0	20.0	—	20.0	100
სულ საქართველოში	23.9	57.6	2.9	84.4	12.4	0.4	0.0	12.8	0.3	2.3	0.2	2.8	100

სასოფლო-სამეურნეო მიწების სტრუქტურა დინამიურია. იგი იცვლება არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც. უკანასკნელი გამოვლინდება სასოფლო-სამეურნეო მიწების დინამიკის შესწავლის დროს, რაზედაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილები 5, 6, 7.

16 სტატისტიკური კრებული, 1909—1921 წწ., თბ., 1923, გვ. 17.

ცხრილი 5

სახნავი მიწების დინამიკა (1882—1912 წწ.)

გუბერნიები და მაზრები	1882 წ. ათას დესეტინებში	1912 წ. (ათას დესეტინებში)	1912 წ. %-ში 1882 წლის მიმართ	საშ. წლიური აბსოლუტური ზრდა ათას დესეტინებში
1. თბილისის მაზრა	90.8	79.1	87.1	—0.4
2. ბორჩალოს „	208.4	134.4	64.4	—2.3
3. გორის „	181.6	130.3	71.5	—1.6
4. დუშეთის „	50.3	40.5	80.5	—0.3
5. თიანეთის „	44.5	25.6	57.5	—0.5
6. სიღნაღის „	170.7	101.9	57.6	—2.1
7. ახალციხის „	56.6	37.4	66.0	—0.6
8. ახალქალაქის „	112.8	84.4	74.8	—0.8
9. თელავის „	65.6	38.0	57.9	—0.8
თბილისის გუბერნია	981.3	671.6	67.2	—9.6
1. ქუთაისის მაზრა	138.9	77.5	55.7	—1.9
2. შორაპნის „	83.8	53.2	63.4	—0.9
3. ლეჩხუმის „	38.1	24.2	63.5	—0.4
4. რაჭის „	24.1	17.6	73.0	—0.2
5. ზუგდიდის „	61.7	82.1	133.0	+0.6
6. სენაკის „	95.4	51.6	54.0	—1.3
7. ოზურგეთის „	86.3	30.7	35.5	—1.7
ქუთაისის გუბერნია	528.3	336.9	60.9	—6.9
სულ საქართველოში	1509.6	1008.5	66.8	—18.1

ცხრილი 6

საძოვრებისა და სათიბების დინამიკა (1882—1912 წწ.)

გუბერნიები და მაზრები	1882 წ. (ათას დესეტინებში)	1912 წ. (ათას დესეტინებში	1912 წ. %-ში 1882 წლის მიმართ	საშ. წლიური აბსოლუტური ზრდა ათას დესეტინებში
I. თბილისის გუბერნია	2569.7	905.5	35.2	—51.6
1. თბილისის მაზრა	315.5	83.4	26.4	—7.2
2. ბორჩალოს „	321.0	226.0	70.4	—2.9
3. გორის „	411.6	144.2	35.7	—8.3
4. დუშეთის „	302.2	57.7	19.1	—7.6
5. თიანეთის „	401.3	157.6	39.2	—7.6
6. სიღნაღის „	369.8	93.3	25.2	—8.6
7. ახალციხის „	179.7	62.6	34.8	—3.6
8. ახალქალაქის „	115.4	63.4	54,9	—1.6
9. თელავის „	153.2	17.3	11.2	—4.2
II. ქუთაისის გუბერნია	1371.5	323.1	23.5	—32.4
1. ქუთაისის მაზრა	169.7	34.8	20.5	— 4.2
2. შორაპნის „	195.4	27.0	13.8	— 5.2
3. ლეჩხუმის „	173.5	113.9	65.6	— 1.8
4. რაჭის „	453.7	11.8	2.6	—13.8
5. ზუგდიდის „	206.4	50.0	24.2	— 4.8
6. სენაკის „	58.4	57.1	97.7	— 0.0
7. ოზურგეთის „	114.4	28.5	24.9	— 2.6
სულ საქართველოში	3941.2	1228.6	31.2	90.4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 7

სასოფლო-სამეურნეო მიწების დინამიკა

გუბერნიები და მაზრები	1882 წ. (ათას დესეტინებში)	1912 წ. (ათას დესეტინებში)	1912 წ. %-ში 1882 წ-ის მიმართ	საშ. წლიური აბსოლუტური ზრდა ათას დესეტინებში
თბილისის გუბერნია	369.96	1.742.8	47.1	—61.1
1. თბილისის მაზრა	432.2	194.2	44.9	— 7.4
2. ბორჩალოს „	563.1	397.2	7.5	— 5.1
3. გორის „	605.3	297.8	49.1	— 9.6
4. დუშეთის „	359.6	105.7	26.6	— 7.9
5. თიანეთის „	445.8	188.7	42.1	— 8.0
6. სიღნაღის „	557.5	215.4	38.6	—10.6
7. ახალციხის „	246.1	110.6	44.9	— 4.2
8. ახალქალაქის „	256.4	168.9	65.8	— 2.7
9. თელავის „	218.8	64.3	29.8	— 4.8
ქუთაისის გუბერნია	1905.4	683.6	35.8	—38.1
1. ქუთაისის მაზრა	308.6	118.8	38.4	— 5.9
2. შორაპნის „	279.2	89.4	32.0	— 5.9
3. ლეჩხუმის „	211.6	140.5	66.3	— 2.2
4. რაჭის „	477.8	34.2	7.1	—13.8
5. ზუგდიდის „	268.1	132.2	49.3	— 4.2
6. სენაკის „	153.8	109.3	71.0	— 1.3
7. ოზურგეთის „	200.7	59.2	29.5	— 4.4
8. ბათუმის ოკრუგი	—	112.0	—	—
9. სოხუმის „	—	228.4	—	—
სულ საქართველოში	5605.0	2766.8	49.3	—88.6

როგორც მე-7 ცხრილიდან ჩანს, 1882 წლიდან 1912 წლამდე, 30 წლის მანძილზე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი შემცირდა საქართველოში 2838.2 ათასი დესეტინით, ანუ 1912 წელს არსებულმა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებმა შეადგინეს 1882 წლის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 49,3%. საშუალოდ ყოველწლიური შემცირება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა უდრიდა 88,6 ათას დესეტინას. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები უფრო მეტად შემცირდა თბილისის გუბერნიაში, ქუთაისის გუბერნიასთან შედარებით. 30 წლის განმავლობაში ყოველწლიური შემცირება თბილისის გუბერნიაში უდრიდა 61,1 ათას დესეტინას. ქუთაისის გუბერნიაში ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 38,1 ათას დესეტინას. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს შორის ყველამ განიცადა შემცირება, მათ შორის სახნავმაც. ამ პერიოდში საქართველოში იგი შემცირდა 501,1 ათასი დესეტინით. საშუალო წლიური შემცირება შეადგენდა 18.1 ათას დესეტინას. მიუხედავად იმისა, რომ 1882 წლიდან 1912 წლამდე სახნავი შემცირდა 501.1 ათასი დესეტინით, მისი ხვედრითი წილი სასოფლო-სამეურნეო მიწებში კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა 27,0%-დან 39,9%-მდე, რაც საძოვრების შემცირებით აიხსნება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ შემცირება წლების მანძილზე ხდებოდა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო გამოწვეული მემინდვრეობაში რაიმე დაწესებული სის-

ტემით, ან ყამირს, ნასვენსა და ნათესთა შორის მტკიცედ მიღებული შეთანხმებებით. ამის მიზეზი ომიანობით გამოწვეულ სიძნელეებშია. გადიდებული საგადასახადო ტვირთით დამფრთხალი მოსახლეობა გულმოდგინედ, ფარავ და სტატისტიკური აღწერის დროს სოფლის მეურნეობის ელემენტების ჩამდვილ ოდენობას და ამ შემთხვევაში სახნავის ფართობს. მეორე მხრივ, იგი ყოველწლიურად, მეთოდურად და ორგანიზაციულად, ზუსტად არ აღირიცხებოდა, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა შემცირება ძალზე საგრძნობი გახდა, უფრო ზუსტად იანგარიშეს და წინა წლების ნამდვილი დანაკლისიც ამ პერიოდს მიაწერეს. სხვაგვარად სახნავი ფართობის შემცირება აუხსნელი დარჩებოდა. ყველაზე მეტად სახნავი შემცირდა თბილისის გუბერნიაში — 309,7 ათასი დესეტინით, ქუთაისის გუბერნიაში კი — 191,4 ათასი დესეტინით, და შესაბამისად, ყოველწლიური შემცირება საშუალოდ შეადგენდა თბილისის გუბერნიაში — 9,6 ათას, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 6,9 ათას დესეტინას. ასეთმა ცვლილებამ გამოიწვია სახნავის ხვედრითი წილის შემცირება თბილისის გუბერნიაში 64,4%-დან 38,5%-მდე. სახნავის შემცირება შეიმჩნეოდა თითქმის საქართველოს ყველა მაზრაში, გარდა ზუგდიდის მაზრისა, სადაც იგი 30 წლის განმავლობაში გაიზარდა 20.4 ათასი დესეტინით. ეს, ნაწილობრივ, აიხსნებოდა იმით, რომ ამ პერიოდში ვაზის დაავადებამ გაანადგურა ვენახების დიდი ფართობი და მათი ადგილი დაეთმო სახნავს.

მრავალწლიანი ნარგავების დინამიკის ანალიზი არ ხერხდება, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში არ ხდებოდა მათი სტატისტიკური აღრიცხვა.

ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო ათვისების დონეზე მსჯელობისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ საკვლევ პერიოდში საქართველოში მოხდა სავარგულების სტრუქტურის ცვალებადობა, საგრძნობლად შემცირდა საძოვრების ხვედრითი წილი (69,3% 1882 წ. და 52,9% 1912 წ.). აღნიშნული ტრანსფორმაცია დამახასიათებელი იყო ძირითადად თბილისის გუბერნიისათვის. საშუალოდ ყოველწლიური აბსოლუტური შემცირება აქ შეადგენდა 51.6 დესეტინას, ნაცვლად 32.4 დესეტინისა ქუთაისის გუბერნიაში.

ამ მაჩვენებლებით რაჭის (ყოველწლიური შემცირება 13.8 ათასი დესეტინა), სიღნაღისა (8,6 ათასი დესეტინა) და გორის (8,3 ათასი დესეტინა) მაზრები ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე იყვნენ საქართველოს მაზრებს შორის. გორის და სიღნაღის მაზრებში საძოვრების შემცირება, ნაწილობრივ, უნდა აიხსნას უფრო ინტენსიური სავარგულების ტრანსფორმაციით, ხოლო რაჭის მაზრაში უნდა ვივარაუდოთ ამ სავარგულების არაზუსტი აღრიცხვა, ვინაიდან მეცხოველეობის რაიონში შეუძლებელი იყო საძოვრების ასეთი მასშტაბით შემცირება. ეს მოვლენა, ცხადია, ვერ ჩაითვლება ნორმალურად, ვინაიდან მეზობელ ლეჩხუმის მაზრას საძოვრების შემცირება არ განუცდია.

გარკვეული კანონზომიერება შეინიშნება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გავრცელებაში. კერძოდ, დამუშავებული მიწები თითქმის მთლიანად კონცენტრირებული იყო ალაზნის ველზე, ივრის ზეგანზე, შირაქის ველზე, შიდა და ქვემო ქართლის ვაკეებზე — აღმოსავლეთ საქართველოში; კოლხეთის დაბლობზე და იმერეთის მაღლობზე — დასავლეთ საქართველოში. სამხრეთ საქართველოს მაზრებში ისინი ძირითადად განლაგებულნი იყვნენ ჯავახეთის პლატოზე, სადაც ნოყიერი შავმიწა ნიადაგებია; ცალკეული კერების სახით, საძოვრებისა და ტყეების შიგნით, შეჭრილი იყო კავკასიონისა და

სამხრეთ საქართველოს მთების კალთებზე. ეს მიწები ვრცელდებოდნენ 2000 მ-მდე ზღვის დონიდან; მათ ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდათ მხოლოდ ვაკეებზე, სადაც ადვილი იყო მათი დამუშავება. რაც შეეხება მთიან რეგიონებს, ასეთ მიწებს დახრილი ფერდობები ეკავათ, რაც მეტად ანელებდა მათ დამუშავებას. განსაკუთრებით ეს შეეხება ქუთაისის [illegible] სადაც დამუშავებული მიწები ხშირად განლაგებული იყო 12°—15°-იანი დახრილობის მქონე ფერდობებზე. ხშირი იყო ეროზიული პროცესები. მაშინ არსებული საწარმოო იარაღების არაეფექტურობის გამო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება მოითხოვდა ხელით მძიმე შრომას.

სასოფლო-სამეურნეო მიწების უფრო რაციონალურად გამოყენებაზე დიდ გავლენას ახდენდა სამელიორაციო ღონისძიებანი. საქართველოში გავრცელებული იყო, როგორც ბოგარული, ასევე სარწყავი მიწათმოქმედება.

1912 წ. საქართველოში ირწყვებოდა 112 ათასი[17] ჰექტარი მიწა. სარწყავი მიწები უმთავრესად გავრცელებული იყო ქართლისა და კახეთის მაზრებში.

ბუნებრივი საკვები სავარგულები (საძოვრები და სათიბები) ინტენსიური კულტურებისაგან (ვაზი, ხეხილი, მარცვლეული, ბოსტნეული) განსხვავებით, უფრო მეტად განლაგებული იყო სუბალპურ და ალპურ ზონებში, რაც განსაზღვრავდა მათ გამოყენებას მხოლოდ ზაფხულის პერიოდში. სათიბ-საძოვრების ძირითადი ნაწილი საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაშორებული დასახლებულ პუნქტებს და ბევრი მათგანი, უგზოობის გამო, არ იყო გამოყენებული. საძოვრები საქართველოში ძირითადად განლაგებული იყო ორ ზოლად: ერთი, მთავარი — კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, მეორე კი — სამხრეთ საქართველოს მთების კალთებზე.

მთიანი რელიეფის არსებობის გამო, საზაფხულო საძოვრები ყოველთვის უხვად ჰქონდა საქართველოს, ბევრად ნაკლები იყო საზამთრო საძოვრები. საზამთრო და საზაფხულო საძოვრების შეუსაბამოდ განლაგება საქართველოს ტერიტორიაზე იწვევდა აუცილებლობას სარაიონთაშორისო სასაძოვრო მასივების გაცვლისას.

ა. შავხელიშვილის[18], ა. რჩეულიშვილისა[19] და სხვა ავტორთა მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს მის მოსაზღვრე მხარეების ტერიტორიაზე ჰქონდა გამოყოფილი პირუტყვის მომთაბარე მესაქონლეობისათვის სათიბ-საძოვარ-საბალახოების მნიშვნელოვანი ფართობი.

საქართველოში 1893 წლისათვის აღირიცხებოდა 2.175.653 ხარი, ძროხა, კამეჩი, ცხვარი და თხა[20]. ე. ი. 1 სულ პირუტყვზე მოდიოდა 0,7-დე დესეტინა საძოვარი.

ამგვარად გამოიყურებოდა XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში საქართველოს მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა.

---

17 ვ. ბურჯანაძე. ირიგაცია საქართველოში. თბ., 1967, გვ. 94.

18 ა. შავხელიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან., თბ., 1977, გვ. 96.

19 А. Рчеулишвили. Отгонное овцеводство Грузии и пути его улучшения. Тбилиси, 1957, с. 50.

20 საქართველოს სსრ ეკონომიკური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ., 1970, ნაწილი, I, გვ. 150.

К. И. КЕКЕЛИА

ГЕОГРАФИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ ЗЕМЕЛЬ ГРУЗИИ В КОНЦЕ XIX И В НАЧАЛЕ XX в.

Резюме

В статье рассматриваются вопросы географии землевладения и землепользования в Грузии в конце XIX — начале XX века.

По данным «Кавказского календаря» и статистических сборников изучены вопросы обеспеченности земельными ресурсами, структура земельного фонда и сельскохозяйственных угодий, динамика сельскохозяйственных земель, выявлены причины их трансформации и дана характеристика отдельных сельскохозяйственных угодий.

Все эти вопросы рассмотрены с учетом природных и социально-экономических условий. Составлена карта, отражающая структуру сельскохозяйственных земель в районном разрезе.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

1. ჯ. გვასალია, ფრონეს ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები . . 3
Дж. Г. Гвасалиа, Вопросы исторической географии ущельев Проне (Резюме) 35
2. გ. ფრიგოლია, ძველი კოლხეთის საქალაქო ცენტრების (პეტრა) ლოკალიზაციის საკითხები 37
Г. К. Григолия, Вопросы локализации городских центров (Петра) древней Колхиды (Резюме) 81
3. ი. სიხარულიძე, ფერსათის ისტორიული გეოგრაფიიდან 82
О. М. Сихарулидзе, Из исторической географии Персати . . . 87
4. ზ. ცინცაძე, სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX საუკუნის I ნახევარში 88
З. Ф. Цинцадзе, К вопросу о границах Мингрельского (Одишского) княжества в I половине XIX века (Резюме) 102
5. ქ. კეკელია, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების გეოგრაფიული ასპექტები . . 103
К. И. Кекелия, Географические аспекты использования сельскохозяйственных земель Грузии в конце XIX и в начале XX в. (Резюме) . 116

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3765

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჯვებენავა
მხატვარი მ. თუშმალიშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი: ლ. ჯიქია
გამომშვები ლ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 30.1.1988; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.1.1989
ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირ. სალ-გატ. 10.68; პირობითი საბეჭდი თაბახი 10.5;
სალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7.84

უე 02208; ტირაჟი 2600; შეკვეთა № 320;

ფასი 1 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19

Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СБОРНИК ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ ГРУЗИИ

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1989

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1988 წ. გამომცემლობა „მეცნიერებამ" გამოსცა:

ძველი ალმოსავლეთის ხალხთა ისტორია
გ. გ ი ო რ გ ა ძ ე. ათასი ღვთაების ქვეყანა.
ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა. XI—XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა